

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის  
საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-  
საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება  
ცოდნის“ ჟურნალი

# სიტყვა

„როცა საზოგადო მნიშვნელობის  
აზრი ამოქმედებს სიტყვას, მაშინ  
თვითონ თქმა ქმნად გადაიქცევა  
ხოლმე“



№5-6(56)  
2007

ჟურნალ „სიტყვის“ გამოცემა გრძელდება საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ წესდების საფუძველზე, რაც საჭირო ცვლილებებით დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებით №366, 30.09.2005 წ. მოწმობა №00541/12/0293

**სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო ჟურნალი „სიტყვა“**

თუ რედაქციაში შემოსული მასალები არ ემთხვევა რედაქციის პოზიციას, გამოქვეყნებულ წერილებში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი

ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალებზე საავტორო უფლება ეკუთვნის „სიტყვის“ რედაქციას. შეუთანხმებლად რაიმეს გადაბეჭდვა კანონის ძალით აკრძალულია. ჟურნალი აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ სტამბაში

სარედაქციო კოლეგია:  
**ნუგზარ ჟემრთიმელი** (მთავარი რედაქტორი),  
**ნოდარ ზედელაშვილი** (პასუხისმგებელი მდივანი),  
კონსტანტინე ბეთანელი, ნანა გაფრინდაშვილი, გურამ გეგეშიძე, გურამ გოცირიძე, ემზარ კვიციანიშვილი, ნიკო ლეონიძე, ტარიელ სტურუა, რევაზ უზუნაძე, გარი ჩაფიძე, თამარ ყურაშვილი, ნინო წერეთელი.

**რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა №47.**  
**საკონტაქტო ტელეფონები:**  
**99-00-35, 99-94-46, 93-43-10**  
**899-51-62-60, 877-50-29-84**

ISBN 5-89512-248-5

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“

**შინაარსი**

სამოცი წლის უბილარი ----- 4

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ თავმჯდომარეები ----- 10

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ უმაღლესი ჯილდოს – ილია ჭავჭავაძის პრემიის ლაურეატები ----- 17

შტრისები სამოგადოება „ცოდნის“ აჭარის ორგანიზაციის უახლესი წარსულიდან ----- 19

პედაგოგიური ურთიერთობის ხელოვნება ----- 35

ბონდო არველაძე – სომხები ინტერნეტში ----- 46

„უნდა ვუშველოთ ჩვენს თავს“ ----- 55

გურამ რჩეულიშვილის ექვსტომეული ----- 56

ნუგზარ წერეთელი – გამოუქვეყნებელი ლექსების რეკულიდან ----- 61

თარგმანები. ოზეფ კაინჭებერი ----- 80

ბაბუა-შვილიშვილის დღიურები და ჩანაწერები ----- 89

მოლდოვეური შთაბეჭდილებები ----- 104

ახალგაზრდების შემოქმედება. საქართველოს ეკლესია მონასტრები ----- 118

დამწყები პოეტები ჟურნალის ფურცლებზე ----- 142

თანამშრომელთა გასვენება ----- 149

წერილები ადგილებიდან ----- 153

მეცნიერების სამყაროში ----- 155

### სამოცი წლის იუბილარი

დაარსებიდან 60 წლისთავის საიუბილეო თარიღი შეუსრულდა საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნას“, რომელიც არსებობის პირველი წლების მანძილზე მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით იყო ცნობილი.

საზოგადოება „ცოდნა“ ფაშისტურ გერმანიასთან სამკდრო-სასიცოცხლო ომის დამთავრების შემდეგ დაარსდა. ეს იყო 1947 წლის დასაწყისი, ჯერ კიდევ ნანგრევებად ქცეული ქვეყანა აღორძინებისთვის თავდადებულად შრომობდა, უმძიმეს ჭრილობებს იმუშებდა, ცდილობდა ხალხი არსებული გაჭირვებიდან გამოეყვანა. მშრომელ ხალხს საზოგადო-სულიერი საზრდოც სჭირდებოდა, წიგნი და გაზეთი ყველასთვის არ იყო ხელმისაწვდომი, ტელევიზია ჯერ არ იყო დაარსებული, ყველაზე მასობრივი ინფორმაციის საშუალება რადიო ბერსოფელსა თუ დაბაში შეიძლება არსებობდა, თუმცა ყველა ოჯახს რომ ჰქონოდა – ჯერ კიდევ მიუღწეველ ოცნებას წარმოადგენდა.

ასეთი ინფორმაციული ვაკუუმის დროს საჭირო იყო ხალხისათვის უაღრესად სასარგებლო ფართომასშტაბიანი ორგანიზაციის შექმნა. როგორც

ბევრი გამოჩენილი რუსი მეცნიერი აღნიშნავდა, ასეთ დროს ხალხთა მამად და პროლეტარიატის ბელადად წოდებულ იოსებ სტალინს, როგორც ჩანს, გახსენებია თავისი ახალგაზრდობის დროინდელი ფართო მასშტაბით მოქმედი ინსტიტუტი, რომელსაც ერქვა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. ამ საზოგადოების დამაარსებელ დიდ ილია ჭავჭავაძეს სტალინი პატივს სცემდა, თუნდაც იმიტომ, რომ პირადად იცნობდა. ილია ჭავჭავაძე იყო ის პროგრესული პიროვნება, ვინც სახელგანთქმულ „ივერიაში“ პირველად დაბეჭდა სრულიად უცნობი ახალგაზრდა ავტორის სოსო ჯუღაშვილის საინტერესო ლექსები. სტალინმა თავდაპირველად დაიბარა მეცნიერებათა აკადემიის მშინდელი პრეზიდენტი, ცნობილი რუსი მეცნიერი სერგეი ვაგილოვი და მსჯელობის შემდეგ მისთვის დაუვალებია საქართველოს მსგავსი საზოგადოების სასწრაფო შექმნა. რამდენიმე დღეში შედგა გამოჩენილი მეცნიერების, მწერლების, ხელოვნების მუშაკებისაგან დაკომპლექტებული ორმოცდაათკაციანი ჯგუფი და იმავე წლის მაისის თვეში დაფუძნდა მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელი ფართო პროფილის საზოგადოება „ხანაიის“ სახელწოდებით.

1947 წლის მაისშივე დაფუძნდა საქართველოს რესპუბლიკის საზოგადოება „ცოდნა“. საინიციატივო ჯგუფს წარმოადგენდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები და მწერლები: ნიკოლოზ მუსხელიშვილი, ივანე ბერიტაშვილი, შალვა ამირანაშვილი, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, ნიკო ბერძენიშვილი, არნოლდ ჩიქობავა, აკაკი ხორავა, სიმონ ყაუხჩიშვილი, ნიკო კეცხოველი, კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე, ირაკლი აბაშიძე, შოთა ძიძიგური, სიმონ ჩიქოვანი, და სხვები.

1947 წელსვე საბოლოოდ ჩამოყალიბდა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება „ცოდნა“, იმ დროისთვის პირველი, ყველაზე მსხვილი და თვალსაჩინო საზოგადოება, სადაც ეროვნული კულტურის, მეცნიერების, ტექნიკის ყველა სფეროს გამოჩენილი, ფართოდ აღიარებული წარმომადგენლები გაერთიანდნენ.

საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პირველ თავმჯდომარედ ერთხმად იქნა არჩეული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი პრეზიდენტი, დიდი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ მუსხელიშვილი, რითაც ხაზი გაესვა ამ ორი დიდი ეროვნული დაწესებულების მყარი ურთიერთკავშირის აუცილებლობას.

ბატონი ნიკო მუსხელიშვილი „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარედ

აქტიურად მუშაობდა მთელი თხუთმეტი წლის მანძილზე. შემდეგ უკვე სახელმძღვანელო საზოგადოება „ცოდნის“ თავმჯდომარეები იყვნენ: გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, აკადემიკოსი გიორგი ძოწენიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ევგენი ხარაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ანგია ბოჭორიშვილი, საქართველოს პირველი ელჩი თურქეთში, თურქეთის მეცნიერებათა აკადემიის პირველი ქართველი აკადემიკოსი ნოდარ კომახიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიის პრეზიდენტი ალექო თავხელიძე; 1990 წლიდან საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ თავმჯდომარეა მწერალი და ჟურნალისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნუგზარ წერეთელი.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“ აღიარებულად არის მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის, მემოქმედებითი და ტექნიკური ინტელიგენციის, სასულიერო პირების საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო, საინფორმაციო, საკონსულტაციო, საქველმოქმედო

დამოუკიდებელი ორგანიზაცია. უკვე აღინშნა, რომ „ცოდნა“ ითვლება დიდი ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების მიერ მე-19 საუკუნეში დაფუძნებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი, ცნობილი ეროვნული საზოგადოების პირდაპირ სამართალმემკვიდრედ, რაც მას დიდი ეროვნული დატვირთვის ამოცანებს უსახავს.

საქართველოს „საზოგადოება ცოდნამ“ ნაყოფიერი და სახელოვანი გზა განვლო, მისი ათასობით წევრი ხალხის ფართო ფენებში პოპულარიზაციას უწყვედა სამაჰულო მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების, ტექნიკის ყველა დარგის საფუძვლებსა და სიახლეებს, რაც დღესაც მიმდინარეობს. ბუნებრივია, თანამედროვე ეტაპისათვის ყოფილი ფართო მასშტაბები ვერ იქნა შენარჩუნებული და ეს შეუძლებელიც იყო, ტოტალიტარულ სახელმწიფოში სულ სხვა დამატებითი პრინციპები მოქმედებდა, თავისუფალ, დემოკრატიულ ქვეყანაში კი სულ სხვა. ისიც უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე საქართველოს ქალაქებისა და რაიონების დიდი ნაწილი აღიჭურვა თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით, ინტერნეტით, რადიო-ტელევიზიას მრავალი არხი და მაუწყებლობა დაემატა, ათეულობით დასახელების გაზეთმა და ჟურნალმა დაიწყო გამოცემა. მიუხედავად ამისა, ცოცხალმა უშუალო სი-

ტყვამ საკუთარი ნიშა მაინც შეინარჩუნა, ბევრ ქალაქსა და რაიონში, დაბასა და სოფელში ტარდება ლექციები, ხშირად ხალხის მოთხოვნითა და დაკვეთით. სხვათადასრულ არც შეიძლება, რადგან ზუსტად „ცოდნის“ ანალოგიური ორგანიზაციები მოქმედებენ არა მარტო რუსეთსა და ყოფილ რესპუბლიკებში – დღეს დამოუკიდებელ სახელმწიფოებში, არამედ მსოფლიოს ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, იტალია, შვეიცარია და სხვა ქვეყნები, რაც ჩვენი მხრივ გააზრებულ სამომავლო განსჯას საჭიროებს; იქ დღის წესრიგში დგას მოზრდილი უწყვეტი განათლების საკითხები, რასაც ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობს და ხალხის საინფორმაციო-საგანმანათლებლო საშუალებებზე მიიჩნევს.

1991 წლიდან სრულიად საკავშირო საზოგადოება „ზნანიტს“ დაშლის მერე დაფუძნდა საერთაშორისო ასოციაცია „ზნანიე“, საზღვარგარეთის რიგ სახელმწიფოებთან, ბალტიისპირეთის ქვეყნებთან და ყოფილ რესპუბლიკებთან ერთად საქართველოს საზოგადოება „ცოდნაც“ შევიდა ამ ასოციაციაში, რაც კონტაქტებისა და თანამედროვე კულტურული ურთიერთობების განმტკიცების ფართო საშუალებას იძლევა. მაგალითად, ამ კავშირების მეოხებით „ცოდნა“ წლების მანძილზე მნიშვნელოვან ნაშრომებს გა-

მოსცემს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასევე ახდენს საჟურნალო პუბლიკაციების გამოქვეყნებას, აწარმოებს სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო ინფორმაციის გაცვლას.

ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე დროის მოთხოვნილებათა მიხედვით მკვეთრად გაიზარდა ყურადღება სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობისადმი, რაც წესდების თანახმად „ცოდნის“ ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმდინარეობაა. „საზოგადოება ცოდნასთან“ ფუნქციონირებს ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი, კოლეჯები და საშუალო-საშენიანობის სასწავლებლები მოქმედებენ თბილისში, ბათუმში, ლუშეთში, თიანეთში, ახალქალაქში, ონში, მარტვილში. სასწავლებელთა დაარსების ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად აღებული იქნა მაღალმთიანი რეგიონები. ამით გარკვეულწილად მოხერხდა ახალგაზრდობის თუნდ ერთი ნაწილის ადგილზე დამკვიდრება, რის გამოც ადგილობრივი მოსახლეობისაგან მრავალი მადლობის წერილი იქნა მიღებული „ცოდნის“ მისამართით.

ამ დაწესებულებების შემდგომი ფუნქციონირების საკითხი ამჟამად მთლიანად არის დამოკიდებული მეტად რთულ და საპასუხისმგებლო მოთხოვნების მქონე აკრედიტაციის გავლაზე. აქვე ისიც შეიძლება აღინშნოს, რომ წინა ხელისუფლების მიერ საკმაოდ უხეში შეცდომები იქნა დაშვებული სწავლა-განათლების საკითხ-

ებში, რისთვისაც პასუხი მათ კი არ მოეთხოვათ, არამედ ძირითადად დამჯერე და ტალღას აყოლილი ხალხი გახდა უკვე ამოქმედებული კანონების მიმართ ვალდებულებით და უნებლიე შეცდომების ჩადენისათვის პასუხისმგებელიც.

აღნიშნული სასწავლებლების გვერდით არაერთ რაიონში მოქმედებენ კურსები, სკოლები, სასწავლო დაწესებულებები. საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ ასეთი ფაქტი: „ცოდნის“ თანამშრომელთა ძალდებით დაარსდა ჭიათურის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ჟურნალისტიკის ინსტიტუტი, საჩხერის ჰუმანიტარული ინსტიტუტი, რაც განახორციელა „საზოგადოება ცოდნის“ იმერეთის სამხარეო კოორდინატორმა პროფესორმა გარი ჩაფიძემ. ამ დაწესებულებების თანამედროვე ღონეზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ იქ გამოცემენ მრავალტირაჟიან ბეჭდვით გაზეთებსაც კი „მერმისის“, „პორიზონტის“, „კალმონის“ სახელწოდებით და ამ კუთხითაც მოსახლეობას გარკვეულ დადებით ინფორმაციას აწვდიან. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მაგალითად ე.წ. „ქათმის გრიპის“ ატეხილი ბუშის დროს „ცოდნის“ იმერეთის სამხარეო ორგანიზაციამ საკუთარი სახსრებით გამოუშვა მრავალფეროვანი ბუკლეტები აღნიშნული დაავადების წინააღმდეგ ბრძოლისა და თავდაცვის პრობლემებზე, რაც ასევე უფასოდ

დაურიგდა მოსახლეობას სათანადო ინფორმაციის მიზნით.

საზოგადოება „ცოდნის“ უმთავრესი მიზანია საქართველოში სამამულო მეცნიერული ცოდნის და პოლიტიკური კულტურის გავრცელება, რაც ხდება ლექციების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვების, თემატური საღამოების, შეხვედრების, კინო-ლექტორიუმების, უწყვეტი განათლების პრინციპების, კონსულტაციების, დისპუტების და დისკუსიების, სემინარების, სამეცნიერო-თეორიული და პრაქტიკული კონფერენციების, სიმპოზიუმების, ტრენინგების და სხვა საინფორმაციო ღონისძიებების საშუალებით, სამეცნიერო-პოპულარული, მხატვრულ-პუბლიცისტური, სამეცნიერო-მეთოდური ლიტერატურის, ბუკლეტების, ჟურნალების, ბროშურების გამოცემითა და გავრცელებით. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველ მსმენელზე, ანუ საზოგადოდ ხალხის ფართო მასაზე ქალაქად თუ სოფლად საკმაოდ მავნე ზეგავლენა მოახდინა პარტიების სიუხვემ, ოპოზიციური აზრებით დატვირთულ გულუბრყვილო მსმენელებს კი უკვე ნაკლებად აინტერესებთ ხილული თუ მათ მიერ ნაკლებად აღქმული მიღწევები და ცდილობენ ლექციის მსვლელობაშიც კი საკუთარი თავსმოხვეული კორექტივები შეიტანონ. ასეთ ხალხთან ლაპარაკი ძვილდება, ხელისუფლების მიერ გადადგმულ სამომავლო ნაბიჯებს ისინი მხოლოდ საკუთარი პირადი მოსაზრებიდან გამომდინარე

მოთხოვნებით უცქერენ, მათი გადარწმუნება საკმაოდ ძნელი ხდება და აზრთა ეს პოზიციურ-ოპოზიციური შეხლა-შემოხლა არა ერთ და ორ ლექტორსაც უკარგავს საქმიანობის სურვილს. მიუხედავად ამისა, „საზოგადოება ცოდნის“ მიზანია მყარი სულიერი ფასეულობების პრობლემატიკის გაშუქებასთან ერთად წინ წამოწიოს თანამედროვეობის აქტუალური საკითხები და ცოცხალი სიტყვის საშუალებით უთხრას ხალხს, რომ თუნდაც არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმა მათივე მომავალი კეთილდღეობისათვის ხდება და ყველა სფეროში სათანადო წესრიგის დამყარება საერთო ჯამში ისევე მათ სიკეთეს მოხმარდება.

ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე, ეს უფრო ადრეულ წლებს შეეხება, მთავრობა და ხელისუფლება „საზოგადოება ცოდნის“ საქმიანობის მხარდაჭერისა და გაუმჯობესების მიზნით საკმაოდ ხშირად გზავნიდა წერილებსა თუ რეზოლუციებს ადგილებზე, რაც დიდად უწყობდა ხელს საქმიანობის გამლას და დასახული ამოცანების შესრულებას. დღეს მსგავსი მხარდაჭერა ნაკლებად ხერხდება, სამაგიეროდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2005 წელს დაწვრილებით განხილულ და დამტკიცებულ წესდებაში ხაზგასმით არის მითითებული (პუნქტები 3.2. -3.2.1.), „რომ „ცოდნის“ კანონით დადგენილი წესით უფლება აქვს: ქვეყნის ნებისმიერი ქალაქისა და რაიონის წარმოებებში, ორგანიზა-

ციებში, კერძო სტრუქტურებსა თუ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებში ჩაატაროს ლექცია-მოსხენებები ან სამეცნიერო-შემეცნებითი ღონისძიებები, კონფერენციები, ტრენინგები, კითხვა-პასუხის საღამოები, შეხვედრები აკადემიკოსებთან, მწერლებთან და ა.შ.“.


„ცოდნა“ ცდილობს და ეცდება ისე გაშალოს საქმიანობა, რომ დასაბუთებული პასუხი გაეცეს მწვავე კითხვებს, შეძლოს ბევრ საკითხში ხალხის დარწმუნება, ასხნა-განმარტება გაუწიოს ხელისუფლებისა და პარლამენტის დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე აწარმოოს ინფორმაცია და კონსულტაციები.

ყველასათვის სასიამოვნო და სასიხარულოა, რომ დამოუკიდებელი საქართველო დემოკრატიისა და ალმავლობის შეუქმვეადი გზებით მიემართება, ევროკავშირსა და ნატოში

ინტეგრაცია მას მყარ მშვილობასა და დიდ წარმატებებს მოუტანს. მალე ეკონომიკაც არნახულად ამაღლდება, ხალხის სოციალური დონეც მკვეთრად აყვავდება, პარტიების დიდი რიცხვიც შემცირება-კლების გზით წავა, „საზოგადოება ცოდნის“ საქმიანობაც გაფართოვდება და განმტკიცდება, რუსეთის ორასწლიანი ტოტალიტარიზმის კლანჭებისაგან თავდასწინილი ქვეყანა განვითარების ახალი ევროპული გზები-საკენ გაემართება, ახალი თანამედროვე პროცესები დაიწყება, რაშიც მონაწილეობის სურვილი აქვს და აქტიურად უნდა მიიღოს კიდევ მონაწილეობა უკვე სამოცი წლის ისტორიის მქონე საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირმა „საზოგადოება ცოდნამ“

*სარედაქციო კოლეგია*

საქართველოს ილია ჭავჭავაძის  
სახელობის საერთაშორისო  
სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო  
კავშირის „საზოგადოება ცოდნის“  
თავმჯდომარეები:



**ნიკოლოზ მუსხელიშვილი –**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი პრეზიდენტი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გამაგრებელი საზოგადოება „ცოდნის“ პირველი თავმჯდომარე 1947-1957 წლებში.



**ანჯია ბოჭორიშვილი –**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი, საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ თავმჯდომარე 1957-1960 წლებში.



**გიორგი ძოჭნაძე –**

საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, აკადემიკოსი,  
სსრკ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი,  
საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ თავმჯდომარე 1960-1976 წლებში.



**ევგენი ზარაძე –**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი,  
საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ თავმჯდომარე 1976-1981 წლებში.



**ნოდარ კომაშიძე –**  
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თურქეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ თავმჯდომარე 1981-1985 წლებში.



**ალბერტ თავსელიძე –**  
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ თავმჯდომარე 1987-1990 წლებში.





#### **ნუგზარ წერეთელი –**

მწერალი, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ თავმჯდომარე 1990 წლიდან დღემდე.



**საქართველოს ილია ჭავჭავაძის  
სახელობის საერთაშორისო  
სამეცნიერო-კულტურულ-  
საგანმანათლებლო კავშირის  
„საზოგადოება ცოდნის“ უმაღლესი  
ჯილდოს – ილია ჭავჭავაძის  
პრემიის ლაურეატები**

1990 წლის 26 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის საზოგადოება „ცოდნის“ მეორე გაფართოებული პლენუმის გადაწყვეტილებით საზოგადოება „ცოდნის“ საქმიანობაში აქტიური, ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, ლექციური პროპაგანდის ეროვნული სულისკვეთების საქმეში თვალსაჩინო წვლილისათვის, საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით საუკეთესო სამეცნიერო-პოპულარული თუ მხატვრულ-პუბლიცისტური წიგნის გამოცემისათვის დადგინდა ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიისა და მედლის დაწესება. დებულების თანახმად ლაურეატის კანდიდატურა შეიძლება შეირჩეს როგორც ლექტორთა, ისე ლექციების ორგანიზატორთა სფეროდან. გადაწყვეტილებას განიხილავს და ამტკიცებს საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობა.

წლების მანძილზე ილია ჭავჭავაძის სახ. პრემია მიენიჭათ: ქართული ლიტერატურის პროპაგანდის საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის, ქართული კულტურის ეროვნული კადრების აღზრდის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, საჯარო ლექცია-მონსტრაციებით სისტემატურად გამოხვედისა და საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციულ-შემოქმედებით საქმიანობაში აქტიური მოღვაწეობისათვის:

**ალექსანდრე ბარამიძეს** – გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, აკადემიკოსს.

**სოლომონ ხუციშვილს** – ცნობილ ქართველ ლიტერატურათმცოდნეს, პროფესორს

**დავით თევზაძეს** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ლიტერატურის მცოდნეობის აკადემიის აკადემიკოსს, საზოგადოება „ცოდნის“ ქართული ენისა და ლიტერატურის სამეცნიერო მეთოდური საბჭოს თავმჯდომარეს.

**დავით გეგეშიძეს** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ფილოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, საზოგადოება „ცოდნის“ პრეზიდენტის წევრს.

**ნუგზარ წერეთელს** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს საერთაშორისო „საზოგადოება ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარეს.

**ვლადიმერ ბახუტაშვილს** – გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, აკადემიკოსს.

**ყარამან ფადავას** – გამოჩენილ ქართველ პედაგოგს, პროფესორს.


**კონსტანტინე ბეთანელს** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს.

**ნიკოლოზ ლენინძეს** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტელე-რადიო ჟურნალისტიკის კათედრის გამგეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს.

საზოგადოება „ცოდნისთან“ არსებულ ქ. ჭიათურის ინსტიტუტს დაარსებიდან 10 წლისთავთან დაკავშირებით და მომავალი თაობების აღზრდა-განათლებისა და კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაში შეტანილი წვლილისათვის.

საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის გაზეთ „ჩირაღდანს“ დაარსებიდან 5 წლისთავთან დაკავშირებით და მომავალი თაობის აღზრდაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის.

## შგრიხები საზოგადოება „ცოდნის“ აჭარის ორგანიზაციის უახლესი წარსულიდან



(წერილი პირველი)

საზოგადოება „ცოდნის“ აჭარის ორგანიზაცია მუდამ იყო, დიდი ილიას მდიდარ საგანმანათლებლო გრადიციებზე დაფუძნებული, საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურული კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ მოწინავე შემადგენელი ნაწილი. იგი ყოველთვის ფეხს უწყობდა ცხოვრების მოთხოვნებს, დიდი მონღობებით ემსახურებოდა რეგიონის სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმეს. მისი საქმიან-

ობის ძირითადი პრინციპი ყოველთვის იყო ხელის შეწყობა მეცნიერული ცოდნის, ლიტერატურის, ხელოვნების პროპაგანდისათვის, მოსახლეობის სამხედრო-პაგროტიკული, მოქალაქეობრივი სულისკვეთებით აღზრდისა და მათი პოლიტიკური გათვითცნობიერებისათვის, „საზოგადოება ცოდნის აჭარის ორგანიზაცია ყოველთვის გამოირჩეოდა მობილუბების, ორგანიზების, სიასლეთა წვდომის უნარით,“ – ნათქვამია საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ თავმჯდომარის, აკად. ნ.წერეთელის მიმართულებაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისადმი.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, ქვეყანაში შექმნილი კრიზისული საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გამო. თვითდაფინანსებაზე მყოფ „ცოდნის“ აჭარის ორგანიზაციას მეტად მძიმე დღეები დაუდგა. არსებული კრიზისიდან გამომდინარე მოხდა საწარმოო-დაწესებულებათა საქმიანობის პარალიზება, რომელთაც „ცოდნის“ ორგანიზაცია უწევდა სალექციო და სხვა სახის

ფასიან მომსახურებებს. ამის შედეგად „ცოდნის“ აჭარის ორგანიზაცია აღმოჩნდა უკიდურესად მძიმე მდგარობაში. დარჩა უსახსროდ, ვინაიდან მას შემოსავლის სხვა წყარო არ გააჩნია. ვაყენებდით საკითხს მთავრობის მიერ მისაღმი ფინანსური და მატერიალური დახმარების შესახებ. ვცდილობდით მიგვეღწია „ცოდნის“ ორგანიზაციის დაფინანსება მომხდარიყო ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან. ჩვენი იდი ძალისხმევით შედეგად აჭარის არ. მინისტრთა საბჭომ 1997 წლის 30 დეკემბერს მიიღო დადგენილება „ცოდნის“ რეგიონალური ორგანიზაციის საბიუჯეტო დაფინანსებაზე გადაყვანის შესახებ. დადგენილებაში ნათქვამია: მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო სამოგადოება „ცოდნის“ აჭარის ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფს თავისი საქმიანობის წარმართვას, ლექტორთა მივლინებებს ადგილებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე „ცოდნის“ აჭარის ორგანიზაციის დაფინანსება მოხდეს ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან.“ გათვალისწინებული იყო მაგერი-იალურ-გექნიკური დახმარება. სამწუხაროდ, ავტონომიური რესპუბლიკის მაშინდელი ხელ-

ის უფალის სუბიექტური მოსაზრების გამო, საქმე დადგენილებას არ გაცვილებია. ვინაიდან ხელისუფლებამ „ცოდნის“ ლექტორთა სიაში მრავლად „აღმოაჩინა“ მისთვის მიუღებელი პიროვნებები. არც „ცოდნის“ ორგანიზაციას უცდია მდგომარეობის „გამოსწორება.“ ხელისუფლება „ცოდნის“ რეგიონალური ორგანიზაციის მუშაობის გააქტიურებას შეეცადა 2003 წლის 23 ნოემბრის „ვარდების“ რევოლუციის შემდგომ. აჭარის უმენაეს საბჭოში დაისვა საკითხი „ცოდნის“ ორგანიზაციის მეშვეობით მოეხდინათ ე.წ. აჭარის ხელისუფლებისადმი მხარდამჭერ ლექტორთა მობილიზაცია და ხალხში გასვლა-შეხვედრებით, ლექციების დასრულებით დაერწმუნებინათ სამოგადოება თბილისში მომხდარი ე.წ. ანგისახელმწიფო გადაგრიანების შესახებ. ამ წერილის ავტორი „ვარდების რევოლუციის“ მეორე დღეს – 24 ნოემბერს დამბარეს აჭარის უმენაეს საბჭოში და განმიცხადეს: სასწრაფოდ შემემუშავებინა „ცოდნის“ საავტორიო მუშაობის გეგმა. მითხრეს ხელსუფლება ყოველგვარ დახმარებას აღმოიჩინდა, ასევე გამაფრთხილეს, იმავე დღეს, საღამოს 6-ის ნახევარზე უნდა

შევეხვედროდი ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურს. მიუხედავად დიდი საფრთხისა იმთავითვე კატეგორიული უარი განვიცხადე ყოველგვარ თანამშრომლობაზე. მათ ვუთხარი ამ საქმეში მე არ გამოვადგებოდი და არც თავად ადგენენ კარგ გზას. სამოგადოება „ცოდნის“ აჭარის ორგანიზაცია, თავის წევრებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდა 2004 წლის საპრემიდეტო და საპარლამენტო არჩევნებში. საპრემიდეტო არჩევნებთან დაკავშირებით აბაშიძის რეჟიმის მხრივ ადგილი ჰქონდა მცდელობას აჭარა მოეწყვიტა ერთიანი ქართული სამართლებრივი სივრციდან. „ცოდნის“ აქტივისტ წევრების (პროფ. ა.კახიძე, შ. მამულაძე, თ. ფუტკარაძე, რ.უზუნაძე, მ. მეგრელიშვილი, თ. გოგოლიშვილი...) ხელმოწერით გავეგზავნეთ წერილი ა. აბაშიძეს. მასში ნათქვამი იყო - არ დაეშვა მორიგი ავანტურა და რეგიონის მოსახლეობას მისცემოდა შესაძლებლობა გამოეხატა თავისი მოქალაქეობრივი ნება. ამონარიდი წერილიდან: „საქართველოს ყველა მოქალაქეს უნდა მიეცეს არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა. ფიქრი იმისა, რომ რომელიმე რეგიონი არ მიიღებდეს მონაწილეობას ამ სახელმწი-

ფობრივ აქციაში, იქნება ხალხის ნების კიდევ ერთხელ ხელყოფის მცდელობა. 2004 წლის 4 იანვარს დანიშნული არჩევნები, განსაკუთრებით ჩვენი რეგიონისათვის, არაა მხოლოდ საპრემიდეტო არჩევნები, არამედ იგი არის დიდ ეროვნულ აქციაში მონაწილეობა, რასაც ჰქვია საქართველოს ერთიანობისადმი მხარდაჭერა“. 2003 წლის დეკემბრის შუარიცხვებში ბათუმის უნივერსიტეტისა და „ცოდნის“ რეგიონალური ორგანიზაციის ლექტორთა ჯგუფმა გავეგზავნეთ წერილი საქართველოს პრემიდეტის მოვალეობის შემსრულებელს ქ. ნ. ბურჯანაძეს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურს ა. აბაშიძეს. წერილში ნათქვამია: „ბოლო დროს დიდი ხმაურია ადგილი აჭარის ირგვლივ. რისი მიზმიც გახდა ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის პოზიცია საპრემიდეტო არჩევნებთან დაკავშირებით (საუბარია აბაშიძის მცდელობაზე არჩევნებისათვის გამოცხადებინა ბოიკოტი). ხდება ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობისა და უფრო მეტიც, ერთი პარტიის პოზიციის გაიფიქრება მთელი რეგიონის მოსახლეობის პოზიციასთან. ამასვე ემატება ხელისუფლებისათვის არასასურველი სატელევიზიო არხის

თვითნებურად გათიშვა და სხვა გაუმართლებელი ღონისძიებანი“. წერილში დაყენებული იყო მოთხოვნები:

– დაუყოვნებლივ გაუქმდეს საგანგებო მდგომარეობა.

– საპრემიულენგო არჩევნების ბოიკოტის შესახებ „აღორძინებაში“ ილაპარაკოს მხოლოდ თავისი პარტიის და არა მოსახლეობის სახელით.

– გაიხსნას საარჩევნო უბნები და გადახალისდეს ყველა ღონის საარჩევნო კომისიები.

– ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად განაცხადოს არჩევნების უსაფრთხოდ ჩატარების შესახებ და აუკრძალოს ხელისუფლების ყველა ღონის ორგანოს მოსახლეობაზე შეწოლა.

– დაუყოვნებლივ ჩაირთოს მთელ რეგიონში თვითნებურად გათიშული სატელევიზიო არხი „რუსთავე-2“.

მართლაც, საერთო ძალისხმევამ ნაყოფი გამოიღო და ჩაგარდა საპრემიულენგო არჩევნები. შთაბეჭდილი იყო მოსახლეობის აქტიურობა, რაც განსაკუთრებით გამოვლინდა 2004 წლის საპარლამენტო არჩევნებში. იგი გახდა ადგილობრივი რეჟიმის მმართველობის დასასრულის დასაწყისი. რეგიონის ხელისუფლება შეეცადა ნაცადი გაყალბების,

მოსახლეობის მოგყუების, დაშინება-მოსყიდვის, ფუჭი დაპირებების მეთოდებით აჭარაში მოეპოვებინა მოსახლეობის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა, მაგრამ აჭარის ყველა ჯანსაღი ძალა, მათ შორის „ცოდნის“ რეგიონალური ორგანიზაცია, ეწეოდა აქტიურ პროპაგანდისტურ მუშაობას, რათა არჩევნებში „აღორძინებას“ განეცადა მარცხი, რაც გახდებოდა არსებული რეჟიმის შეცვლის წინაპირობა. 2004 წლის მარტის დამდეგს ბათუმის უნივერსიტეტისა და „ცოდნის“ რეგიონალური ორგანიზაციის ლექტორთა ჯგუფმა მიმართა ღია წერილი ა.აბაშიძეს სათაურით „კმა-რა სეთურობა და ბაღვაშობა ანუ ასლან წაღი“. მასში საუბარია აბაშიძის 13 წლიანი რეჟიმის შედეგად რეგიონში შექნილ მძიმე სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კრიმინოგენულ მდგომარეობაზე. მითითებულია რეგიონის ხელისუფლების მხრივ სეპარატივისტული ქმედებებზე. ამონარიდი წერილიდან: ნუთუ ნორმალურია ის, რომ რეგიონის ხელმძღვანელი ბოიკოტს უცხადებს საპრემიულენგო არჩევნებს, სამარცხინო ვაჭრობის საგნად აქცევს ადამიანის ისეთ უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ უფლებას, როგორცია არჩევნებში მონაწილეობა.

ნუთუ ნორმალურია ის, რომ ხელისუფლების დაქირავებული მოლაყებები ეწევიან წმინდა წყლის დემაგოგიას ავტონომიის, რელიგიისა და სახელმწიფო ხუთ-ჯვრიანი დროშის ირგვლივ...

არის თუ არა სეპარატიზმის გამოვლინება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და თანაც განუსაზღვრელი ვადით; ჩოლოქის უკანონო საბაჟოს შექმნა, რაც ხალხის ყველგის კიდევ ერთ კერად იქცა; ცენტრალური ხელისუფლებისაგან უკონტროლო სპეცდანიშნულების რაზმების ჩამოყალიბება მთელი რეგიონის მასშტაბით...

... მოსახლეობას ფოჩიანი კამფეტებით ვერ მოისყიდ.

... მიზანმიმართულად განადგურდა და გაჩერდა: მანქანათმშენებელი ქარხანა, ფესხაცმელის ფაბრიკა, ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, თევზკომბინაგი... და სხვა საწარმოები. მოისპოთამბაქოს, ჩაის, ციტრუსების წარმოება, რითაც აჭარის მოსახლეობა ფეხზე დადგა და წელში გაიმართა.

ბოლოს და ბოლოს გაიგოს ყველამ, რომ არქიფო სეთურობისა და ლიპარიტ ბაღვაშობის დრო სამუდამოდ დამთავრდა. საზოგადოებას დღეს ლიდერები სჭირდება და არა უკონტროლო, მოგრაბახე მეთაურები. ამიგომ

საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ უნდა შექმნას რეალური ბერკეტები ურჩი ქვეშევრდომის კონტროლისა (ეს მარტო ასლან აბაშიძეს არ ეხება) პირველ რიგში, საერთოდ უნდა გაუქმდეს ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის პოსტი და აღდგეს უმენაქისი საბჭოს თანამდებობა“.

მუშაობა გვისდებოდა მძიმე პირობებში. „ცოდნის“ წევრები მონაწილეობდნენ საარჩევნო კომისიების მუშაობაში, სიების დაზუსტებაში, პრინციპული პოზიცია ეკავებოდა საარჩევნო კომისიის მთელ მანძილზე. ამ წერილის ავტორი ვიყავი №44 საარჩევნო უბნის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. დიდი უბანია. ძირითადად მოვახერხეთ „აღორძინების“ ხალხის ნეიტრალიზება. „აღორძინებიდან“ კომისიის წევრების და დამკვირვებელთა ნაწილმა პასიური პოზიცია ან ნეიტრალური მდგომარეობა დაიკავა. დავდიოდით ჯგუფ-ჯგუფად, ვინაიდან ყოველ წუთს განსაკუთრებით საღამოს საათებში, ოპოზიურად განწყობილთა მიმართ იყო ე.წ. „მთიარეშეთა“ თავდასხმები, დარბევები. ასევე იყო მოსყიდვის პროვოკაციებიც. გავუძელით ყველა პროვოკაციულ მცდელობას. არ დავუშვით ჩვენს უბანში შემავალ ჯარის ნაწილებს

სამხედრო შტაბის გერიგორიაზე მიეცათ ხმა, ვაიძულეთ სამხედროები მოსულიყვნენ საარჩევნო უბანში და ჩვენი კონტროლით მომხდარიყო ხმის მიცემა. მიუხედავად იმისა, რომ ჯარისკაცები გაფრთხილებული იყვნენ ხმა მიეცათ „აღორძინებისათვის“, ახალგაზრდა ჯარისკაცთა დიდი ნაწილი პირველად იღებდა არჩევნებში მონაწილეობას. ჩვენი კომისიის წევრებისა და დამკვირვებლების მეშვეობით ვეხმარებოდით ახალგაზრდა ჯარისკაცებს ბიულეტენის შევსებაში და სწორი არჩევანის გაკეთებაში. უბანში და საერთოდ რეგიონში 28 მარტის საპარლამენტო არჩევნები „აღორძინების“ მარცხით დასრულდა: დაიმსხვრა აბაშიძის უძლეულობის მითი. რაიონებში, განსაკუთრებით ხულოში, ადგილი ჰქონდა „აღორძინების“ სასარგებლოდ არჩევნების მასობრივ გაყალბებას. ამას მოჰყვა დიდი ვნებათაღელვა. საიდანაც დაიწყო აჭარაში უსისხლო რევოლუციური ტალღის აგორება მოთხოვნით: „ასლან გადადექი“! „ასლან წადი“! „თავისუფლება აჭარას“! ამ პერიოდში „ცოლნის“ აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია თავისი აქტივისტებით იმყოფებოდა მიმდინარე მოძრაობის შუაგულში. მიმდინარეობდა ინტენსური სააგიტაციო მუშაობა, გვქონდა მჭიდრო კავში-

რი აბაშიძის ხელისუფლების ოპოზიციურ გაერთიანებებთან „ჩვენი აჭარა“, „ერთიანობის დარბაზი“. ბობოქარი დღეები საბოლოოდ დამთავრდა 6 მაისს აბაშიძის რეჟიმის მშვიდობიანად შეცვლით. 2 საათსა და 15 წუთზე ააბაშიძემ ბათუმში დატოვა. საქართველოს პრემიერდენგმა მიხეილ სააკაშვილმა მოსახლეობას აუწყო: „მოგილოცავთ, ასლანი გაიქცა, აჭარა თავისუფალია“. მოსახლეობა დიდი სიხარულით და იმედით შეხვდა უსისხლო რევოლუციურ ცვლილებს. გვეამაყება რომ აჭარის რევოლუციურ პროცესებში არის „ცოლნის“ რეგიონალური ორგანიზაციის წვლილიც.

წერილი მეორე

„ცოლნის“ რეგიონალური ორგანიზაციას გაუჩნდა იმედი, რომ აჭარის ახალი ხელისულების ხელისშეწყობით ჩადგებოდა ქვეყნის სამსახურში. ამ იმედით წერილით საქართველოს პრემიერდენგის სახელმწიფო რწმუნებულს აჭარაში ბ-ნ. ლ.ვარშალომიძეს, სადაც იყო შესხენება „ცოლნის“ რეგიონალური ორგანიზაციის მიერ განვლილი ინაუგურირებული გზისა და საქმიანობის.

ვითხოვდით ხელისუფლების მხარდაჭერას, თანადგომას რათა „ცოლნის“ ორგანიზაციას მისცემოდა შესაძლებლობა აქტიური საქმიანობისათვის, ამ მიზნით დაეაყენეთ საკითხი „ცოლნის“ აჭარის ორგანიზაციის ბიუჯეტიდან ნაწილობრივი დაფინანსების თაობაზე. ამონარიდი წერილიდან: „ბატონო ლევან, მაისის ვარდების შემდეგ, მისი ერთ-ერთი აქტივისტი, იმის რწმუნით, რომ ავგონომიური რესპუბლიკის ახალი ხელისუფლება გაითავისებს წინამდებარე წერილში წამოჭრილ პრობლემებს, მინდა გაგაცნოთ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო საზოგადოება „ცოლნის“ აჭარის ორგანიზაციის დღევანდელი მდგომარეობა, მისი ფუნქცია-ამოცანები და ფუნქციონირებისათვის გადასატრეული აუცილებელი ღონისძიებები.

... გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, ქვეყანაში შექმნილი კრიზისული საფინანსო-ეკონომიური მდგომარეობის გამო, თვითდაფინანსებაზე მყოფი „ცოლნის“ აჭარის ორგანიზაციას მძიმე დღეები დაუადგა...

მაისის ვარდების რევოლუციის შემდეგ გაჩნდა საზოგადოება „ცოლნის“ აჭარის ორგანიზაციის აღდგენისა და ქვეყნის, რეგიონის სასიკეთოდ მისი დიდი პო-

ტენციის გამოყენების შესაძლებლობა...

ჩვენს რეგიონში საზოგადოება „ცოლნის“ აჭარის ორგანიზაციის მიერ საინფორმაციო-პროპაგანდისტული და სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობის აქტიურად წარმართვისათვის აუცილებლად მიგვაჩნია მისი საქმიანობის თუნდაც ნაწილობრივი დაფინანსება ბიუჯეტიდან.

... ვიმედოვნებთ, რომ აჭარის არ ახალი ხელისუფლება გაითავისებს დიდი გრადიციების მქონე საზოგადოება „ცოლნის“ აჭარის ორგანიზაციის პრობლემებს და ქმედით დახმარებს გაუწევს მას ქვეყნისათვის მეტად საჭირო და კეთილშობილურ საქმეში“.

25 ივლისს დაახლოებით მსგავსი შინაარსის წერილი გავუგზავნეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, „ცოლნის“ დეაწლმოსილ ლექტორს, პროფ. მ.მახარაძეს.

ბ-ნ ლ. ვარშალომიძესთან 7 ივნისს ჩვენს მიერ შეგანილი წერილის საფუძველზე აჭარის არ. მინისტრთა საბჭომ მოამზადა დადგენილების პროექტი:

„საქართველოს საერთაშორისო საზოგადოება „ცოლნის“ აჭარის ორგანიზაციის საფინანსო და მატერიალური ხელშეწყობის შე-

სახებ“. მასში „ცოდნის“ აჭარის ორგანიზაციის წლიური დაფინანსების ხარჯები გათვალისწინებული იყო 21000 ლარით. 2004 წლის მეორე ნახევარისათვის გათვალისწინებული ხარჯები შეადგენდა 10500 ლარს. სამწუხაროდ საქმე პროექტს არ გასცილებია.

ჩვენი წერილის საფუძველზე 2004 წლის სექტემბერში საკითხი განიხილა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტმა (თავმჯდომარე, ქ-ნ ხერხეულიძე). გადაწყვეტილებაში აღინიშნა: „კომიტეტი თვლის, რომ მოსახლეობის ფართო ფენებთან ურთიერთობის თვალსაზრისით საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციას შეუძლია მნიშვნელოვანი როლის შესრულება. ამიტომ შესაძლებლად მიგვაჩნია განხილული იქნას მისი შემდგომი ფუნქციონირებისა და დაფინანსების საკითხი, მითუმეტეს, რომ არ იქნება დაკავშირებული დიდ ფინანსურ ხარჯებთან.“ შესაბამისად, კომიტეტმა მიმართა თხოვნით ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, ბ-ნ ლ.ვარშალომიძეს საზოგადოება „ცოდნის“ აჭარის ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინების თაობაზე.

2004 წლის 21 ოქტომბერს საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურული კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ თავმჯდომარე, პროფესორმა, პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ბაკონმა ნუგზარ წერეთელმა ვრცელი წერილით მიმართა აჭარის ა.რ. მთავრობის თავმჯდომარეს ბ-ნ ლ.ვარშალომიძეს და ა.რ. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს პროფ. მ.მახარაძეს. წერილში ვკითხულობთ: „თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“ აწარმოებს ქვეყანაში სალექციო-საინფორმაციო, საგანმანათლებლო საქმიანობას, რათა გარკვეულწილად უშუალოდ გაეცეს პასუხი მწვავე სოციალურ-პოლიტიკურ კითხვებს, ხაზი გაესვას სახელმწიფო და სამოქალაქო მშენებლობის ახალ ამოცანებს, ხელს უწყობს დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის დონის ამაღლებას...“

„ცოდნის“ ამოცანად კვლავაც რჩება ლექტორის ცოცხალი სიგყვის საშუალებით მოსახლეობის ფართო ფენებამდე მიიტანოს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების, წესრიგის და სტაბილიზაციის, კულტურული ცხოვრების მართალი

ამბები, ლექტორთა ძალებით იბრძოლოს ქვეყნის ახალი ხელისუფლების წამოწყებათა სათანადოდ გაშუქებისათვის.

სამწუხაროდ ამ მხრივ არასახარბიელო მდგომარეობა გვაქვს ზოგიერთ რეგიონში, კერძოდ აჭარაში, რომელიც ყოველთვის იყო საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ მოწინავე რაზმი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ორგანიზაცია ყოველთვის გამოირჩეოდა მობილემების, ორგანიზების, სიახლეთა წვდომის უნარით, რაც ბოლო წლების მანძილზე დაღმავლობის გზით წავიდა“.

წერილში აღნიშნულია, რომ: საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნის“ გამგეობა იტოვებს იმედს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და უმაღლესი საბჭო გაითავისებენ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო საზოგადოება „ცოდნის“ აჭარის ორგანიზაციის პრობლემებს, გამოიწინენ კეთილ ნებას და აღმოუჩენენ მას ქმედით დახმარებას ქვეყნის, რეგიონისათვის მეტად საჭირო და კეთილშობილურ საქმის თანამედროვეობის მოთხოვნათა შესაბამისად წარმართვის მიზნით“.

აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს ბიურომ სპეციალურად იმსჯელა „ცოდნის“ აჭარის ორგანიზაციის წინაშე არსებული პრობლემების შესახებ და 2004 წლის 6 დეკემბრს მიიღო გადაწყვეტილება: „საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ აჭარის ორგანიზაციის საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. მასში ნათქვამია: ბიურო აღნიშნავს, რომ ქვეყანაში 2003 წლის ნოემბრის და მიმდინარე წლის მთავარი რევიზიური მოვლენების შემდგომ აუცილებელია ქვეყანაში მომხდარი სასიკეთო ცვლილებების ხალხის ფართო ფენებამდე მიგანა და მათი ამ პროცესში აქტიურად ჩართვა.

ქვეყანაში სტაბილიზაციისა და წესრიგის, ახალი ხელისუფლების წამოწყებათა და სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების გაშუქებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლექციურ პროპაგანდას.

ბიუროს მიაჩნია რომ ამ მიმართულებით მუშაობის გააქტიურებისათვის ნაკლებად გამოიყენება საზოგადოება „ცოდნის“ აჭარის ორგანიზაციის გამოცდილება და პოტენციალი. ამჟამად ორგანიზაციას არ გააჩ-

ნია მუშაობის პირობები და სახსრები. საქმიანობის რეალიზაციისათვის აუცილებელია სამოგალოება „ცოდნის“ მუშაობის დაფინანსება“. გადაწყვეტილებაში მითითებულია: „ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას სამოგალოება „ცოდნის“ აჭარის ორგანიზაციის საქმიანობის დაფინანსება გათვალისწინოს 2005 წლის ბიუჯეტში“.

მიუხედავად ყოველივე ამისა აჭარის ა.რ. 2005 წლის ბიუჯეტში არ მოხდა „ცოდნის“ ორგანიზაციის დაფინანსების გათვალისწინება. ჩვენი თხოვნით 2005 წლის 10 აპრილს აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ბ-ნმა მ. მახარაძემ წერილობით მიმართა ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, ბ-ნ ლ. ვარშალომიძეს „ცოდნის“ აჭარის ორგანიზაციის 2005 წლის დარჩენილი 9 თვის მონაკვეთში ბიუჯეტიდან დაფინანსების თაობაზე. მიუხედავად აღნიშნულისა მდგომარეობა უცვლელი დარჩა. მდგომარეობიდან გამომდინარე 2005 წლის 23 ივნისს მივმართეთ წერილით უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ მ. მახარაძეს. ამონარიდი წერილიდან: „ბაგონო მისიელ ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ხელისუფლების მმართველობის პერიოდში უკვე მეოთხედ მის-

დება წერილობით მოვმართოთ საქართველოს „სამოგალოება ცოდნის“ აჭარის ორგანიზაციის წინაშე არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით. ვიმედოვნებდით რომ რევოლუციის შემდეგ მოსული აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება გამოიჩინდა სათანადო გულისხმიერებას რათა ილია ჭავჭავაძის გრადიციებზე დაფუძნებულ „ცოდნის“ რეგიონალურ ორგანიზაციას შეძლებოდა ფუნქციონირება. ამისათვის ბიუჯეტიდან ვითხოვთ მიმერულ თანხას. იყო დაპირებები, რომ დადებითად გადაწყდებოდა აღნიშნული საკითხი, მაგრამ დაპირება დაპირებად რჩება.

რევოლუცია გამოვიდა „ცოდნის“ ორგანიზაციის მიმართ ასეთ გულგრილ

დამოკიდებულებას არ ველოდით. გულდასაწყვეტია, ჩვენი ენთუზიამის ღონეზე 12 წლიანი მცდელობა შეგვენარჩუნებინა რეგიონში „ცოდნის“ ორგანიზაცია უშედეგო აღმოჩნდა.

ბაგონო მისიელ ვიგოვებთ იმედს, რომ ხელისუფლების პირადად თქვენი მოწადინების შემთხვევაში ჯერ კიდევ შეიძლება საქმის გადარჩენა“

ჩვენ წერილს გამოეხმაურა აჭარის ა. რ. უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის საკითხთა

კომიტეტი. „ცოდნის“ აჭარის ორგანიზაციის სახელზე კომიტეტის გამოგზავნილ წერილში ნათქვამია: კომიტეტმა 2004 წლის სექტემბერში დააყენა საკითხი 2005 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გაეთვალისწინებინათ „ცოდნის“ აჭარის ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები. „მაგრამ ჩვენი წინადადება არ იქნა გაზიარებული.

გვესმის რა მოსახლეობის ფართო ფენებთან ურთიერთობის თვალსაზრისით სამოგალოება „ცოდნის“ ორგანიზაციის როლი, კომიტეტი აღნიშნულ საკითხს კვლავ დააყენებს 2006 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის განხილვის დროს“.

უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის მცდელობას არც ამჯერად მოყოლია შედეგი.

დღესაც ენთუზიამის ღონეზე, საქართველოს „სამოგალოება ცოდნის“ თანადგომით ვაგრძელებთ საქმიანობას. დროა დრო იმართება ღონისძიებები: ცხოვრების აქტიურ საკითხებზე გარდება ლექცია-საუბრები, კონფერენციები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან...

ჩემი წერილი მინდა დაეამთავრო ციტატით ეურნალ „სიგყვის“ სარედაქციო წერილიდან: „სამოგალოება ცოდნამ“ ხალხის გათვითცნობიერებისათვის უამრავი სასარგებლო საქმე გააკეთა და დღესაც ცდილობს არ დათმოს პოზიციები, არ დაკარგოს წინაპართა მიერ შექმნილი, ჩამოყალიბებული გრადიციები. პირიქით, განავითაროს და ახალ ცხოვრებისეულ დოგმებს მიუსადაგოს“.

### **რეგამ უზუნაძე**

სამოგალოება „ცოდნის“ აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე, პროფესორი.

P.S. წერილს ერთვის დოკუმენტური მასალები.



საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ქ. ბათუმი, გამსხურდის №10 ტელ/ფაქსი 7 00 11 E-mail: supremege\_info@mail.ru

№ 22/09 2004 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ბატონ ლევან ვარშალომიძეს

ბატონო ლევან,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განაოლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტში შემოვიდა საზოგადოება „ცოდნა“ აჭარის საოლქო ორგანიზაციის თავმჯდომარის ბატონ რევაზ უზუნაძის წერილი, რომელიც მოითხოვს ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებას.

კომიტეტი თვლის, რომ მოსახლეობას ფართო ფენებთან ურთიერთობის თვალსაზრისით საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციამ შეუძლია მნიშვნელოვანი როლის შესრულება. ამიტომ შესაძლებლად მიგვაჩნია განხილული იქნას მისი შემდგომი ფუნქციონირებისა და დაფინანსების საკითხი, მითუმეტეს, რომ არ იქნება დაკავშირებული დიდ ფინანსურ ხარჯებთან.

გთხოვთ განიხილოთ.

დანართი 3 ფურცელზე.

პატივისცემით,

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე

კ. ხერხეულიძე



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 4 დეკემბრის სესიის სტენოგრამა

საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განცხადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიის მიზნით „საზოგადოება ცოდნა“ აჭარის ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ

საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 4 დეკემბრის სესიის მიზნით „საზოგადოება ცოდნა“ აჭარის ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ განცხადებას წარმოადგინა აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე რევაზ უზუნაძე.

„საზოგადოება ცოდნა“ აჭარის ორგანიზაცია დაარსდა 2001 წელს და მისი მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტში მუშაობის შესახებ განცხადებას წარმოადგინა.

„საზოგადოება ცოდნა“ აჭარის ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ განცხადებას წარმოადგინა აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე რევაზ უზუნაძე. მისი განცხადებით, ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ განცხადებას წარმოადგინა აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე რევაზ უზუნაძე.

საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განცხადება

საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 4 დეკემბრის სესიის მიზნით „საზოგადოება ცოდნა“ აჭარის ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ განცხადებას წარმოადგინა აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე რევაზ უზუნაძე.

საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 4 დეკემბრის სესიის მიზნით „საზოგადოება ცოდნა“ აჭარის ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ განცხადებას წარმოადგინა აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე რევაზ უზუნაძე.

საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განცხადება

საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განცხადება

საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განცხადება

საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განცხადება







საქართველოს ადმინისტრაციის რეფორმისა და ანტიკორუფციის ეროვნული აგენტი

ქ. თბილისი, ვ. კახიანი ქუჩა  
ბინა: 1009 300 1-80 34  
ტელ: (+995 302) 1 80 34

№ 1.6/144 719/2  
11.07.2007

საზოგადოებრივი „კოდის“ აქტის ინიციატივას  
თავსჯელობის სატომ რეგის უზუნძეს

საქმის რეგის

აქტის ინიციატივას რეგისულის განხორციელების ჰეგისრების კვლევების და სხვატის საკითხის კონტეტის შემხული იქტის 2005 წლის 23 აგვისტოს N.1 წერლის ხსენსე იცერისხის რის კონტეტის ვერ კონტეტის 2004 წლის სექტემბრის იქტის წერლისხის ხსენსე აქტის ინიციატივას რეგისულის ხაყრისხის თავსჯელობის რის 2005 წლის რეგისულის ჰეგისრის გეგმისრისხისხის იქტისხის ქვესესხის ინიციატივას ფუნქციონირებისხის სატომ ხსენსე. ხაყრის რეგის რეგისულის არ იქტის განხორციელებისხის წლის ჰეგისრის კვლევების რეგის რეგისულის.

გეგმის რეგისულის განხორციელების ფუნქციონირების ინიციატივას რეგისულის რის კონტეტის აქტისხის საკითხის კონტეტის 2005 წლის რეგისულის ჰეგისრის ჰეგისრის განხორციელებისხის.

საქმის რეგის  
განხორციელების ჰეგისრის კვლევების და  
სხვატის საკითხის კონტეტის თავსჯელობის  
პ. ხაყრის

### ჰედაგოგიური ურთიერთობის ხელოვნება



– შესწევს თუ არა უნარი განათლებას, შეცვალოს საზოგადოება? პასუხი მარტივია: – დიახ, მხოლოდ ყოველივე ჰედაგოგიური ხელოვნებაზე დამოკიდებული, რამეთუ, მოსმენა, ძალაუბრება, ბეგრმა ჩვენგანმა ისწავლა, მაგრამ ისეთი საუბარი – მოსმენად რომ ღირდეს. . . ალბათ, ბეგრმა ვერა! არადა, მოსმენით ურთიერთობა ზომ ლექციის ხარისხია, რომელშიც ლექტორის სიტყვიერი ხელოვნებაა ძირითადი; ვიცნებთ იმ დროზე, როდესაც დაიბადება მეტოდიკის ახალი ფანრი, ლექციის მხატვრული პუბლიკაცია, სადაც ნათლად წარმოჩინდება ორმაგი ხელოვნება: ლექტორისა და კიდევ იმისი, ვინც ნანახ ლექციას სურათად წარმოსახავს!

აღზრდის ხელოვნება ერთ-ერთი უძველესი და ურთულესია. იწყება იგი საოცრად უბრალო და უშუალო ამოცანისაგან: მიიღო და შეიყვარო სტუდენტი ისეთი, როგორიც ის არის! თუკი ლექცია ურთიერთობაა და არა უბრალოდ შრომა; ხელოვნებაა და არა მხოლოდ სასწავლო ღონისძიება; ცხოვრებაა და არა საერთო განრიგში ჩართული საათები, მაშ, უფრო ხშირად ჰკითხეთ საკუთარ თავს: – რატომ შევდივართ ლექციაზე? – ჩვენ სტუდენტებთან მივიღვართ, რათა ისინი ჩვენზე უკეთესები, კეთილები, ჩვენზე უფრო ჰუმანურები, ჩვენზე ძლიერები და მამაცები იყვნენ; წინსვლისას გამოინახონ გამოსავალი ყველა სიძნელიდან და უკან არ დაიხიონ; თითოეული თავად ქმნიდეს საკუთარ ბედს და არ შენატროდეს სხვის ლამაზად მოწყობილ ცხოვრებას. . . აღმზრდელ-ჰედაგოგებმა, ლექტორებმა მწვავედ უნდა დავუსვათ საკუთარ „მეს“ კითხვები – რა აზრები გადავეცი სტუდენტებს? რა გრძობები გავუღვივე? – რაზე ფიქრობდნენ მაშინ, როცა ვესაუბრებოდი? – იქნებ სულაც არ მისმენდნენ და არც არაფერზე ფიქრობდნენ? ან, იქნებ ფიქრობდნენ იმაზე, რაც სულ არ მითქვამს – მიყურებდნენ მე და ფიქრობდნენ თავისაზე?

— ყოველი სტუდენტი ორი პროგრამით სწავლობს, ერთი სალექციოა, მეორე სამინაო და მას კარის მეზობელი, იმავე სადარბაზოში მცხოვრები ყმაწვილი ან რომელიღაც დაქალი განაგებს; ორივე პროგრამა უნდა გაკეთდეს წინასწარ ჩვენს ყოველდღიურობაში . . .

ლექციაზე შესვლა ნიშნავს, ადამიანის სულში შესვლას. კაცობრიობის სულის მთავარი თვისება კი ისაა, რომ მას სწყურია ურთიერთობა, შეხება, კონტაქტი მეორე ადამიანის სულთან. ამიტომ არის რომ ბავშვების აღზრდა ასე ადვილია. ბავშვები ჩვენზე უფრო მეტად საჭიროებენ ურთიერთობებს, ვიდრე გონება არ არის განვითარებული, სულს უკავია ფსიქიკის მთელი სივრცე. ბავშვებთან ურთიერთობა არ ნიშნავს, ელაპარაკო მათ, უპასუხო კითხვებზე; ეს თავისთავად მნიშვნელოვანია — ურთიერთობა სულ სხვა რამაა.

აღზრდა, თავის მხრივ, სამ სხვადასხვა მოქმედებას აერთიანებს: მართვას, სწავლას და ურთიერთობას. ჩვენ უნდა ვმართოთ ბავშვები, სანამ ისინი პატარები არიან. ჩვენ უნდა ვასწავლოთ მათ, მაგრამ თუ ჩვენ მხოლოდ ამითა შემოვიფარგლებით, გვერდზე მოვიტოვებთ ყველაზე მნიშვნელოვან პედაგოგიურ მოქმედებას — ურთიერთობას! ადვილია სახვედრა — რა მოგველის, თუ ჩვენ გამოვტოვებთ ურთიერთობას; ის შეუთავსებელია მართვასა და სწავლებასთან.

სწავლებისათვის აუცილებელია, რომ მასწავლებელი ცოდნით ან გამოცდილებით აღემატებოდეს აღსაზრდელს. მართვისათვის კი, მით უმეტეს, საჭიროა ასაკით, გამოცდილებით ან თანამდებობით, ან ძალით, ან ავტორიტეტით მოპოვებული უპირატესობა . . .

რაც უფრო დიდია უპირატესობა, მით უფრო ადვილია მართვა. მართვას განამტკიცებს ძალაუფლება.

ურთიერთობა კი, პირიქით, მოითხოვს აბსოლუტურ თანასწორობას . . . ყოველგვარი უთანასწორობა, უპიტარესობა, ძალაუფლება აუცილებელია მართვისთვის, მაგრამ იგი შეუძლებელს ხდის ურთიერთობას.

ბევრი ფიქრობს, რომ მართვით ჩვენ ვასწავლით ბავშვს უმთავრეს კანონებს, ვუნერგავთ სასარგებლო ჩვევებს; ეს აზრი მატყუარაა. მართვით, ის თითქოს პასუხობს საღ აზრს, სინამდვილეში კი მხოლოდ ურთიერთობით ემორჩილება ბავშვი აღზრდას. ბავშვები დიდებთან ურთიერთობით ექვემდებარებიან მართვას და სწავლას.

ენერგიული მართვა ჭეშმარიტია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის შეიძლება დაეყრდნოს დაფარულ, მოუხელთებელ, გულითად ურთიერთობას. მართვა ზღუდავს, იმონებს, ხოლო ურთიერთობა ათანასწორებს განსხვავებულებებს, აადამიანურებს მათ. . . სადც არ არის ურთიერთობა, იქ შეუძლებელია ბავშვების მართვა, ისინი არ უსმენენ უფროსებს; რაც უფრო ვერთობ

ბით მხოლოდ მართვით, მით უფრო ცუდი შედეგი აქვს აღზრდას და, ჩვენც ვჩივით, რომ აღსაზრდელად გვერგო ძნელი უემოციო, სხვისი უბედურებისადმი უგონობელი, თანაგრძნობას მოკლებული ბავშვები . . .

ძნელი ბავშვები ისინია, რომელთაც არ აქვთ სულიერი კონტაქტები დედებთან. ძნელი მშობლები კი ისინი, ვისაც არ შეუძლია, დაამყაროს ასეთი კონტაქტები და აღაფრთოვთებთ ბავშვებთან თანასწორობის იდეა.

სულიერი კონტაქტი ბავშვებთან, მდიდარი ურთიერთობა მათთან, სულიერი ერთობა — პირველი და საბოლოო გზაა აღზრდის პროცესის შესაძლებლად. არის კონტაქტები — ყველაფერი კარგად მიდის. არ არის — ვერაფერს იწინასწარმეტყველებ, რაც მოხდება. . . აღზრდა, ასეთ შემთხვევაში, ჩვენზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ მრავალ ცხოვრებისეულ გარემოებაზე, სხვა ადამიანებზე, სკოლაზე, ანდა ქუჩაზე. სამწუხაროდ, ყველა ადამიანი არ არის საკმაოდ ემოციური, რომ იგრძნოს, აქვს თუ არა კონტაქტი ბავშვებთან და ყველა არც საჭიროებს ამ კონტაქტებს. სხვები თავს მშვენივრად გრძნობენ ბავშვებთან ურთიერთობის გარეშე და აქ უკვე ვერაფერს გახდები. რჩება მხოლოდ ერთი: შეცადეთ! ასე გამოიყვან, ისე — არა . . . მაგრამ როგორაა შემკვიდრება? გენები? სწავლებლებმა აღმოაჩინეს, ადამიანს აქვს ზედმეტი ქრომოსომები.

როცა არ გამოგვდის კონტაქტი ჩვენს ბავშვებთან, თავს დამნაშავედ ვგრძნობთ და გვინდა, ჩვენი დანაშაული ვილაცას გადავაბრალლო! ყველაზე ადვილია, გადავაბრალოთ საზოგადოებას.

. . . და მივგრავეს ბურთულა სიბრტყეზე. მისი მოძრაობის გასაგებად ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ყოველი მოცემული გაეღებება რაღაც მოცემულ წერტილში და არ იმყოფება არც დასაწყისში და არც შემდეგ; არამედ, ერთბაშად არის იქ და არც არის. სხვანაირად მოძრაობას ვერ გაიგებ. თანამედროვე ფიზიკა სავსეა შესაძლებლობებით „და არის, და არ არის“; მაგრამ, ნუთუ ადამიანი ელექტრონზე და ბურთულაზე უფრო მარტივია?

მემკვიდრეობითი საკითხი წყდება, ჩემი აზრით, ასე: ადამიანში ყველაფერის გადამწყვეტია მემკვიდრეობა, გენები და, რაც მთავარია, აღზრდა. მათ შორის თანაფარდობა ორმოცდაათი ორმოცდაათზე. ყველაფერი არის აღზრდით და მემკვიდრეობით. შეხედეთ ნებისმიერ ადამიანს, თუნდაც მეტროში, როგორ ზის და როგორ მოძრაობს, როგორ ზის და თქვენ თვალნათლივ დაინახავთ ჩემგან ასეთი შეხედულების მართებულობას . . .

მამ, როგორ არის და არც არის დამოკიდებული?

ასეა: ჩვენ უნდა მივცეთ ბავშვებს დამოუკიდებლობა და არც უნდა

მივცეთ; უნდა გავუგოთ ბავშვებს და არც უნდა გავუგოთ; უნდა გავანებიეროთ პატარები და არც უნდა გავანებიეროთ. ჩვენ უნდა ვიფიქროთ მათ მომავალზე და არც უნდა . . .

ამბობენ: უნდა იცოდეთ ზომიერება, ზომა – ეს არის ძირითადი! – მაგრამ როგორ „უნდა იცოდეთ“ ეს? ზომიერების გრძობაში გამოიხატება პედაგოგიკური ტალანტი. ზომიერება კი, არც ოქროს შუალედია, არც დათვლა; არამედ, ცოცხალი წინააღმდეგობაა: უნდა და, იმავდროულად, არც უნდა; მაგრამ ჩვენ, რომელთაც კარგად ვიცით დიალექტიკა, უნარი არ შეგვიწევს მივიღოთ, ვაღიაროთ ის; ჩვენს სამზარეულოში, ბავშვებთან ურთიერთობაში ვეძებთ განსაზღვრულობას და არაფრით არ გვინდა დავეთანხმოთ ცოცხალ, მუდმივ, უსასრულოდ წარმოშობად, პულსირებულ წინააღმდეგობას, რომელიც უნდა მივიღოთ – როგორც წინააღმდეგობა. უსაფრთხოების მოთხოვნა ეწინააღმდეგება განვითარების მოთხოვნას, – გული – გონებას. ყველგან წინააღმდეგობაა, ყველგან ერთიანობა, ყველაფერში სირთულეა და ყველაფერში სილამაზე . . .

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ ქალაქ ჭიათურის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის პირველ კურსდამთავრებულთ ასეთი სიტყვით მივმართე:

– ძვირფასო სტუდენტებო, ახალგაზრდებო!

სულ ცოტა ხანიც და დარეკავს თქვენთვის ჩვენს სასწავლებელში მხიარული და ნაღვლიანი, წკრიალა და წყნარი, მოკლე და ყველაზე ხანგრძლივი ზარი . . . მას ცხოვრების გაგრძელების ახალი ეტაპი მოსდევს!

შუა საუკუნეების მემკვიდრის ინტონაციით, თითოეული თქვენგანის გული, ალბათ, იტყვის: – „ო, სასწავლებელო, შენ უკან დარჩი!“ – თქვენ დიდი ცხოვრება გელით, შედით მასში, როგორც თქვენს მშობლიურ აუდიტორიაში – დაჯერებულად და ერთგვარი კრძალვით! ცხოვრებას ის უყვარს, ვინც მას პატივს სცემს! სადაც არ უნდა იყოთ, ვინც არ უნდა გახდეთ, ყოველთვის იფიქრეთ ისე, გულდაჯერებით, ისე თამამად, როგორც ამ კვლევებში ფიქრობდით.

– ბევრი უნდა ადამიანს? – ბევრი! – ვამბობთ ჩვენ ფიროსმანის ჯიბრზე. და მაინც, ალბათ, არ უნდა საჭიროზე მეტი, რათა ამის შედეგად სულიერი არ გაყალბდეს და არ გაუფასურდეს! თუკი ყველა პიროვნებაში არის რაღაც პატარა საოცრება, მაშინ ეს საოცრება მის მოთხოვნილებებშიც იქნება. . . ამიტომაც არის, რომ დიდი ადამიანების ნივთებს ყოველთვის მოწონებთა და ყურადღებით ვათვალიერებთ . . .

ყველას თავისი სახე აქვს: – წიგნები აკაკის კაბინეტში, იმერული

ოლა გალაკტიონივით მოუსვენარი რიონის პირას, ილიას ხელჯოხი, ვაჟას ფრთის კალამი . . . ეს ის ნივთებია, რომელთა ღირებულება ფასსა და ხარისხში კი არ გამოიხატება, არამედ იმაში, რომ ისინი შემოქმედთა თანაშემწეები იყვნენ. ყველას, ვისაც არ განუსაზღვრავს ნივთისა და თავისი, როგორც ნივთის მფლობელის პირადი და სოციალური ფუნქციები, მას მომხმარებლად გადაქცევა ემუქრება! აი, მაშინ ნივთი დაგვკვირდება არა იმიტომ, რომ აუცილებელია, არამედ იმიტომ, რომ იგი ვიღაცას აქვს! ასე იზრდება, ასე ვალდებულება ყალბი მოთხოვნილება . . . მე იმის მომხრე როდი ვარ, რომ ცოტა ვიკმაროთ, არამედ, მინდა ვიცოდეთ, რა რამდენი და რატომ გვინდა! უფრო ზუსტად – „დავაზუსტოთ ჩვენი ნდობა“.

დაე, ჩვენი სასწავლებლის კედლებში გატარებული წლები არასოდეს დამდგარიყოს ჩრდილში, მთელი თქვენი დარჩენილი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე!

გისურვებთ ძნელ გზებს და უამრავ გამარჯვებას!

პირად და პიროვნულ ბედნიერებას!

– ლექტორი ცხოვრებისეული კაცია, – თქვა ერთხელ ჩემმა სტუდენტმა, ჩელაბინსკის სახელმწიფო უნივერსიტეტში; დიან, ასეა, ოღონდ საჭიროა „ცხოვრების“ ფართოდ გაგება. ცხოვრება მართო ის ორდია, რაც თავს

გადაგვხვდება ხოლმე მეტროს ვაგონში ან ქუჩაში გარშემომყოფებთან ურთიერთობისას, ცხოვრებაა ისიც, რაც მეცნიერების კაბინეტში, მწერლის სამუშაო მაგიდასთან, მხატვრის სახელოსნოში ხდება და ხორცს ისხამს. გამოიტყვებით, თუ გეტყვით, მე აზრს ვხრდავ ყველაფერში, სადაც კი კაიფობს შემოქმედებითი საწყისი, ხელოვნება რომ ჭეშმარიტი შემოქმედებითი პროცესია.

რით განვსაზღვროთ ცოდნის, ფორმის ზომა, ლექციის სტრატეგია? უთუოდ სტუდენტის ინიციატივით, მას როგორ და რამდენი უნდა, მასზე უკეთ არავინ იცის! სწორედ ამიტომ მივეცი წერილობით შესასრულებელი დავალება ჩემს სტუდენტებს, – მე რომ ლექტორი ვიყო. . .“ და, პირუთვნელად გეტყვით, რომ ამ თემებმა ჩემს მუშაობაში ბევრი რამ შემძინა! თამამად უნდა გამოვიყენოთ სტუდენტთა მეთოდური ინიციატივა; ამ მიზნით შევქმენით სტუდენტური საბჭო, ინტერესთა კლუბები, სამეცნიერო, სპორტული, მხატვრულ-თეოთშემოქმედებითი სექციები. . . . მათ უკვე იციან, რა უნდა გავაკეთოთ, როგორ გავაკეთოთ და რისთვის უნდა გავაკეთოთ! შემოქმედი ლექტორი მეცნიერების მიღწევებს არ ჯერდება ის უფრო მეტს ეძიებს.

დიახ, თითოეული ლექცია, თავისებური პედაგოგიური პოემაა, რომლის გმირები იზრდებიან კიდევ და ხასიათიც უყვალბდებათ. . . ასეთ ლექციებზე მუშაობა ისეთივე რომან-

ტიკულია, როგორც მუსიკის წერა, ლექსების თხზვა, ფრესკების ხატვა . . . დიას, მთავარია პედაგოგიური ურთიერთობის ხელოვნება.

ბავშვებთან და მოზარდებთან დაკავშირებული თითქმის ყველა სირთულე იქიდან მოდის, რომ ბავშვები ხშირად არ ენდობიან უფროსებს, არ სჯერათ მათი სიტყვების, უნდა აღვნიშნავთ, რომ უფროსებს — და, ზოგჯერ არაფერი სწამთ მათი. ასეთი ბავშვების აღზრდა პრაქტიკულად შეუძლებელია; ისინი უსულგულონი არიან და არ იციან უმოწყალობის სახელება.

რას წარმოადგენს, თავისთავად, რწმენის უნარი?

გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ ადამიანები უფრო მეტად აქტიურები არიან, როცა წარმატების ალბათობა შეადგენს, დაახლოებით, ორმოცდაათ პროცენტს. საქმიანობა, რომელშიც „ორმოცდაათი-ორმოცდაათზე“, მოითხოვს წარმატების რწმენას და, იმავდროულად, ნებას იძლევა გვეროდეს მისი. თუ რწმენა საჭირო არაა (როცა წარმატება გასალოდნელია 100 პროცენტით, მოსალოდნელია 100-პროცენტთან წარუმატებლობა!), სამუშაო უინტერესო ხდება, მისადმი დამოკიდებულება დუნდება, უყურადღებო და, აქედან გამომდინარე, ნაკლებად ეფექტურია. მაკარით ჯანსაღი ხელი ტანს, ის გახმება; აუკრძალეთ ადამიანს რწმენის შესა-

ძლებლობა, რწმენის აუცილებლობა, მისი სული გახმება, რადგან რწმენა, ეს არის სულის ფუნქცია ისე, როგორც ფიზიკური მუშაობაა ხელის ფუნქცია. გახმა სული — არ არის რწმენა, არ არის მისი კეთილი გრძნობები. საიდან მოვიტანოთ ის? . . . „გულისთვის აუცილებელია სწამდეს“. ურწმუნო ადამიანი კუნძია, სხვა არაფერი, მისთვის არა მარტო სახიფათოა დახვეწვაში წასვლა, არამედ მაგიდასთანაც არ დაიჯდომება . . .

ურწმუნოდ არავითარი სიმტკიცე არაა. სიმტკიცე ესაა ცოდნასთან შეკავშირებული რწმენა. ყველა ცოდნა არ მოითხოვს რწმენას. სასაცილოა განაცხადო: „ამას ეწოდება მაგია, ასეთია ჩემი რწმენა“, რწმენა იქ ჩნდება, სადაც საკამათოა ცოდნა, ძნელად-ასამტკიცებელია, ძნელადუკუსადგება. დავარქვათ მათ ალტერნატივები. რწმენა — ცოდნა, იგი იმის უნარია, გაუძლო კრიტიკას, გამოატარო ალტერნატივები შეხედულებების ნიაღვრებსა და ფაქტებში.

რწმენა აუცილებელია ადამიანისათვის მაშინ, როცა თავს იჩენს წინააღმდეგობები. ეს ადვილი მისაღწევი როდია, იგი მოითხოვს სულიერი ენერჯის გამუდმებულ ხარჯვას. თვითონ ის არის უწყვეტი შრომა; ჩვენ უნდა ვასწავლოთ პატარა ადამიანს სულის შრომით მზარი დაუჭიროს, დაეხმაროს თავის რწმენას. ადამიანისადმი, სიმართლისადმი, ცხოვრებისადმი

არ ჩავარდეს ურწმუნობაში და არ დაეცეს სულით.

არიან მშობლები, რომლებიც ლამის აკვნიან ცდილობენ, ხელიდან არ გაუშვან შვილები, უთხრან შვილს „ხედავ, როგორ ცუდად იქცევიან ადამიანები? ხედავ, როგორი გარეწარია? ხედავ, რა ხდება?“ ამას ჰქვია „უთხრა ბავშვს მთელი სიმართლე“. მაგრამ სიმართლის ცნება გულისხმობს, აგრეთვე, მისთვის ბრძოლას. ხოლო ასეთი ბრძოლა ხშირად ბავშვის შესაძლებლობებს აღემატება. ვუბნებით მთელ სიმართლეს, ამით ხშირად ვატყუებთ ბავშვებს, როცა სიმართლე საქმით არ მტკიცდება; იქ ბავშვები იზრდებიან არამტკიცენი და მათ გონებაში სრული ქაოსია.

როგორ არ უნდა გიყვარდეს შენი შვილი, რომ არ იგრძნო მისი სული, რომ თუნდაც სიტყვით, თუნდაც მოძრაობით შეარყიო მისი რწმენა სამყაროს მშვენიერებაზე, სიკეთეზე! მშობლებს არ შესწევთ უნარი, დაფარონ სამყაროს ბოროტება. მათ არ აქვთ უფლება, წარმოადგინონ ბოროტება როგორც სიკეთე. მათ შეუძლიათ მხოლოდ ერთი: იყვნენ სიკეთის წყაროები, ჰქონდეთ ადამიანებზე კეთილი შეხედულება, რამდენადაც შეუძლიათ და ბავშვებიც იქნებიან კეთილნი. რაც უფრო მეტი ბოროტება მოიყრის ბავშვის ირგვლივ თავს, მით უფრო დიდი სულიერი ენერჯის დახარჯვა მოგიწევს მასში სიკეთისა და სიკეთისადმი რწმენის შესანარჩუნებლად.

მოზარდი ადამიანი, ჩვეულებრივ, აიდიოებს ცხოვრებას. მისი რწმენა სიკეთისადმი, თითქმის, უეჭველად ირყევა ახალგაზრდობაში. რას იზამ, ცხოვრება ბევრ ტკივილს გვაყენებს, მაგრამ სულიერი განვითარება შეუძლებელია უმტკივნეულოდ. დიას, რაც უფრო ნოყიერად კვებავდნენ ადამიანს ბავშვობაში სიკეთით და მშვენიერებით, რაც უფრო მეტად ფასავდნენ მის ირგვლივ სიკეთეს და შრომას, მით უფრო მყარი იქნება მისი ზნეობა და მით უფრო ადვილად მოუვლის, გაუსწორდება საყმაწვილო კრიზისებს, დროსთან ერთად განმტკიცდება მასში სიკეთის რწმენა და გახდება მისი მსოფლმხედველობის ქეკუთხედი, რამეთუ ყოველივე სიკეთის სათავე მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულია . . .

ყველაფერი შეიძლება მისცე ადამიანს, თუ იგი დაჯილდოებულია მოყვარული სულით და არაფერი გამოვა, თუ მას აქვს უნარი გულით ისწრაფოს მეორე ადამიანის გულისაკენ. ბოლო დროს აღნიშნავენ, რომ დეობრივი სიყვარული ყოველთვის ვერ ასწავლის ბავშვს სიყვარულს. ყოველთვის ვერ ჰბადებს საპასუხო გრძნობას! სიყვარული, როგორც ყველა ჭეშმარიტი ფასეულობა ამ სამყაროში, არ გაიცვლება, არ აღმოცენდება მაღლიერებისაგან, არ ექვემდებარება ისეთი ტიპის შეთანხმებას, როგორცაა „მე-შენ-შენ-მე!“ რამდენ ზანსაც

იარსებებს სამყარო, იქნება უბედურე-  
ბაც, უპასუხო სიყვარული ქალსა და  
მამაკაცს შორის, ბავშვებსა და  
მშობლებს შორისაც კი, რას იზამ?  
საკუთარი შვილის სიყვარულის მოპ-  
ოვება გვიწევს.

ადამიანისათვის მთავარი ის კი  
არ არის, რომ უყვარდეთ, არამედ ის,  
თუ თვითონ რამდენად უყვარს. პედა-  
გოგიკაში სიყვარული კი არ არის  
მთავარი, არამედ მოყვარული. დედას  
უყვარს შვილი, შესანიშნავია! მაგრამ  
ვინ იზრდება ამით? ის, ვინც მუშაობს  
სულზე, ესე იგი, დედა და არა ბავშვი.  
დედა ცდილობს, დედა კითხულობს,  
დედა ვითარდება. მიმდინარეობს აღზრ-  
და. საბოლოოდ არაფერიც არ ხდება:  
შვილი იზრდება ეგოისტი — უყვარს  
მხოლოდ საკუთარი თავი. ამბობენ: ბრმა  
სიყვარული; უმადური შვილი. ანგარი-  
შობენ, რამდენი რამ უყიდეს შვილს,  
მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ სი-  
ტყვებია; მთავარი ისაა, რომ ბავშვი  
იზრდება „დამუშავებული“. მოყვარულ  
დედ-მამას არ შეუძლია მისცეს ის  
ერთადერთი, რასაც ის საჭიროებს —  
მათი შეყვარების შესაძლებლობა, აი,  
ტრაგედია!

თუმცა, უფრო მეტი ტრაგედი-  
აც არსებობს — გულგრილობა! რომელ-  
იც მშობლებისათვის მიუღებელი უნდა  
იყოს.

ამას წინათ, სამუშაო ოთახში  
გაცეცხლებული მშობლები შემოვიდ-  
ნენ:

— ჩვენი შვილის გაყვანა გვინ-  
და სასწავლებლიდან! — ქალბატონმა  
დაასწრო მამაკაცს.

— რატომ? — ჩემი მოულოდნე-  
ლი შეკითხვა სრულიად გამართლე-  
ბული გახლდათ, რამეთუ, ერთი წლის  
წინ, ეს ქალბატონი დაჟინებით მთხ-  
ოვდა, მისი შვილი სასწავლებელში  
ჩამერიცხა, მივიღე და, ახლა . . .

— იცით, ჩემმა მეუღლემ გუშინ  
სახლში ფული მოიტანა, — ისევ ქალ-  
ბატონმა აიღო სიტყვა და გვერდით  
მჯდომ თავდახრილ მამაკაცს გადახე-  
და, — დაახლოებით სამასი ლარი. ორი  
თვის ხელფასი მისცეს . . . სახლში  
ჩვენ და გიორგი ვიყავით, მეტი არაფერ.  
ამ ფულს კი, რომ დავითვალებდი, ოცი  
ლარი აკლდა. . . იცით, საკუთარმა  
შვილმა ფული მომპარა! — არ ცხრე-  
ბოდა ქალი.

— დამშვიდდით, ახლა მთავარი  
ფულის დაკარგვა კი არა, ისაა, რაში  
დასჭირდა ეს თანხა; იქნებ ბიჭს დახ-  
მარება უნდა, ტვენ კი . . .

კაცმა თითების წვალება დაი-  
წყო, ქალბატონს ფერი ეცვალა . . .

— რას გვირჩევეთ?!

— იქნებ მითხრათ რამე მისი  
უბნის მეგობრების შესახებ . . .

— კარგი ბიჭები არიან. ერეკ-  
ლე გუშინაც გვესტუმრა. გიორგი მა-  
დაზიაში იყო წასული და ცოტახნით  
დაელოდა. . . იცით, საბავშვო ბაღი-  
დან ერთად მოდიან, კარგი ბიჭები  
არიან . . .

— გიორგი, გიორგი რას ამბობს?  
— ეს რომ ვუთხარით, თავი  
შეურაცხყოფილად იგრძნო და სახლ-  
იდან გაიქცა.

— სად, სად გაიქცა, ღამე შინ  
არ იყო?

— არა.

— და თქვენ . . . — ავლედი,  
მამნვე სელექტორს დავწვდი და გიორ-  
გის შესახებ კვითხე მეთოდ-კაბინეტს,  
თავის დროზე მოვიდაო, მიპასუხეს და  
კაბინეტში გამოვიცხადე. შემოსე-  
ლისთანავე შეტბა:

— ბატონ გარისაც უთხარით?!  
ესე იგი, აქაც აღარ დამელოდება? —  
წყლიანი თვალები მომპყრო ბიჭმა და  
თითქოს უკანასკნელ იმედს ჩაეჭიდაო  
— თქვენ? თქვენ დაიჯერეთ ბატონო  
გარი?!

— არა! — დაუფიქრებლად და  
ზომიერად უპასუხე. დავრწმუნდი მის  
უდანაშაულობაში; ამიტომაც ვთხოვე,  
მეგობარი ერეკლე შეეხვედრებინა  
ჩემთვის. მშობლებს კი ვთხოვე, დღის  
ბოლოს შემოეკლოთ . . .

გიორგი და ერეკლე ერთად  
შემოვიდნენ კაბინეტში. ძალზე მორიდებ-  
ით, მაგრამ ერეკლეს აშკარად ემჩნეო-  
და ნერვიულობა.

— იცი, ერეკლე ბატონო, თქვენი  
მეგობარი დიდ განსაცდელშია.

— ვიცი, მაგრამ . . .

— არავითარი მაგრამ, მე და  
შენ მისი უდანაშაულობა უნდა და-  
ვამტკიცოთ.

— როგორ? მე შემიძლია ოცი  
ლარი ვასესხო . . .

— არა, ეგ ზომ მეც შემიძლია,  
მაგრამ ჩვენ ის უფრო გვაადრებს,  
გიორგის რაში დასჭირდა თანხა . . .

— მე . . . მე . . . — გიორგიმ  
სიტყვებს თავი ვერ მოუყარა.

— ისე კი — ისევ განვაგრძე  
საუბარი ერეკლესთან და ყურადღებ-  
ის მიღმა არ ვტოვებ მის არცერთ  
მოძრაობას. — საიდან გაქვს ოცი ლარი?  
ბიჭმა თავი დახარა; თითები  
აუთოთოლდა . . .

— იცით, მე ავიღე . . .

— შენ?! ფეხზე წამოიჭრა გიორ-  
გი.

ვანიშნი, დაწვანებულიყო, ამ  
დროს, გიორგის მშობლებიც შემოვიდ-  
ნენ, ბიჭს მისცვივდნენ და პატიება  
სთხოვეს.

— როგორ? — ჩავეძიე.

— მოლარემ მითხრა ორას  
ოთხმოცი ლარი გექუთნოდა და მოგე-  
ციო. სამასი, ალბათ, ისე წამოსცდა. . .  
„ჩეკშიც“ ორას ოთხმოცი მიწერია . . .

— მითხრა მამაკაცმა და პატარა ფურ-  
ცელი გამომიწოდა.

— მერე შენ . . . ორასოვნად  
გადავხვედი ერეკლეს.

— გიორგი ისეთ დღეში იყო,  
თქვენც ისეთი შეწუხებული ჩანდით,  
ბატონო გარი, გადავწყვიტე, რომ . . .

— ყოჩაღ, ერეკლე! ყოჩაღ,  
გიორგი! თქვენ ურთიერთის კი არა,

ჩემი მეგობრებიც ხართ! – ვუთხარი და კარამდე მივაცილე. მშობლებს კი პატარა განმარტება ჩავუტარე იმის შესახებ, რომ შვილების უთქმელად უნდა ესმოდეთ . . . იმ წელსვე ერეკლე ჩვენს სასწავლებელში ჩაირიცხა და ერთ-ერთი აქტიური სტუდენტიც გახდა. ახლა ისინი, უკვე, კვალი-ფიცირებული სპეციალისტები, „საზოგადოება ცოდნაზე“ შეყვარებულნი, არიან და ჩვენს სასწავლებელსაც ხშირად სტუმრობენ.

სასწავლებლიდან დაგვიანებით გამოსვლა ჩვევად მაქვს. ლექციების დამთავრების შემდეგ შემოქმედებითად ვაჯამებ განვილი დღეს. მორიგემ მითხრა, ვიღაც ქალბატონი გაითხოვლობთ და, რაკი ვინაობა არ მითხრა, თქვენთან კაბინეტში არ ამოვუშვიო . . . ამ სიტყვებთან ერთად, შოსანი ქალბატონი მომპარდა და ხელებზე შემთხვია . . . ვიუხერხულე, არ ვიცოდი, ხელები სად დამეძალა. შემდეგ ქალბატონს დედაშვილურად მოვეხვიე და ვიზიტის მიზეზი ვკითხე. ჩვენი სტუდენტის მშობელი აღმოჩნდა. მეცხრე კლასში რაღაც შეცდომა მოსვლია, მერე სასჯელიც მოუხდია – ხუთი წელი, მაგრამ მეტი საშინელება შემდეგ დაწყებულა, როცა „ნაციონარის“ იარლიფით შელახულს, ყველა კარი – უცნობ-ნაცნობების, მეგობრებისა და ნათესავების, სამსახურისა თუ სასწავლებლის „ჩარახული“ ხვდებოდა და მოვიდა ჩვენთან. . . მაშინ დიდი, არა, უდიდესი

წინააღმდეგობებით აღსავსე დღეები გადავიტანე. . . არცერთ პედაგოგს არ სურდა ამ პატარა, ქერა, მტყველთვალეიანი ბიჭის მეურვეობა. უფრო მეტიც, სტუდენტთა მშობლებიც კი, მისი გარიცხვის მომხრენი იყვნენ „თავს იზღვევდნენ“ . . . მე კი ღრმად მწამდა ჩემი მისია, ვიცოდი, ნიკა გადაცდომას საშინლად ნანობდა. მჯეროდა, ასეთ ნაბიჯს აღარასოდეს გადადგამდა. მაგრამ აუცილებელი, საზოგადოების დახმარება იყო; ამ ბიჭის აუდიტორიიდან ქუჩაში გაგდება დანაშაულზე მეტი იქნებოდა. . . ამიტომაც მოვიდა მოხუცი, მარტოხელა დედა მადლობის სათქმელად; თუმცა, სამადლობელი რა მქონდა – მე, უბრალოდ, მის შვილს სურვილის განხორციელებაში დავეხმარე; ის სურვილი კი, რაც დაკავშირებულია გრძნობის აღზრდასთან, არაფერია სურვილების სფეროსთან შედარებით . . .

. . . დიდი ხანია მინდა ამ თემაზე საუბარი ლექციაზე, საბაბი უნდა მოეძებნო, თუმცა, მეტი საბაბი რა გვინდა, თუ არა სულმნათი ილიას სიტყვები: – „კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე, ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხე, აბა მე დღეს ვის რა ვარგე?“ მაგრამ ასე მშრალი სიტყვებით შეიძლება აიყოლიოთ აუდიტორია? ამიტომაც ვეძებ რაღაც ისეთს, რაც ყველაზე მეტად ჩააფიქრებს სტუდენტს.

– დღეს მსურს, ქართველი ერის სულიერი მამის, ილია ჭავჭავაძის შესახებ გესაუბროთ, მინდა კარგად გადავხედოთ მისი ცხოვრების უმნიშვნელო დეტალებსაც კი და, საერთოდ, ისტორიას, რომ ვიპოვოთ პასუხი კითხვაზე – რატომ არ იცოდა დიდმა ილიამ მათე საუკუნის უმნიშვნელოვანესი ქართული კულტურისა და ლიტერატურის ძეგლის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ არსებობის შესახებ მეცხრამეტე საუკუნეში?

– როგორ? – განცვიფრებულა აუდიტორია, არ იცოდა?!

. . . და ვიწყებ თამამად საუბარს, ძირფესვიანად ვაცნობ სტუდენტებს უდიდეს ქართულ გენს ილიას სახით და მხოლოდ სალექციო კურსის დასასრულს ვხდი ფარდას, რომ:

დიდი ილია, სამწუხაროდ, არ იცნობდა გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“, თორემ კიდევ მეტად იამაყებდა ჩვენი ერის ლიტერატურული წარსულით. ვერ იცნობდა, რამეთუ, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ 951 წელს დაიწერა. მისი ხელნაწერი XII საუკუნისა და იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში ინახებოდა; აქედან გადმოიღო ტექსტი ნიკო მარმა 1902 წელს, შეისწავლა და 1911 წელს გამოსცა; მაშინ ილია ჭავჭავაძე ოთხი წლის გარდაცვლილი გახლდათ.

დიან, სწავლება შეუქცევადი პროცესია და სალექციო კურსის წარმართვაც ძალზე საინტერესო ფენომენია, რომელიც პედაგოგიური ურთიერთობის ხელოვნებაზე აგებული.

**პროფესორი – ვარი ჩავიძე**

ბონდო არველაძე

სომხები ინტერნეტში



ამ ბოლო ხანებში ინტერნეტში განთავსებულ მასალებში ქართველები და საქართველო სომეხ მეცნიერთა, ჟურნალისტთა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა. ამ მასალებს რბილად რომ ვთქვათ, წითელი ხაზით გასდევს საქართველოსადმი არაკეთილმოსურნეობა და ქართული თემ-ატიკის ცალმხრივი, სუბიექტური შეფასება. ეს უკვე აღარ მიკვირს, მაგრამ გული კი მეთანადრება. მეთანადრება ასე რომ უღალატეს დიდი ოვანეს თუმანიანის ანდერძს და დაადგინენ ძმობის ღალატის სამარცხვინო გზას. რა თქმა უნდა, ეს არ ითქმის ყველაზე,

მაგრამ დალოცვილო, არ კმარა რომ არ აჰყევი ცდუნებას და კაენის ცოლო არ დაიდე. საჭიროა შეუძახოთ შოვინიზმის და აგრესიის შხამით შეპყრობილ შენ თანამემამულეებს და მოუწოდო — ნუ ეპოტინებით მოძმე ქართველთა ტერიტორიას, ისტორიას, მწერლობას და კულტურას. ნუ ცდილობთ ქართველთა დამცირების ხარჯზე სომეხთა განდიდებას და ა.შ. ამ შემთხვევაში ხმა უნდა აიმაღლოს პირველ რიგში საიათნოვას, ოვანეს თუმანიანის, ავეტიქ ისააკიანის და მათი გზის მიმდევარმა სომეხმა მწერლებმა და მეცნიერებმა. მაგრამ მათგან ჩამიჩუმი არ ისმის. ეს სიჩუმი ხომ არ არის დასტური ამ სულგაყიდულთა წასაქვზებლად?! ღმერთმა ნუ ქნას, არ მინდა ასე იყოს და ალბათ, არც არის ასე. აბა, გადაშალეთ საიათნოვა, ოვანეს თუმანიანი, ავეტიქ ისააკიანი და ნახეთ რა სიყვარულით ლაპარაკობენ ქართველ ხალხზე, რა მაღალ შეფასებას აძლევენ ქართულ მწერლობას და კულტურას. როგორი პატივისცემით საუბრობენ ქართველი და სომეხი ხალხების მრავალსაუკუნოვან ძმობა-მეგობრობაზე, რომლის მაგალითს თვითონ გვაძლევენ. ამის ერთი ნიმუშია თუნდაც ოვანეს თუმანიანის წერილი, 1918 წელს სომეხ-ქართველთა ომის დროს ერევანში ჩარჩენილი შვილები-

სადმი. მან შვილებს შეუთვალა — მონაწილეობა არ მიეღოთ ამ ძმობა-მკვლელ ომში, თორემ დაწყველიდა მათ და შეჩვენებდა. ეს იყო ძმობის დიდი აქტი და ასეც იქნა შეფასებული ტიცინ ტაბიძის მიერ. ამ ანდერძს არაერთმა სომეხმა უღალატა და მინდა მათი მუხანათობის შესახებ ჩემი ფიქრები გავუზიარო მკითხველს. ნათქვამია „კაცმა ჭირი მალა, მაღა, მაგრამ ჭირმა თავი არ დამალა“. ამ ჭირს კი დროზე უნდა მოვლა-პატრონობა და მკურნალობა, თორემ მეერ გვიან იქნება. მესამე ძალას არ სძინავს და გაფაციცებით ცდილობს კავკასიის ხალხთა შორის წყალი აამღვრიოს, შური და მტრობა დათესოს. ესეც არ იყოს — „მოყვარეს პირში უძრანე, მტერს ზურგს უკანაო“ უთქვამს ჩვენ ხალხს. ამჟამად სიბრძნით წათამაშებული იმედიანად შეეუდექი ამ საქმეს. REAGNUM-ის სააგენტო 2006 წლის 13 მარტს იუწყებოდა — საქართველოს ეკლესიის წმ. სინოდის გადაწყვეტილებით ჩრდილო სომხეთში შეიქმნა ეპარქია და მას ეწოდა — აგარაკ-ტაშირის ქართული ეპარქიაო. ამასთან დაკავშირებით კომენტარს აკეთებს სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე აკად. პავლე ჩობანიანი. მას მიაჩნია — ქართული ეპარქიის შექმნა სომხეთის ტერიტორიაზე, სადაც არ არის ქართული მოსახლეობა, ეს უფრო პოლიტიკური შეკვეთაა, ვიდრე საეკლესიო ღონისძ-

იება. იგი წერს — „ამ ტერიტორიაზე XII-XIII ს.ს. მართლაც არსებობდა ქართული ეკლესიები, მაგრამ მათი შრეეკლი სომეხი ეროვნების ხალხი იყო. მაშინ სომხურმა მოსახლეობამ მართლმადიდებლობა მიიღო (ბერძნული სარწმუნოება). მაგრამ ეს არ აძლევს ქართულ ეკლესიას უფლებას აქ შექმნას ეპარქია. ამავე დროს ქართული ეკლესია ლაპარაკობს აქ რაღაც ისტორიული ეპარქიის აღდგენაზე“. აკად. პ. ჩობანიანის ამ განცხადებას შეიძლება ასე ვუპასუხოთ. ქართული ეკლესიის წმ. სინოდი მართებულად მოიქცა, როცა დადგენილებაში იხმარა სიტყვა აღდგენა და არა შექმნა. ეს სიტყვა ზუსტად გამოხატავს წარსულ სინამდვილეს. ოღონდ ერთი კი მინდა შევნიშნო — სჯობდა ეწოდებინათ — ლორე-ტაშირის ქართული ეპარქია და არა აგარაკ-ტაშირი. ეს უფრო ზუსტად აღადგენდა ისტორიულ რეალობას. ამჟამად ეს ტერიტორია ქართული ბოლშევიკების წყალობით სომხეთის ტერიტორიის საზღვრებშია. მაგრამ ასე არ იყო ადრე. იგი ძირეული ქართლის ტერიტორიაა, რომლის პირველი ბინადარნი იყვნენ ქართველთა ტომი (მოხე ზორენიცი, სენ-მარტენი, ნ. მარი, აკ. შანიძე). შორეული წარსულის ქართულ ძეგლებს თავი რომ დაკანებოთ, ლორე-ტაშირში უხვადაა შემონახული ფეოდალური ხანის ქართული ეკლესია-მონასტრები, ქართული ეპიგრაფიკა, ქართული ეპიტაფიური წარწერები საფლავის ქვე-



ბზე. ამ ქალაქელურ ეკლესია-მონასტრებში საუკუნეების განმავლობაში მართლმადიდებლური წირვა-ლოცვა ქართულად მიმდინარეობდა. ამას მოწმობს აქ არსებული პალეოგრაფიული მასალა და ისტორიული წყაროები. აქვე, თუ გავიხსენებთ გიორგი მერჩულეს ცნობილ სიტყვებს – „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღიარებულა რომელსა შინა ქართული ენითა ფაშნი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“. ე.ი. საქართველო იქაა, სადაც ქართული ენა ისმის ღვთისმსახურებაში“ (კ. კეკელიძე – ძვ. ქართ. ლიტ. 1980, გვ. 53). ეს ისტორიული ფაქტი მეცნიერულად აქვს აგრეთვე დასაბუთებული პროფ. ლეონ მედიქსეთ-ბეგს. „რამდენადაც ამ XII –XIII საუკუნეებში ქართველებად მიჩნეულნი იყვნენ არა მხოლოდ თვით ქართველები, არამედ ქალაქელნიტი ე.ი. დიოფიზიტი (ორბუნებანი) სომეხნი, ამიტომ იგივე ქართული წარწერები სომხური სათანადო ლიტერატურული წყაროების უქონლობის (ან სიმცირის) გამო ერთადერთი დამადასტურებელი ფაქტია სომხური ქალაქელნიზმის არსებობისა, საერთოდ და დასახელებულ საუკუნეებში სომხეთში“ (ლორე-ტაშირის ქართული ეპიგრაფიკა, თსუ შრომები, ტ. 108, 1964, გვ. 310-326). ყოველივე ამის შემდეგ ზედმეტად მიმაჩნია გავაგრძელო აკად. პ. ჩობანიანის აღნიშნული განცხადების შემდგომი კომენტირება. მაგრამ საეკლესიო საკითხებზე არ ჩერდება აკად. პ. ჩობანიანი

და პოლიტიკაში გადადის. იგი შენიშნავს – საქართველოს ავიწყდება, რომ გარკვეული ხანი იმყოფებოდა უცხო სახელმწიფოების იურიდიქციის ქვეშ. იგი ირანისა და თურქეთის ბატონობისაგან განთავისუფლდა XVIII-XIX ს.ს. ამიტომ – „თავისუფლებისათვის ბრძოლას არ შეიძლება ვუწოდოთ სეპარატიზმი“. (დაიოფა ჩვენია. ბ.ა.) ეს აკადემიკოსი მართალია ისტორიკოსია, მაგრამ მას აშენია სჭირს ეტყობა. ბ-ნი ჩობანიანი, – ირანმა, თურქეთმა საქართველო დაიპყრო და კოლონიად აქცია, ხოლო აფხაზეთი და სამაჩაბლო ძირძველი ქართული მიწებია, ისარგებლეს რა ქართული სახელმწიფოს დასუსტებით, აფხუები და ოსები შუა საუკუნეებში შემოიჭრნენ ქართულ მიწაზე და დასახლდნენ. ვუშინდელი ხიზნები, დღეს რუსეთის იარაღის წყალობით ცდილობენ გამოეყონ დედა საქართველოს. ეს არ არის სეპარატიზმი, რაც თქვენ მშვენივრად მოგვსენებათ ბ-ნი ჩობანიანი, მაგრამ არ გინდათ აღიაროთ, რადგან ყარაბაღი დამოკლეს მახვილივით ჰკივია თქვენ თავზე. მხოლოდ იმიტომ, რომ ყარაბაღში ცხოვრობენ სომხები, რუსული იარაღის მეშვეობით წართვით კანონიერ პატრონს – აზერბაიჯანს და შექმნით ე.წ. ყარაბაღის თვითმარქეა რესპუბლიკა. აი, ეს არის სეპარატიზმი და თუ გნებავთ ფაშისტური თვითნებობა. თქვენ ერთმანეთში განგებ ურეთ ირან-თურქეთისა და საქართველოს ურთიერთობას წარსულში და მას

ადარებთ საქართველო-აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ურთიერთდამოკიდებულებას. გყოფნით თავხელობა და საქართველოს გადაკვეთი „მინიმიპერია“ უწოდებთ. ეს ტერმინი „მინიმიპერია“ აკად. სახაროვის პირით შემოავლო მისმა მეუღლემ თბილისელმა სომეხმა ელენე ალიხანიანმა ... ეს კი ქართველთმომულებობაა და მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

2006 წლის 30 დეკემბრის პუბლიკაცია. „ტრაპიზონი – ართვინის და ბათუმის სომეხთა სათვისტომოს განცხადება“. კუპირებით მოგვაცქეს განცხადების ქართული თარგმანი:

1. – სომეხი ხალხი ითვლება ავტოქტონურ ეთნოსად პონტო-კავკასიურ რეგიონში, რომლის შემადგენელი ნაწილია აფხაზეთი. როგორც წარსულში, ისე დღეს აფხაზეთის სომეხები გამოირჩევიან ავტოქტონური ეთნოსის პრინციპული (გამოკვეთილი) ნიშნებით, რაც გამოვლინდა კერძოდ ამ ტერიტორიაზე მათი ცხოვრების ისტორიულობით, დასახლების კომპაქტურობით და მნიშვნელოვანი რიცხოვნობით უპირატესობით (რა მაქინაცეებით ჩასახლდნენ და როგორ მიაღწიეს რიცხოვნობის უპირატესობას, იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 1988, №43. ბ.ა.). ავტოქტონურმა ხალხმა აფხაზეთის სომეხმა თავიანთი განსახლების ისტორიულ მიწაზე 1990-იან წლებში ომის დროს იარაღით ხელში დაიკვა აფხაზეთის ყოფილი ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია,

როგორც აფხაზეთის ადგილობრივი, მკვიდრი ეთნოსის უფლება-მოვალეობა უკარნახებდა. სომეხი ხალხის წარმომადგენლები აფხაზეთში იბრძოდნენ არა ქართველი ხალხის წინააღმდეგ, არამედ ნაციონალისტურად განწყობილ სამხედრო და ნახევრადსამხედრო ფორმირებებთან. ეს ფორმირებები ჩამოყალიბდნენ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებელი ტერიტორიაზე. მათ გადაწყვიტეს ბრძოლის გზით შეეჩერებინათ აფხაზეთის ხალხების სწრაფვა, რათა მოეპოვებიათ დამოუკიდებელი ქვეყნის პოლიტიკური სტატუსი.

2. – აფხაზეთის სომეხები ითვლებიან კანონმორჩილ და ერთგულ ხალხად აფხაზეთში. პონტო-კავკასიური რეგიონი ეს არის იმ ტერიტორიის ნაწილი, რომელზეც ავტოქტონურმა (ე.ი. აბორიგენმა ბ.ა.) სომეხმა ხალხმა XIX ს-ის დასასრულს და XX ს-ის პირველ ნახევარში განიცადა თურქეთის გენოციდი. სომეხებს ისტორიული მესიერება უკარნახებს მუდმივად ამაღლენ თავიანთი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პოტენციალი თვითგამოცხადებულ აფხაზეთის რესპუბლიკაშიც.

3. – საქართველოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ საჭიროა კარგად გააცნობიეროს კონსტრუქციული დიალოგის საჭიროება საქართველოში მცხოვრებ სომხურ ნაკუმცირესობასთან. მან ეს დიალოგი უნდა გამოიყენოს და ეფექტურად გა-

ნავითაროს, რათა შექმნას აფხაზეთის სომხების კეთილგანწყობილი იმიჯი. აღნიშნული ანტისომხური პუბლიკაციები ქართულ პრესაში ხელს უშლის ამ ხალხთა შორის თანამშრომლობას და ურთიერთობის დარეგულირების საქმეს. მთავარია საქართველოში მცხოვრებ ერებს შორის ცივილიზებული და კონსტრუქციული დიალოგი. ანტისომხური პუბლიკაციები აღვივებენ ნაციონალისტურ გრძობებს და ქართული მთავრობის ინდეფერენტულმა და ხელისშემწყობმა პოზიციამ შესაძლოა საქართველოს ახალგაზრდა სახელმწიფო შეიფხვანოს დაქუცმაცების, სეპარატიზმისა და დაშლის „ლაბირინთში“.

ამ განცხადებაში მოჩანს გასული საუკუნის 10-იან წლებში დაშენაკური პარტიის მიერ მენშევიკური საქართველოსადმი წაყენებული ტერიტორიული პრეტენზიის ანარეკლი. იმ განსხვავებით, რომ მაშინ დაშნაკები მოითხოვდნენ აღმოსავლეთ საქართველოს (თბილისის ჩათვლით), როგორც სომხეთის ისტორიული ნაწილის, მიერთებას დაშნაკურ სომხეთთან. ახლა კი პონტო-კავკასიურ რეგიონში, შავი ზღვისპირეთში, კერძოდ, აფხაზეთში სომხების ავტოქტონურ ე.ი. აბორიგენ ეთნოსად გამოცხადება არის არც მეტი და არც ნაკლები „ველიკაია არმენის“ (მეწეჲ პაიასტან) აღდგენის ავადმყოფური იდეის პროპაგანდა. ამ პროპაგანდის მიზანია შექმნას საზოგადოებრივი აზრი, თითქოს შავი ზღვის სან-

აპირო იყო „სომეხთა კუთვნილება“ ტიგრან დიდის დროს) (I ს. ძვ. წ. აღ.) აქვე ვიტყვი – დაშნაკებს ბათუმზე და შესაბამისად აჭარის გარკვეულ ნაწილზეც ჰქონდათ და აქეთ პრეტენზია. ამ მიზნის განხორციელებაში მათი დასაყრდენი არის ბათუმის და მისი რეგიონის სომხები, ისე როგორც თურქეთიდან (XIX-XX ს.ს.) აფხაზეთში ჩამოსახლებული სომხები უკვე აფხაზეთის აბორიგენობაზე აცხადებენ პრეტენზიებს ... ამ განცხადებაში აგრეთვე ნათქვამია – 1990-იან წლებში რუსეთ-საქართველოს ომის დროს აფხაზეთის სომხები, ე.ი. ბაგრამიანის ბატალიონი ებრძოდა ქართულ სამხედრო და ნახევრადსამხედრო შენაერთებს და არა ქართველ ხალხს. ამას ჰქვია „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირებს“. სომეხმა ბოევიკებმა ათასობით აფხაზეთის მკვიდრი, მშვიდობიანი ქართველი აწამეს და დახოცეს, ქალები გააუპატორეს, ბავშვები მუცელზე გაფატრეს, ღორებს მიუგდეს საჯიჯგნად. ქართველთა სახლ-კარი გამარცხეს და მერე გადაწვეს და თან გააკვირდნენ – ეს მიწა ჩვენია. ეს ყველაფერი ფაქტებით არის დადასტურებული. მოვიტან მრავალთაგან ერთ-ერთი თვითმხილველის დავით მამფორიას მოგონებებიდან ნაწილს – „თუ ჩვენ აფხაზეთში დავბრუნდებით, სომხებმა ჩვენთან ერთად არ უნდა იცხოვრონ! დრანდაში ადგილობრივი სომხები ქართველებს ბენზინს ასხამდნენ და

ცოცხლად წვადნენ. მეტი რა უნდა გაეკეთებინათ? (გაზ. „ასავალ-დასავალი“, 2007, №8. სომეხ ბოევიკთა ბარბაროსობის შესახებ აფხაზეთში იხ. ვრცლად წიგნში – ბონდო არველაძე, თეიმურაზ მიბჩუანის ბაგრამიანის სომხური ბატალიონი და ქართველთა ეთნოწმენდა აფხაზეთში 2007 წელი. ეს იყო ეთნოწმენდა, გენოციდი და ასეც იქნა შეფასებული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. ამ უბედურებაში ღირსი წილი ბაგრამიანელებს მიუძღვით. ეს იყო სწორედ ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა!

ამ ე.წ. განცხადებაში აღნიშნულია – თითქოს საქართველოში გაჩაღებულია ანტისომხური კამპანია. ამას ჰქვია – „გაღმა შეედავე, გამოღმა დაგრჩებაო“. ზოგიერთი გაცუღლულტული სომეხი მეცნიერი ფიქრობს – საქართველოს ისტორიას, ძველ ეკლესიებს თუ მიისაკუთრებს, ტერიტორიულ პრეტენზიებს წამოგვიყენებს, რუსთაველსა და აკაკის გაასომხებს ან ქართველ თავადებს სომხად გამოაცხადებს, ქართველ ერს „გრუზნიკებს“ შთამომავლებად აქცევს, ჰგონია ამით სომეხი ხალხი შარავანდელით შეიმოსება. და ამგვარი ბოლშეიანი და შურიით აღსავსე სტატეების გამო უნდა გაეჩუმდეთ და დაემუხჯდეთ. თვითონ კი თავიანთ ჭკუაზე საკუთარი არშინით ზომონ, ჭრან და კერონ საქართველოს ისტორია. ერთი სიტყვით სომეხი მეცნიერების ერთი ნაწილი თავდაცვის

უფლებას გვართმევს და გვეუბნება – ჩვენ ხელგყოფთ ქართველი ერის აწმყოს და წარსულს, თქვენ კი პირში წყალი ჩაივებთ და გაჩუმდითო. თუ ვინცობაა ხმა ამოვიღეთ და ვუპასუხეთ, იმ წამსვე ყვირილით დააქცვენ ქვეყანას – ხედავთ, საქართველოში ანტისომხური კამპანია გაჩაღებულია. ასეთმა თავხედურმა თავდასხმებმა ქართველი ერის წარსულსა და აწმყოზე დააწერინა ილიას „ქებათა ღაღაღი“. მაგრამ რად გინდა, „აყარე ცერცვი კედელს“, ეს ცალტვიან არსებანი მაინც თავისას მიერეკებიან და ჯავახეთის აღარ სჯერდებიან და ახლა შავი ზღვის ქართულ სანაპიროს – აფხაზეთს და აჭარას ეპოტინებიან.

საყურადღებოა 2006 წლის 14 მარტის პუბლიკაცია – „სომხეთისათვის მეორე ფრონტი იქნება, საქართველოს კი მეოთხე გაეხსნება“. ამ სტატიაში სომხეთის რესპუბლიკური ფრაქციის ლიდერი ვალუსტ სააკიანი მოჩვენებითი უმანკო სახით აცხადებს – სამცხე-ჯავახეთის ავტონომიის მოთხოვნას პოლიტიკური კი არა, სოციალური ხასიათი აქვსო. დიდი ივანე ჯავახიშვილი გვაფრთხილებდა – ჯავახეთის ავტონომია სომხების მოვინილი ფანდია – ჯერ მის სოციალურად ცალკე გამოყოფილ ერთეულს ითხოვენ. მერე პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მოითხოვენ და ჯავახეთს მიუერთებენ სომხეთსო. ეს თქვა გასული საუკუნის 20-იან წლებში. მას აქეთ არაფერი არ შეუცვლიათ,

ზუსტად ასე მოითხოვენ დღესაც. ისინი განსაკუთრებით მას შემდეგ გააქტიურდნენ, რაც სომხეთის მთავრობის წაქეზებით ამერიკის სომხურმა ლობმა ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს რკინიგზის მშენებლობის პროექტი დააბლოკინა კონგრესს. მაგრამ ხელოვნურმა დაბრკოლებამ ვერ შეაჩერა თურქეთი-საქართველო-აზერბაიჯანი და ამერიკის ფინანსური დახმარების გარეშე, საკუთარი სახსრებით შეუდგნენ მშენებლობას. ამ ფაქტმა შოკში ჩააგდო ამერიკის სომხური ლობი და სომხეთის მთავრობა. მართალია აქ თავისი ვერ გაიტანეს, რკინიგზის ხაზი სომხეთს გვერდს აუკლეს, მაგრამ არ ისვენებენ და ცდილობენ დაბრკოლებები შეუქმნან ამ საქმის პრაქტიკულ განხორციელებას საქართველოში. ამერიკაში სასწრაფოდ შექმნეს „ჯავახეთის დახმარების ფონდი“, რომელსაც ხელმძღვანელობს სომხური ეკლესია. ამ ფონდმა უკვე მილიონები შეაგროვა და გაგზავნიან დანიშნულები-სამებრ. თუ რას ნიშნავს „დახმარება“ ჯავახეთისათვის, ახლავე გეტყვით. ამგავრი ფონდი შეიქმნა ყარაბაღის დასახმარებლად თავის დროზე და მისი შედეგი საყოველთაოდ ცნობილია.

ანალოგიური „ღონისძიებაა“ ჩაფიქრებული ჯავახეთშიც. როგორც ვთქვით, ამ საქმეში აქტიურ როლს თამაშობს სომხური ეკლესია, რომელიც აშკარა თუ ფარული გზებით – ხშირად ქველმოქმედებას ამოფარებული ცდილობს „თავისი წვლილი“

შეიტანოს საქართველოს ძირძველი ტერიტორიების – სამხრეთ საქართველოს მიტაცების განზრახვის ასრულებაში. (გაზ. „ასავალ-დასავალი“ 2007, №8).

სამხრეთ საქართველოს მიტაცების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია „ჯავახეთის დახმარების ფონდი“ შემთხვევებით სასწრაფოდ მოწყვტილი საქართველოს ჯავახეთი და კონტროლი დაამყარონ ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს რკინიგზაზე.

„ჯავახეთის“ ე.წ. საბჭო ირწმუნება, სიტუაცია თუ გამწვავდა, სამცხე-ჯავახეთში შეიძლება სომხეთმა მეორე ფრონტი მიიღოს, მაგრამ მერა, სამაგიეროდ საქართველოს მეოთხე ფრონტი გაეხსნებაო. თან იმუქრება – ღირსეულ კონტრდარტყმას მიიღებს ყველა, ვინც შეეცდება სომეხთა ჯავახეთიდან განდევნასო. აი, ეს არის წმინდა წყლის პროვოკაცია, ვინ ავიწროებს და ვინ დევნის სომხებს ჯავახეთიდან, პირიქით ისინი ცდილობენ ქართველები გამოაძეონ ამ უძველესი ქართული კუთხიდან.

2006 წლის 23 მაისის პუბლიკაციაში – „საქართველოს სომხური თემი: ინტეგრაციის ხარისხი და სიტუაცია“: სამეცნიერო მიმომხილველის ფონდ – „ნორაჯანის“ მრგვალი მაგიდის სხდომაზე მოხსენებით გამოხსული ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ექსპერტი თამარა ვარდანიანი, რომელიც მივლინებით ყოფილა თბილისში და აგრეთვე მოუვლია საქართვე-

ლო, გამოუკვლევეია სომეხთა როლი და მათი ინტეგრაციის საკითხი საქართველოს ეკონომიკურ, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ კვლევის შედეგად გამოუტანია დასკვნა – „თბილისელ სომხებს უყვართ თბილისი, მაგრამ სძულთ ქართველები. ქალაქი და ქართული მოსახლეობა მათთვის აბსოლუტურად სხვადასხვა გაგებაა“. საინტერესოა საიათნოვას და ოვანეს თუმანიანის პოეზიის მაღლით მოსილ ძმობის ქალაქში ერთი სომეხი მაინც ვერ ნახა ქართველებზე რაიმე სასიკეთო რომ ეთქვა. ასე ყველა სულგაყიდული და უმაღური სად მოძებნა თბილისში ჭკუაგამებელი ე.წ. ექსპერტმა. ამ დღალცივლმა ყველა, ყველაფერი მრუდე სარკეში როგორ დაინახა. მაგრამ ეს უფრო მისი სუბიექტური აზრია, ვიდრე ობიექტური სინამდვილე. სინამდვილე კი ის არის, რომ თბილისი იყო და დარჩება სხვადასხვა ეროვნების ძმობის ქალაქად. დაშნაკური შხამით მოწამლული ქართველთმოძულე ზოგიერთი სომეხის მიხედვით არ უნდა გამოუტანა ზოგადი დასკვნა ექსპერტს თამარა ვარდანიანს, რომელიც აქ არ ჩერდება და განაგრძობს – საქართველოში ჩამოყალიბდა სტერეოტიპი – სომეხმა მათ ქვეყანაში უნდა იმუშაოს ან პარიკმახერად ან ტაქსისტად, ან მეწაღედ. მაგრამ იქვე დასძენს – საქართველოში მცხოვრებ სომეხთა უმრავლესობას მაინც არ უნდა ამ ქვეყნის დატოვება და თავის მომავალს საქართველოში ხედავს.

საქართველოში მცხოვრები სომეხები თუ თავს დაჩაგრულად გრძობენ, მაშინ მათ უმეტესობას რატომ არ უნდა გაეცალოს ამ ქვეყანას და დაუბრუნდეს ისტორიულ სამშობლოს – სომხეთს? აქ კი წინააღმდეგობაში ვარდება სომეხი ექსპერტი. მაგრამ ამას არ დაგვივს და შემდეგ აღმოჩენას გვათავაზობს – ქართველთა ისტორიულ მენსიერებაში ჩადებულია, სომეხები ქართულ მიწაზე მოსული, გარეშე უცხო ხალხია.

საინტერესოა, ფრანგებს რატომ არ სთხოვს თამარა ვარდანიანი დაივიწყონ სომეხები არააბორიგენები რომ არიან საფრანგეთში?

თამარა ვარდანიანი წუხს, რომ თბილისელი სომეხები ყარაბაღის კონფლიქტის მიმართ გულგრილი არიან – „უმრავლესობას ვერ გაუცნობიერებია აქამდე რატომ არ გადაიჭრა ეს პრობლემა. ამის მიზეზის ძიების ხალისიც არ აქვთ. ამ ფაქტს სომეხი ექსპერტი ხსენს იმით, რომ საქართველოში არ არის ანტიაზერბაიჯანული განწყობა. აგერ წელია ყარაბაღის კონფლიქტის ხსენებაც არ არის ქართულ მედიაში. იგი დაუფარავი სიხარულით აღნიშნავს – საქართველოს სომეხები მხარს არ უჭერენ საქართველოს მთავრობის ანტირუსულ კურსს და ანტირუსულად განწყობილ ქართულ საზოგადოებასაც არ უთანაგრძობენ. სომეხ ექსპერტს მაჩნია, რომ სომხური სათვისტომო საქართველოში ძალიან სუსტია, არ აქვს შინაგანი ძალა, არ ჰყავს ეკონომიკური და პოლი-

ტიკური ელიტა. ამიტომ ვერ გრძობენ საშიშროებას, რომელიც მათ ემუქრებათ, რადგან აქ ისინი ნაცუმცირესობას წარმოადგენენ. ამიტომაც რომ სახელმწიფო სექტორში პრაქტიკულად წარმოდგენილი არ არიან.

საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებში სომხები მოღვაწეობენ, საქართველოში 200-მდე სომხური სკოლაა, არის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური თეატრი თბილისში, ყოველდღიურად რადიო-ტელევიზიაში გამოყოფილია დრო სომხური გადაცემებისათვის. საქართველოს პარლამენტში მოღვაწეობენ სომეხი დეპუტატები. საინტერესოა, სომხეთის პარლამენტი რამდენი ქართველი, რუსი და ქურთი დეპუტატი არის წარმოდგენილი?

ეს ქალბატონი სომხური ეკლესიების საკითხსაც შეეხო და შენიშნავს – საქართველოს სომხურ ეპარ-

ქიას არა აქვს იურიდიული სტატუსი და სამართლებრივი საფუძვლით არ არის გამაგრებული. ამიტომ – „როცა შევედი ეკლესიაში, განმიცხადეს, იურიდიულად მნიშვნელობა არ აქვს საღვიფრებელი – ქუჩაში თუ ეკლესიაში ... ქართველებს ისეთი შთაბეჭდილება აქვთ, თითქოს სომხები საერთოდ ქრისტიანები არ არიან და რაღაც სატანისტური სექტის მიმდევრები ჰგონიათ“.

ქართველებმა კარგად უწყვიან სომხები ქრისტიანები რომ არიან, მაგრამ ისიც იციან მონოფიზიტური სარწმუნოების მიმდევრები რომ არიან და რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ ერეტიკოსებად რომ შერაცხა. მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ისინი სატანისტური სექტის წევრები არიან. საქართველოში სომხების სწავლა-განათლების საკითხსაც შეეხო თამარა ვარდანიანი, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

## „უნდა ვუშველოთ ჩვენს თავს“

გამოჩენილ ქართველ მამულიშვილს, რევოლუციონერს, რედაქტორს, პუბლიცისტს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრს (1920 წ.) საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის გრიგოლ ლორთქიფანიძის მეტად ნაყოფიერი ცხოვრების გზაზე გვხვდება ერთი საინტერესო ფაქტი, რაც შეეხება მის მიერ წაკითხულ საჯარო ლექციას ქთელავში 1918 წელს. კიდევ უფრო საინტერესოა, რომ მოგონება ამ ღონისძიების შესახებ შემოგვინახა დღემა ქართველმა მწერალმა, ქართული ლიტერატურის კლასიკოსმა დავით კლდიაშვილმა. ასევე საყურადღებოა ისიც, რომ ბატონ გრიგოლ ლორთქიფანიძეს ლექცია საქართველოსა და რუსეთის ძალზე რთული ურთიერთობის შესახებ წაუკითხავს, რაც დღესაც მეტად აქტუალურია.

„სალამო ახლოვდებოდა, ახალგაზრდა მგოსნები კმაყაშვილის მთაბურთოთ გაემართნენ ალავერდისაკენ, რომ ღამის თევას დასწრებოდნენ და ენახათ ის განსხვავებული სურათი, რომელიც იშლება ამ დროს მონასტრის გარშემო. ღუტუ მგერელი და მე, როგორც მოხუცებულები, დამის თევასაც ვერიდებოდით და თან გვინდოდა დავსწრებოდით ვრ. ლორთქიფანიძის ლექციას, რომელსაც იგი კითხულობდა ახლად გახსნილ დემოკრატიულ კლუბში. იმ საღამოს ლექცია იყო „დღევანდელი რუსეთი და მისი მომავალი“. კლუბის მოზრდილი დარბაზი ხალხით გაიტენა საღამოს. არ წაგვივია ჩვენი დარჩენით, რადგან ლექცია მეტად საინტერესო იყო, შნოიანად გადმოცემული; სრულად არ წააგავდა იმ მრავალ ლექციებს, რომლებიც მოსმენა სწორად გვიხდება ხოლმე. ამ ლექტორის მიმოსვლა, რაც შეიძლება მეტ ადგილებში, ჩემის აზრით უაღრეს საჭიროებას წარმოადგენს,

რადგან სურათებით ნათლადაა გამოხატული, მაჟიოდ, თუ რა არის დღეს რუსეთი და რამდენად უნიადგოა ის წარმოდგენა, რომელიც სამწუხაროდ სწორად გაისმის, განსაკუთრებით სოფლად, ვითომც თუ რუსეთი მოვიდა ჩვენი მდგომარეობა გამოკეთდებო! ამ ილუზიას მნიშვნელოვნად, მშვენივრად, სადა სურათებით შლის, აქარწყლებს ლექტორის გადმონაცემი და ამიტომ, ვიძულებ, საჭიროა მისი გაგრძელება, რაც შეიძლება მეტ მიერებულ ადგილებში. ჟრუანტელი დავიკვლით ნახატი სურათების აღწერის შემდეგ და უნებლიედ წამოიძახებ: არა, არა..... რუსეთი მშვიდობით, მას არ შეუძლია არაფერი წესიერება სადმე დაამყაროს, ისევ ჩვენი მეცადინეობით უნდა ვუშველოთ ჩვენს თავს!

დიდად ნასიამოვნები დავბრუნდით ლექციიდან ჩვენი მასპინძლისას, დილით კი ადრიანად შევუდქით მეზავრობას დღეობაზე“.

(დავით კლდიაშვილი „ოთხი დღე კახეთში“, თურნალი „განთიადი“, №4, 1987წ.)

### გურამ რჩეულიშვილის ექვსტომეული



სულ ახლახანს, კერძოდ, 2007

წლის სექტემბრის თვეში, მოხდა უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული მოვლენა – გამოვიდა 26 წლის ასაკში ტრაგიკულად დაღუპული დიდი ქართველი მწერლის გურამ რჩეულიშვილის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემის მეექვსე ტომი და ამით დასრულდა მარადიულ ჭაბუკად დარჩენილი შემოქმედის ექვსტომეულის გამოცემა.

თხზულებათა სრული კრებული იმდენად საინტერესოა მხატვრული ნაწარმოებებით, დასასრული კი დოკუმენტური და ეპისტოლარული მასალით ისეა გაჯერებული, რომ ამომწურავ მიმოხილვას ვერც კი შევძლებ,

სათანადო შეფასებას ვერ მივცემ ამ ძალზე მაღალი დონის გამოცემას, ამიტომ ფაქტიურად ზედაპირული განხილვითა და კონკრეტული საინფორმაციო, შემოქმედებით - ცხოვრებისეული საკითხების მოხსენიებით დავწერ პატარა საფურცლო წერილს.

უპირველესად მინდა კვლავაც გავიხსენო ჭეშმარიტად დიდი ქართველი მწერლის, ლიტერატურის პიროვნული შემფასებლის რეზონანსიშვილის წინასწარმეტყველება: – თუ ვინმე არის ჩვენს შორის გენიოსობის ნიშნით დაღდასმული, ეს გურამ რჩეულიშვილიაო. ამას ამბობდა საამაყო, თვითნაბადი მწერალი, ვინც უბრწყინვალესი ლირიკული პროზით ხალხს სამუდამოდ შეაყვარა კახეთის შეუდარებელი ჭალა-წყლები, მშრომელი ადამიანები თუ სურნელით სავსე ხეობები. გურამმა თავისი ფასდაუდებელი ექვსტომეულით კიდევ და კიდევ დაგვიდასტურა, რომ სრულიად განსაკუთრებული მწერლისა და პიროვნების რეზონანსიშვილის წინასწარანგონობი მოსაზრება რეალურობად იქცა.

ჯერ კიდევ 1960 წლიდან 1970 წლამდის პერიოდში, გურამ რჩეულიშვილის მოულოდნელი დაღუპვიდან განვილი პირველ ათწლეულში, როცა გურამის შვიდი მოთხოვნა და ორად-ორი წიგნი იყო გამოცემული, გურამ გეგეშიძე და მე უკვე სახალხო ვწერდით და გამოქვეყნებულ წერილებში ვამბობდით, რომ გურამ რჩეულიშვილი არის დიდი მწერალი და ლიტერატურ-

რული მოვლენა. ამ აზრს ისეთი დიდი მწერლები, კრიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები ადასტურებდნენ, როგორებიც არიან ირაკლი აბაშიძე, ჭბუა ამირეჯიბი, გურამ ასათიანი, თამაზ ჭილაძე, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, სარგის ცაიშვილი, ოტია პაჭკორია, გიორგი შატბერაშვილი, დევი სტურუა ....

გურამმა თავისი ყველა ნაწარმოები: მოთხრობები, ნოველები, პიესები, სცენარები, ლიბრეტოები, დაუმთავრებელი რომანები, ჩანახატები, მინიატიურები, ლექსები ქართულ და რუსულ ენებზე, დღიურები, ლიტერატურული შეხედულებები სულ რაღაც ოთხი წლის მანძილზე შექმნა. სისტემატური მიზანმიმართული წერა მან 1956 წლის გაზაფხულზე დაიწყო და 1960 წლის ზაფხულში ჩვენდა სავალალოდ და საუბედუროდ დასრულა. მან ილია ჭავჭავაძისეულ ოთხ წელიწადში მოასწრო იმხელა გზის გავლა, რასაც ერთი დიდი სიცოცხლე კი არა, სიცოცხლეთა წყებაც არ ეყოფოდა.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ გურამი დარწმუნებული იყო თავის სწრაფ აღსასრულში, ამიტომ აღნიშნავდა „ჯობია ვწერო დრო ისეც ცოტააო“, ანდა გავიხსენოთ ახალგაზრდა მწერლის ფატალური განაცხადი - „მე არ დავებრდებიო“.

1958 წლის აპრილში ჯერ კიდევ 23 წლის ბიჭი მოსკოვიდან მწერდა: „ათი წელი რომ ვიცოცხლო რამდენის დაწერას მოვასწრებ, რამდენი მაქვს გასაკეთებელი, რამდენი აზრი და იდეა მიტრიალებს თავში“. მას მართლა მა-

ღალი და ფასეული ნაწარმოებების შექმნა შეეძლო ისეთი აღმაავალი შემოქმედებითი გზით მიდიოდა, ისე იზრდებოდა, ისეთ ადამიანურ და ფილოსოფიურ შრეებს წვდებოდა. მე ზოგჯერ იმის შეგრძნებაც მაძრწუნებს და მაამაყებს, 22-24 წლის ბიჭმა როგორ შექმნა უმაღლესი დონის ისეთი ღრმა – შინაარსიანი ნაწარმოებები, როგორცაა „ნელი ტანგო“, „ნათელა“, „ირინა და მე“, „ალავერდობა“, „დევების ცეკვა“, „ბათარეკა ჭინჭარაული“, „მოხუცი მონადირე“, „მუნჯი ახმედი და სიცოცხლე“, „უსახელო უფლისციხელი“, დრამატული პიესა „ოულონი“, საოცარი სიღრმით დაწერილი „შამას რევოლუცია“ და მრავალი სხვა.

ყველაფერი ეს, ეს უზარმაზარი ლიტერატურული მემკვიდრეობა, ნათლად მიგვიითითებს, რომ გურამმა მოასწრო ყველაფრის შექმნა, რაც კი სურდა, ასი წლის კაცით მოათავა დასაწერი, 26 წლის ბიჭმა შეძლო უკვდავების მოპოვება, დიდად გაუსწრო საკუთარ მეოცე საუკუნეს, სადაც დაიწყო და ფიზიკურად დამთავრდა კიდევ მისი რაინდული სიცოცხლე, გაუსწრო და გაიჭრა მომავალი საუკუნეების განუჭვრეტელ სივრცეებში.

მოთხრობების, ნოველების, დრამატული ნაწარმოებების მხარდამხარ განსაკუთრებით ძლიერად და ფასეულად მიმაჩნია მე და ბუნებრივია არა მართლ მე, არამედ გურამის მეგობრებისა და თაყვანისმცემლების დიდ არმიას, მისი პირადი დღიურები, რასაც მთელი მეხუთე ტომი დაეთმო, ანუ 535 გვერდი. ეს საოცარი ძალისა და დო-

ნის დღიურები შეულამაზებლად გვიჩვენებენ რას გრძობდა, რას განიცდიდა, რას ფიქრობდა, რა სიახლეებს მიეღობოდა განგების მადლით უდიდეს ქართველ მწერლად ქვეყნად მოვლენილი ახალგაზრდა კაცი. დღიურებში კარგად ჩანს როგორ ღრმად, შინაგანად განიცდიდა გურამ რჩეულიშვილი შექსპირის, გოეთეს, ტოლსტოის, დოსტოევსკის, ბაირონის, თომას მანის, ჰემინგუეის და სხვათა შემოქმედებას, როგორც ეწაფებოდა „ქართლის ცხოვრებას“, საქართველოს ისტორიას, ლეონტი მროველისა თუ საკუთარი პაპის დიდი ივანე ჯავახიშვილის შემოქმედებას.

ხშირად მეკითხებიან ხოლმე რამ განაპირობა გურამ რჩეულიშვილის დიდ მწერლად ჩამოყალიბება: ვპასუხობ ხოლმე და აქაც მოკლედ ვიტყვი, რომ დიდ ღვთაებრივ ტალანტთან ერთად, უფლის წყალობით მომადლებულ ორიგინალურ ნიჭთან ერთად ეს იყო სანათესაო წრის, ოჯახის, გარემოს გავლენა, სადაც გაიზარდა გურამ რჩეულიშვილი, იგი კი გაიზარდა საქართველოს სახელოვანი მეფის ერეკლე მეორის შთამომავლების მიერ შექმნილ ძველბურ ტფილისურ აივნებთან სახლსა და ლამაზ ბაღში, სადაც დიდ ნათესაურ ოჯახად ცხოვრობდნენ – ან სულ იქ იმყოფებოდნენ ქართული ეროვნული მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების უდიდესი, თვალსაჩინო, ნიჭიერი წარმომადგენლები: ქართული ისტორიოგრაფიის მამამთავარი ივანე ჯავახიშვილი, გამოჩენილი ქართველი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე, ივანე ჯავახიშ-

ვილის ძმა პროფესორი გიორგი ჯავახიშვილი, ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი ერეკლე აბაშიძე, გურამის მამა აკადემიკოსი მიხეილ რჩეულიშვილი, გურამის ბიძა გამოჩენილი ხელოვნებათმცოდნე ლეო რჩეულიშვილი, გურამის ბიძაშვილი გამოჩენილი სამართალმცოდნე შალიკო რჩეულიშვილი, უცხო ენების მცოდნე და ნიჭიერი მთარგმნელი, გურამის მსგავსად 26-27 წლის ასაკში დაღუპული გივი აბაშიძე, ცნობილი ქართველი მწერალი დათო ჯავახიშვილი, ცნობილი ლიტერატურათმცოდნე პროფესორი ავი აბაშიძე, გურამ რჩეულიშვილის უმცროსი და, ნიჭიერი მწერალი და მკვლევარი მარინე რჩეულიშვილი...

ისტორიული სახლის ბინადარი ეს ადამიანები განასახიერებდნენ ქართული ეროვნული სულის ფეიერვერკისებურ ამოფრქვევას. ასეთ ატმოსფეროში ტრიალი მომავალი დიდი მწერლის თვალსაწიერს ამაღლებდა და აფართოებდა. ყველაფერმა აძინა და რაც მთავარია ელვარე ტალანტმა შექმნა ის უდიდესი მემკვიდრეობა, რაც სამარადისო სიამაყედ გაჰყვება მრავალსაუკუნოვან უმდიდრეს ქართულ ლიტერატურას.

ექვსტომეულის გამოცემის დამთავრებასთან დაკავშირებით ყველასთან გულწრფელი მადლობა ეკუთვნის გურამ რჩეულიშვილის უმცროს დას, ნიჭიერ მწერალს და მკვლევარს მარინე რჩეულიშვილ-ფალავანდიშვილისას. შეიძლება ითქვას, მან თავი გადააღწია ვრცელი მემკვიდრეობის წესრიგში მოსაყვანად, დასახარისხებლად,

მოსამზადებლად, შემდეგ კი უკვე აღნიშნული ექვსტომეულის გამოსაცემად. ურთულესი გამოცემის განხორციელების მიზნით იგი თითქოს ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად მოემზადა, ჯერ დაწერა ბრწყინვალე ნაწარმოები „გურამ რჩეულიშვილის ცხოვრება-შემოქმედებისათვის“, რომლის დასრულება-გამოცემასაც სწორედ აკადემიური ექვსტომეულისთვის მზადებამ და უზადოდ შესრულებული კომენტარებისათვის მასალების ძებნამ შეუშალა ხელი. იმდელი გვრჩება, ამ საშვილიშვილო საქმის გასრულების შემდეგ იგი საკუთარ უმაღლესი დონის მოგონებებსაც გამოსცემს და მკითხველთა გაზრდილ ინტერესს კვლავაც დააკმაყოფილებს. დღეისათვის მარინემ შესძლო გაეკეთებინა ისეთი კატეგორიის საქმე, რასაც ვერაინ ვერ შესძლებდა, ვერც გურამ რჩეულიშვილის რომელიმე მეგობარი და ვერც ნათესავი, უფრო შორს რომ წავიდე ვიტყვი – ვერც გურამის ათობით მეგობარი და ვერც ათობით ნათესავი, ვერც ამდენივე კრიტიკოსი თუ ლიტერატურათმცოდნე. დიდი ოჯახის პატრონმა, სამი შვილის დედა და ათი შვილიშვილის ბებია ამ საკუთარი ჯანმრთელობისა და შემოქმედებითი მიზნების ხარჯზე შეუძლებელი შეძლო და დაავიჯრგვინა საშვილიშვილო მნიშვნელობის საქმე. მარინეს ყოველდღიურ და ყოველწამიერ დახმარებას უწყვეტად მეუღლე, ცნობილი ქართველი კინომსახიობი, გიორგი შენგელაიას შესანიშნავ ფილმში „ლავერდა“ გურამ რჩეულიშვილის როლის შემსრულებელი გვიდარ ფალა-

ვანიშვილი, რისთვისაც მადლობას ისიც ინაწილებს.

უთუოდ აღსანიშნავია ცნობილი ქართველი მხატვრის ვახტანგ რურუას შესანიშნავი გრაფიკული ნამუშევრები, მან შეძლო გურამ რჩეულიშვილის შემოქმედების შინაგანი სულისკვეთების წარმოჩენა, იმ მარადიული სწრაფვის გამოხატვა, რისკენაც მთელი თავისი ხანმოკლე და სისხლსავსე ცხოვრებით მიეღობოდა დიდი ქართველი მწერალი. ვახტანგ რურუა არ წავიდა ცნობილი ცდუნებების, თვალშისაცემი სიმდიდრის გადმოფრქვევის, წიგნების ზიზილ-პიპილოებით მორთვისა და მოთქროვილ-მოვერცხილი ფურცლების გაფორმების გზით. მან აირჩია სადა, ადამიანური, შემოქმედებითი გზა, რომელიც უფრო მაღე მიდის ადამიანების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის გულამდე და ექვსტომეულის გამოცემის მონაწილე ყველა პიროვნებისადმი მადლობის გრძობით აღავსებს.

განსაკუთრებული მადლობის ღირსია მსოფლიოში ფართოდ აღიარებული დიდი ქართველი მხატვარი, რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი, გურამ რჩეულიშვილის ახალგაზრდობის მეგობარი ზურაბ წერეთელი. კარგად მასწავს ამ ოთხი-ხუთი წლის წინათ, როცა თბილისში ვერ მოიძებნა ქართველი მეცენატი ვინც დაფინანსებდა დიდი ქართველი მწერლის სრული აკადემიური გამოცემის ექვსტომეულს, მე მოსკოვში დავურეკე ჩემს ახლო მეგობარს და უთხარი განზრახვლის შესახებ. მრავალთა წესისამებრ



ექვსტომეულის აკადემიური გამოცემის დროული დასრულებით, რაც საქართველოს გურამ რჩეულიშვილის საზოგადოების გრიფითა და ხელისშეწყობით გამოვიდა, ჩემი საკუთარი თავის მადლობელი და კმაყოფილიც ვარ, რომ გურამის დაკარგვიდან თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე შევძელი იმ სიყვარულისა და ერთგულების შეუბღალავად ტარება, რისკენაც მთელი თავისი ლეგენდარული ცხოვრებით, ადამიანური შიშის დათრგუნვითა და მოყვასისადმი ყოველწამიერი თანაგრძნობით დაუვიწყარ მაგალითს გვიჩვენებდა და განუწყვეტლივ გვასწავლიდა უკვდავებაში გადასული გურამ რჩეულიშვილი.

კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო: მშობლიურმა საქართველომ, ქართველმა ხალხმა 26 წლის მარადიულ ჭაბუკად დარჩენილი გურამ რჩეულიშვილი დიდ მწერლად აღიარა, ასე ვთქვათ, შემოქმედების მეექვსედი ნაწილის გამოცემის შემდეგ, ახლა კი მას ხელთ აქვს მწერლის სრული აკადემიური გამოცემის ექვსტომეული, რაც უეჭველია ფართო გზას გადაშლის ახალ - ახალი გამოცემებისაკენ, ანუ იმ დაუსრულებელი გზისაკენ, რომელზეც მომავალ საუკუნეებში ტრიუმფალურად ივლის გურამ რჩეულიშვილი.

### **ნუგზარ წერეთელი**

საქართველოს გურამ რჩეულიშვილის საზოგადოების პრეზიდენტი.  
სექტემბერი, 2007წ.

## **ნუგზარ წერეთელი გამოუქვეყნებელი ლექსების რვეულიდან**

### **უმეტეს ყოვლის**



კლდეკარს ვერავინ ვეღარ მოუვლის,  
ქედები თოვლის სისქით შელესეს,  
მე ღღემდე ვეძებ  
და ვერ ვპოულობ,  
ძებნა ჯიუტად მაინტერესებს.  
ვეძებ უთუოს,  
ვეძებ ასახსნელს,  
ცრემლივით წყდება  
ნისლი მომლაშო,  
იმ მაღალ მთებთან უნდა დავსახლდე,  
იქნებ შემოწყონ ხელი პოვნაში.  
იქნება მივწვევ მთწველიმელსაც,  
მწვერვალს მივაგნო ამოჩემბულს,  
თუმცა სავალი მივიწროვდება –  
მაინც დავეძებ  
ბილიკს ჩემულს.  
მაინც ახლოს ვარ,  
მაინც ახლოს ვარ,  
უკვე ახლოა იმედი პოვნის,  
მხოლოდ მიღწევა,  
არა დამხოზა,  
უპირველეს და  
უმეტეს ყოვლის.

### მარადიული სირცხვილი

მერამდენედ მრცხვენია  
 უკვე ვეღარც ვითვლი,  
 ეტლს ორიოდ ცხენიანს  
 მოსდებია ფითრი.  
 ხეებს გზისპირ გაბმულებს  
 გასდევთ ჩუმი ზარი,  
 უკან ვეღარ გაბრუნებს  
 სარკინეთის ქარი.  
 ნალკლიანად დაგყურებს  
 დანისლული ჯვარი,  
 მცხეთას ძალებს აყმუველებს  
 არეული დარი.  
 საით მიგეჩქარება  
 დიდზე დილო კაცო,  
 არ მიგგვარონ ქარებმა  
 ბოროტებას ნაცნობს.  
 ზედაზენის კედლიდან  
 წეება გრძელი ჩერო,  
 მეუღლეც ზომ გგვედრიდა  
 არ წავიდეთ ჯერო.  
 შენ კი მძიმე ხვედრისკენ  
 მაინც მიიქარი,  
 შორს ქედებმა შედრიკეს  
 ჩრდილოეთის კარი.  
 შენი ჯიშო,  
 ჯილაგი,  
 მოსაკლავად გელის,  
 ქვითაც ვერვინ მილაგმა  
 შხამიანი გველი.

შენზე ხელს თუ ასწევდა  
 მხოლოდ ქვეყნის მტერი,  
 მაინც რჩება ასწლებთან  
 უნდობლობის მტვერი.  
 ვეღარ გაერთიანდა  
 ქართველების მოღვმა,  
 გზასთან  
 შაუთან,  
 ქვიანთან,  
 კვლავ გრძელდება მოთქმა.  
 ვინ „ბერდენკას“ აშხადებს,  
 ვინ „კინტოვკით“ გზვერავს,  
 მათ კაცებად გაზრდამდე  
 უფსკრულია ჯერაც.  
 არც სინდისი ადარდებთ,  
 არც წყევლა და კრულვა,  
 ასე გაძლოს სადამდე  
 საქართველოს სულმა.  
 სულმა მრავალტანჯულმა,  
 ხმლებით დაჩენილმა,  
 გეძალება სხვა რჯული,  
 ამოგავსო მდილმა.  
 მტრების სათვალთვალო ხარ,  
 გაჭირვება გერგო,  
 მწუხარებამ გამოგხრა  
 შავი მუხის ქერქო.  
 არაფერი არ მოჩანს  
 ჯერაც საიმედო,  
 სისხარული გამოგრჩა  
 ფატალური ბელო.



ეინ ჩასაფრდა ბუჩქებთან  
 პირუტყვეული სახით,  
 სისხლი კი არ უჩქევდათ,  
 ძარღვში ედგათ რახი.  
 შენ კი უცებ ერვევი,  
 გაფიქრებდა რაცო,  
 ნუ მიდიხარ,  
 შეჩერდი  
 დიდზე დილო კაცო.  
 შენმა სიტყვამ იკურთხოს,  
 გზას მიყვები ქვიანს,  
 ჩქარა,  
 თორემ იქუხებს  
 ველურების ტყვია.  
 სხვისი ძირის გამოთხრის  
 დაჰყოლიათ ნიჭი,  
 საიდანღა გამოტყვრა  
 „იმერელი ბიჭი“.  
 რას ერჩოდა იმერეთს  
 გმირთა, ზრდილთა მხარეს,  
 მისდევს დროის ქიმერებს  
 რაც კი მტრებმა თხარეს.  
 გული ჯერაც ცხელია,  
 ნაწიბურებს ითლის,  
 მერამდენედ მრცხვენია  
 უკვე ვეღარ ვითვლი.  
 ღელვა მიპყრობს  
 მაშინვე,  
 კაცის ბნელი ბედის,  
 მამუოთებს და მაშინებს  
 წიწამურის ხედი.

სხვა ან რაღა შემხვდება  
 ამ არეულ დღიანს,  
 იქუხებს და მე მხვდება  
 ვერაგების ტყვია.  
 ტყვიით ორად იპობა  
 ქართველების შუბლი,  
 ღმერთო, მოგვეც მშვიდობა  
 და წყალობა უფლის.  
 მე კი ისევ მრცხვენია,  
 გული იმედს ხარჯავს,  
 დღე ისეთი ცხელია,  
 თითქოს აჩენს ხანძარს.  
 მივდივარ და  
 მიმეცება  
 კვლავ სიმწარე მარცხის,  
 გზები სამად იყოფა  
 და მივდივარ მარცხნივ.

### სამაგიერო

რა ნაღვლიანად უბერავს თავისუფლების ქარი,  
მიწასთან გასწორებული მოჩანს მთაცა და ბარიც.  
ეს მერამდენე სოფელი გადაუხრამავს მეწყერს,  
ხედავ და მღელვარებისგან პირში გიშრება ნერწყვი.  
აღარც უვალი გვიფარავს, აღარც განგება გეწყალობს,  
ღვთის რისხვასავით მოგვადგა გაცოფებული წყალი.  
წარღვნა აწეება აჭარას, იმერეთსა თუ კახეთს  
და გვიხდის სამაგიეროს მაღალი ღმერთი მკვახედ.

### დიმიტრი მერეჟკოვსკის „ავადმყოფი რუსეთის“ კითხვისას

ცხრაშეტი წლის ზინაიდა გიპიუსი  
ჩამოვიდა სამოთხეში ტიპიურში.  
ასე ახსნა მან მშენება ბორჯომისა  
წარსულ ღღეთა გახსენების მოჯარვისას.  
ბედი თვისი აქ ელოდა ვინაიდან  
იქნებ მიტომ ჩამოვიდა ზინაიდა,  
ცხრაშეტი წლის ზინაიდა გიპიუსი,  
აქვე ჰპოვა მან შეუღლე  
დიდი რუსი.  
ლურჯი ხედი ორი ციხის,  
ორი კოშკის  
ერთად ნახეს მან და დიმა მერეჟკოვსკიმ.  
ვინ მიაგნებს აწ მერეჟკოვ—გიპიუსებს,  
როს სატკივარს რუსეთს სმა და შური უსევს.  
ადრე უფრო მეტი გრძნობდა  
მრუდს და მოშლილს,  
აზრებს ვხვდებით  
სამართლიანს თუ სევდიანს,  
ასი წლის წინ  
ამტკიცებდა მერეჟკოვსკი  
ავადმყოფი რომ ნამდვილად რუსეთია.

### ისევ აღარ

აღარ მხიბლავს,  
აღარ მართობს,  
აქ რომ ლურჯი ცა იყო  
ისე უცებ გაქრა მარტი,  
თითქოს ქარმა წაიღო.  
აღარ მხიბლავს სიმწვანე და  
მზის სხივებად შეკონვა,  
ვინც სიცოცხლეს მიმწარებდა  
მე მოყვასი მეგონა.  
აღარ მჯერა სამყაროსი,  
ვისთვის სულიც შევძარი,  
ყელს მიბმული ავგაროზი  
თურმე იყო მეძავის.  
აღარ მავსებს,  
აღარ მითრევს,  
ამ ღღეების დინება  
და დაღვივარ ქვეყნად ვიდრე  
მაღლა ღმერთმა ინება.  
სიცხე ბინდთან იწყებს კლებას,  
აღარ მსერავს ხმალივით  
და ცხოვრებაც  
ჩუმად ქრება  
მოცანცანე ალივით.

### ტრფობისგან შეშლილი

კარში ზამთარი ქალივით ჰგოდებს,  
ტკივილი ხდება უფრო საჩინო,  
ისევ ვისხენებ კამილა კლოდელს,  
რომ მისი მსგავსი აღმოვაჩინო.

მსურს ქარიც იმგვარ გრიალით ქროდეს,  
ტანზე ეხვიოს ღრუბელი ბაცი,  
რამ შეაყვარა კამილა კლოდელს  
როდენი,  
ბევრად უფროსი კაცი.

სამი ნაბიჯი მაცილებს კბოდეს,  
სიკვდილი ფერად ნაბიჯებს ვერ შლის,  
დარდით ვისხენებ კამილა კლოდელს  
ტრფობის ერთგულს და  
ტრფობისგან შეშლილს.

ნეტავი ქარიც იმგვარად ქროდეს,  
გავუძლებ ყველა შხუილს და გრიალს,  
სხვას ვნატრობ ისევ  
კამილა კლოდელს,  
როდესაც უკვე ხნიერი მქვია.

გარბის ღრუბელი მთების ზოლიდან,  
დარდს დავემონე ღრუბლის ოდენებს,  
მორჩა,  
დამთავრდა,  
სხვა დრო მოვიდა,  
მიწაში სძინავთ შეშლილ კლოდელებს.

### სინანული

ბედი ისევ ცაში წყდება,  
ძარღვებს ბლანტი სისხლი უვლის,  
თუ ვინმეზე გული მწყდება,  
ისევ შენზე მწყდება გული.  
შენით საწუთროსთან ერთად,  
დამიწებულს ვხედავ სურვილს  
გულს ვაყოლებ რიალს ფერთა  
ლიმონით გამოწურულს.  
ვიცი ცუდად მოგიარე,  
შევრჩი ღვინით სავსე ჯამებს,  
ზოგი ჰო და ზოგი არა  
ველარაფრით შევჯაამე.  
თუ ვინმეზე მწყდება გული  
მაინც შენზე უპირველეს,  
ამ ფაცერით ვერაგულით  
დაჭერას ვის უპირებენ.  
მწყდება გული, მტკიცა გული  
დამწყდარია აზრი ვრცელი,  
და წყვდიადში მინაბული  
ღუმს განგება ბასრი ცელით.

### კოჯრის ქუჩა

ელი რჩეულიშვილისა და  
მეგობრების ხსოვნას

როგორც ორთქლმავლის ღამეულ კვილს  
ხმებს ისე ვიგებ შორეთით მოჭრილს,  
ის კვლავ მასხენებს დიდი ტკივილით  
პატარა ოთახს  
ქუჩაზე კოჯრის.  
და სილამაზე ბიჭური ქოჩრის  
დაეფარება გადაღლილ თვალებს,  
ცხოვრება ისევ უხეშად მოჭრის  
კაცურ კაცობის დარჩენილ ვალებს.  
ვალები დღემდე ლოდებად მაწევს,  
ბოლომდე ძალა უნდა აწევას,  
ხან თითქოს ცრემლად ეცემა ნაწერს,  
ხან გაიძულებს დარდით დაწერას.  
ეს, სოლოლაკის ბოლოს მდებარე,  
პატარა ქუჩაც, რომ ჰქვია კოჯრის,  
უამრავ ტკივილს  
სულში მყეფარეს  
თითქოს საწვიმარ ჯანღებად მოჯრის.  
აქ დარჩენილა ჩვენი ბიჭობის  
გასაოცარი დღეების წყება,  
თვალწინ ირევა ფერთა სიჭრელე,  
ლაგაშიც ძველი სურნელით ცხვება.  
ივსება ჭიქა ღვინით კახურით,  
ახალგაზრდული ქეიფი მიდის,  
და ყველაფერი ადრე ნახული  
მოჩანს დარბევად წუთების მშვიდის.  
გამოცლილია ჭიქა ძირამდე,  
გადავლილია დამწვარი ველი,

და ცრემლებამდე,  
და ტირილამდე,  
მომენტება დღეები ძველი.  
თან ძმაცაცების სახეებს ვარჩევ,  
მათით შავდება თბილისის ხედი,  
მძიმდება ღამე ძაძისფერ ფარჩით,  
არ ითიშება ტკივილის წრედი.  
გადახვეულებს ერთმანეთს ძმურად  
ვხედავ წასულებს უცხო მხარეში,  
გულს სინანულის სიცივე წურავს,  
როგორაც ხეებს წარღვნის თარეში.  
წევს სიცივეში აღმართი კოჯრის,  
მჯეროდა ბიჭებს  
აქ რომ ვნახავდი,  
გულზე წლებიგან დამჩნეულ კოჭრებს  
კვლავ ემატება ახალ-ახალი.  
ფიქრდამეწყრილი და დაზაფრული  
სულს ამღვრეული წვიმით ვრეცხავდი,  
და რაც ოცნებით იყო ზღაპრული  
უცებ ცხადივით გამომეცხადა.  
მძიმედ მიგორავს საწუთრო კოჭლი,  
წასასვლელ სივრცეს აგანიერებს  
და მოწყენილი ჩანს ქუჩა კოჯრის  
დაობლებული ბავშვის იერით.

### პოეტებზე ფიქრებიდან

პაოლო იაშვილის, ტიციან  
ტაბიძის ხსოვნას

გული სულ მწყდება,  
რომ არ გიცნობდით,  
თქვენთან ერთხელაც ვერ ვიქეიფე.  
ავჭალაში კი მწვადი იწვოდა  
და ქარი შლიდა ღრუბლის შლეიფებს.  
დუქნის წინ მდულარ არყის ქვაბიდან  
მოწანწკარებდა ცხელი არაყი,  
ყვითელი ფერის ღრუბლის ქაფიდან  
ცას ეღებოდა მთვარის ვარაყი.  
გამთენიისკენ ტყვიაც წიოდა,  
ღამე სიკვდილით იყო საშიში  
და ტანში ღვარად შემოდოდა  
ჭაჭის არაყი,  
როგორც ჰაშიში.  
გამოსავალი არსად არ არი –  
გარდა ცივ მტკვარში თავის დახრჩობის,  
სიკვდილის თესავდა ღამის ტრამალი  
და ცივი ქარი სროლას ახშობდა.  
ღამეს უბეში ქვები უწყვია,  
ღარღი მოგვევართ ძაღლმა მყეფარმა,  
ჩოფურაშვილის დუქანს ჭუჭყიანს  
სახავთ დროებით თავშესაფარად.  
სხვა რამ სადგომი ყველგან მოშლიდა,  
არაყის ძაღუმს სიტყვის შეწვენა,  
სიკვდილ-სიცოცხლის ისეთ ომში ხართ  
საცაა ტყვია წამოგეწევათ.  
ყველგან ლანდივით დაგდევთ ლავრენტი,  
ბევრი გამოდგა სულით გამცემი,

ქვეყნის სიყვარულს რახან ავლენდით,  
აღარ გინდოდათ ცქერა დაცემის.  
თქვენ კი დაგტოვეს,  
თქვენ კი გაგწირეს,  
სიკვდილის მბრუნავ ბორბალს მიბმული,  
წაიღეთ ჩემი გულის ნაწილი  
და ვერასოდეს ვერ დამიბრუნეთ.  
თქვენ ახლაც ჩემი მეგაღენი ხართ,  
იმ სიყვარულით დაუვიწყარით,  
სულის სიმები კვლავაც შეირხა  
ღარღით ვერაფრით აურიცხავით.  
გული ტკივილით ძეგლით კენესოდა,  
კუთხე ტირიდა ბებერ ავჭალის,  
დანის პირივით მკერდში გესობათ  
განაწამები ქრისტეს სამსჯვალი.  
ჩოფურაშვილის გაქრა დუქანი  
და ამნაირი გვარიც აღარ ჩანს,  
გაქრება ღამეც მთვარით მსუქანით  
და სხვაც გაქრება  
თუ რამ გადარჩა.  
ღარჩებათ მხოლოდ სიტყვა ქართველებს  
თუკი ისიც არ გადაივიწყეს,  
და ღარჩენილსაც როცა გვართმევენ,  
თქვენი სახელით ლაპარაკს ვიწყებ.  
ცას შერჩენილი ცრემლიც ჩამოდის  
საუკუნოვან წვიმის წვეთებად,  
ისევ წამლეკა ამ საღამოთი  
მაძულიშვილთა სულისკვეთებამ.

### სადარბაზო

ახლა უფრო მწარედ ვგრძნობ  
 დროს –  
 უმკაცრეს საზომს,  
 როგორ დაცარიელდა  
 ჩვენი სადარბაზო.  
 ამ გზას ვერვინ ვერ აცდა  
 – ცოდვით საგსე კალოს,  
 ზოგი შერჩა ვერას და  
 ზოგიც საბურთალოს.  
 კვლავ ქუხს დასალიერთან,  
 დეკემბერი ბრაზობს,  
 როგორ დაცარიელდა  
 ჩვენი სადარბაზო.

### აკლიზარ

ზაურ ბოლქვაძის ხსოვნას

გვაკლია შენი სითბოც და სიტყვაც,  
 საქართველოსაც ძალზე აკლიზარ,  
 ყოველი წელი ტორივით გვირტყამს,  
 ქარმაც ღრუბელი სვეტად დაგრიხა.  
 შენი სიკეთით ათობდი გულებს,  
 თითქოს მზე ედგა ღუმელს მდელითა,  
 სხვებზე ფიქრობდი,  
 ამ დროს კი თურმე  
 სიკვდილი როგორ ახლოს გელოდა.  
 სიტყვა მოგვდევდა ჯავარიანი,  
 არ გემინოდა უკან მოხედვის,  
 ჩაფიქრებული და ჯავარიანი  
 მოსწრებულ ლექსით გულს იოხებდი.

თან დაგვებოლა შენი გურია,  
 გაჭირვებისგან ბევრჯერ დამხსნელი,  
 ბევრი რომ მუდამ შენიღბულია,  
 შენ დადიოდი გულით გახსნილით.  
 დარდებს ვერაფრით გაუძლო გულმა,  
 რადგან მრავალჯერ სისხლითაც წერდი,  
 და მოგიტაცა სიკვდილმა კრულმა,  
 რომ ადარებდი სიცოცხლის წერტილს.

### ვერის სასაფლაოზე

თენგიზ კახიძის ხსოვნას

უბანი ისევ დარდმა შებურა,  
 რჩება საწუთრო უშნოდ აშლილი,  
 ისეც მრავალჯერ დაობლებული  
 დაობლდა ქუჩა პეტრიაშვილის.  
 ხვედრი სასტიკი და ნაადრევი  
 გაქრობის წუთებს აღარ იხანებს  
 და სანთლებივით  
 თეთრი ჭადრები  
 ტკივილისაგან გადმოიხარენ.  
 გული დარდებით კვლავ იკოდება  
 გაირღვა მწვანე ქედების სისქე.  
 თბილისი ცრემლით გემშვიდობება  
 მიმავალს შენი უკვდავი ძმისკენ.  
 მივიწყებული არ ფლერს გიტარა  
 და შეჩვენება ამ საღამოთი  
 სამარადჟამო საფლავიდანაც  
 დაგუბებული ბანი ამოდის.

### დაუმცხრალი სული

შალვა მჭედლიშვილის ხსოვნას

გაწყდა გზები  
 გამოვლილი  
 ციხეების საენებით,  
 დრომ ძალებიც გამოლია,  
 რითიც სათქმელს აგნებდი.  
 ტანჯვით, გვემით, სისპეტაკით,  
 პოეზიით ნაქები,  
 ძალით კარის მიკეტვამდის  
 ლექსის კოშკებს აგებდი.  
 ვორკუტიდან,  
 სოლოკვიდან  
 საქართველოს ნატრობდი,  
 ჩანდა ყინვით მოლოკილი  
 გზა და ხმელი ტატნობი.  
 ქვეყნად ვერვინ დაგაჩოქა  
 ტყვეითა და მათრახით,  
 გამზადებულ ხარაჩოსაც  
 ჩეხენენ ბოროტ განზრახვით.  
 საქართველო იყო შენი  
 საფიცარი მარადი,  
 გასაჭირიც მიმოფშენი,  
 ვით ჩაქუჩმა კარატი.  
 მოასწარი სამსახური  
 ერისა და მამულის,  
 ადრე წინსვლად დასახული  
 ცხადიცა და ფარულიც.  
 როგორც დიდი რაჟე განძი  
 ისე დაგრჩა სახელი,  
 ოღონდ გული დაგექანცა  
 ნაფლეთი და ნახევი.

უცებ გაქრი  
 დაუბრუნდი  
 დასასრულის დასაწყისს,  
 ოღონდ ლექსით,  
 საუბრითაც  
 წამითაც არ დასაწყლდი.  
 ამ ქვეყანას კვლავ მოყვები  
 მაგალითად,  
 პოეტად,  
 უკვდავებთან დამოყვრების  
 სხვა გზას ვერვინ პოუბდა.  
 საბოლოოდ მიგბარა  
 მამა-პაპის ანაგამ,  
 შენ ხარ წინსვლას ვინც გვიბარებს,  
 ბედმა როგორ განაგა.  
 არ დაცხრება შენი სული  
 გინდ ციმბირში დატოვონ,  
 საქართველოს  
 შეწირულო  
 დილო შალვა ბატონო.

**წინამძღოლი**

ასანა ნადირაძის ხსოვნას

ჯერ არ დაცლილა დროის სამსალა,  
ისევ იხსნება ხსოვნის არქივი,  
მორჩა,

წავიდა ჩვენი ასანა

კაცურ კაცობის პატრიარქივით.

ჟამი არაფრის გამხელას გვაცლის,

მთაც კი არ რჩება დაუქცეველი,

და პა, წაიქცა ამხელა კაცი

მთელი ცხოვრება წაუქცეველი.

ცხოვრება მისი სულ ბრძოლას გავდა

სიკეთისა და კაცობის ნიშნით,

და სხვა ყველაფერს,

სახელის გარდა,

ღვარავით ყრიდა ჯვების მიშლით.

კვლავაც გამოსცემს საირე კენესას

ჯურსას მაღლიან ხელით მოვლილი,

ასანა ძმებით ცოცხლდება დღესაც

და გზაზე მიდის

წინამძღოლივით.

არ წაიშლება მისი სახელი,

დიდი წერეთლის მაღლით მოსილი,

ვინც დედამიწას წედა ცალ ხელით,

მითად დარჩება

ანთეოსივით.

ჯერ არ იცლება დროის სამსალა,

არ იხურება ხსოვნის არქივი,

მორჩა,

წავიდა ჩვენი ასანა

კაცურ კაცობის პატრიარქივით.

**დამთავრდა**

გურამ და ჟენია სინარულიძეების ხსოვნას

დღეს მწუხარება აღარ გვაოცებს,

გულიც დაგროვილ ტკივილით ყვირის,

ვაკის უძველეს სასაფლაოზე

მიწაში ჩაწვა ლამაზი წყვილი.

ტკივილებს ჩვენსას განგება წურავს

და წუთისოფლის ივსება ქვევრი,

დარდმა წაიღო ცხოვრება გურამ,

სადღაცა დარჩა პარიზიც, ბერნიც.

გიგონებთ ახლა მაღლებს, შზიანებს,

გამუქებულებს ღვთიური მაღლით,

თქვენთვის სამყარო აღარ ტრიალებს

გამწყდარი მიწის ორიოდ ადლით.

მორჩა წარსული სავე სიკეთით,

პატიოსნების სიღრმეთა წვდომით.

წელთა სიმკაცრეს როცა იგებდით,

და იმ წლებსაც დამთავრდა ომი.

განგება რაღა წყევლას მოგვივლენს,

ვის ეძუქრება გაქრობის გრდემლი,

და სხვა ქვეყნისკენ წასულს ორივეს

მიგყვებათ ჩვენი ბიჭობის ცრემლი.



## ოზეფ ვაინჰებერი (1892-1945)



ავსტრიელი პოეტი იოზეფ ვაინჰებერი ერთ-ერთ უნატიფეს ლირიკოსად ითვლება. თავისი სახელგანთქმული თანამემამულეების, ასევე ღიდად ნიჭიერი პოეტების, ინგებორგ ბახმანისა და პაულ ცელანის მსგავსად, მანაც სიცოცხლე მოისწრაფა. იგი ტრადიციული ფორმების ერთგულია და, ამავე დროს, საკმაოდ რთული, ასოციაციური აზროვნება აქვს – ბევრი რამ მის სიღრმისეულ წიაღსვლებში ფაქიზ მინიშნებებზეა დამყარებული. ნაირფერ ყვავილთა მომავადობეული სამყარო პოეტის მდიდარ წარმოსახვაში სიმბოლურ მნიშვნელობებს იძენს. ჩემმა ახლო მეგობარმა, შესანიშნავმა გერმანისტმა დალი სიხარულიძემ ჩვეული გულისხმიერებით გამიმზადა იოზეფ

ვაინჰებერის ათი ლექსის ბწკარედი, რისთვისაც მას მაღლობას მოვახსენებ. შევეცადე, ეს ლექსები, შეძლებისდაგვარად, ქართულად ამეშეტყველებინა. მსჯავრი, რაღა თქმა უნდა, მკითხველზეა.

## ტყის ბილიკები

*მთარგმნელი*

ტყეს, ბნელს, რამდენი ბილიკი სერავს,  
რამდენ სიყვარულს ჩაუქრა მზერა.  
გაყინულია სამყარო, ჰავა  
და ქარი ისევ სისინებს ავად.  
მინდვრიდან ძველი სიმღერა ისმის,  
დანშული ჰანგი ვიცანი მისი:  
რამდენი გზაა, აქედან ჩანან –  
შინისკენ ერთიც არ მიდის, განა?

## ფურისულა

გაზაფხულს შენი სუნთქვა ედება,  
მამცნე, ამხელას ვინ გაძლევს ძალას,  
ამხელს ვალს, ჩვენსას, არაფერს მალავ,  
ისეც არც აკლდა გულს დაფეთება.

ისმის ქეთინი, ჩუმი და მწარე,  
საამო მოგვეა ფერი და სხივი,  
ფერხულის დარი, გვიახლებს ტკივილს,  
ვარსკვლავებიდან მქროლავი ქარი.

ვინ წამოგიძღვა, ვიცოდე ნეტა,  
სულზე მოგვისწარ, აღვსდექით მკვდრებით,  
ცაცხებს გული – დამფრთხალი მტრედი,  
მიწას კვლავ ჭრელად მოქარგულს ვხედავ.

## ანემონი

გოგონა არ ხარ და სულს, შენსას, იერი,  
ფერკრთალი აქვს გოგონასი.  
ვარსკვლავის ციმციმის მგონია ზიარი,  
შენი ამოხედვა, ნაზი.

რარიგად მოგწყვიტო, მოკვლები მაშინვე,  
შენი ვინ გახდება მკვლელი?  
დგახარ აზიდული, ხვედრი არ გაშინებს,  
დალუპვას პირველი ელი.

კდმა უნაზესი, ხარ გამოძახილი  
სინათლის და წინათგრძობის,  
გშეენის თავმოდრეკა, დიდი გაქვს სახელი,  
წყალობად, სიკეთედ შობილს.

დიდი ბედისავე დაგვკა მორჩილება,  
ღამეში ვარსკვლავის სრბოლა  
მძიმედ დაგწოლია, ირწევი ჩრდილებად,  
დამბანგველ სურნელად ბოლავ.

უმაღვე დაჭკნები და განიძარცვები,  
ოდნავი შეხებაც კმარა,  
თავმობრუნებულო, გიყურებ დარცხენილს,  
კვლომას ეგებები წყნარად.

ცა თავზე გამხვია და მაინც რა წმინდად  
ყვავილობ, ნათელი გადვას.  
ბუნების ტყვეობამ ტანჯავასთან დაგწინდა,  
სიცოცხლე მოკლეა რადვან.

### მიწაფართხა

მივიწყებული ლაფვარდო ჩემო,  
მოკრძალებული, მალული ჩრდილო,  
მღუმარე ქალის ბაგეთა გემო.

ღრმა, შორეული, არ იწეე დაბლა,  
არც გახარებას, არც წუხილს ცდილობ,  
ცრემლი, რომელიც დაეცა საფლავს...

გლოცავ, ვარსკვლავო, ოქროსთვალეზე!  
ერთგულად ჰყვავის წამწამთა გრილო,  
ეალერსება იღუმალეხას.

### შემოდგომის ყვავილი

სუსტო ჯამო ყვავილის,  
ქვეყნად ჩნდები როდის...  
ნაცვლად სილაფვარდისა,  
ბინდი, სუსხი მოდის.  
ვაპთუ, თოვლის ფიფქები  
ხვალვე დაგეისოს!  
მოცახცახე სიო!

ტანჯვას გაუთავებელს,  
მისი სიბრძნე ახლავს;  
ბოლოს ქრება სინათლევ,  
გადასძალავს დალლა.  
ბედისწერა მშვიდი:  
სიკვდილის წრე დიდი!

წარმავლობა სილამაზეს,  
მორცხვს, ანიჭებს ძალას,  
შემოდგომის ვარსკვლავი  
ვიღრე გადამალავს.

### უვიწყარა

ო, ჩუმი სევდავ,  
 ო, გრილი თოვლის  
 დანაშაულო, საწყენო, უხვო:  
 როგორ თრთის,  
 როგორ ქვითინებს ცაში,  
 წელიწადების წრებრუნვა უხმო.

რა იყო დროის დახვეა უკან!  
 რად მზარავს  
 თქვენ ბავშვური მზერა?  
 ბოლო პეპელა,  
 ბიჭი რომ იჭერს:  
 როგორ გავეთრდი, აღარც კი მჯერა.

არ დამივიწყო, უვიწყარაო,  
 არავინ არი აღერსით მოქმელი,  
 თქვენ კი წუხდებით,  
 მაფრთხილებთ, მაგრამ  
 მომიკვდა გული,  
 კარგს არას ველი.

მხსომებოდა თუ დამვიწყებოდა  
 ბავშვობა ჩემი,  
 რა ჯობდა ნეტავ?!  
 არ ჩანდა დიდხანს  
 და სულს მიწეწავს  
 ახლა, მის ვარსკვლავს კვლავაც რომ ვხედავ.

ო, ჩუმი სევდავ,  
 ო, გრილი თოვლის  
 დანაშაულო, საწყენო, უხვო:  
 როგორ თრთის,  
 როგორ ქვითინებს ცაში,  
 წელიწადების წრებრუნვა უხმო.

### გარდაცვლილი ახალგაზრდა ქალისადმი

შენც არსებობდი ჩვენნაირად,  
 სათნო და ლალი.  
 ახლა, შუბლს შენსას იმა ქვეყნის  
 ატყვია დალი.

ჯერ კიდევ გუშინ, ვარდებს შორის,  
 ნარნარად ვლიდი.  
 დღეს ცივად უმზერ ჩვენს სიყვარულს,  
 ჩამტყდარა ხიდი.

ვერ დასწვდი ნაყოფს, მოსაწვევტად,  
 წითელს და მწიფეს.  
 მოსავლის ალო მიწურა,  
 უკვე გაკრიფეს.

სიცოცხლის ჩიტი, რომ უხმოვდი,  
 გაფრენილია,  
 სადაც ახლა ხარ, იქ არყოფნის  
 მრუმე ჩრდილია.

ბაღს სხივი აღარ აციაგებს,  
 მოწყენა აწვიმს,  
 გლოვის ცრემლები, ამოღარულს,  
 გვინამავს ღაწვებს.

უცხო ზღაპარში, უსასრულოდ  
 სრიალებ, ფრინავ,  
 ვარსკვლავმა, მქრალმა,  
 ცის თავანზე იპოვე ბინა.

### ყარბის სიმღერა

ჭაზე გადამზობილი,  
უძალ ფსკერს ჩახედავს,  
ნეტა ვინმეს ვახსოვდე,  
შენ მეძახდე ნეტა!

შენი სახე მინდა ჰქონდეს,  
დედაჩემი ვინმე,  
ნეტა ნანა მიძღეროს,  
მიმამინოს იქვე.

დედა რა ხნის მკვდარია,  
მჭკნარ ყვავილებს ვანდე,  
ეხედავ, შუქზე დაისის,  
მოლიცლიცე ლანდებს.

### მამაზეციერის დახატული სურათი

ეს მე ვარ, უკვე განისვენებს სხეული ავი.  
მარცხი არც ისე ბევრი იცის ჩვენმა ცხოვრებამ.  
რამდენი მოკვდა. ნუთუ შეველის არა გაქვს თავი?  
არ შეგწევს ძალა? მე ეს შიში მემახსოვრება.

მეუფევე ცისა, ხარ მხატვარი სწორუპოვარი.  
მოხატავ ხელებს, ზომაზე დიდს, ზომაზე ფართოს.  
არაფრად გიღირს ჩემი ურვა და სათხოვარი  
და ჩემს ზურგს უკან ბოროტს, ეშმას – ახარებ, ართობ.

„მარადისობას გაზიარებს ჩემი ნახატი“.  
რა თქმა – თითქოს უსიამომ დარეკა ზარმა!  
გადავიხადე ვალი სრულად, გადასახადი,  
სხვა რა გსურს? „მარად“ არსებობის სურვილი არ მაქვს.

დამხატე, სახე მქონდეს ბავშვის, გულუბრყვილოსი,  
ბალი და სახლი დამიხატე, ხეების ჩრდილში,  
და სათნო ქალი – ვერ გადიტან ამას ტილოზე?  
დასაბამიდან მე ამისი მტანჯავდა შიში.

### პირქუში ანგელოზი

პირქუშო მხსნელო, გამოცდილო მკურნალო ჩემო,  
გთხოვ, ანგელოზო, დამამშვიდო საამო მცნებით,  
წითლად შეფერილ ღაწვებისა შეეიგრძნო გემო,  
ძვირფასო, მინდა ხილვა მისი, ვეღარა ვცხრები!

შმაგი ლოღინი დამიამე, სიმშვიდე მინდა,  
ჩამომაცილე ქვეყნის ურვა, დაგრჩე უვნებლად.  
სალამოს ბინდი. დიადემა თავს გადავას სხივთა,  
ო, ზენაარო, ბალში მწადის მე დაბრუნება.

მო, დამენახე მოწოდების მღუმარებაში!  
დამენახე და მაგრძობინე ღვთის მრისხანება:  
ქაოსის მიღმა, სრულქმნის მიღმა ენახავ ფრთებგამლილს,  
მიჩვენე სახე, საზარელო, არა – ზმანება.

თარგმნა *ემზარ კვიციანიშვილი*

**შთავონებით დაწერილი ლექსი**

დიდი ქართველი მხატვრის, მსოფლიოში აღიარებული ხელოვანის, რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტის ზურაბ წერეთლის მიერ რამდენიმე წლის წინ ქ. მოსკოვში შესრულებული მონუმენტური ნაშრომის – „სიკეთისა და ბოროტის შეცნობის“ დათვალიერებით შთავონებულმა გამოჩენილმა თანამედროვე რუსმა პოეტმა ანდრეი დემენტეივმა შექმნა ლექსი ადამსა და ევაზე. დღეს ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ ლექსის ქართულ თარგმანს.

ადამ და ევა იყვნენ ისე გულუბრყვილონი  
და ისეთ ხალასს ჩამოჰკავდა მათი სურვილი,  
როგორც უმწიკვლო თქეში – ზეცის თეთრი მირონი,  
ლოცვას რომ უთვლის დედამიწა ოქროცურვილი.

საწყისი იყო ყველაფრისა ვაშლი და გველი  
წლებს გარდასულებს მიეკუთვნათ უცებ დაშრეტა,  
თავად სამოთხეც სილამაზით შეაკართო მწველით,  
დედამიწაზეც სილამაზის ქურუმს აჩენდა.

ყველაფერი კი იწყებოდა ძნელად, კაეშნით,  
იმ სიყვარულით დამალულით და ცოღვიანით,  
მაგრამ სიცოცხლე სასწაულის ძალით აეშვა  
და სიყვარულის განცდა იყო ბედის ტრიალი.

ცბერებისთვის მადლობასაც იმკის ასპიტი,  
ცდუნებისათვის საკმარისით და თან მცირედით,  
მარადის ლახვრე, ბატონობით კიდევ დამშვიდდი,  
ცდუნებებთანაც მშვენიერი გრძნობით მივედით.

ჩვენში სირცხვილიც კი არ არის, როს სიყვარული  
ადამიანთა ლხენისა და ჯადო ხიბლისთვის,  
გენებში ჩვენში დღესაც სუფევს ასე ფარული,  
ენებას მიწიერს ცვლის სიმშვიდე ისევ სინდისით.

და ჩვენ ვღრმავდებით თქმულებათა ძველ სამყაროში,  
წინასწარ ნანახ გრძნულ ლოდთა მეტაფორაში,  
თავის მართლებას, დანაშაულს უშიშრად მოვშლით,  
და სხვის ცხოვრებას საკუთრების ვძერწავთ ფორმაში.

თარგმნა **ნუგ ზარ წერეთელმა**

**ბაბუა-შვილიშვილის დღიურები და ჩანაწერები**



**წინასიტყვაობა**

ბუნებრივია, საზოგადოების დიდ ნაწილს აინტერესებს როგორ ცხოვრობდა, რას ფიქრობდა და რა მიზნები ჰქონდა მეოცე საუკუნეში და, მაღლობა ღმერთს, 21-ე საუკუნეში მცხოვრებ ჩემს თაობას, უკვე მამებისა და პაპების თაობას, ასევე და კიდევ უფრო მეტად აინტერესებთ, როგორ ცხოვრობს, რას ფიქრობს და რა მიზნები აქვს 21-ე საუკუნესა და, ღვთის მადლით, 22-ე საუკუნეში მცხოვრებ ახალგაზრდა თაობას, შვილებისა და შვილიშვილების თაობას.

პირდაპირ რომ ვთქვა, ჩემი თავი იმ რთული წარსული ცხოვრების ერთ-ერთ ღირსეულ თუ არა ტიპურ წარმომადგენლად მიმაჩნია, ასევე მიმაჩნია მომავალი თაობის ტიპურ წარმომადგენლად ჩემი პირველი შვილიშვილი, უმცროსი ნუგზარ, ნუგზარიკო წერეთელი.

მოხდა ისე, რომ ჩემს პირად არქივში, უფრო ზუსტად, მამაჩემის – ლიტერატურათმცოდნის, პოეტის, ცნობილი ბიბლიოფილის, თხუთმეტი წლის მანძილზე უღანაშაულოდ ტანჯული პოლიტპატიმრის აკაკი წერეთლის ვრცელ არქივში აღმოვაჩინე 1951 წელს ქ. ცხინვალის №1 ქართულ საშუალო სკოლაში სწავლისდროინდელი მსხვილი კალიგრაფიით გავსილი ჩემი პირადი დღიურების მცირე ნაწილი, ერთი არასრული სასკოლო რეგულის ხაზიანი ფურცლები.

აქვე კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ქალაქ ცხინვალში ჩემი ოჯახის ოთხ-ხუთწლიანი ცხოვრება გამოიწვია იმან, რომ ციხე-კოლონიებიდან თავისუფლებაზე გამოსულ მამაჩემს უმკაცრესი განაჩენის თანახმად, უფლება არ ჰქონდა ხუთი წლით თბილისიდან 100 კილომეტრზე ნაკლები მანძილით ეცხოვრა. არაადამიანური მოთხოვნის ნორმები ცხინვალმა დააკმაყოფილა. იმ შორეული წლების გარკვეული მონაკვეთების დროს უკვე ვწერდი დღიურებს, სისტემატურად ვერც მაშინ ვწერდი და ვერც ახლა ვწერ. ამიტომაც წყვეტილი ხანგრძლივობით მაქვს გაკეთებული ჩანაწერები, იქნებ იმიტომაც, რომ სუბიექტივიზმით გაჯერებული დღიურები ხალხისთვის დიდად საყურადღებოდ თუ სასარგებლოდ პირადად მე არასოდეს მიმაჩნდა.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, 16 წლის ბიჭის, ანუ ჩემი დღიურები, ასე თუ ისე, მომეწონა. აქ მკვეთრად ჩანდა პატარა ბიჭის უდიდესი სიყვარული ქართული ლიტერატურისადმი, პოეზიისადმი. დღიურებში ნაწილობრივ ჩანს მშვენიერი ძველი ქართული ქალაქი ცხინვალი, უფრო ზუსტად, ძველი ცხინვალი და ჩვენი განუჭვრეტელი ცხოვრების დასაწყისი.

როდესაც 55-ზე მეტი ხნის წინანდელ ჩანაწერებს გადავხედე, ჩემთვის გაუიფიქრე, რომ ასეთი დღიურებისა და ჩანაწერების გაკეთებით დღეს აღარავინ შეიწუხებდა თავს და შინაგანად ცოტა მეწყინა კიდევ. იმავე წაშს გამახსენდა ტელევიზიის ათობით არხის, კომპიუტერის უამრავი პროგრამის, დისკოთეკების თუ ღამის ბარების კორიანტელი და ჩემს თავს ვარწმუნებდი: ახლა სულ სხვა დროა, ჩვენი უბადრუკი, ღარიბ-ღატაკური, უინტერესო ცხოვრება გაქრა, ახალ თაობას სულ სხვა მიზნები, ფიქრები, გემოვნება გაუჩნდა, ახლა, ჩემი აზრით, ძალიან ცოტას წერენ, სამყარო მთლიანად შეიცვალა, დღიურები თუ პირადი ჩანაწერები ანაქრონიზმად იქცა. ჩემი ამგვარი უწუგეში აზრი, ოდნავ მკრეხელოვრიც კი, ძალიან ძალიან შევიცვალე, როცა საკმაოდ სქელ რვეულში შემთხვევით წაგაწყვიდი ჩემი უსაყვარლესი შვილიშვილის, როგორც უკვე ვთქვი, ნუგზარ წერეთლის, იგივე ნუგზარიკო წერეთლის ჩანაწერებს ზუსტად იმ ასაკში, რომელშიც მისი ბაბუა იყო ნახ-

ევარ საუკუნეზე გაცილებით მეტი ხნის წინათ.

ამ ფაქტმა ძალიან გამახარა და ამიტომაც ვაქვეყნებთ ბაბუა-შვილიშვილის, ორი სრულიად განსხვავებული სამყაროს წარმომადგენლის დღიურებისა თუ ჩანაწერების ერთ პატარა ნაწილს. რაოდენობას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, ჩემთვის და მრავალი აღამიანისთვის მთავარია ის რეალური ვითარება, რომ მომავალი თაობა ფიქრობს, ეძებს, განიცდის, აზროვნებს და ჩვენივეს დიდად სასიხარულოდ წინ მიდის, მიდის ჩვენზე ბევრად უკეთესი გზებით, ჩვენზე მეტ განათლებას ამჟღავნებს, პირადულსა და არაფერის მომტანს შეიძლება უფრო მეტად მსოფლიოს ხაზით ჩამოყალიბებული მასშტაბების მიხედვით აზროვნებას ამჯობინებს. თანამედროვე ვითარების გათვალისწინებით, პატარა ბიჭობის დროინდელი ჩემი დღიურები გულუბრყვილოდ და პრიმიტიულად მომეჩვენა, თუმცა ერთგვარად მეტი ეროვნული მუხტის გამომხატველი მეონია, ამ ფონზე ჩემი შვილიშვილის, 16 წლის ნუგზარ წერეთლის დამაფიქრებელი ჩანაწერები გაცილებით ღრმად და თანამედროვე პროცესების გამოხატველად მომეჩვენა, რამაც ძალიან გამახარა და სიხარულთან ერთად დიდი იმედითაც ამაჯსო.

**ნუგზარ წერეთელი**

**1951 წელი, ქ. ცხინვალი, ბაბუა ნუგზარ წერეთელი, 16 წლის**

ცხინვალში მშვენიერი დილა გათენდა, ცხელა კიდევ. ვისაუზმე თუ არა გალაკტიონის ლექსებს ჩავუჯექი. მისი შემოქმედება ძალიან მიტაცებს, კითხვა არ მწყინდება. მერე ბაირონის „კაენს“ გადავხედე, არსებულნი ძალების წინააღმდეგ რომ აზავთებულა. რას არ მოახერხებს პოეტი კალმის ერთი მოხმით. რამხელა სახეები შექმნა ჯორჯ გორდონ ბაირონმა, ამ კალამმა დაუტოვა მას უკვდავი სახელი. გადავხედე დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიის ფურცლები. დავცქერი გოეთეს ოლიმპიურ სახეს და რატომღაც ერთმანეთს დიდი აკაკი და გოეთე შევადარე. ის გერმანული და ეს ქართული პოეზიის მამამთავრები. შუადღისას წერილები დავწერე. შემდეგ თეოდორსა და „მოგზაურობანის“ კითხვა დავიწყე. ორი გრძელი თავი წავიკითხე და სამერმობოდ გადავდევნი. ღელა, მამა და გობრონი სტუმრად წავიდნენ. ჯონდომ დაიძინა. გარეთ ბნელა, ცხინვალის ქუჩებში ქარი ზუზუნებს. განვაგრძე „ოვოდის“ კითხვა რუსულ ენაზე, თანდათან გამიტაცა. პირველი 7 თავი დიდი ინტერესით წავიკითხე და დავწექი.

\* \* \*

მშვენიერი ამინდია. საუცხოოდ დილაა. პირი დავიბანე, ვისაუზმე და კვლავ „ოვოდს“ ჩავუჯექი. დავამთავრე და შევინახე. დღეს რატომღაც ერთ

წიგნზე ვერ ვჩერდები. გადავთავალიერე ღარიბი, ოლონდ ჩემთვის მდიდარი პირადი ბიბლიოთეკა. რუსული რომანები ბლომად მაქვს, მაგრამ არ მიზიდავს. ავიღე კუფტინის „ქართული კულტურის უძველესი კერა თრიალეთში“ და კორნელი კეკელიძის „კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ანარეკლი ძველ ქართულ ლიტერატურაში“. პირველი თითქმის ნახევრადმე მივიყვანე, მეორე კი მთლიანად დავაბოლოვე. ძალიან ჩამაფიქრებლად არის დაწერილი, ინტერესით წავიკითხე. რაღაც ცუდ გუნებაზე ვარ, კარგი წიგნის კითხვა გულთი მინდა. ბიბლიოთეკაში ვოლტერი ავირჩიე. წავიკითხე „ზადივი ანუ ბელისწერა“ და თითქოს დავწყენარდი. მოსაღამოვდა კიდევ. მამამ გამოგვიცხადა: ამაღამ თბილისს მივდივართო. სიხარულით თავბრუდახვეულივით ვარ. გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“ მაქვს დასამთავრებელი. წავიკითხე გერონტი ქიქოძის, აკაკი ვაწერელიას, კონსტანტინე გამსახურდიასა და სხვათა სიტყვები. საბარლო ვაჟა-ფშაველა, კიდევ აურიეს. მახსენდება მამჩემის ლექსის ნაწყვეტი ვაჟაზე: „ვაჟაჲ, ბედი არ გქონია, გახდი ყველას საჩემელი, შენს გენიის ოქროს ფონდში ცუდად აურიეს ხელი“ ... აურიეს, მაგრამ ბევრს ვერაფერს დააკლებენ. გვიანი დამეა. ცხინვალის საღვურში ვართ. ჩემ შთაბეჭდილებებს ალბათ ხვალ თბილისში დავწერ.

\* \* \*

მატარებელი გაჩერდა თბილისის სადგურში. სასწრაფოდ გადმოვედით და მანქანაში ჩავსხედით. თბილისის მოკრიალებულ ქუჩებში სწრაფად მისრიალებს „პობედა“. ჩემი წასვლის შემდეგ თბილისი ერთიორად დამშვენებულია. რა მომხიბლავია მარის, ახლანდელი უნივერსიტეტის ქუჩა. საბრალო მარი, ნუთუ იმდენი არ იზრობა ამ კაცმა, ქუჩას მაინც დარჩენოდა მისი სახელი. მივედი სახლში. გზა სულ ჩამონგრეულია წინ, ზემოთ მესერი მიუღლეჯ-მოუგლეჯაით, უპატრონობის დიდი აზის. არა უშავს, „ჩვენს ქუჩაზეც იქნება დღესასწაული“. ვისაუბრე თუ არა, იმწამს წიგნებს ვეცი. გადავთავალიერე საწერი მაგიდის უჯრები. ბოლოს წიგნების კარადას მოვუჯექი. ლექსიკონების გარდა მთელი ავლადიდება გადმოვალაგე. კარგი წიგნები შემოგვრჩენია, თუ შეიძლება შემორჩენა ეწოდოს მამაჩემის უზარმაზარი ბიბლიოთეკის ამ უბადრუკ ნაშთს. მე, დედა და ჯონდო წავედით საყიდლებზე. მთელი თბილისი შემოვარეთ. გაზაფხულია. ხალხმა უკვე პალტოები გაიხადა. პალტო მეც უნდა გავიხადო, მაგრამ... ეჰ, ამას თავი გავანებოთ. მე და ჯონდოს თეატრში გვიჩნდა წასვლა. სახლში დავბრუნდით. მამა მოვიდა. დაიწყეს მუშაობა. თეატრში ვეღარ წავედით. მერე ბებია მოვიანახულეთ. ფეხზე ჩუსტები სასტიკად მიჭერს. ჩუსტები და ისიც მოჭერილი?! როგორც იქნა მოვედით სახლში. დაღლილი ვარ. ძალიან მეძინება.

\* \* \*

კარგ ხასიათზე ავედქი. გარეთ ნამდვილი გაზაფხულის დღეა. ბაღში ვიმუშავეთ. უჯრაში ბოკაჩიოს „დეკამერონი“ ვიპოვე – პირველი წიგნი. კარგია „დეკამერონი“, მაგრამ ისიც მჯერა, რომ მისი დიდი ფილოსოფიური აზრები ზოგიერთმა ანეგდოტების სახით ვაათამაშა. ასეთებს ბევრს ვიცნობ, რომელთაც ან წერის სტილი, ან მასში გატარებული აზრი კი არ იზიდავთ, არამედ მოთხრობილი სექსუალური ამბები. დედა და მამა სტუმრად წავიდნენ. მე, ჯონდო, გობრონი, ჯუშები და თეპური წავედით ბებიასთან. იქიდან გვიან წამოვედით. დამის 1 საათია, მაგრამ თბილისში მოძრაობა თითქოს არც შეწყლებულია. ცხინვალის ვიწრო მტკვრიან ქუჩებში დახურული გული თბილისის ფართო და კრიალა ქუჩებში გაეხსნა. ღამაში იყო ღამით მტკვარიც. აქეთ-იქით ნაპირებზე მომხიბლავად ბრწყინავდნენ დიდი კამკამა ნათურები.

ღამაში იყო მტკვარი და ნიკოლოზის სევდა, ელნათურების ჯარი მტკვრის მქვევარ ტალღებს ხევდა. რტოებს არხევდა ქარი, შარიშურობდნენ ხენი, მტკვრის ნაპირებზე მდგარი ცად რომ უწვედებათ ხელი. დამეც სინათლედ ენთო, როგორც ნათელი დილის, გულს დროისგან მღვანთო, იგრძენ სიამე ტკბილი. ელნათურების შუქი აჩირადდნებდა თბილისს, ცა, საფირონი მუქი – თავზე ეხურა თბილი.

მალე მივედით სახლში. საინტერესო წიგნი მაქვს წასაკითხი, მაგრამ დრო არ ითმენს. ნეტავ ეს ძილი სულ არ იყოს ამ ქვეყანაზე...

\* \* \*

რვის ნახევარია და მზე უკვე შუბის ტარზე წარმომართულა. თბილისში უფრო სწრაფად გაზაფხულდა, ვიდრე ცხინვალში. მე და ჯონდომ ზემოთა ეზო მთლიანად გავწმინდეთ და დავბარეთ. 12 საათზე წავედით საბურთალოზე. ხალათები იქ ვერ ვიყიდეთ, ისევ უნივერსიტეტში ვიშოვეთ. ბებია ვინახულეთ და სამ საათზე დავბრუნდით შინ. ხუთის ნახევარზე სადგურში უნდა წავიდეთ. ხალათები ისე მაგრად იყო დაჭიმუჭნული, დედამ ძლივს დავკეითოთა. 5 საათზე უკვე სადგურში ვართ. დევემშვიდობე სავევარელ თბილისს და გამაქანა მატარებელმა. ახალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ მაქვს. წაეკითხე რეცენზია შექსპირის ცნობილ ტრაგედიაზე „ანტონიოს და კლეოპატრა“, რომელიც რამდენიმე კვირის წინ დადგა მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა. გული დამწყდა, რომ ამ დღეებში ვერ მოვახერხე ნახვა. სურათშიც რა ბრწყინვალედაა ვერიკო ანჯაფარიძე და ცენანა მოძრაობა, ზორც-შესისმებრ ვისაუბრეთ ჩვენს მამავალ ახალი სახე შეუქმნია, საუცხოო და თვალწარმტაცი. პტოლომეთა შთამომავალი კლეოპატრა ხომ სწორედ მისი შესაფერისი როლია. მატარებელი ზაპისიდან გავიდა. ჯერ ისევ დღეა. მცხეთას ვუახლოვდებით. უკვე აელვარდა სვეტიცხოვლის გუმბათი, მოჩანს სამთავროც, რატომღაც ყველაზე ძლიერ ამ ადგილას მიგვარს ოცნება. ვაგონის რაფაზე დაყრდნობილს საამუხრად მიწეწავს თმებს ცელქი ნიაგი. ნიაგი,

ქროლვა არ დაამთავრო, მსურს ოცნება და გრძნობა ცხოველი, შორს ცის კიდურზე ელავს სამთავრო, თეთრად კრიალებს სვეტიცხოველი. თავზე დამყურებს ქართული ზეცა, ჩამოუშვია მზეს დალალები, ჩემ გულში განცდებს სათუთად კეცავს ერთი გოგონას შავი თვალები. მწველი თვალები, თვალები ვიშრის, ვუცქერი მწვანით შემოსილ სერებს, თუმც წლოვანება სიყვარულს მიშლის, ამ ოცნებას კი რა შემიჩერებს. კათისხევში შეგვაღამდა, უფლისციხეში უკვე ღამეა, გორს ვუახლოვდებით. შორს აკიაფდნენ ერთ ზაზზე დარაზმული ლამპიონები. რამდენიმე წუთი და მატარებელი შევიდა გორის სადგურში. მე და ჯონდომ სადგურზე გავიართეთ, როდესაც მატარებელმა ცხინვალისაკენ წასასვლელად მიაკივლა ავედით ვაგონში. ორთქლმავალი და მთელი მატარებელი ხელი ჯაყვავით მიდის. წიგნი ხელში მითამამაშებს. ზედა თაროზე ავედი დასაძინებლად. ცხინვალში გამომადვიძეს. საჩქაროდ ჩავედით სახლში. ვივანშმეთ და მერე წესისამებრ ვისაუბრეთ ჩვენს მამავალ სახლსა და ეზოზე. მამას დიდი გეგმა ჰქონია. ეჰ, მამა რომ არ დაეპატმრე ბინათ, რა ბედნიერები ვიქნებოდით. არა უშავს, ჩვენს ბედნიერებას წინ არაფერი დაუდგება. მამას ნათქვამს ჩემს გულში მომავლის გეგმები უკუოდე, გადაეწყვიტე კარგად ვისწავლო, სახელოვანი კაცი გავხდე, რომ მამას მეც დავეხმარო საუკეთესო მიზნების განხორციელებაში.

\* \* \*

დღიას ადრე წავედით სკოლაში. საშუალო სკოლის ფასი ამ ქვეყანაზე მართლაც არაფერია. 11 წელი სხვაგან ყოფნა არც მოგვიხდება, მხოლოდ ეს ერთი იქნება ჩვენს ცხოვრებაში. დირექტორი გაზეთის გამოშვებაზე მელაპარაკა. ჩქარა უნდა გააკეთო, თორემ დაგვიანდა. ბიბლიოთეკაში ახალი გაზეთები გადავთვალაიერე. სამის ნახევარზე სახლში დაებრუნდით. ვიმეცადინე და მომავლის ფიქრებში ჩავიძირე, ახლა საჭიროა დაულაღავი მუშაობა და მონდომებული სწავლა. ჩემს წინ გადაშლილია დიდი შესაძლებლობის პერიოდი, დროის გარკვეული მონაკვეთი, ან უკეთ რომ ვთქვა, კიდევ ერთი სასწავლო წელი, რასაც ეწოდება საბოლოო, ანუ დამამთავრებელი კლასი. ამან უნდა გადაწყვიტოს ჩემი ადგილი მომავალ ცხოვრებაში. მე ისეთი მოსიყვარულე მშობლები მყავს, რომ ისინი ყველაფერს გააკეთებენ ჩემთვის, ოღონდ კარგად ვისწავლო, რაც მათთვისაც სასახლეოა და საამაყოც. მე შემძლია გავხლე ცოტაოდენი დახმარების ან მუშაობის შემდეგ ოქროს მედალოსანი. ამ სიძნელის გადალახვას აუცილებლად შევძლებ. თითქოს პირობას ვლებ საკუთარი თავის წინაშე.

\* \* \*

დღეს ბიბლიოთეკა დაკეტილია, ახალი წიგნი ვერ გამოვიტანე. გაკვეთილებზე გოეთეს შესანიშნავ ნაწარმოებს „ფაუსტს“ კვითხულობდი, შინ ჩქარა დაებუნდი. მე, ჯონდო, გობრონი

და თემური პარკში წავედით. თბილისში მაგრად ცხელოდა, ცხინვალში კი ჯერ ისევ გრილა. მონდომებით დავაზადე გაკვეთილები, ოღონდ მათემატიკაზე გული არ მიმდის. რაც არ უნდა დიდი პოემა მომცენ, გინდ ქართულ, გინდ რუსულ ენაზე, სიხარულით ვისწავლი, ვინმე რომ ამ მათემატიკურ ფორმულებს მომაშორებდეს. არა, დღეიდან უნდა ვძლიო სიზარმაცეს, მათემატიკაშიც მონდომებით ვიმეცადინო.

ღამის 1 საათი გახდა, თვალები მუხუჭება, უნდა დავწვე. მასხენდება დიდი ნიზამი განჯელის ლექსის ნაწყვეტი. „არა, ამაღამ ნუ დავიძინებთ, ლხინში მყოფი ჯობს ლოგინში მძინარს... ღამის დანაკლისს დღით გავისწორებთ, ძილის დრო კიდევ ბევრი გვაქვს წინაც“ ეს მართლა კარგად უთქვამს ნიზამი განჯელს, მაგრამ ახლა არ გამომადგება...

\* \* \*

სკოლაში ადრე ავედი. გაზეთის მასალები შევავაროვე. გაკვეთილების მერე მე და გიორგი ბესტაევმა გაზეთის გვემა შევადგინეთ. გიორგი ძალიან ნიჭიერი ბიჭია, ერთ-ერთი საუკეთესო ოსია, ვისაც კი ვიცნობ. შინ დაებრუნდი. მოწინავე მაქვს მოსაფიქრებელი. დღეს გაზეთი მინდოდა გამეფორმებინა, მაგრამ მხატვარი გამეპარა. ჩამოვედი სახლში და წავედი მის მოსამებნად. ვერ ვიპოვე. რომ ჩამოვიარე ჯონდო, ჟორა, ნოდარი და შურა ჟორას სახლის წინ ისხდნენ. მტე იქ ჩამოვვექი. თემური ველისი პედით დაქროდა. ნოდარმა ინგა გაგვაცნო.

ძალიან ლამაზი გოგოა. მე ქერა თმების სურნელი მათრობს, ფრთხილად რომ წეწავს ცელქი ნიავი, შენ სიახლოვეს ეს გული ნატრობს, გული ავსილი ტკბილი სიამით. კოხტად მთარხევ მაგ ტანს ვნებიათ, შენ სიღამაზეს დაბმული ვევეკარ, შენი კისკისი შემეფარება, შენი ღიმილის საბრალო ტყვე ვარ. რომ შეღამდა სახლში წავედი. გაკვეთილები დაეამზადე. განსაკუთრებით ქართული. შესანიშნავი ნაწყვეტი მქონდა შესასწავლი გოეთეს „ფაუსტიდან“. მოწონებული ადგილები აღვნიშნე. უნდა ამოვიწერო და მთლიანად ვისწავლო. ღამის 1 საათია. ცხინვალში ჩამი-ჩუმი აღარ ისმის. კითხვა უკვე დაგამთავრე და წიგნი შევიწახე.

\* \* \*

დღეს ფსიქოლოგიასა და საქართველოს ისტორიაში გამოიმძახეს, ხუთები მივიღე. ბიბლიოთეკაში წიგნების ერთი კარადა მთლიანად გადმოვქექე. კარგი წიგნი ენაზე. წასაკითხად ავირჩიე სერგი მაკალათიას „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“. გაკვეთილების შემდეგ ლექცია ჩატარდა „ენურგის მარადისობის კანონზე“, ძალიან საინტერესო იყო. დირექტორმა გაზეთის მასალები ნახა, ზოგი მოიწონა, ზოგიც არა. სახლში ჩამოვედი. მე და ჯონდომ დედა გავაცადეთ საღვურში, აქიდან მათემატიკაზე წავედით. დიდხანს ვიმეცადინეთ. შეღამებული იყო შინ რომ დაებრუნდით. ვისწავლე გაკვეთილები და დავიწყე წერა. მოწინავე მქონდა დასამთავრებელი. ღამის 12 საათია,

ძალიან დავიდალე, მაგრამ რომ დავტოვო დრო აღარ ითმენს. ყველაფერი ჩავწერე, ოღონდ ლექსი და პატარა რეცენზია დამრჩა ჩასაწერი. ძალიან ძნელია რედაქტორობა, ბევრი რამ თავად უნდა დავწერო და ფურცელზე გადავიტანო.

\* \* \*

დღეს ბიბლიოთეკაში ახალი წიგნები მივიდა. ყველა გადავთვალაიერე, ოღონდ წამოღება ჯერ არ შეიძლება. გეოგრაფიაში 5 მივიღე. ფიზიკაშიც გამიძახა დირექტორმა. ხუთიანი უნდა დაწერა, მაგრამ ერთი წესი შემეშალა, მიიხრა, შენ ქართული ლიტერატურა ისე საუკეთესოდ იცი, რომ სხვა სკენებში ცოტაოდენი მუშაობის გაძლიერება დაგჭირდება და გაისად, მე-11 კლასში აუცილებლად ოქროს მედალოსანი უნდა გახდეო. ამ სიტყვებით ჩემს ოცნებას ფრთები შეეხსა. მე ხომ ვვიქრობ, მაგრამ თურმე სხვებაც ელიან ჩემს ოქროს მედალოსნობას, ამიტომ თავი არ უნდა შევირცხვინო. მე და ჯონდო სახლში ჩამოვედით, ვისაღილე და ბიბლიოთეკაში წავედით, მერე შევედით ინიში, დაბრუნებულებს მამა სახლში დაგვხვდა, ბაირონის პოემების კრებული მოეტანა. ძალიან გამეხარა. გაკვეთილები დაეამზადე. გავგრძელე კითხვა სერგი ესენინის 1940 წელს გამოცემული ლექსების რუსული კრებულით. ძალიან მომწონს ესენინის ლექსები, თუნდ ქართულად თარგმნილი, დღეიდან კი ერთი-ორად უფრო უკეთესია. მიზიდავს მისი ლექსის ძახილი და გონის გულის ძლიერი განცდა, სიტყვა მჭობრავი, როგორც მსხვილი, თუმც დროებითი



დიდება აცდა. არა, ღრმად მჯერა მე ეს  
ესენინ, რომ დავიწყება შენ არ შეგმო-  
სავს, არ გაივლება მტრობის მსერი  
და სიყვარული გერგება მგოსანს. ჟამ-  
თა სრბოლაში დარჩები მარად, ხალხის  
დიდ გულში გადნახული, იქნებ დრო  
დადგეს პუშკინის დარად, ჰპოვო დიდე-  
ბა შენც არნახული.

\* \* \*

დღეს 5 გაკვეთილი გვქონდა და  
სახლში ადრე დავბრუნდი. ჯონლო და  
ჟორა გუჯაბაურში წავიდნენ, მეც მეს-  
ვეწუნე, მაგრამ აღვებრა მქონდა დასაწ-  
ერი. როდესაც გამოვიყვანე მაგალითე-  
ბი, გულმა აღარ მომიტოვინა, დავჯექი  
ჩემს ველსი პედზე და გაკვირდი.  
გამეფებულ სიწმისე არაფერი არღვევს.  
გაზაფხულის მაცოცხლებელი ძალით  
სოფელი ამწვანებულა, ხეები დაყვავილე-  
ბულან. იქ, უკან დავტოვე ქალაქის  
ხმაური, გული სოფლისაკენ მიწვევს,  
მწვანედ გადაშლილა წინ გუჯაბაური,  
გუთნებით სერავენ მიწებს. მივექრვიარ  
შარაზე, მტერის კორიანტელი მომყვე-  
ბა ნისლისფერ კუდად, გზა მაქვს გასა-  
ლელი კვლავ ორი ამდენი, ცა თავზე  
მასურავს ქუდად. კვლავაც გაზაფხუ-  
ლის მათობს სურნელება, მკერდს  
ეუხსნი მონაბერ სიოს, შორს ვხედავ,  
თავზე რომ შვის შუქი ევლება, მომნი-  
ბლავ კაკკასიონს. ბინდებოდა შინ რომ  
დავბრუნდით. გაკვეთილები დავამზა-  
დე. დღეს დედა უნდა ჩამოვიდეს. უკვე  
ღამის 12 საათია, მაგრამ არ ჩანს, ალ-  
ბათ ვერ მოასწრო წამოსვლა. ცხინ-  
ვალში ჩვეულმა მყუდროებამ დაისა-  
გურა, აღარ ფუსფუსებს ებრაელების  
დიდი უბნის ქუჩა და მოედანი.

\* \* \*

დღეს ტყის დღეა. სკოლაში 8  
საათზე ვართ დაბარებულები. მე და  
ჯონლოც გამოვეცხადდით, ოცდაათამდე  
ბიჭი ვართ. დავრგეთ 100 ძირი ალვის  
ხე. მერე პარკში წავედით, იქაც ორ-  
ორი ორმო გაეთხარეთ ხეების დასარ-  
გავად. 2 საათზე სადგურისაკენ  
გავეშურე, დედა ჩამოვიდა. ვისადილეთ,  
ჯონლო სტადიონზე წავიდა. მე ვიმეც-  
ადინე, მერე ჟორამ, მე და შურამ მოე-  
ისმინეთ მოსკოვისა და თბილისის  
„ღინამოების“ თამაშის გადმოცემა. მწე-  
ინა თბილისმა რომ წავაგო. იქიდან  
ცხინვალის კულტურისა და დასვენების  
შესანიშნავ პარკში გავიარეთ. ირგე-  
ლივ ხალხი მომრიაბს. ხეები ამწე-  
ანებულან, მწვანე ბალახი საამურად  
ბიბინებს. ლიახვი შხუილით მოქრის  
და გარემოს ანძინანებს. ხეთა რტოე-  
ბიდან გაიხედავ და შორს ჩანს ცაში  
ლაღად ამართული მწვერვალები, მერე  
რა მომხიბლავად. აი, ახლაც ბექობზე  
ვღვავარ და ვიცქირები ზემოთ, ვაე-  
ისკენ. შორს, მთების დაბლა თეთრი  
ლენტივით მოჩანს ლიახვი. მოდის,  
ჯიქურ მოიწვევს წინ, მოთელავს აზურ-  
მუხტებულ მინდვრებს, თანდათან იშლე-  
ბა და ფართოვდება. მის აქეთ-იქით  
ნაპირზე ჩანან მწვანეში ჩაფლული  
სოფლები. ყოველივე ამის დასასრულს,  
ე.ი. სულ ბოლოს, მივრით მიყრილი  
ამწვანებული გორები დგანან. ამ მწე-  
ანე ფონზე კი მაღლა იშლება კაკკა-  
სიონის თეთრი მწვერვალები, მარადი  
თოვლით რომ არიან შემოსილები.  
თვალწარმტაცი სანახაობაა. დაღამდა  
სახლში რომ დავბრუნდით.

\* \* \*

დღეს ბიბლიოთეკაში ჩავაბარე  
სერგი მაკალათიას „სამეგრელოს ის-  
ტორია და ეთნოგრაფია“, გრიგოლ აბა-  
შიძის ლექსები დამხვდა, არ წაუღიათ,  
გამიხარდა, სახლში ჩამოვიტანე. გულ-  
დასმით წავიკითხე უცნობი და ნაცნო-  
ბი ლექსებიც, განსაკუთრებით კი პოე-  
მა „გიორგი მეექვსე“. პოემა ძლიერ  
შთაბეჭდილებას ტოვებს, ყველაზე  
მეტად კი ნათიასა და გვარამის ტრ-  
ფობა. მოწონებული ადგილები ამოვი-  
წერე. ამასობაში დაღამდა კიდეც. მაშამ  
გრიგოლ აბაშიძის ლექსების კითხვა  
დაიწყო, მე – გაკვეთილების მზადება.  
მერე წიგნები უნდა დავაღავო.

\* \* \*

მოვიმინეთ დირექტორის მოხსენე-  
ბა. მეც გამოვედი სიტყვით. ვილაპარ-  
აკე „კედლის გაზეთის როლსა და  
მნიშვნელობაზე“. განათლების სამინ-  
ისტროს მიმართვა ყველა სკოლისად-  
მი გაგვაცნო დირექტორმა, მასში, სხვა  
საკითხებთან ერთად, ნათქვამი იყო, რომ  
გაისად, ე.ი. 1951/52 სასწავლო წელს  
ჩატარებული იქნება მოსწავლეთა თვით-  
შემოქმედების ოლიმპიადა. გამახსენდა  
თბილისში მე-5, მე-6, მე-7, მე-8 კლასე-  
ბი. მაშინ სისტემატურად გამოვდიო-  
ბი. მაშინ საინტერესო პოეტი მეც ვიქნე-  
ბოდი. ორი წელიწადია, რაც აქ ვს-  
წავლობ და არაფერი მიღწევები არ  
მაქვს. ჩემი პოეტობის საკითხს ამჟე-  
მად კითხვის ქვეშ ვაყენებ, თუმცა ჯერ  
რა დროს ამაზე ლაპარაკია, მომავალი

წინაა. ამასთან ერთად ის დარგი მე-  
ლოდება, სხვა სპეციალობასთან ერ-  
თად პროზისა და პოეზიის ოსტატე-  
ბიც რომ უნდა ჩამოაყალიბოს. მე იმე-  
დის უფრო მჯერა, ვნახოთ რას მომი-  
ტანს მომავალი...

\* \* \*

ასალ ჟურნალ-გაზეთებს ვკითხუ-  
ლობდი. წავიკითხე ჟურნალი „მეცნიერე-  
ბა და ტექნიკა“. კარგი იყო მ.ი. ლერმ-  
ონტოვის „მათემატიკური გასართობი“.  
დღემდე არც კი ვიცოდი, თუ რუსი ხალხ-  
ის დიდ პოეტს მათემატიკა ასე მაგრად  
უყვარდა. პოეტი და მათემატიკის მოე-  
ყარული?.. სკოლიდან ფოსტაში შევიარე.  
წერილები გავეზავნე. წამოვედი. ჩემს  
წინ ოციოდე მეტრის დამორებით ინვა-  
მიდის, ვიღაც უცნობ ბიჭს მაპყვება, ინ-  
ტიმური საუბარი აქვთ გამართული. გამ-  
ახსენდა გ. აბაშიძის ლექსის ნაწყვეტი:  
„არც მცვარებიხარ, არც ჩემდ მსურდი,  
მაგრამ რაღაც მაინც მეწყინა“... სწორედ  
ასეა ჩემი საქმე.

\* \* \*

დღეს ისე მნიშვნელოვანი არაფერი  
მომხდარა. სკოლიდან ლიახვზე წავედით.  
არხის მშენებლობას ვათვალიერებდით.  
სალამოს მე და ნოდარმა გავიარეთ. ბე-  
რი ვილაპარაკეთ. სახლში რომ ვბრუნ-  
დებოდით, ჯონლო შეგვხვდა. ისევ გავი-  
არეთ. ბაღში გადავვდით და კოსტა ხე-  
თავჯუროვის ძეგლის საფეხურებზე  
დავსხვდით. ვილაპარაკეთ, ვიცინეთ, შინ  
გვიან დავბრუნდით. მშენიერი მოვარი-  
ანი დამეა, ცხინვალის ქუჩებში უკვე  
ძალიან ცოტა ხალხი დადის. მყუდროე-  
ბა დამამშვიდებლად მოქმედებს.

\* \* \*

დღეს ჩვენ სკოლაში დგამენ მუსიკალურ კომედიას სათაურით „მაშტი-იბადი“. ბილეთები ავიღეთ. დედა ამოვიდა სკოლაში. ექმთან გავიარე და კბილი დავიპლომზე. მე,ჯონდო და ჟორა წავედით, პარკში გავიარეთ. ზემოთ ბლახზე წამოვწექით, საუცხოოდ დავისვენეთ. რვა საათისთვის სკოლაში ვიყავით, წარმოდგენა ცხრის ნახევარზე იწყება. გვარიანად ცხელოდა პირველი მოქმედების დროს. კომედია მართლაც კარგი იყო. შესანიშნავად მღეროდნენ და თამაშობდნენ. ჩემი თანაკლასელი გოგი გოგინაშვილი კარგად ასრულებდა მაშტი-იბადის როლს. შინ ნასიამოვნება დავბრუნდით.

\* \* \*

დღევანდელმა დღემ მრავალფეროვნად ჩაიარა. რა ხანია ჟორა მიღოდა შვილი გვეხვეწებოდა ამ დღისთვის ს. ერედვი წასვლას, რათა გვენახა სახალხო დღესასწაული „მცხეთის ჯვრის“ სახელწოდებით. მართლაც, დიდიხანავე გაგამზადეთ ველოსიპედები და გავწიეთ. ჟორასთან სიხარულით მიგვიღეს. ვისაუბრეთ, მერე ცხინვალში ჩამოვედით და ისევ ავედით სოფელში. ამ დღესასწაულის და საერთოდ კიდევ სხვა დღეობების შესახებ ბევრი ხალხური თქმულება გავიგე, მაგრამ მათი ჩაწერა დიდ დროს მოითხოვს. სოფელ ვანათში წავედით ველოსიპედით. ვინახულებთ ანკარა პატარა ლახვი, შორს ბუმბერაზ გორაკზე წამომართული ზერხემალგადატეხილი ძველი ციხე, მწვანე ტყეში განმარტო-

ბით მდგარი თეთრი ტაძარი, წყარო და სხვა ადგილები. უკვე შედამებული იყო ცხინვალში რომ დაებრუნდით. წავიკითხე №3 „მნათობი“, კარგი ნომერია. განსაკუთრებული ყურადღება აღექვანდრე ქუთათელის „პირისპირს“ მივაქციე. გვიან ღამემდე ვიკითხე. ცხინვალში უკვე სრულმა მყუდროებამ დაისადგურა. ფანჯრიდან გრილი, სურნელოვანი ჰაერი შემოდის, ალბათ, უკვე მთელ ქალაქს სძინავს და მეც მძინება.

**2006 წელი, ქ. თბილისი, შვილიშვილი ნუგზარ წერეთელი, 16 წლის**

რას ნიშნავს ადამიანის არსებობის უნივერსალური კოდი? შევეცდები ეს შეკითხვა ჩემებურად განვმარტო.

არსებობა ნიშნავს ცხოვრებას, სიცოცხლეს. ამ ქვეყანაზე არსებობა უნივერსალურია – ანუ ყველაფრისათვის შესაფერისი, მრავალმხრივი, აღუვსებელი. კოდი – ეს არის გასაღები, ურომლისოდაც რაიმეს გაღება ან გაგება შეუძლებელია, წარმოუდგენელია.

თუნდაც აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, არსებობის უნივერსალური კოდი არის ჩვენი ყოველდღიური ფიქრისა და ზრუნვის საგანი, კაცური, ადამიანური არსებობისთვის აუცილებელი რამ, მის გარეშე ცხოვრება შეუძლებელია. ზოგიერთებისთვის ეს პიროვნული თვისებებია, მაგალითად, პატიოსნება, ვაჟკაცობა, სიმამაცე, სიკეთე, კეთილშობილება; ზოგიერთებისთვის კი,

სამწუხაროდ, მხოლოდ ფული და მატერიალური კეთილდღეობა. ეს უკანასკნელი ძალიან მოკლე გზაა და მალევე მთავრდება. უმთავრესი ყოველთვის იყო და არის სამშობლოსათვის თავდადებული სამსახური, როცა ადამიანები პირადადზე მაღლა მთელი ქვეყნის, ანუ ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისთვის ბრძოლას აყენებენ, მაშინ ადამიანის უნივერსალური კოდი უმაღლეს გამოხატულებას პოულობს.

\* \* \*

ჩემი აზრით, სიტყვათა ალქიმიამ ყველა ფრაზისა თუ სიტყვის ღრმად, ლამაზად თქმასა და წარმოჩენას ნიშნავს. ასე იმიტომ გადავწყვიტე, რომ თავად სიტყვა ალქიმა, პაულო კოელიოს ნააზრევსაც თუ დავესესებოთ, ნიშნავს მეცნიერების დარგს, რომელიც ცდილობს მონახოს ვთქვათ, რკინის ოქროდ გადაქცევის გზები. წაკითხულ წიგნებში ბევრი საინტერესო მოსაზრება შემხვდა. მხედველობაში მაქვს გამონათქვამები, პასაჟები, ნარკვევები, სტატიები და მრავალფეროვანი ლიტერატურული ზერხების მნიშვნელობები. ბუნებრივია, ამ ყველაფერმა ძალიან ადამიანტერესა.

ჩემი შინაგანი ინტერესი გამოიწვია გამოჩენილი ქართველი შემოქმედლის ოთარ ჭლადის ლექსმა „გაზაფხულის პირველი დღე“. განსაკუთრებით ჩამაფიქრებელი აღმოჩნდა აღნიშნული ლექსის ბოლო სტრიქონები:

„მე კი ვერაფრით ვერ მიპოვნია სიტყვა, რომელიც ახსნის ყველაფერს“.

ვფიქრობ, ეს სტრიქონები სიტყვათა ალქიმიასთანაც არის დაკავშირებული, ასევე ჩვენს ძველ თემასთან – არსებობის უნივერსალურ კოდთან. ალბათ, გამოცდილი ავტორი შემოქმედებითი სწრაფვით ეძებს იმ მაგიურ სიტყვას, ანუ გასაღებს, რაც ყველაფერს ნათელს მოჰფენს, დაფარულ საიდუმლოებას გამოააშკარავებს, ე.ი. ეს სიტყვა შეიძლება ჩაითვალოს ავტორის არსებობის უნივერსალურ კოდად. ისე, რომ ჩვენს მიერ მოკლედ ახსნილი „უნივერსალური კოდი“ შინაგანად მტკიცედ არის გადაჯაჭვული „სიტყვათა ალქიმიასთან“.

\* \* \*

არ მომწონს შეკითხვა სამშობლო გიგვარს თუ არა, ან როგორ გიგვარს. განა შეიძლება შეეკითხო ახალგაზრდა ადამიანს, უცვარს თუ არა დედა, მამა, ძმა, ბებია, ბაბუა. ასევე სამშობლოც. ეს ხომ საუკუნეების მანძილზე დაკანონებული ტრადიციული სიყვარულია, ეს იგივე ცხოვრებაა, შენი არსებობაა, რასაც ვერსად და ვერასოდეს ვერ გაექცევი და არც აპირებ გაქცევას, პირიქით, ბევრს შრომობ არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის, არამედ სამშობლოსთვის.

შეიძლება კითხვა „როგორ გიგვარს შენი სამშობლო“ სხვა ფასეულ თუ ნიშანდობლივ აქცენტებს შეიცავს. სამშობლოს მხოლოდ სიყვარული და ამ სიყვარულის სიტყვეური დეკლარება არ კმარა, მთავარია იბრძოლო მისი წინსვლა-კეთილდღეობისთვის. ამას ვერაფერობით ჩვენ მთელი მას-

შტაბით ვერ ვახერხებთ, მაგრამ დღევანდელი სწავლა, მონღოლება, ნიჭის შრომით განვითარება, წესიერი მოქცევა და პატიოსნება არის იმის ჭეშმარიტი საფუძველი, რომ მეც და ჩემი თაობაც უახლოეს მომავალში ნამდვილ პატრიოტებად ჩამოვყალიბდებით.

\* \* \*

რომელი ადგილი გიყვართ საქართველოში ყველაზე მეტად, – საუბარში მკითხეს. თითქოს პასუხის გაცემა გამიჭირდა კიდევ. მერე ერთის ნაცვლად რამდენიმე მართლა საყვარელი ადგილი ჩამოვთვალე და აქც მინდა გავიმეორო: ბორჯომი, ლიკანი, ბაკურიანი, გულაური, სიღნაღი, თელავი, მანგლისი, წყნეთი წაკისი, რკინის ხეობა, ქვიშხეთი, საჩხერე, ანასეული, გორდი, ცაიში, ჟეშხო, მუშაში, ბათუმი, ქობულეთი, ურეკი და ასე დაუსრულებლად. საქართველოს მცხოვრებლები ამ მხრივ განებივრებულები ვართ, მართლმანებრებულები კი არა, ბედნიერებიც, იმდენი ზღაპრული ადგილი გაგვანჩნია, რომ თავისუფლად გაუწევენ მეტოქეობას თურქეთს, ბულგარეთს, ესპანეთს და ნებისმიერ სხვა ქვეყანას, სადაც დღეს ქართველების გარკვეული ნაწილი ირჩევს დასასვენებელ კურორტს. მართლა დიდებული ადგილების ჩამოთვლისას გონებაში თავისით მოდიოდა უმაღლესი დონის დასასვენებელი ადგილების, უმაღლესი დონის კურორტების პატარაობიდან ნაცნობი სახელწოდებები: ბიჭვინთა, ლიბავა, გავრა, რიწა, ჯაგა... სამწუხაროდ ეს საოცარი ადგილები მშობლების,

ბებიის და ბაბუის მონაყოლის, სატელევიზიო გადაცემების, წიგნების თუ სურათების საშუალებით ვიცი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, შორს არ არის ის დრო, როდესაც საქართველო დაიბრუნებს საუკუნეთა მანძილზე საკუთარ მიწებს და ეს დიდებული ადგილებიც ჩადგებიან ქართველი ხალხის სამსახურში. აი, მაშინ როცა მკითხავენ, რომელი ადგილი გიყვართ ყველაზე მეტად, პასუხიც სრული და ყოვლისმომცველი მექნება.

\* \* \*

ბოლო შემოხედვა, რაც ჩამრჩა მეხსიერებაში, იყო ჩემი ძაღლის საოცარი შემოხედვა გაჩუქების დროს.

ჩემი ცხოვრების მანძილზე ვერ არც ერთხელ არ შემთხვევია ასე ბელადამიანთან დამშვიდობება, მით უმეტეს, ასეთ რამეს ცხოველთან არ ჰქონია ადგილი. იქნება ამიტომაც განსაკუთრებით დამამანსოვრდა ძაღლი, რომელიც ძალიან მიყვარდა. ეს ძაღლი, სახელად ბენი, ორ წელიწადზე მეტი ხნის მანძილზე ჩვენს სახლში იზრდებოდა, ძალიან მიჩვეული ვიყავი, მიყვარდა კიდევ. მისი გაჩუქების პრობლემა დადგა მას შემდეგ, რაც ქვეყანას მოვევლინა ჩემი პატარა ძმა, უსაზღვროდ საყვარელი და ლამაზი ნიკუშა.

უკვე მაშინ, როდესაც ძაღლის წასაყვანად მოვიდა ჩვენი ოჯახის ახლო მეგობარი, ძაღლმა ისეთი სევდიანი, ისეთი თხოვნის გამომხატველი თვალებით შემომხედა, თითქოს მოხლოდა არ გამიმავაო. სამწუხაროდ, ეს ჩემზე აღარ იყო დამოკიდებული.

მთელი დღე ცუდ გუნებაზე ვიყავი, დამითაც ძალიან ცუდად მეძინა, არაფრით არ მცილდებოდა ჩემი საყვარელი ძაღლის დარდით სავსე თვალები.

\* \* \*

თუკი ადამიანი რაიმე განსხვავებულ პირობებში ცხოვრობს, იგი ამ პირობების ტყვეც ხდება და გაზრდის კვალდაკვალ, ანუ შესაბამისად აგრძელებს ცხოვრებას.

ვთქვით, ადამიანი გაიზარდა ტყეში, ველურ, მგლურ გარემოში. მას არ ეცოდინება, რა არის კარგი და რა არის ცუდი, რისი გაკეთების უფლება აქვს და რისი არა, ყოველგვარი ნორმალური მოქცევის ელემენტარული წესები მისთვის მიუწევლობელი იქნება. რაც მთავარია, ამგვარი გამოჩაგვისის წესით გაზრდილი ადამიანს არ ექნება რწმენა, მიზნები, რელიგია, რაც ნებისმიერი ადამიანის ცხოვრების ნორმას წარმოადგენს. რა თქმა უნდა, მას ექნება შინაგანი განცდები, ექნება შეზღუდული აზრები, რაც მანშიშნებს ამ ველურ ადამიანს რა შეიძლება გააკეთოს და რა არა.

ერთი რამეც შეიძლება ითქვას, – ამგვარი ადამიანი იქნება სრულიად თავისუფალი, საქციელში არ ექნება არანაირი სახის შეზღუდვა, მისგან შორს იქნება წესების დამორჩილება, უბრალოდ, იცხოვრებს ისე, როგორც თავისი შინაგანი „მე“ უკარნახებს. ასე კი ცივილურ საზოგადოებაში ცხოვრება შეუძლებელია, ყველა ჩვენთაგანი ერთიანი ქართული ტრადიციული საზოგადოების ნაწილია და ეს ასეა,

„...რადგანაც კაცნი გვქვია, შვილნი სოფლისა“...

\* \* \*

ყველა დროში ადამიანები სხვადასხვა საგნებს სცემდნენ თავყვანს. ასე იყო საქართველოშიც. ძალიან დიდი ხნის წინ ჩვენს ქვეყანაში კერპებად თვლიდნენ ციურ სხეულებს, მაგალითად, შუეს და მთვარეს. ჩემი აზრით, მათ არ ეთავყვანებოდნენ მხოლოდ სარგებლობიდან გამომდინარე, არამედ იმ სიმბოლური დატვირთვისათვის, რაც თუნდაც შუესთან არის დაკავშირებული.

ქართულ ხალხურ პოეზიაში, გნებავთ პროზაშიც, აუცილებლად გვხვდება ღრმა დატვირთვის მქონე პწკარები, სტროფები თუ მთლიანი ნაწარმოებები მზის შესახებ. ხალხი მაცოცხლებელ მნათობს დახმარებას და წყალობას სთხოვს. პოეზიისა თუ პროზის ნიმუშებთან ერთად აღნიშნულ თემაზე აზრები სიმღერებშიც ხშირად არის გამოყენებული, ასევეა გამოყენებული უღამაზეს ორნამენტებად ქალის სამკაულსა და ტანსაცმელზე. ამ მხრივ მკვეთრი ორიგინალობით გამოირჩევა მაღალმთიანი ზღაპრული ხეცსურეთი, სადაც საოცარი ექოსავით ისმის წარმართული მოტივები.

მზის ასეთ პატვიცემას, თავყვანისცემას საკუთარი ფესვები და მიზეზები აქვს. რა თქმა უნდა, მზის უბრწყინვალესი თვისებები ყველასათვის კარგად არის ცნობილი. ჩემი აზრით, მზე არის სიმბოლო სიძლიერის, რაღაც უუნებაისა და ახოვნობის, სასიცოცხ-

ლო ძალისა და ოცნებით წარმოდგენილი უკვდავობის, მარადისობის.

ძველად, განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ადამიანიც კი ნათლად ზედავდა, რომ მზეს შეედლო მოეტანა სიკეთე, სიბო, სიხარული, ზოგჯერ იქნებ განსაცდელიც კი, მზეს ადარებდნენ ყოვლისშემძლე ღმერთს, რაც ერთიანობისა და სიძლიერის სიმბოლოდ იყო წარმოდგენილი, მზის სიმბოლური აღქმა, გამოყენება იმაზეც ნათლად მიგვანიშნებს, რომ ეს ერი, ამ შემთხვევაში ქართველი ერი, ოდითგანვე პატივს სცემდა სამყაროს მანათობელ უდიდეს მნათობს, რაც თავად ერის ნიჭით, სულიერი მონოლითურობით და შინაგანი შემოქმედებითი ძალით არის განპირობებული.

\* \* \*

ძალიან მომეწონა დიდი ბერძენი ფილოსოფოსის სოკრატეს გამონათქვამი, სადაც ის ანვითარებს აზრს, რომ ჯერ უნდა რთულს შეეჭიდო, დაამარცხო, შემდეგ კი სხვა დანარჩენიც გაგაიადვილებდა. დარწმუნებული ვარ, რთულთან შეჭიდებას ძალიან სერიოზული შეჭიდება, ძალების მოკრება და მობილიზება სჭირდება. აუცილებელია ადამიანმა საკუთარ თავში იპოვოს ძალა, მოახდინოს შესაძლებლობათა სრული კონცენტრაცია და ასე შეუდგეს ურთულესი საქმის კეთებას. ყველაფერ ამას დარწმუნებით ვაცხადებ წაკითხულისა და განცდილის საფუძველზე.

ავიღოთ ნებისმიერი დარგი კულტურის, მეცნიერების თუ სპორტის სფეროდან, მაგალითად, ისეთი ვაჟკა-

ცური სპორტი, როგორცაა ალბინიზმი. ჭეშმარიტი მთამსვლელი, ანუ მოწოდებით მთამსვლელი ყოველთვის ცდილობს უმნიშვნელო მწვერვალებს გვერდი აუაროს, ახალი მრისხანე მწვერვალი თუ არა, მწვერვალებზე ასასვლელი ახალი ურთულესი გზა მაინც მოძებნოს. ამით იგი მართლაც რთულს ეჭიდება, აასკეცებს შინაგან ძალებს და რთულთან უშიშარი შეჭიდებით ადასტურებს საკუთარ „მე“-ს, საკუთარი შესაძლებლობების ამოუწურავ საშუალებებს.

დასკვნა ნათელია – ადამიანმა ჯერ საკუთარ თავში უნდა იპოვოს ძალა, გულდაგულ შეეჭიდოს უძნელეს საქმეს, სხვა დანარჩენი კი აუცილებლად გაუადვილებდა, ანუ საკუთარი ცოდნა და გამოცდილება დაეხმარება ცხოვრებაში.

\* \* \*

ხშირად ვლაპარაკობ მომავლის, ზვალინდელი დღის შესახებ. ყველა ფიქრობს, როგორი მომავალი ექნება და ასევე ყველას უნდა საკუთარი მომავალი იყოს კარგი – წინსვლით, სიუსხვით განათებული. თუმცა ისიც ყველამ უნდა შეიგნოს, შეისისხლხორცოს, რომ ეს კარგი მომავალი თავისით არ მოდის. მართალია, ჩვენზე ზრუნავს ქვეყანა, როგორც ამბობენ, თან გვეყვებიან და ყველაფერს აკეთებენ მშობლები, ხშირად თვით შეუძლებელსაც კი, თუმცა ჩვენი პირადი მონდომების, მოთხოვნილების, გნებათ, ბრძოლის გარეშე, იდეალური მომავალი არ იქნება. მართალია, ჯერჯერობით ჩვენ, თხუთმეტ-თექვსმეტი წლისანებს ბევრი არაფ-

რის გაკეთება არ შეგვიძლია, მაგრამ რაც შეგვიძლია და რაც გვევალება ის მაინც მთელი მონდომებით უნდა ვაკეთოთ – მაღალ დონეზე ავითვისოთ თანამედროვე მეცნიერების, კულტურის, ტექნიკის მიღწევები, ვიყოთ ჯანსაღები, მტკიცენი – მომავალი ცხოვრების სირთულეებთან უკეთ გამკლავების მიზნით, ვიყოთ ახლობლების, მეგობრების, ჩვენი ერთადერთი სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარულები, ერთგულები, ვეშხადით ქვეყნის კეთილდღეობისა და სიძლიერის კიდევ უფრო განსამტკიცებლად. ჩვენთვის, პატარა ქვეყნის შვილებისთვის, მთავარია ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფოს მომავალი. აი, აქ კი ყველას გვინდა, ქვეყანა იყოს მთლიანი, სუვერენული, დემოკრატიული, ძლიერი, სახელოვანი, ისტორიული დანიშნულების კიდევ უფრო ამაძლიერებელი.

მომავალი ღიღია, ზოგადიც, აბსტრაქტულიც, ის თავისთავად არ მოდის, არც არაფერს ნიშნავს. მთავარია ყველამ მივიღოთ მონაწილეობა საკუთარი მომავლისა და საკუთარი ქვეყნის მომავლის შენებაში. ეს ერთ-ერთი უპირველესი საქმეა, რისთვისაც ყველა უნდა ვიყოთ მზად – დიდიცა და პატარაც.

\* \* \*

სიკვდილი ორნაირი არსებობს. ადამიანი შეიძლება გარდაიცვალოს სულიერად ან ფიზიკურად. ალბათ, ამ გამონათქვამში ნაგულისხმევია ის, რომ ვაჟკაცი ადამიანი მხოლოდ ერთხელ ვაჟკაცურად იღუპება, ეწირება რაიმე დიდ, ფასეულ მიზანს, რაც უკვდავებაში გადასვლის ტოლფასად აღიქმება. მშიშარა და ლაჩარი ადამიანი კი ცხოვრებაში ბევრჯერ კვდება, რაც მართლა ამ სამიწიანი ცნების – სიკვდილის ტოლფასია. ვაჟკაცი ადამიანის თვალთ დასახული ეს ცხოვრებისეული დღეუბა სრულიად გამართლებული ჩანს საკუთარი სამშობლოს სიკეთისთვის თავდადებული ბრძოლით. მშიშარას კი ამ აქსიომის გაგება უჭირს და საკუთარ ნაჭუჭში უფრო და უფრო ღრმად იკეტება, მას სულიერი სიკვდილი არარად მიაჩნია, თავზე ლაფის დასხმასაც ეჩვევა. ვაჟკაცი კაცი, ანუ როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა – კაცური კაცი – ცხოვრებაში არასოდეს ისეთ დანაშაულს ან შეცდომას არ ჩაიდენს, რომ გამოიწვიოს მისი სულიერი კვლევა, რაც ფიზიკურზე გაცილებით უარესია.

ილია ჭავჭავაძის მიერ თაობებისათვის ნაანდერძების თანახმად მთავარია იცხოვრო ისე, რომ „თქვან აღასრულა მან თვისი ვაღი“.

### წინასიტყვაობა

ამგვარ ფაქტს სასწაულსა და აღმოჩენას ვერ ვუწოდებთ, თუმცა საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ თანამშრომლებისათვის, სადაც სერგო ყურაშვილმა ჩვენს გვერდით მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების 25 წელიწადი გაატარა, ნამდვილად დიდი მნიშვნელობის ფაქტია. ასეთი საოცარი ფაქტი ორჯერ მოხდა, მისი მოულოდნელი გარდაცვალებიდან ხუთი წლის შემდეგ კარადაში მოთავსებული არქივის დალაგებისას აღმოჩნდა „სანკტ-პეტერბურგული დღიურები“, ახლა კი შეიძლება წლის გასვლის შემდეგ ძველი დოკუმენტების ძებნისას კიდევ უფრო მაღალ დონეზე დაწერილი დღიურიც ვიპოვეთ. ჩვენ ეს აჩქარებულ ხელთ ნაწერი, საკმაოდ დაჯღაბნილი და ძნელად გასაგები დღიურის ფურცლები გამოვწერეთ, თითქმის არაფერი არ შეგვიცვლია, არც მივვიმატებია და არც დაგვიკლია, რომ ავტორის ჩანაფიქრისა თუ მისეული სურვილებით-სათვის ჯეროვანი პატივი გვეცა და ტექსტი ისე წარმოგვედგინა, როგორც მას ჰქონდა გათვალისწინებული. ჟურნალ „სიტყვის“ მორიგ ნომერში ვბეჭდავთ ამ გულწრფელ დღიურებს, რითიც კიდევ და კიდევ პატივისცემას გამოვხატავთ დაუვიწყარი მეგობრისა და თანამშრომლის ნათელი ხსოვნისადმი.

*სარედაქციო კოლეგია*

### მოლდოვური შთაბეჭდილებები

*/მოლდოვა, კიშინიოვი/*

ამ ცოტა ხნის წინ დავწერე სანკტ-პეტერბურგში ჩემი მარტოდმართო მოგზაურობისა და იქ ნანახის შესახებ. მწერალი რომ არ ვარ ძალიან კარგად ვიცი, მაგრამ ეტყობა ვველა ადამიანს აქვს სურვილი საკუთარი ცხოვრება თუნდაც ნაწილობრივ, გაჭირვებით, დოკუმენტურად ასახოს და საზოგადოებისათვის კი არა მხოლოდ, არამედ საკუთარი ტკბილი თუ მწარე

დღეების გასახსენებლად შემოინახოს. საერთოდ წერა ძალიან მიყვარს, ჩემი საწერი ძირითადად არამზატერულია, მწერლობის ნიჭზეც პრეტენზია არასოდეს მქონია, უფრო დოკუმენტების წერას ვარ შეჩვეული და მიყვარს კიდევ, ახლა დღიურების წერის სურვილმაც მომიარა.

მაშინ სანკტ-პეტერბურგის საზოგადოება „ზნანიუს“ 50 წლ-



*კიშინიოვი, ივანჩე. ოქტომბერი, 1996 წ. მარცხნიდან მარჯვნივ: სერგო ყურაშვილი, აკადემიკოსი ნიკოლოზ გოლოვკო, ნუგზარ წერეთელი*

ისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაში ჩემი მონაწილეობის თუ უბრალოდ შთაბეჭდილებების ამბები დღეების მიხედვით აღვწერე, ახლა კი, ვინაიდან მარტო აღარ მივდივარ, გადავწყვიტე ერთი მთლიანი მოგონების ანუ დღიურის სახით დავწერო, რადგანაც კიშინიოვში თავისუფალი დროის უქონლობის გამო ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი გასახსენებელი მომენტების ჩაჯღაბნა თუ მოვახერხე ესეც დიდი ამბავია.

საქმე იქიდან დაიწყო, რომ ოც სექტემბერს მოვიდა სპეციალური დეპეშა, სადაც საერთაშორისო ასოციაცია „ზნანიუს“ პრეზიდენტის სახელით

გვატყობინებდნენ— 2 ოქტომბრიდან 10 ოქტომბრამდე მოლდოვის რესპუბლიკის ქალაქ კიშინიოვში იმართებოდა საერთაშორისო ასოციაცია „ზნანიუს“ VI კონგრესი. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულები იყვნენ საქართველოს საერთაშორისო „საზოგადოება ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარე და თავმჯდომარის პირველი მოადგილე, დაბეჯითებით და მეგობრული ტონით გვთხოვდნენ უარი არ გვეთქვა მონაწილეობაზე. ნუგზარი და მე კარგა ხანს ვფიქრობდით წავსულიყავით თუ არა, ბოლოს იმან დაგვძლია, რომ შორეული მოლდავეთი ანუ რესპუბლიკა

მოლდოვა არცერთს არ გვენახა და შეიძლება ასეთი საშუალება მეტი არც მოგვეცემოდა. ისიც მინდა დაემატოს, რომ ჩვენს საუბრებს ესწრებოდნენ ნოდარ ცხვირავაშვილი, ალექო ჭვია და ტარიელ სტურუა, ისინიც გვირჩევედნენ წავსულიყავით, ურთიერთობა არ გაგვეშვავებინა, გაგვეყო რა იყო ახალი, რა შეიძლება მომხდარიყო ან გაკეთებულიყო მომავალში, თან ჩვენი ორგანიზაციისთვის სასარგებლობის მომტანი.

ტელეფონით მოლაპარაკების თანახმად ორი დღით ადრე უნდა ჩავსულიყავით მოსკოვში. ავიღეთ ბილიეთები და 30 სექტემბერს ადრიანი დღით გაეფრინდით, ნორმალურად ჩავედით ადგილზე, იქ დაგვხვდა უზარმაზარი შავი „ჯიპი“ და გაგვაქანა ქალაქისაკენ. გზაში ასოციაცია „ზნანიეს“ თანამშრომელმა ალექსანდრ ნიკოლაივიჩ კიტაევმა გვითხრა პირდაპირ უნდა წაგიყვანოთ „პოდმოსკოვიეს“ ცნობილ კურორტ ბოლშევეოშიო, მაგრამ ნუგაზარს საქმე აქვს ზურაბ წერეთელთან, ამიტომაც გადაწყვიტა ერთი დღე როგორმე დავრჩენილიყავით მოსკოვში, დღის პირველ საათზე უკვე ჩვენი საელჩოს სასტუმროში მოწყობილებიც ვიყავით, მერე ნუგაზარმა დაურეკა ზურაბ წერეთელს, უთხრეს არ არის, ალბათ, შუადღისთვის სადილად მოვაო. ჩვენც ამოვალავით წადებული საგზალი, მე გავეარდი ძალიან ახლოს მდებარე გასტრონომში და რამდენიმე ბოთლი ლუდი ვიყიდე. კარ-

გად ვისაუბრეთ, მე ცოტა არაფიც მივაყვალე ლუდს, ნუგაზარი ამჯერად ერთ წვეთ ალკოჰოლსაც არ სვამს, ექიმებისგან რაღაც ძლიერი წამლები აქვს დანიშნული, რასაც მხოლოდ ნოემბრის პირველ რიცხვებში ამთავრებს, ამიტომ მეც დაბეჯითებით მირჩევს არ დავლიო, თუმცა მე თავს ვერ ვიკავებ.

ალბათ საათი თუ იქნებოდა გასული, რომ ტელეფონმაც დარეკა. ზურაბ წერეთელი რეკავდა, კარგა ხანს ილაპარაკეს მეგობრულად და ნათესაურად, რაც მთავარია, დიდი სიყვარულით. ნუგაზარმა უთხრა ჩვენ მოლდავეთში ექვსი დღე ვიქნებით და როცა ჩამოვალჯობია მაშინ შევხვდეთო. თურმე ზურაბ წერეთელი ზუსტად დღეს ხუთ საათზე გადაუღებელი საქმის გამო ორი-სამი დღით მიფრინავდა სანკტ-პეტერბურგში, სადაც მისი მორიგი ქანდაკების ჩამოსხმა იწყებოდა.

ნახევარი თუ ერთი საათის მერე კიდევ დარეკა ტელეფონმა, ბოლშევეოდან გვირეკავდა ასოციაცია „ზნანიეს“ პრეზიდენტის თანამემწე, დიდი თხოვნაა სასწრაფოდ ჩამოსვიდეთ, ყველანი აქ ვიკრიბებით და ორ ოქტომბერს გვიანი დამით უნდა გაეფრინდეთ კიშინიოვშიო. მოვილაპარაკეთ საღამოს შვიდ საათზე გამოგვიგზავნიდნენ მანქანას და წავგიყვანდნენ ბოლშევეოში. თითქმის სამი საათი დრო გვქონდა, გავიარეთ ჩვენი საელჩოს სასტუმროსთან ძალიან ახლოს მდებარე ძველ არბატზე. უკვე სიცივეები იწყებოდა, განსაკუთრებით დღის მეორე ნახევარში იგრძობოდა

აცივება, ნუგაზარს თეთრი ფერის დათბილული ლაბადა ეცვა, მე კი მეცვა პეტიკოსაგან ნათხოვარი ქურთუკი. ეჰ, წუწუნი და თავის შეცოდება რისი მომტანია, მაგრამ ფაქტს თუ არსებულ მომენტს სად გაექცევი, ამ ბოლო ხანებში მატერიალურად ძალიან მიჭირს, სამსახურში მიღებული ჩემი ხელფასი ოჯახში ერთ კვირასაც არ გვეყოფნის, ლეილა რომ არ მშველოდეს და მისი მართლა დაძმური იმედი რომ არ მქონდეს, არ ვიცი როგორ წავიდოდა ჩემი საქმე. ჩვენს მიერ საზოგადოება „ცოდნასთან“ დიდი წვალებითა და თხოვნით დაარსებული სამედიცინო ინსტიტუტი, რომლის დამარსებლებიც ვართ მე, დავით გეგეშიძე და ნოდარ ბაქრაძე, უკვე მაგრად და სრული სვლით ამუშავდა. მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტის დაარსებაში ჩემი წვლილი ძალიან დიდია, წესდების მიხედვით ფაქტობრივად ჩვენს მიერ რექტორად დანიშნული ნოდარ ბაქრაძე, თანაც ჩემი ალალი მამიდაშვილი, დივიდენდს კი არა, ისეთ უმნიშვნელო ხელფასს მაძლევს, ჩემს ოჯახს ორი-სამი დღე თუ ეყოფა. ჩემს მიერ უზარმაზარი წვალებით დაფუძნებულ ინსტიტუტში ქალები უფრო კარგად გრძნობენ თავს, მართვის სადავეებსაც კი ხელთ იგდებენ. მე, ვინაც უამრავი ვიწვალე განათლების სამინისტროში, ვინაც ნუგაზარ წერეთელს ასჯერ ვთხოვე და ვევედრე „ცოდნის“ შენობაში შემოვიყვანო ახლადდარსებული სამედიცინო ინსტიტუტი, გერისა და მთხ-

ვენელის როლში გამოვდივარ. მალე პეტიკო დაამთავრებს კარლო ცქიტიშვილის დაარსებული ინსტიტუტის იურიდიულ ფაკულტეტს, დარწმუნებული ვარ იქ ძალიან დაბალი დონის განათლებას მიიღებს ლექციების ისეთი პირი უჩანს, თანაც ძალიან დაბალი დონის ლექტორები უნდა ასწავლიდნენ, ამიტომაც სულ ფიქრში ვარ სად მოვაწყო, ვინ დამენმარება, ვინ მიშველის, ფიქრისაგან თავი მტკიავა, მტკიავა კი არა, მისკდება, რა მოუხერხო პეტიკოს მომავალს, თამრიკო ყონაღია, მომზადებული, მისი წინსვლის იმედი უფრო მაქვს, ვიდრე პეტიკოსი, პეტიკო ჯერ კიდევ ბავშვად დარჩა, გამოუცდელ, უსაქმურ, ლეილასა და ჩემს მიერ განებივრებულ ბიჭად.

შვიდი საათიც მალე მოვიდა, ჩავსხედით მანქანაში და გავეგზავრეთ ბოლშევეოსაკენ. სულ რაღაც 35-40 წუთში ადგილზე ვიყავით, იქ მივედიტო მშვიდობის პროსპექტის, „ვინჩ“-ასა და შემდეგ ფართო მაგისტრალის გავლით. უკვე დამე იყო, თუმცა ლამპონების შუქზეც გავარჩიეთ მშვენიერი ორსართულიანი კოტეჯები, მაღალი რკინის ჭიშკარი, გალავანი, დარაჯების შედარებით პატარა შენობა, კინოთეატრი და საკმაოდ დიდი სასადილო. თბილ, გახურებულ ოთახში ბარგი დავუეთ თუ არა, საგანშიც გაგვაქანეს. ისიც მინდა ვთქვა, შესანიშნავად გაგვიმასპინძლდნენ. შემდეგ კონგრესის ყველა მონაწილეს შეხვედრა გვქონდა საერთაშორისო ასოციაცია „ზნანიეს“

პრეზიდენტ ევიმ მიხეილის ძე მალიტიკოვთან. ეს ჩვენთან შედარებით ახალგაზრდა კაცი ძალიან მდიდარია, თანამედროვე რუსი მილიონერი თუ მილიარდერია, ბევრი მდიდარი ადამიანის მსგავსად პროფესიონაზი გაკეთებული აქვს და აკადემიკოსობაც. ადრე საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც ყოფილა ათლეტში, ძალიან ნაჯარჯიშები ტანი და ბეჭები აქვს, რომ შეეხედავ ორი ჩემსხელა მგონია. ახლაც მოსკოვის ბინაში რემონტის გამო აქ ბოლშევეოში მთელი კოტეჯი დაუქირავებია ორი სართულით, შვიდი-რვა ოთახით და ცხოვრობს მხოლოდ მეუღლე ლარისა ანდრეევასთან ერთად, რადგან ბავშვები არ ჰყავთ. თვეში დაქირავების თანხა ერთ მილიონზე გაცილებით მეტს შეადგენს თურმე. ისე ძალიან კარგი ადამიანია, ყურადღებიანი, თბილი და მოსიყვარულე. საათზე მეტი ვილაპარაკეთ, გეგმები დავალაგეთ, მერე საამოვნებით ვისეირნეთ ცივ სუფთა ჰაერზე და წავედით დასაძინებლად. ნუგზარი და მე მალიტიკოვის კორპუსის პირდაპირ პირველი სართულის ვრცელ, ნათელ და მეტისმეტად თბილ ოთახში ვიწეკეთ, ვისხენედით თბილისში, ჩვენს სახლებში დასადგურებულ სიცივეს და გული გვწყდებოდა, რომ ჩვენს შვილებს ცუდ და არაადამიანურ პირობებში უხდებოდა ცხოვრება, ძალიან ბევრი რამ აკლიათ.

დილით დროზე გავიღვიძეთ, ყველაფერი რომ თავი გავანებოთ, ცხრიდან ათ საათამდე საუზმეა, გაცდენა

ყოველად შეუძლებელია, ღამით ახლო-მახლო არაფერი არ ჩანდა არც ხეებისა და ტყეების გარდა, თან არც ფული გვაქვს სადმე „პოდმოსკოვიეს“ მდიდარ რესტორნებს ვეწვიოთ და საკუთარ თავს ვცეთ პატივი.

დიდი ეზო, სადაც დაახლოებით ოცდაათამდის კოტეჯი დგას, საკუთარი მოასფალტებული გზებითა და სარბენი ბილიკებით, ფრენბურთის, კალათბურთის მოედნებით, ძალიან ღამაზი, კეთილმოწყობილი აღმოჩნდა, ნაძვის, ფიჭვის, არყის ხეებით უხვად დაფარული, სუფთა, მიმზიდველი. როგორც გავარკვიეთ, ადრე ბოლშევეო პარტიის ცენტრალური კომიტეტის, დაუბრუნებლად დაშლილი ე.წ. „კპსის-ის“ თანამშრომლების ერთ-ერთი დასასვენებელი ადგილი ყოფილა, „კპსელები“ კი თავისთვის ყველაზე საუკეთესო ადგილებს ირჩევდნენ, ყოველგვარი გასართობი ეზოში ჰქონდათ მოწყობილი, რომ რამეზე არ შეწუხებულყვნენ. მეორე დღეს ვისეირნეთ და ახლო-მახლო მიდამოც საფუძვლიანად დავათვალიერეთ. დიდებული სასახლეები აქვთ აგებული ახალ რუსებს, როცა გაიხსენებ წყნეთს, კიკეთს, მანგლისს და მით უმეტეს ჩვენ საავარაო სახლებს ასურეთთან, თავი საცოდავად გეჩვენება. როგორც ჩანს, რუსები ძალიან მდიდრდებიან, ნავით, ვაზით, ბუნხანით ათასობით რუსი ჯიბეებს სათავისოდ მაგრად ისქელებს. საღამოს პირდაპირ რეისით უნდა გავფრენილიყავით მოლდავეთში, აერობორტიდან სპეციალ-

ურად გაგზავნილი თანამშრომელი რეკავს და რეკავს ფრენა არ არისო. ისიც კი მოხდა, რომ ოცზე მეტი ადამიანი ჩავსხედით მანქანებში და ნახევარი საათის შემდეგ მოსკოვის შემოვლით გზაზე მალიტიკოვს აცნობეს ფრენა კვლავ გადაიდო და უკან დაბრუნდით. მხოლოდ დამის I საათისათვის გამოაცხადეს საფრენი ამინდის გაუმჯობესება. ჩვენც გავქანდით ვნუკოვოში. „ბონიგა- 747“ როგორც იქნა 2 საათზე გაფრინდა. მგონი საათზე მეტი ფრენის შემდეგ გადავუარეთ კიევის, დამეში ძალიან ღამაზად ჩანდა გაჩირადნებული დიდი ქალაქი. ხუთისნახევრისთვის ჩვენი თვითმფრინავი დაეშვა კიშინიოვის აერობორტში, დაგვხვდნენ მოლდავეთის საზოგადოება „ზნანიუს“ თავმჯდომარე, მოლდოვის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი სერგეი რადაუცანი, ძალიან სასიამოვნო, კომუნისტური კაცი, თავმჯდომარის პირველი მოადგილე პეტრე დონციო, ორი-სამი წარმომადგენელი მთავრობიდან და კომინიოვის მერიიდან. ურიგოდ გავიყვანეს მთავრობის გასასვლელის მხარეს, ჩაგვსხეს „მერსედის“ მარკის კომპორტულ ავტობუსში და ძალიან მაღე უკვე დამის კიშინოვს გავცქეროდით. როგორც ავციხნენ, კონგრესი კიშინიოვიდან ნახევარი საათის სავალზე საკურორტო ადგილ ივანჩეში ტარდებოდა. ძლივს მივალწიეთ ჩვენთვის გამოყოფილ ადგილს. ჯერ კიდევ არ იყო გათენებული, ძალიან დავივალეთ, მოგვივდა კიდევ. კიდევ

კარგი სასტუმროშივე დავგაჩხვედრეს ცხელი ყავა, ჩაი, ლუდი, არაყი, ბუტერისიც კი მოხდა, რომ ოცზე მეტი ადამიანი ჩავსხედით მანქანებში და ნახევარი საათის შემდეგ მოსკოვის შემოვლით გზაზე მალიტიკოვს აცნობეს ფრენა კვლავ გადაიდო და უკან დაბრუნდით. მხოლოდ დამის I საათისათვის გამოაცხადეს საფრენი ამინდის გაუმჯობესება. ჩვენც გავქანდით ვნუკოვოში. „ბონიგა- 747“ როგორც იქნა 2 საათზე გაფრინდა. მგონი საათზე მეტი ფრენის შემდეგ გადავუარეთ კიევის, დამეში ძალიან ღამაზად ჩანდა გაჩირადნებული დიდი ქალაქი. ხუთისნახევრისთვის ჩვენი თვითმფრინავი დაეშვა კიშინიოვის აერობორტში, დაგვხვდნენ მოლდავეთის საზოგადოება „ზნანიუს“ თავმჯდომარე, მოლდოვის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი სერგეი რადაუცანი, ძალიან სასიამოვნო, კომუნისტური კაცი, თავმჯდომარის პირველი მოადგილე პეტრე დონციო, ორი-სამი წარმომადგენელი მთავრობიდან და კომინიოვის მერიიდან. ურიგოდ გავიყვანეს მთავრობის გასასვლელის მხარეს, ჩაგვსხეს „მერსედის“ მარკის კომპორტულ ავტობუსში და ძალიან მაღე უკვე დამის კიშინიოვს გავცქეროდით. როგორც ავციხნენ, კონგრესი კიშინიოვიდან ნახევარი საათის სავალზე საკურორტო ადგილ ივანჩეში ტარდებოდა. ძლივს მივალწიეთ ჩვენთვის გამოყოფილ ადგილს. ჯერ კიდევ არ იყო გათენებული, ძალიან დავივალეთ, მოგვივდა კიდევ. კიდევ

კონგრესის მონაწილეებს. ასოციაცია „ზნანიუს“ მომავალ ანუ ამ კონგრესზე გამგეობაში ასარჩევად კანდიდატებში გათვალისწინებულია ის ხუთი აკადემიკოსი, ვინც კონგრესზე საპატიო სტუმრებად არიან მოწვეულები, მათ შორისაა ყოფილი და დაუბრუნებლად დანგრეული საბჭოთა კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ჯერმენ გვიშანი, იმავე საბჭოთა კავშირის ყოფილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის აკოსიგინის სიმე, საშუალო ტანის, სიმპათიური, ძალიან კარგი ინტელიგენტური შესახედაობის კაცი. აქვე მინდა ვთქვა, მაინც რა არის სისხლი, როცა გაიგო, რომ ჩვენ ქართველები ვიყავით, გვერდიდან აღარ მოგვცილებია, 5–6 დღე სულ ერთად ვიყავით, სასადილოშიც ჩვენს მაგიდასთან იჯდა. მეგობრული საუბრებისას ძალიან ბევრი რამე მოგვიყვა ყოფილი პრემიერისა თუ ოჯახის შესახებ. ქართული უკვე საერთოდ აღარ იცის, ამის გამო სინანულს გამოთქვამს, ისიც კი გაგვიზივია, რომ მისი შვილები რუსებზე ჩაწერილან, საკუთარი გვარიც კი შეუცვლიათ. ეჰ, სამწუხაროდ ასეა. ბევრი ქართველი იცვლის გვარს რუსეთში, ამერიკასა თუ ევროპის ქვეყნებში და ისედაც პატარა საქართველო დღითიდღე და მეთოდურად კარგავს საკუთარ შვილებს. ბატონმა ჯერმენმა გვიხარა, ჯანმრთელობა ცოტათი მაინც გამომისწორდება თუ არა, აუცი-

ლებლად მინდა ჩამოვიდე საქართველოში და ოდესღაც ჩემი მშობლიური კუთხე სვანეთიც მოვიწახულო, მე ჩვეულებისამებრ მაგრად გავიქაჩე და შევთავაზე ჩემი მანქანით წასულიყო სვანეთში. მერე როცა დაფიქრდი რამდენი ბენზინი დაგვჭირდება საქართველოს ნახევრისა და სვანეთის მოსანახულებლად, ცოტა თითქმის ვინანე კიდევ, თუმცა მართლა რომ ჩამოვიდეს, დარწმუნებული ვარ ლეილა და ნუგზარი ამომიღებინა მხარში, სხვისი იმედი ნაკლებად მაქვს, ნოდარ ბაქრაძეს, გურამ გურგენიძეს, მიშა პაპელაშვილს, ბაბუშის და ზოგიერთი მილიონი რომ ჰქონდეთ, მხოლოდ საკუთარ სიკეთეზე, ანუ საკუთარ თავზე ფიქრობენ, განსაკუთრებით პაპელაშვილი, რომ ვიჭირდეს ორ მანეთს არ მოგცემს, ლაპარაკით კი ბევრს ილაპარაკებს მივეციო.

ჩვენი კონგრესი ძალიან კარგ ატმოსფეროში ჩატარდა, თუმცა რუსის სისხლის მქონე სვეტლანა ტრუში, რაისა ჟაგინა, დინა კოლმოგოროვა და ზოგიერთი სხვა, გამოსვლების დროს მეტი სმეტად ემლიქვნელებიან უფროსებს, აქებენ, აცხადებენ საქმიანობაში ძალიან გვიწყობენ ხელსო, როცა ფაქტობრივად უკვე არავითარი დახმარება აღარ არის ერთად სმისა და ერთობლივად წარმოთქმული სადღეგრძელოების გარდა, ყველა ის არანორმალური სოციალისტურ-კომუნისტური დახმარებები დრომ თან წაიღო, ახლა სოციალისტურ ყოფას კაპიტალის-

ტური ცვლის, სულ სხვა ურთიერთობები მყარდება, თუ არ დაიმსახურე და თუ ეს დამსახურება დამხმარებელს არ აწყობს, ქაღალდის ორ–სამ ყვითელ ფურცელსაც ვერ მიიღებ.

ჩვენ კონგრესს დაესწრნენ სტუმრად მოსულები. საკმაოდ ვრცელი მოხსენებებით გამოვიდნენ ქალაქ კომინიოვის მერი, ახალგაზრდა შავტუხა კაცი სერაფიმ ურეკიანი და პრეზიდენტის აპარატის უფროსი ვლადიმერ კობკალო. მეორე დღეს მერიაში მიგვიპატიჟეს, სამკერდე ნიშნები გვაჩუქეს და კარგა მაგარადც გავვიმასპინძლდნენ. ივანე კი სხდომის შემდეგ სამჯერ ვიყავით კომინიოვში, ფეხით დავიარეთ საკმაოდ ლამაზი ცენტრი ცისფრად შეღებილი შენობებით, ცენტრალურ ბაზარშიც ვიყავით. კომინიოვშივე მოლდოვის მეცნიერებათა აკადემიაში თბილი, საინტერესო შეხვედრის შემდეგ ვიყავით ძალიან მაღალი ღონის კონცერტზე, იქვე დაწყების წინ წარგვადგინეს და სერგეი რადაუცანის საშუალებით ყველამ გავიცანით რესპუბლიკა მოლდოვის პრეზიდენტი. ამ კონცერტის შემდეგ ვახშმად მიგვიპატიჟეს საღვაც ახლომასლო მდეგბარე ფეშენებელურ რესტორანში, სადაც გვიან ღამემდე ძალიან კარგად ვიქვიფეთ, ყველა მაგრად სეაქდა, ნუგზარ წერეთლის გარდა. გვიანი ღამით დაბრუნდით უკვე ჩვენს ივანეში.

მეორე დღეს ვრცელი მოხსენებით გამოვიდა სამი აკადემიკოსი, ჩვენებმა კი, უფრო მეტად მეტიარა, გატლე-

კილმა რუსმა ქალებმა შეკითხვებით აავსეს მომხსენებლები, თითქოს რამე აინტერესებდეთ, ისე ჭამა–სმისა და მათთვის სისხლზორცვეულად ქცეული სექსის გადა არაფერი არ აინტერესებთ. ამდენ უსაგნო საუბარსა და შეკითხვებს მე იმით ვხსნი, რომ საუზმის, სადილისა თუ ვახშმის დროს ყველა მაგიდაზე გრაფინით დგას სქელი შავი მოლდაური ღვინო, სასმელს და მით უმეტეს შავ ღვინოს დანატრებული ეს ძვირფასი ქალბატონები მუქთა ღვინოს დიდი მონღოლებით სვაძენ, მერე კი ლაპარაკად არიან ქცეულები, საერთოდ ღვინისა და არყისადმი თავშეუკავებელი სიყვარული რუსებში ძალიან მკვეთრად არის გამოხატული, იშვიათად შემხვედრია გინდ დიდი თანამდებობის პირი, გინდ ინტელიგენტი, გინდ მუშა, რომ სასმელზე უარი ეთქვას და მერე თავზე არ დაეკარგოს. ნუგზარისაგან ვიცი და მეც ვარ მოწე, როგორ შეჰქონდა ხოლმე სხვებთან ერთად რამდენიმე ბოთლი ღვინო და არაყი ყოფილი საბჭოთა კავშირის მქუხარე უშიშროების ყოფილ მინისტრ სემიჩასტინისთან, მაშინ უკვე „ზნანიუს“ თავმჯდომარის მოადგილესთან და ისიც როგორ დაუბრკოლებლად იღებდა ამ მცირე ძღვენს, რაზედაც ქართველმა შეიძლება უარიც გითხრას და თუ საჭირო გახდა, თავპირიც დაგაეწეოს. საერთოდ რუსს ღვინო–არყიანი ბოთლის დანახვაზე უარის თქმა არაფრით არ შეუძლია, მე მგინი ეს ვითარება მაგათი ეროვნული უბედურების



ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია. ამ ენაგატლექილ რუს დედაკაცებს გაცილებით სჯობდა ჩვენი კოლეგა ლატვიდან რეინა იოკსტე, ის გაცილებით თავდაჭერილი, წესიერი და კულტურულია, რუსებთან დიდ საერთოს ვერ პოულობს და სულ ცდილობს ჩვენთან ერთად იაროს, ნუგზარი ძალიან უყვარს, ლაპარაკში მითხრა ნუგზარ წერეთელი თავისი კაცობრით სულ მირჩვენია ამ ოც რუსსო, სურათებსაც ჩვენთან ერთად იღებდა, თუმც იშვიათი იყო რომელიმე რუსს არ შემოეყო თავი, ისე ამათშიც არის ზოგიერთი დინჯი, წესიერი კაცი, ასეთია ბელორუსიის საზოგადოება „ზნანიეს“ პირველი მოადგილე პროფესორი კონსტანტინე უკრანცი, ისიც ცდილობს სულ ჩვენთან იყოს.

საღამოს ივანჩეს პატარა მწვანე სტადიონის ერთი ნაგებობის წინ აქაურებმა პურმარული გაგვიმართეს. ერთი ორმოცდაათი კაცი მაინც შეიკრიბა, მე როგორც ქართველმა, თამალობა ვიგდე ხელთ და ქლიან-კაციანა ფეხლას ვასვი, მეც სასტიკად დავეთერი, ხან კონიაკს ვსვაძლი, ხან არაყს, ხან ღვინოს, საჭმელიც გემრიელი იყო. როცა ძალიან გავახურე, ნუგზარი გაბრაზდა და დასაძინებლად წავიდა 12 საათზე, მე კი ღამის 3 საათზე გააობილი მთვრალი ანთებული სივარტით შევედი ჩვენს ოთახში, რაზეც კარგი შენიშვნა და ჩვეული ჭკუის დარიგება დავიმსახურე. დილით არ ვიყავი კარგად და გადავწყვიტე სმას ძალიან დავუკლო,

თან არაყ-კონიაკისას, ღვინოს კიდევ აიტანს კაცი. მერე კონგრესის სხდომების დროს ნუგზარ წერეთელს ჩემზე სახუმარო ლექსი დაეწერა, ხშირად წერს ხოლმე ვიღაც ტიპებზე, რაზეც მერე მაგრად ვიცინეო.

მაგალითად, ჩემს მიერ დღიურებში გადმოწერილი ნუგზარის ექსპრომტი ლექსებიდან ძალიან მომეწონა ლექსი კიშინიოვის ახალგაზრდა მერის ურეკიანისა და სომხეთის საზოგადოება „ზნანიეს“ თავმჯდომარის, აქ კი ვიცე-პრეზიდენტ ლორის ხანატუროვიჩ კალაშინისადმი, რომლებიც ჩვენთან წაკითხული ლექციის მერე ცალკე ტკბილად, მამაშვილურად მუსაიფობდნენ, თითქოს ერთმანეთს სიყვარულს ეფიცებოდნენ. ლექსს „სერეჟიკა“ ჰქვია, როგორც თურმე შინაურები მიმართავენ ახალგაზრდა კაცს: „ არც მოლდავეთში ყოფილა ვინმე ბოლომდის ჭკვიანი, მერის ამალით მოფრინდა სერეჟიკა ურეკიანი. დღეს უწოდებენ სერაფიმს, როგორც მლიქნელთა ნიჭია, ვერც კი ვიჯერებ ვერაფრით, რომ ეს ლორისას ბიჭია. აბოლებს „ფილიპპორისსაც“, გზებს დოლარებით მორთავენ, სერეჟიკასაც და ლორისსაც გზები გახსნიათ ორთავეს“. ლექსი, როგორც ასეთი სალალობებს შეჰყვრით, გინებებიც კარგა ბლომად იყო, რაც ცოტა შევარბილე, რისთვისაც დიდ ბოდიშს ვიხდი. სასაცილო და შინაარსობრივად სწორი ლექსი იყო ჯერმენ გეიშანიზეც. მოლდავეური ატმოსფეროს აღდგენის მიზნით კონგრესის მსე-

ლელობისას ეს ლექსიც გადმოვიწერე /სხვებაც შენახული მაქვს/ და აქაც მინდა მოვიტანო, ლექსს ასეც ჰქვია – „ლექსი ჯერმენზე“: „ქართლში როცა აყვავდება ტყემლები და ჭერმები, ჩვენთან უნდა მოვიწვიოთ რუს-ქართველი ჯერმენი. ძალზე ცოტა რომ შემორჩა ქართველობის, სვანობის, თუშცა ერთი ხმის დაკარგვას ჩვენთვის ჩუმად ვნაობდით. მაშინ შეცდა კოსიგინას როს კოცინისა უსუნა და შვილებიც ჩაეწერენ ქართულიდან რუსულად. ახლა ნატრობს ქართველობას, როცა რუსებს დაყვება, რა ქონებაც დააგროვა გვიმაღავს და არ ყვება. კოსიგინის სიძეობა კარგად გამოიყენა, ახლა დგას და ჭიჭიკოზე ანეგლოტებს გვიყვება. თუშცა მაინც ყვავილობს ტყემლების და ჭერმების, თბილისს უნდა მოვიწვიოთ ქართველყოფილ ჯერმენი“. ერთი პატარა სახუმარო ლექსი „ზნანიეს“ პრეზიდენტის თანაშემწეს, საკმაოდ კარგ შესახედავ გოგოს ტატანა კოტრიახოვასაც მიუძღვნა, რომელიც ჩემთან ერთად ღრეობდა ღამით სტადიონზე. ლექსს ასეც ჰქვია – „ცეკვა ღამით“: „ცეკვაღა ღამით ტატანა, საჯდომსაც არხევა მაღიანად. კონიაკი „ციგნების“ უტეკვდა და სასმელს ღამესაც უუფედა. კაცებს ვეღარაფრით მოცილდა და პეტრე ღონციოს კოცნიდა. მწვადი კი წივილით იწოდა, რაც სურდა, ტანამ იცოდა“. ჩემზე დაწერილ ლექსზეც ბევრი ვიცინეთ, მერე გამოვართვი და ისიც ჩემთვის გადამოვიწერე, რომ არ დაიკარგოს და აქაც

მინდა ჩემს დღიურებში მოვიტანო, რომ მერე სიცილით გავიხსენო ხოლმე ჩემი თავგადასავლები. ლექსს სათაურიც კი აქვს – „ქართულ – მოლდავეურ სუფრაზე ღრეობისას“: „ნეტავ ერთი დაგანახათ, ჩემო არაგვო და თერგო, რა გამსკლარი არის ახლა თქვენი ღვიძლი შვილი სერგო. კონიაკი, ღვინო, ლული, გამოთრობას უდრის ძლიერს, თან ქართული ზურავს ქული შეკერილი მიშას მიერ. ხმლის მაგივრად ატრაილებს შევდურ არყით სასვე ჭიჭის, ჩვენი დიდი მატანე თავს გვახსენებს აქაც, იქაც. თუ ჩაისხი მთელი ფუთი, ვეღარ გაჭრის ხმალი მსმელის და ნამდვილად არის ცუდი, თუკი არყით ვხალისდებით.“

იმავე საღამოს მდიდრების ცხოვრებიდან კიდევ ერთი, ალბათ დამახასიათებელი ფაქტი მოხდა. ეფიმი მიხაილოვიჩ მალიტიკოვმა დაკარგა საწერ-კალამი და ძალიან შეწუხებული იყო – მტები არც წამომიღიაო, აბა ჩვენსავით უბრალო ოცკაპიკიანი პასტით ხომ არ დაწერს. ნუგზარი, მე და პეტრე ღონციო შევედით მასთან ოთახში და დავეხმარეთ ძებნაში, საწილებიც გამოვწიეთ, მაგიდის უკანაც ვეძებეთ, კარადის უკანაც. ბოლოს ისევ მასპინძელმა, ძალიან წესიერმა და კულტურულმა ბიჭმა პეტრე ღონციომ კარადაში ძებნის დროს აღმოაჩინა კვებერიელა მაღალყელიან „პუშკეში“ ჩავარდნილი მსხვილი, საგრძნობლად დიდი საწერ-კალამი. მალიტიკოვს ძალიან გაუხარდა, იმავე წუთში მ-

ღარიჩად გახსნა ერთი ბოთლი ვისკი, ხილიც დაალაგა და მიგვიპატიჟა, პოენის გამო დალიეთო, თავად ძველი სპორტსმენია და წვეთ ღუღსაც კი არ სვამს. ბოლოს მე შევეკითხე – ეფემ მიხაილოვიჩი, მართლა კარგი „ვენი“ გქონიათ, როგორც ჩანს, გყვარებით კიდევ, რა ღირს მაინც ეგეთი კალამი – მეთქი. – ეს საწერ-კალამი ორი წლის წინ ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიყიდე, მაიაში, სადაც ორსართულიანი სახლი მაქვს და ათი ათასი დოლარი მივეციო. თურმე ოქროსი ყოფილა. მე გაცემული დავრჩი, გულში კი წყნით გავიფიქრე – ეს ოხერი, ათი ათასი დოლარი რომ მქონდეს, რაღა მივირდა, ალბათ, თავი მილიონერი მეგონებოდა, საწერი კი რაც მაქვს უბრალო ფანქარავით პასტიაც კარგად დავწერდი – მეთქი.

დღეს კონგრესის მუშაობა დამთავრდა, ბოლოს ორგანიზაციული საკითხებიც გადაწყდა, აირჩიეს პრეზიდენტი, აღმასკომი, პრეზიდენტი, შტატებიანი და უშტატო მოადგილეები, მათ შორის ორი ქართველიცაა – ნუგზარ წერეთელი და ჯერმენ გვიშიანი, თუმცა ეს უკვე ისეთი ქართველია, როგორი ჩინელიც მე ვარ. კონგრესის დამთავრების შემდეგ აკადემიკოსმა სერგეი რადაუცანმა და მისმა თანხლებმა პირებმა კომინიოვის გარეთ მშვენიერი ტბის პირას, სადაც მეთევზეთა არტელის შენობა იდგა, საუცხოო პურ-მარილი გამალეს პურზე, ისეთი თევზებით იყო სავსე გრძელი მაგიდი, რომ ჭამით ვერ

გამდებოდი. ვსვით თევზთან ერთად უამრავი ლუდი და არაყი. საიმოვნებით ვფიქრობდი რომ ხვალ თავისუფალი დღეა, კარგად გავივლით, ბავშვებს რამე სამასსოვრო საჩუქარს ვუყიდი და ზეგ ვაგუფინდებით უკან მოსკოვში, თბილისში, რომელიც უკვე მოგვენატრა, დარეკვა კი ვერაფრით ვერ მოვახერხეთ, ეს ყოფილი საბჭოთა კავშირგამყოფობა სულ ხალხის დასატანჯად არის მოგონილი. გვიანი საღამოთი კოლექტიურად ჩვენზე მომარებელი ავტობუსით დავბრუნდით ივანჩეში. ამ დროს ავტობუსის მიკროფონში მოლდოვის საზოგადოება „ზნანიეს“ პრეზიდენტმა სერგეი რადაუცანმა გამოვიცხადა, რომ ხვალ ერთი დღით მივემგზავრებით ბუქარესტში, შესვედრა გვექნება რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიამო. ეს კი მესიამოვნა, კომინოვში ყილას, ახალ ქვეყანას თუ ახალ ქალაქს მაინც ვნახავ – მეთქი. დღით 9 საათზე უკვე ავტობუსში ვისხედით. გაგვაქანეს იციოდე კილომეტრით დაშორებულ აეროპორტში, მოეთავსდით პატარა თვითმფრინავში და სულ რაღაც 40 წუთში ადგილზე ვიყავით. ბუქარესტი დიდი და კარგად ამშენებული ქალაქი აღმოჩნდა, თუმცა ჩვენ ბევრი დრო არ გვქონია, დილის პირველ საათზე ცნობილი ცენტრალური პროსპექტის მაგერუს დასაწყისში მდებარე საუცხოო შენობის საკონფერენციო დარბაზში გამართა დიდი შეხვედრა. ბატონმა სერგეი რადაუცანმა გააკეთა მოხსენება, სადაც გახსენებული იქნა „ზნანიეს“

ისტორია, მოღვაწეობა, დღევანდელი ამოცანები, მერე სიტყვებით გამოვიდნენ ძირითადად რუმინულ ენაზე, რომელიც თითქმის მოლდავიურის მსგავსია. 3 საათზე ორი საათით გამოცხადდა სასადილო შესვენება. ჩვენ ჩქარა ვისადილეთ და მაგერუს ბულვარზე გავისიერეთ. ნუგზარმა მე და კონსტანტინე უკრაინეცი მიმდებარე ქუჩით ჩავვიყვანა მონასტრის სანახავად, სადაც მოღვაწეობდა ქართველი და რუმინელი ხალხების დიდი შვილი ანთიმოზ ივერიელი, აქაურად ანთიმ ივერიანუ. უკან დაბრუნებისას ბავშვებისათვის მცირე საჩუქრები ვიყიდე. ხუთ საათზე კვლავ ერთი საათით ვაგრძელდა სხდომა, სადაც ძირითადად მეგობრულ ურთიერთობებზე იყო საუბარი. შვიდის ნახევარი იქნებოდა კვლავ სუფრაზე მივიპატიჟე, რაც დაბლა აკადემიის შესანიშნავ სასადილოში იყო გამართული, თავი ვერც აქ შევიკავე და ფრანგული კონიაკი კარგა გვარიანად გადავკარი, ნუგზარს მოვუბოდიშე, ყოველი მხრიდან გვაძალღებენ, გვისხამენ, და რას იტყვიან ეს ქართველები რას გვანან საერთოდ რომ არ სვამენო, მან გაიცინა და მითხრა, რაც გინდა ის ქენი, ოღონდ ისე ნუ დათვრები რომ ქართველები სხვა მხრივ შეარცხვინიო. რვა საათისთვის წამოვიშალეთ, გაგვაქანეს აეროპორტისაკენ და კონცნა-პროშენით დავცილდით ერმანეთს, ცხრა საათზე უკვე კომინოვში ვიყავით, ათი საათისთვის კი უკვე ახლბოლად ქცეულ ჩვენს ივანჩე-

ში დავბრუნდით, სადაც რუსებმა სუფრიდან წამოიღებული ბოთლებით კვლავ გაავრძელეს სმა, მერე შუადამედის დაბოდიშობდნენ და ძილს გვიფრთხოებდნენ. დადგა უკან დაბრუნების დღე, ხუთ საათზე მოეფრინათ. ადრე გამოვედით ივანჩედან და ჩვენმა მასპინძლებმა კომინიოვის ცენტრში მდებარე ცნობილი მოლდავიური ღვინის ხერვისის ქარხანაში მივეყვანეს. იქაც საღვესტაციო დარბაზში კარგი ფურშეტი ჩატარდა, სადაც ნაირ-ნაირ საჭმელებთან ერთად უხვად ისმებოდა ღვინო ხერვისი, რაც უფრო მაღალი ღვინის პორტვინის ჰგავდა, საკმაოდ შემპარებულად მომეჩვენა. აეროპორტში მხიარულად მოვედით. ეს მოლდავილები ქართველებივით ყოფილან გაწაფული ჭამა-სმაში, აქაც მოეტანათ ერთი კასრი შავი ღვინო, საუზმე და მთავრობის გასასვლელის ერთ-ერთ ოთახში დამატებითი სმა განაღდა თავისი სადღეგრძელოებით, რამაც რუსებთან ერთად მეც ვისახელე თავი.

თუკი მოსკოვიდან თვითმფრინავმა „ბოინგ 747-მა“ დაივიანა და ძალიან გავწავალა, კომინიოვიდან წუთი-წუთზე გამოფრინდა, უკან დარჩა ექვს დღეში საკმაოდ კარგად გაცნობილი მოლდავი, მშვიდობიანად ანუ ძალიან კარგად ვიფრინეთ და მოსკოვის შერემეტეევოს აეროპორტში რბილად დავსხდით. იქ ურიგოდ გავვიყვანეს, მანქანებში მოეთავსდით და ერთ საათში უკვე საქართველოს საელჩოს სასტუმროში ვიყავით მოწყობილები. ნუგზარმა

დარეკა ზურაბ წერეთლის ტელეფონზე, ვიღაც ქაღალტონს ჩააწერინა ჩვენი ნახევარლუქის ტელეფონის ნომერი, მალე ზურაბმაც დარეკა და მოილაპარაკეს ზვალ დღის პირველ საათზე შეხვედროდნენ. ჩვენი სასტუმროდან ზურაბ წერეთლის სახლამდე დაახლოებით კილომეტრი-კილომეტრანახევარი სიამოვნებით გავიარეთ ფეხით. ზურაბ წერეთლის ოთხი თუ ხუთ-სართულიანი ოფისის მეოთხე სართულის კაბინეტის მისაღებში ბევრი ხალხი იყო, მდივანმა მოახსენა წერეთელი მოვიდა, ცოტა ხანში ზურაბი გამოვიდა, გადაკონა ნუგზარი, მეც გავიცანი, მერე გვთხოვა ხუთ წუთში გავუშვებ ხალხს და დავსხდეთო. მე ფართო ფანჯრიდან გადავცქეროდი დიდ, ლამაზ ეზოს, მარჯვენა მხარეს ზურაბის დიდი საცხოვრებელი სახლია, საგამოფენო დარბაზებიც იქვე ჰქონია, ეზოში ღვას ცალკე ზურაბის სახელოსნო, მარცხენა მხარეს ორ-სართულიანი საკუთარი სასტუმრო, ვრცელი ეზო ამ უზარმაზარი მოქანდაკის ნამუშევრების ასლებით არის დაფარული, საოცრად საინტერესო და პირდაპირ მომხიბლავი სანახაობაა გადაშლილი. ცოტა ხანში ნუგზარი შევიდა ზურაბის კაბინეტში, მე აღარ შევეყვი სჯობია აქ დაეიდო-მეთქი. ნახევარ საათზე ცოტა მეტხანს ილაპარაკეს, მერე გამოვიდნენ, ჩვენ გავგეშადეთ წამოსასვლელად, მაგრამ საოცრად თბილმა და კულტურულმა ზურაბ წერეთელმა არაფრით არ გამოგვიშვა,

ზღაპრულად მორთულ დიდ სასადილო ოთახში გვასადილა, საუცხოო ვისკი და ქართული ღვინოები მოატანა, ზურაბს ძალიან გაუკვირდა და ეწყინა კიდევ ნუგზარი ამავერად წვეთს რომ არ სვამდა, თუმცა წამლების გამო აღარ დაუძალებია, მე კი რამდენიმე ჭიქა გადავკარი, მერე დავეშვიდობეთ ჩვენს ბრწყინვალე მასპინძელს და უკვე მისი გაკრიალებული „მერსედესით“ დავბრუნდით სასტუმროში. ცოტა ხნის მერე გადავწყვიტეთ ძველ არბატზე გავგველო, თანაც მე ძალიან მინდოდა პეტიკოსთვის შევიდა კასეტები, რაც მან დამაბარა, თანაც ცოტა კი არ იყო, ხუთი კასეტა უნდა შევიდა. ნუგზარმა იცოდა, რომ საკმაოდ ძვირადღირებული კასეტების ფული არ მქონდა, დამაფიცა შვილები და კასეტების საყიდლად ასი დოლარი მომცა იმ ჩემთვის საკმაოდ დიდი თანხიდან რაც ზურაბს უსიტყვოდ ჩაეღო მისთვის ჯიბეში წიგნის თუ წიგნების გამოცემის მიზნით. ნუგზარის ამ საქციელზე ჩემთვის გულში გავიფიქრე ნუგზარიც კაცია და ზოგიერთი ჩემი ახლო ნათესავიც მეთქი?! შინაგანად გაბრაზებულს სალანძღავი სიტყვებიც წამომცდა, კეთილშობილი ბუნების პატრონმა ნუგზარმა მითხრა — არ გინდა, ნათესავი მაინც ნათესავია, ყველაფერი გამოსწორდება, მოილაპარაკებთ და ისევ ერთად, მეგობრულად იქნებითო, რამაც პირადად მე ეჭვი ძალიან შემეპარა.

ლაპარაკ-ლაპარაკით ჩავედით ძველ არბატზე, უკვე ბნელდებოდა, ვე-

ბერთელა მოსკოვში სინათლეები ინთებოდა, მანქანებით გაჭვდილი ქუჩები დიდი ძვრივი მდინარეებით მოედინებოდნენ. ჩვენ ბევრი ვიარეთ, რამდენიმე კასეტის საძებნელად არბატიდან სასტუმრო „მოსკოვთან“ გამოვედით, კვლავ ავიარეთ ნაცნობი, ათასჯერ გავლილი აღმართი და ის ორი დარჩენილი კასეტაც ლუბიანკის მოედნიდან სასტუმრო „როსსიამდე“ ვიშოვე. ძალიან გახარებული ვიყავი, სასწრაფო შეკვეთით პეტიკოსაც კი დაეურეკე და ვუთხარი, რომ მისი დავალება ბიძია ნუგზარის დანძარებით შევასრულე. მერე მეტროთი ისევ სმოლენსკის მოედანზე გავედი, იქ უზარმაზარ გასტრონომში ვიყიდე სანოვავე ვახშმისთვის, ისევ ნელი ნაბიჯებით გამოვიარეთ მართლა ლამაზი სასაინრო ძველი არბატი. არბატის მოედანთან გადასასვლელში ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმან, რომ ათასნაირი ბრჭყვიალა უხარისხო საქონლის გვერდით

სრულიად უშიშრად, თან ძალიან ბევრ ადგილას იყიდებოდა ყველა სახის თუ დასახელების საბუთი: პირადობის მოწმობები, დიპლომები, ატესტატები, შრომის წიგნაკები, მართვის მოწმობები და ძალიან ძნელად წარმოსადგენი მკაცრი შენახვის საბუთები, ჩემი აზრით სულ წავიდა ხელიდან რუსეთი და გამალეული ტემპებით მიდის მოსახლეობის კრიმინალიზაცია.

ჩვენი თვითმფრინავი ზვალ დღის ოთხ საათზე გადის. დილით ცოტა კიდევ გავიარეთ სასტუმროს ახლო-მასლო, მოსკოვში აცივება იწყება, ამინდიც ნელ-ნელა ფუჭდება. უკვე პირველ საათზე მოვიდა მანქანა ჩვენს წასაყვანად და გაგვაქანა ვნუკოვოს აეროპორტისაკენ. ძალიან გვიხარია, რომ დამთავრდა ჩვენი მოგზაურობა და რამდენიმე საათის შემდეგ ჩვენს საყვარელ თბილისში, ჩვენს საყვარელ ოჯახებში ვიქნებით, ამაზე დიდი ბედნიერება ამ ქვეყნად არ არსებობს.

### ეკლესია-მონასტრები

2006-2007 სასწავლო წლის მანძილზე უახლეს ქართულ ლიტერატურას ანუ მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს ვასწავლიდი ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის პირველ-მეორე კურსის სტუდენტებს. ერთ-ერთ ლექციაზე მოვილაპარაკეთ, რომ არდადეგების დროს ყველას ენახა საკუთარი კუთხის, ქალაქის, რაიონის ეკლესია-მონასტრები, შეესწავლა ისტორია და დაეწერა საკუთარი შეხედულებები. ეს აზრი მეტად საინტერესო აღმოჩნდა, სტუდენტებმა საყურადღებო ნაშრომები წარმოადგინეს. ჟურნალი „სიტყვის“ მე-5 საიუბილეო ნომერში უკვე ტრადიციული რუბრიკით „ახალ-გაზრდობის შემოქმედება“ ვებეჭავთ ერთი დიდი ნაწილის წერილებს, მეორე ნაწილს კი ჟურნალის მომდევნო ნომერში გამოვაქვეყნებთ.

აქ არიან წარმოდგენილი ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის, ინგლისური და გერმანული ენების, დაწყებითი კლასების მეთოდის პირველი და მეორე კურსის წარჩინებული სტუდენტები.

#### ნუგზარ წერეთელი პროფესორი

##### ჩემი რაიონის ციხე-ეკლესიები

უმშვენიერესი პატარა ქვეყანა, საქართველო, განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევა. ყველა კუთხეს ამშვენებს შესანიშნავი ქალაქები, სოფლები, დაბები. მისი ერთ-ერთი კოპწია ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა იმერეთი, რომლის ერთ-ერთ უმშვენიერეს ქალაქ საჩხერის რეგიონშია ჩვენი უდიდესი მგონის აკაკი წერეთლის მშობლიური სოფელი სხვიტორი, სადაც, თამაშად ვიტყვი, ამ პატარა სამოთხეში მეც დავბადე, ჩემი ბავშვობის ლამაზი წუთები განვიცადე. სხვიტორი

გამოირჩევა არა მარტო გარსშემორტყმული დიდებული მთებით, არამედ წყალუხვი მდინარეებით და მტირალა ტირიფებში ჩაფლული ტბებით.

საქართველოს ამ მხარეში მრავლადაა ღირსშესანიშნავი და ბრწყინვალე ძეგლები, რომელთა შორის მინდა აღვნიშნო, მაგალითად, საჩხერის ერთერთ მაღალ მწვერვალზე აგებული დიდებული ციხე-სიმაგრე „მოღინახე“, იგი XVIII საუკუნის ძეგლია. არსებობს ლეგენდა ციხის შესახებ, რომელსაც გამოიგონებული წერეთლის ვაჟისა და ერთი თავადის ასულის ამ-

ბავი უდევს საფუძვლად. მაგრამ გარეშე მტრების თარეშის და ბედის უკუღმართობის ნაკვალევი ახლაც ატყვია ერთ დროს ამაყად და უდრეკად მდგარ ციხე-სიმაგრეს.

აქვე, საჩხერეშია წმ. ნინოს სახელობის ეკლესია, საქართველოს ერთერთი უძველესი ძეგლი.

ჩემს ლამაზ სოფელში არსებული მაცხოვრის პატარა ეკლესია თავისი დიდებულებით ადამიანში სიმშვიდის და ღმერთთან ახლოს ყოფნის გრძნობას აღძრავს. ეკლესია პატარა ილუმალი ტყის შუაგულშია ჩაფლული.

ასევეა წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც მთელ საჩხერეს გადმოჰყურებს და თავის კალთას აფარებს. იმერეთის ბრწყინვალე სოფელმა სხვიტორმა მრავალ განსაცდელს გაუძლო და ახლაც ბედნიერი ცხოვრების ფერხულშია.

##### თეონა გოშაძე

##### ჩემი კუთხის ეკლესია

ერთადერთი ეკლესია რაჭაში, რომლის დაარსების თარიღიც ზუსტადაა ცნობილი – ნიკორწმინდის ეკლესიაა. გაერთიანებული საქართველოს მეფის ბაგრატ III დროს აგებული სამონასტრო ანსამბლი წმინდა ნიკოლოზის სახელზე აშენებული უბრწყინვალესი ტაძრით, ღვთისმოსავი ბერების მყოფრო სავანედ 1014 წელს იქცა. ამ დიდებული სავანის აღმ-



შენებლობაში წვლილი შეიტანა რაჭილი ლიპარიტისძემაც. შემდგომში მისი შთამომავლები – კახაბერისძენი XI ს. ტაძარს უგებენ სამხრეთ და დასავლეთ კარიბჭეს, ამკობენ ძვირფასი საეკლესიო ინვენტარით, სწირავენ უძრავ და მოძრავ ქონებას.

თავად ნიკორწმინდის ტაძარი ერთ-ერთი უდიდებულესია იმ უშესანიშნავეს ტაძრებს შორის, რაც კი ოდესმე მინახავს. სწორედ ნიკორწმინდა იყო გალაკტიონის მუზა, რომელმაც დააწერინა უბრწყინვალესი ლექსი „ქებათა ქება ნიკორწმინდას“. მისი თითოეული სტრიქონის წაკითხვისას მკითხველის სული ისეთი უცნაური და დიდებული გრძნობით ივსება, რომ თვალდასუჭულიც კი ნათლად წარმოიდგენს მის სიდიადესა და ბრწყინვალეობას. გალაკტიონმა თითქმის სრულად შეაგმო ნიკორწმინდა, თუმცა იგი

იმდენად დიდებული და ამოუცნობია, რომ შეუძლებელია მისი სრულად შემკობა.

როდესაც პირველად ტაძარში შესვალ, გგონია, რომ დედამიწაზე აღარ ხარ, სადაც საოცარ სამყაროში მოხვდი, სადაც არ არსებობს ამქვეყნიური პრობლემები, შური, ბოროტება, სიკვდილი... გეუფლება მარადიულობის განცდა და ამაღლებული შეგრძნება. ისეთი სისპეტაკე და სისადავეა, რომ შეუძლებელია ემოციების შეკავება, იმ წუთას გრძნობ, რომ ყველა გიყვარს... მილიანად იცლები უარყოფითი მუხტისგან და ისეთი გრძნობით ივსები, რომელიც დიდხანს, ძალიან დიდხანს გაგყვება და თავს ბედნიერად გაგრძობინებს.

ყველაზე საოცარი კი ის არის ჩემთვის, რომ გგონია იცნობ ამ დიდებული ტაძრის ყველა კუთხესა და კუნჭულს, თუმცა ყოველ ჯერზე იმდენად უცნაური გეჩვენება, რომ თითქოს პირველად ხედავდე მას. სწორედ ეს არის მისი საოცარი ხიბლი, ანდამატივით რომ იზიდავს ყველას და იქ მისულთ, თავბრუს დაახვევს და დააფიქრებს.

ნიკორწმინდა ჩემთვის არის წარსული, აწმყო და მომავალი. წარსული, რომელსაც სულიერად ისე მძაფრად შეიგრძნობ, გეჩვენება თითქოს შესს გვერდით ბაგრატიონთა შთამომავალი ლოცულობდეს. ეს ყველაფერი იმდენად საოცარი და ამოუცნობია, რომ არ ღირს დაფიქრდე, რატომ და როგორ

ხდება, უბრალოდ უნდა დატკბე იმით, რასაც იმ წუთში გრძნობ, ხოლო მომავალი დღევანდელი დღესავით ნათელია. უდავოა, ნიკორწმინდა საუკუნეების შემდეგ უფრო ფასეული და დიდებული გახდება, ვიდრე დღეს არის და რაც ყველაზე მთავარია, იგი ყოველთვის იყო, არის და იქნება ქართველი ხალხის სიამაყე და მე ბედნიერი ვარ, რომ ერთხელ მაინც დამიდგამს ფეხი ამ წმინდა ტაძარში.

**თაძარ გამყრელიძე**

**ჩემი რაიონის ეკლესიები**

XIX საუკუნის დასაწყისში ფრანგულ-რუსულ რუკებზე და სხვადასხვა წყაროებში გვხვდება დასახლებული პუნქტები – ბაშქეჩეთი და აბულბუქი.

ბაშქეჩეთი დღევანდელი დმანისის რაიონია, რომელიც ჯავახეთიდან გადმოხვეწილი ქართველი გლეხებით, ბორჩალოდან ამოსული აზერბაიჯანელებით, ცარიზმის მიერ თურქეთიდან გადმოსახლებული ბერძნებით და მის მიერვე დასჯილი დუნაბორებით შეივსო.

შემდეგ კი ჩამოყალიბდა მრავალი სოფელი: გომარეთი, ახა, დიდი დმანისი, პატარა დმანისი, მაშავერა, განთიადი, ჯავახი და სხვა.

დიდი რწმენით განმსჭვალულმა ხალხმა, ხელი მიჰყო სიწმინდეების შენებასა და რესტავირებას.



დმანისის ყველა სოფელში, თუნდაც არა ქართულ დასახლებებში არსებობს მრავალი ეკლესია, მაგალითად, სოფელი ტნუსი, სადაც დგას „მალხაზის საყდარი“. ის აშენებულია – IX-XII საუკუნეებში. საყდარი რესტავირებული არ არის, მისი კედლები ნაწილობრივ დანგრეული და ხავსით დაფარულია.

„მალხაზის საყდართან“ მისვლა გარდა სოფ. ტნუსისა, სოფ. ჯავახიდანაც შეეძლება.

ქართული სოფლებიდან კი მინდა სოფ. გომარეთი დავიწყო, რომელშიც ყველაზე ბევრი ეკლესიაა დმანისის სხვა სოფლებთან შედარებით:

წმ. კვირიკეს ეკლესია – კვირიკეთის მთაზე – აშენებულია შუა საუკუნეებში.

„ოქროს საყდარი“ – შუა საუკუნეები.

ნიკოლოზის ეკლესია – XI საუკუნე.

„ჭოჭიანის საყდარი“ – VIII-IX საუკუნეები.

„ლაგთისმშობლის ეკლესია“ – ეწ. შავსაყდრები – შუა საუკუნეები.

„ნათლისმცემლის ეკლესია“ – X-XI საუკუნეები.

წმ. სამების ეკლესია – 1034 წ.

მონასტერი – „ლაშაზი საყდარი“ – დარბაზული – აგებულია 1189-1209 წ-ში.

ქვაჯვარი – ის აშენებულია მთის ტყიან კალთაზე გვიანშუა საუკუნეებში.

„კვირაცხოვლის ეკლესია“ – აშენებულია XIII-XIV ს-ში. კვირაცხოვლობას აქ უამრავი ხალხი იკრიბება, იკვლება შესაწირი, აშხადებენ სხვადასხვა სახეობის კერძებს და ყველა ერთად ზეიმობს დღესასწაულს. მოგვიანებით კი იმართება ჭიდაობა, რაც კიდევ უფრო ახალისებს მოზიემებს. დასახლებული ეკლესიებიდან უმეტესი მოქმედია, სადაც ყოველ შაბათ-კვირას ტარდება წირვა-ლოცვა.

გომარეთის გვერდით გაშენებულია სოფ. ახა.

აქ ყველაზე ცნობილი ეკლესიაა: „იფნარის ამაღლების ეკლესია“ და „თეთრი ღვთისმშობელი“. ორივე აღრე შუა საუკუნეებით თარიღდება.

სოფ. საკირეში მოქმედებს წმ. ილია მართლის ბაზილიკა, ეს ეკლესია აშენებულია XVII-XVIII ს-ში.

სწორედ ამ ტაძარში შეხვდა წელს უამრავი ხალხი შობის დღესასწაულს.

სოფ. განთიადში სამი ეკლესიაა ცნობილი.

„ყვაის საყდარი“ - VIII-IX ს. „ჯვართამაღლების ეკლესია“ - IX-XI ს. და „ღვთისმშობლის ეკლესია“.

„ჯვართამაღლების ეკლესია“ მოქმედია, საშუალო ზომის ტაძარში ყოველ კვირას მამა გრიგოლი აღავლენს წირვას, რომელსაც გარდა განთიადში მცხოვრები ხალხისა, მეზობელი სოფლებიდან გამოსული მრევლიც ესწრება. მას გარს პატარა ეზოც აკრავს.

ჯავახი ჩემი სოფელია, ამიტომ ყველაზე მეტად მის შუა გულში მდგარ ტაძარში ყოფნა მიყვარს.

ტაძარი წმ. გიორგის სახელობისაა, რომელიც დაახლოებით შუა საუკუნეებშია აშენებული, ხოლო XIX ს-ში რესტავირებული, თუმცა ახლა ისევ საჭიროებს შეკეთებას. ჩემი სოფლის ტაძარი ჯერ კიდევ არ არის მზად წირვისთვის, ამიტომ მხოლოდ პარაკლისი ტარდება ყოველ შაბათს.

ტაძრის გარშემო მყუდრო ეზოა, რომელიც შაბათობით მორწმუნეებით ივსება.

ჯავახს ძველად მიჯას უწოდებდნენ, რომელიც ორად იყოფოდა, ერთ ნაწილს ყადრიყული ერქვა.

ყადრიყულის ტერიტორიაზე ეკლესია მდგარა, რომელსაც „თვალებიან საყდარს“ უწოდებდნენ.

წინაპრების გადმოცემით, ვისაც თვალთან დაკავშირებული პრობლემა ჰქონდა, ამ ტაძარში ლოცვის შედეგად ინკურნებოდა.

მართალია, დღეს ამ ტაძრისაგან მხოლოდ პატარა სამკუთხა ქვადაა შემორჩენილი, მაგრამ რწმენით აღსავსე ხალხი, დღესაც მიდის მკურნალ ქვასთან სალოცავად და სანთლების დასანთებად.

პატარა დმანისის ტერიტორიაზე შემორჩენილია საკულტო ნაგებობები: სიონი თავისი სამრეკლოთი და კარიბჭით და მარინეს ეკლესია.

სიონი სამ ეკლესიან ბაზილიკას წარმოადგენს, იგი VII საუკუნის ძველად მიიჩნევა, თუმცა მრავალჯერ გადაკეთებულია. სიონს დასავლეთიდან კარიბჭე აქვს მიშენებული ყველაზე ძვირფასი ჩუქურთმებითა და ბარელიეფით. დმანისში მის ჩრდილოეთით დგას წმ. მარინეს სახ. ეკლესია, რომელიც განახლებულია ბატონიშვილ მარიამის მიერ 1702 წელს.

ცნობილია, მთავარი ტაძრიდან ხრამში ჩამავალი 2 მეტრი სიგანის გვირაბი.

**თამარ ოქრიაშვილი**

**ჩემი ქალაქის ღირსშესანიშნაობები**

ყველა კუთხეს თავისი ისტორიის ამსახველი ისტორიული ძეგლები, ეკლესია-მონასტრები გააჩნია. ასევე ჩემი ქალაქის – ზუგდიდის სიამაყეს და შვენიერებას წარმოადგენს სამეგრელოს მთავრების – დადიანების სასახლე და მუზეუმი, აგრეთვე დავით დადიანის მეუღლის ეკატერინე ჭავჭავაძის მიერ მოწყობილი და გალამაზებული, უმშვენიერესი ბოტანიკური ბაღი, სადაც მისული ადამიანი ბევრ საერთოს აღმოაჩენს ბუნებასთან.

მუზეუმი განთქმულია უიშვიათესი ექსპონატებით, როგორცაა ნაპოლეონის ნიღაბი, მისი ეგზემპლარი ზუგდიდის მუზეუმის გარდა მხოლოდ ორია. აგრეთვე იქ ინახება და დაცულია ისეთი სიწმინდეები, როგორებიც არის წმ. გიორგის ძვლის ნაწილი და ღვთისმშობლის კვართი. მას ამჟღავნებს დღესასწაულზე გამოასვენებენ იქვე არსებულ ვლაქერნის სახელობის ეკლესიაში, სადაც ყველას შეუძლია ხელით შეეხოს მას.

დიდი ხანია გასული, რაც სსახლე აიგო, მაგრამ დღემდე შეამჩნევ მშვენიერ ჩუქურთმებს და გაოცდები იმდროინდელი მშენებლების ხელოვნებით.

**ანა კილასონია**

**ქართლის გული**

„ისევ ისე დგას ციხე გმირული, თუმცა ყავლი აქვს გათავებული, ქართლის ძვალ-სისხლით ამოკრული, კლდეზე –გალავნებ გადავლებული“  
*გ. ლეონიძე*

გორი, საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი ქალაქი გაშენებულია მტკვრისა და ლიხვის შესართავთან ზღვის დონიდან 588 მეტრ სიმაღლეზე. ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი განმათავისუფლებელი ბრძოლისა და შემოქმედებითი შრომის ისტორიაში იგი ყოველთვის თვალსაჩინო როლს ასრულებდა.

ქართლის გულში სხვა ციხე-სიმაგრეთა შორის გორის ციხეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ფეოდალური ხანის ეს შესანიშნავი ძეგლი წარმოადგენდა ძლიერ თავდაცვით ნაგებობას, რომელმაც დასაბამი მისცა ქალაქ გორის დაარსებას.

გორისა და მისი ციხის ისტორია ერთმანეთთან მჭიდროდა დაკავშირებული. ციხე იყო ქალაქის საიმედო თავშესაფარი. იგი საუკუნეების განმავლობაში მტრის ურდოებს სმირად დაუწგრევიათ, მაგრამ თავისუფლებისმოყვარე ქართველები კვლავ აშენებდნენ, ძლიერდებოდნენ და მტერს რისხვად ვვლინებოდნენ.

ყოველწლიურად ათასობით უცხოელი სტუმარი, ტურისტები – მოგზაური ათვალიერებს გორის ციხეს. მისი ხავს-მოღებული ქვითკირის კედლები, კვე-

ბერთელა კოშკები, ლამაზი ქონგურები, იარუსები მნახველებში ყოველთვის გაოცებასა და აღტაცებას იწვევს. ამ ბუმბერაზი ციხის ქონგურებიდან თვალწინ იშლება წარმტაცი სანახაობა: მტკერისა და ლიახვის ხეობა, თრიალეთის ქედი და მარად თოვლით შევერცხლილი კავკასიონის მთები.

გორის ციხე თავისი სიდიადით და გმირული წარსულით არა მარტო მოგზაურებისა და ისტორიკოსების ყურადღებას იქცევდა, არამედ იგი ამავე დროს მწერლებისა და პოეტების შთაგონების წყაროდაც იქცა. 1886 წელს გორის ციხეს პირველად ვაჟა-ფშაველამ უძღვრა ლექსში „ქართლი“.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში დღემდე შემორჩენილია გამოთქმა ამა თუ იმ საქმის დამთავრების შემდეგ – „ეგ არის და გორის ციხე“.

გორის მახლობლად ყურადღებას იპყრობს ქვაში გამოკვეთილი ანტიკური ქალაქი უფლისციხე, ასევე ქრისტიანული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი ატენის სიონი.

ქალაქის შუაგულში ამაყად აღმართულ გორის ციხეს მტკვარგალმიდან ქალაქის მოსახლეობის საყვარელი სალოცავი გორიჯვარი გადმოსცქერის და ასე იქნება ანსამბლი მხატვრული სიტყვის ოსტატთაგან მრავალგზის ხოტბაშესხული ერთი მთლიანი და მომხიბვლელი სანახაობისა, გორი რომ ეწოდება მოკლედ.

**ნატო იოსებაშვილი**

**კახეთის სიწმინდეები**

მამის მხრიდან იმერელი ვარ, დედით კი კახელი. თითქმის მთელი ბავშვობა კახეთში მაქვს გატარებული, ამიტომაც კახეთი ჩემთვის უსაყვარლესი მხარეა მთელ საქართველოში. დღეს



მინდა ვიამბოთ ამ ულამაზესი კუთხის ერთ-ერთი სოფლის – კალაურისა და მისი სიწმინდეების შესახებ. ჩემი დიდი პაპის გადმოცემით სოფლის სახელი დაკავშირებულია ერთ ისტორიულ მოვლენასთან. კახეთის სოფლებს ხშირად თავს ესხმოდნენ კავკასიონის ქედსგალმა მცხოვრები ლეკები. ისინი აოხრებდნენ სოფლებს, აწიოკებდნენ და იტაცებდნენ მოსახლეობას. ერთ-ერთი ასეთი შემოსევის დროს მტერს სოფლის ბავშვები შეუყვრია ერთად კალოზე და იქ გაუმართავს მათი ხოცვა-ჟლეტა. მას

შემდგომ იმ ადგილისათვის კალაური შეურქმევიათ. კალაური არა მარტო თავისი სახელით არის საინტერესო, არამედ წმინდა ადგილებითაც. სოფლის შუაგულში დგას წმ. ნინოს სახ. ეკლესია, რომელიც მე-18 საუკუნის უშემვნიერეს ნაგებობას წარმოადგენს. ეკლესიაში გასაოცარი სილამაზის ფრესკებია მოხატული, თავად შენობა კი ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უნიკალური ნიმუშია. ტაძარი, სამწუხაროდ, კომუნისტების პერიოდში დაიკეტა. ამჟამად კი კვლავ ფუნქციონირებს.

კალაურის თავში, მთის ძირას, ტყის სიღრმეში წმ. გიორგის სახ. უძველესი ეკლესია მდებარეობს, ეკლესიის ადგილ-მდებარეობა იმ დროინდელმა საშინაო ვითარებამ განაპირობა.

დიდი პაპის გადმოცემით, ეკლესიაზე ასეთი წარწერა იყო გაკეთებული: „ვისაც ჭკუა აქვს თავშია“. სოფლის ერთ-ერთმა მკვიდრმა ეს გამონათქვამი თავისებურად გაშიფრა, ავიდა გუმბათზე, ეკლესიას მოხსნა ჯვარი და იმ ადგილას აუარებელი ოქრო და ვერცხლი ნახა.

წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში გვხვდება ადგილი, სადაც ქვევრებია ჩაფლული, მას „ზედაშეს“ უწოდებენ, ზედაშე წმინდა სასმელს ნიშნავს, რომელიც რელიგიური დღესასწაულებისათვის არის განკუთვნილი. ამ ადგილას მლოცველები ანთებენ სანთლებს, ილოცებენ და შემდეგ მიემართებიან წმ. გიორგის ეკლესიისაკენ.

ეკლესიაში ყოველ რელიგიურ დღეს და განსაკუთრებით გიორგობას იკვლება საკლავი და აუცილებლად მამალი. საეკლესიო რიტუალის შემდგომ მლოცველები ტყეში შლიან სუფრას და იმართება ლხინი.

**ნატია ზარბიძე**

**ჩემი ხეობის ღირსშესანიშნაობანი**

ზღვის დონიდან 3600 მეტრის სიმაღლეზე ყელის ტბიდან სათავეს იღებს მდინარე ქსანი, რომელიც 90-იან კილომეტრის გავლის შემდეგ, უერთდება მდინარე მტკვარს. მაგრამ მანამდე ის ბუმბერაზი მთების უბეში ლაღად მოედინება და გზადგაზა იერთებს ანკარა წყაროებსა და ნაკადულებს და უკვე ახალგორთან – ქსნის ხეობის ცენტრთან, მისი ტალღები უფრო მოუხვენარი ხდება, ისინი ეჯახებიან ლოდებს და თითქოს აფლავებულანო, თეთრად აქაფებული განავრძობენ ვზას. ქსანი იმ ხეობის დედა-მდინარეა, სადაც „ვშობილვარ, გავზრიდლვარ...“

ახალგორის რაიონის ტერიტორიაზე, რომელიც მხოლოდ 949 კმ<sup>2</sup> შეადგენს, წარმოდგენილია 350 ისტორიისა და კულტურის ძეგლი, მათგან რამდენიმე თავისი მნიშვნელობით სცილდება საქართველოს საზღვრებს, ამიტომ შეეცდები ჩემი ხეობის ღირსშესანიშნაობებზე მოკლედ ვისაუბრო და მხოლოდ იმ რამდენიმე მათგანზე მოვიხიბოთ, რომ-

ლებიც თავად მაქვს ნანახი და მოლოცვილი.

წირქოლის ღვთისმშობლის ეპოქალური მნიშვნელობის ეკლესია, აგებულია VIII საუკუნეში დარბაზულიდან გუმბათისაკენ, უცვლო გუმბათით, აქვეა X საუკუნის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ციხე. გვიანი შუა საუკუნეების სამი ეკლესია.

ზოვის, ითან ნათლისმცემლის სახელობის სამონასტრო კომპლექსი. ტაძარი წარმოადგენს დიდი ზომის დარბაზულ ეკლესიას, მოპირკეთებულია ოქროსფერი ქვით, რომელიც მწვანით დაფარულ გარემოში საოცარ მშვენიერებას ქმნის. ტაძარი სამი მხრიდან შემოკლულია უხვი დეკორით, როგორც ქართული ხალხური სიმღერა არის განსხვავებულ ხმათა ერთიანობა, ასევე, მიჩუქრთმებული ტაძარი, განსხვავებული ორნამენტთა ერთობლიობაა. ტაძარი აგებულია XIII საუკუნის პირველ მეოთხედში.

ყანჩათის კაბენი, ღვთისმშობლის სამონასტრო ანსამბლი. აგებულია IX საუკუნეში, გადაკეთებულია X-XIII საუკუნეებში.

ქსნის ერისთავების სასახლე. კომპლექსი აგებულია XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე. გადაკეთებულია ევროპულ სტილზე XIX საუკუნის მეორე ნახევარში. მდებარეობს დაბა ახალგორის შესასვლელთან. შენობაში განთავსებულია ახალგორის, ქსნის ხეობის მუზეუმ-ნაკრძალი და სამხატვრო გალერეა. მუზეუმ-ნაკრძალის ექსპოზიციაში წარმოდგენილია ადამიანთა საზოგადოების


განვითარების ამსახველი მასალა, უძველესი დროიდან XIX საუკუნის ჩათვლით.

ლარგვისის წმ. თევდორეს სახელობის სამონასტრო კომპლექსი. გუმბათოვანი ტაძარი, აგებულია 1759 წ. ქსნის ერისთავ დავითის მიერ. ტაძარი მოპირკეთებულია თლილი ქვით. შესასვლელი და სამრეკლო მიჩუქრთმებულია. ტაძარს შემოვლებული აქვს გალავანი კოშკებით. ლარგვისში XV საუკუნის დამდეგს გრიგოლ ბანდაისძეს დაუწერია „ძველი ერისთავთა“ – ქსნის ერისთავების საგვარეულო მატანე, რომელიც საინტერესო წყაროს წარმოადგენს XIII-XIV საუკუნეების შესახებ.

**ზატია ბაშარული**

**ჩემი სოფლის ეკლესია**

სამი წლის ვიყავი, როცა ჩემი უსაყვარლესი კუთხიდან, აფხაზეთიდან მოგვიწია წამოსვლა. ბევრი არაფერი მახსოვს, მაგრამ მშობლებისაგან ვიცი ჩემი სოფლის, ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის შესახებ. ის X-XI საუკუნეებშია აშენებული. მას ვერც დრომ, ვერც ქარიშხალმა და ვერც ომმა ვერაფერი დააკლო და ისევ ამყად დგას, თუმცა იმდენი მრეკელი აღარ ჰყავს, რამდენიც უწინ. ილორის ეკლესიაში სხვადასხვა კუთხეებიდან მოდიოდა ხალხი, ლოცულობდა და შესაწირავი მოჰქონდა. იქაურები და გამვლელები ხშირად ყრიდნენ ფულს



სამეგრელოში ბევრი ქალაქი და სოფელია. მათ ამშვენებს ღიადებული ეკლესია-მონასტრები.

სამეგრელოს ქრისტიანულ ტაძართა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია მარტვილის მონასტერი. იგი მდებარეობს მდინარე აბაშის ხეობაში, პატარა ქალაქ მარტვილთან. მონასტრის ადგილმდებარეობა საუცხოოა, აქედან ირგვლივ თვალწარმტაცი ხედები იშლება.

მარტვილის ტაძარი პირველად VII საუკუნეში დიდი მუხის ადგილას აუგიათ. ქალაქსაც ეს სახელი დაერქვა, მანამდე მარტვილს ჭყონდიდი ერქვა, რაც მეგრულად დიდ მუხას ნიშნავს.

მარტვილის მონასტერი იყო სამეგრელოს მთავარ ეპისკოპოსის სამყოფელი, რომელსაც ჭყონდიდელი ეწოდება.

მარტვილის ტაძარში დაკრძალულია საქართველოს მეფე ბაგრატ IV და სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი დავით დადიანი.

ასევე აღსანიშნავია ცაიში – სოფელი ზუგდიდის რაიონში. ცაიში შემონახულია სამონასტრო კომპლექსი, რომელიც შედგება ღვთისმშობლის გუმბათოვანი ტაძრის, სამრეკლოსა და პალატის პირველი სართულისაგან. ტაძარი აშენებულია XIII-XIV სს.

მინდა აღვნიშნო ასევე ერთი საოცრება, რომელიც მდებარეობს წაღენჯიხის რაიონში. ეს არის ქვაცანცალა ანუ მოქანავე ლოდი, რომელიც ზღვის დონიდან 1800 მ. სიმაღლეზეა. მისი

ეკლესიის წინ გამავალ გზაზე და შემდეგ ამ ფულს უპოვარნი იყენებდნენ.

მიუხედავად სამიშროებისა, ილორის ეკლესიაში მღვდელი დღესაც აღავლენს წირვა-ლოცვას, ხალხი ისევ დადის, მიაქვს შესაწირავი და შესთხოვს უფალს ქვეყნის გაერთიანებას.

ჩემი ოცნებაც ის არის, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილი გახდეს და შეეძლოს ჩემი სოფლისა და ეკლესიის ნახვა და მოლოცვა.

**სოფიკო კურცხალია**

**ჩემი კუთხის დირსშესანიშნაობები**

საქართველოს კუთხეებიდან ერთ-ერთი გამოჩენული მხარეა სამეგრელო.



სიგრძე-სიგანე 2 მეტრს აღემატება, ხოლო წონა 10-12 ტონას. ქვაცანცა-ლას ლოდი, მის რომელიმე წიბოზე თუნდაც სუსტი მიწოლით (ხელის მიბჯენით) იწყებენ ქანაობას და გამოსცემს კაკუნის ხმას.

#### ია მანია

##### „კახეთი, ჩემო კახეთო...“

ჩემი მხარეა კახეთი, კერძოდ მისი ულამაზესი დედაქალაქი თელავი. მის წარმოშობას ერთ-ერთი ლეგენდა უკავშირდება. ლეგენდის თანახმად თელავში მდგარა თელა, რომელზეც თურმე პატარა ბავშვი ასულა და ჩამოვარდნილა. ამის შემდეგ ხალხმა ამ ხეს „თელა ავი“ უწოდა. აქედან მომდინარეობს სახელწოდება თელავიც. კახეთი არის მთელ საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული, თვალჩინო კუთხე, რომელიც მდიდარია ისტორიული ძეგლებითა და სიწმინდეებით. კახეთი ოდითგანვე იყო ღვინის სამშობლო და გამორჩეული თავისი სტუმართმოყვარეობით, იუმორითა და გმირი ხალხით. კახეთში დაცულია უამრავი ეროვნული სიწმინდე. „თეთრი გიორგი“, „შუამთის მონასტერი“, „გრემი“ და სხვა... მათგან გამორჩეულია ალავერდი, რომელიც XI საუკუნეში აშენდა და ახმეტის რაიონშია. სიმაღლით კახეთში პირველი, ხოლო მთელ საქართველოში მეორე ეკლესიაა. ლეგენდის თანახმად, როდესაც ეკლესიის აგებისას ერთ-ერთი თათარი მშენებელი ჩამოვარდნილა ეკლესიიდან. მიწაზე დაცემისას მისი ხელის ანაბეჭდი, დღემდე

ალავერდის ეკლესიაში. ჩამოვარდნილს ამ მშენებელს დაუძახია „ალაპ ვერდი“, რაც ქართულად „ღმერთო მიშველეს“ ნიშნავს. ამის შემდეგაც ამ ეკლესიას ალავერდი დაერქვა.

ჩემი კუთხე გამორჩეულია ბუნებით, თავისი მთისა და ბარის სილამაზით, ალაზნის ველით, რომელიც მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

##### ნინო ერგემლიძე

#### მანგლისის ეკლესია

მანგლისი თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთით, თრიალეთის ქედის სამხრეთ კალთებზეა შეფენილი. იგი საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ერთ-ერთი უძველესი კერა იყო. თავისი მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო (ლეონტი მროველის ცნობით) IV ს. I ნახევარში „საქართველოს მნიშვნელოვან ქალაქად ითვლება“.

როდესაც მეფე მირიანმა ქრისტიანობა მიიღო და კონსტანტინე კეისარმა მისი თხოვნის თანახმად ეპისკოპოსის ხელით წმინდა რელიკვიები გამოუგზავნა, „წარმოვიდა და მივიდა მანგლისს და იწყო ეკლესიების შენება“. IV საუკუნის I ნახევარში მანგლისში ქვის ეკლესია, ხოლო V საუკუნის მიწურულს ტეტრაკონქის ტიპის ახალი გუმბათიანი ტაძარი აუგიათ, სადაც ვახტანგ გორგასალმა ეპისკოპოსი დასვა. ვახტანგ გორგასლის მიერ



დაარსებული 12 საეპისკოპოსოს შორის მანგლისი რიგით მეოთხეა.

XI საუკუნემდე ტაძრის ისტორიაზე არავითარი ცნობა არ გვაქვს.

მე-11 საუკუნეში იგი ლიპარიტ ბაღვაშის კარის ეკლესია იყო.

XI ს. პირველ მესამედში ტაძრის ისტორიაში დიდი გარდატეხა მოხდა. ძველი, შედარებით პატარა ეკლესია, ძირფესვიანად გადააკეთეს. მოპირკეთების უდიდესი ნაწილი XIX ს. შეკეთების დროს გადაითალა და გადაიწყო. ამ მხრივ გამოჩაგვის წარმოადგენს მხოლოდ XI საუკუნის გუმბათი, რომელიც თითქმის ხელუხლებლად დატოვებულია.

მანგლისის ტაძარს ისტორიული ხასიათის მრავალი წარწერა ჰქონდა, მაგრამ მათგან უფრო მნიშვნელოვანი

XIX ს. 50-იან წლებში ჩატარებულმა შეკეთებამ იმსხვერპლა. ამჟამად ტაძარზე შემორჩენილ წარწერებს შორის ზოგი იმდენად დაზიანებულია, რომ მხოლოდ ნაწილობრივ იკითხება.

მანგლისის ტაძარი თავიდან ჯვრის სახელზე იყო აგებული, შემდეგში კი ღვთისმშობლის სახელზე უკუთრებულია.

XIX ს. 50-იან წლებში უპატრონოდ მიტოვებული ტაძარი მანგლისში მდგომი რუსის ჯარის ნაწილის ოფიცრების ხელშეწყობით იქნა აღდგენილი. ამ დროს დაიღუპა ტაძარზე არსებული მრავალი ისტორიული მნიშვნელობის წარწერა. რუსებმა კარიბჭეზე მაიამარეს რუსეთის იმპერიის გერბი, რითაც ტაძრის ფასადები დაამახინჯეს, მაგრამ ის ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინეს.

ტაძარში დღესაც დიდი მადლი ტრიალებს, მნახველს აოცებს ღვთისმშობლის სასწაულებრივი ძალა, იგი 10-12 წლის წინ სიონის საკათედრო ტაძრიდან მანგლისის ტაძარში ჩამოაბრძანეს. მის ჩამობრძანებას ესწრებოდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე. მანგლისის შესასვლელში მრავალრიცხოვანი მრევლი ელოდა, საშინელი ამინდი იდგა, მაგრამ მიუხედავად თავსხმა წვიმისა, არც ერთი სანთელი არ ჩამქრალა ტაძარძვე. მას შემდეგ ბევრია მოწამე ღვთისმშობლის ხატის მირონმდინარებისა.

ზატია კალანდაძე

**ზარაგაულის სიწმინდეები**

ჩვენს სოფელ ნადაბურში არის წმინდა თედორე ტირონის სახელობის ეკლესია, რომელსაც ძალიან საინტერესო ისტორია აქვს.

გადმოცემით ვიცა, რომ XIX საუკუნეში ამ ეკლესიის ადგილას მდგარა უზარმაზარი ხის ეკლესია, რომლის მსგავსი საქართველოში მხოლოდ ოთხი ყოფილა. ეს დიდგუმბათიანი ეკლესია იყო, რომელშიც ფუტკარი ჰყავდათ, რის გამოც გუმბათი საოცარ ხმას გამოცემდა. ამ ეკლესიაში მოდიოდნენ მახლობელი სოფლებიდან და მოჰქონდათ ან მოჰყავდათ შესაწირი, ისინი კი, ვინც წმინდანს ეკლესიაში ღამისთევას აღუთქვამდა, ეკლესიის გვერდით სპეციალურ ოთახში შეეძლოთ დაბინავებულიყვნენ.

ერთხელაც, მეზობელი სოფლიდან გადმოსულან ეკლესიაში ცოლ-ქმარი ღამის თევით, აუნთიათ სანთლები, რომლებიც მიუმავრებიათ კედელზე, თვითონ კი ოთახში გასულან და ჩასძინებიათ. ცეცხლი სანთლიდან ეკლესიის ხის კედლებს მოსდებია და მთელი ეკლესია დამწვარა. ამ ეკლესიის ადგილას სოფელმა პატარა სალოცავი ააგო, რათა ხალხს შესძლებოდა თედორობის დღესასწაულზე წმინდანისათვის სანთლები აენთო. ეს დღესასწაული ადღვრამდე ექვსი კვირით ადრე იმართება და გელაშვილების დღეობად ითვლება, რადგან ამ დღეს მათ გარდა არცერთი გვარი არ აღნიშნავს. ამ ეკლესიის გარშემო ამოვიდა უზარმაზ-

არი ბზის ხეები და დღესაც ყოველ ბზობა დღეს ხალხს პატარა ტოტი შინ მიაქვს და შემდეგ ბზობამდე ინახავს. ბზა ნაკურთხად ითვლება. ამ ეკლესიის მახლობლად გადიოდა გზა, რომელიც თითქმის მთორე სოფლის შესასვლელამდე მდებარე სასაფლაომდე მოგიყვანდათ. სოფლიდან სასაფლაომდე თითქმის 3 კილომეტრი იყო. სოფლელებს ზამთრის უამინდობაშიც კი ამ გზის გავლა უწყევდათ, რათა მიცვალებული დაემარხათ, ზოგჯერ მიცვალებული ჩასასვენებლიდან ანუ კუბოდან გადმოვარდნათ, მიცვალებულს გორავ-გორავით ამ ეკლესიის ეზომდე მიუღწევია. მიუხედავად იმისა, რომ ეზო ძალიან ციცაბო ფერდობი იყო, ეს რამდენჯერმე განმეორებულა და ხალხი მიმხვდარა, რომ განგება რაღაცას ანიშნებდა. სოფელსაც გადაუწყვეტია, რომ ეკლესიის ეზოში მიცვალებულები დაეკრძალათ. მას შემდეგ ამ ეკლესიის ეზოში გაიხსნა სასაფლაო. სოფლის ერთ-ერთმა მცხოვრებმა, რომელიც დიდი ხნის წინ დაქორწინებული იყო, მაგრამ შვილი არ ჰყავდა, წმინდა თედორეს აღუთქვა, თუ შვილს მიბოძებ, ამ ქვის ეკლესიის ნაცვლად უფრო კარგ ეკლესიას აგებებო. მას მართლაც შეეძინა ქალიშვილი მარიამი და პირობაც შეასრულა, ააშენა ეკლესია, აღჭურვა მღვდელთმსახურებისათვის საჭირო ყველანაირი ნივთით. ეკლესიას დაუბრუნდა ზარი, რომელიც წლების განმავლობაში სკოლის ეკუთვნოდა. უკვე ორი წელია, რაც ეს

ეკლესია საზეიმოდ გახსნა იმერეთის მთავარეპისკოპოსმა მამა ვახტანგმა. მას შემდეგ ყოველ დიდ რელიგიურ დღესასწაულზე, როგორცაა აღდგომა, თედორობა, გიორგობა, ფერისცვალება და მარიამობა, მოდის მოძღვარი და ხალხს შესაძლებლობა აქვს დაესწროს წირვა-ლოცვას და მიიღოს კურთხევა, რაც ძალიან მისასალმებელია.

**ნესტან გელაშვილი**

**შემოქმედის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი**

შემოქმედი ქართველის ხელმა რით არ შეამკო და რით არ განადიდა საქართველო. მის სამარადჟამო ქებათა-ქებად შემოგვრჩენია ალავერდი, სვეტიცხოველი, დედა სიონი, გელათი თუ ათორმეტნი სავანენი კლარჯეთისანნი. მათ კედლებს შორის ღამეები თეთრად გათენდა და კაბადონებს ქართველი კაცის ნააზრევი უკვდავებად გარდმოესახა. შორს, შორს წარიდეს ქართველის ზარებმა ხმა აზმათა და გალობათა, ქართველი კაცის შემართებამ და თავდადებამ ბევრი ქარი და ელვა განარიდა სამშობლო ზეცას და კვლავაც ღაღადჰყო კრიმანჭულის მოღვმის – დაუმცხრალთა ტომის ქვეანაში ქვით ნაკვეთი სპეტაკი კვართი უფლისაი – შემოქმედის მონასტერი – საძველე გურიელთა.

ამ დროის განმავლობაში, როცა წინაპრებმა ჩვენს სამშობლოს

საუცხოლო სამოსი ჩააცვეს არშეიბით, ფოთლებითა და ყვავილებით შემკობილი, დასავლეთ ევროპაში წარმოიშვა, ზებუნებრივი და ზეადამიანური არქიტექტურა, რომელიც ზეცისკენ მიიღვტვოდა თავისი კოშკებითა და წვეტიანი ისრებით. კედლებიდან და თალებიდან კი სისხლნაკლული, უძრავი და მიუკარები წმინდანები გამოიყურებოდნენ. ჩვენი ტაძრები და კოშკები ზეცისკენ როდი მიიღვტვოდნენ, მიწაზე იდგნენ და მიწასვე უბრუნდებოდნენ მცენარეების მსგავსად. უმეტეს შემთხვევაში ქართული ტაძარი მთის კალთაზე, გორაკზე და ბორცვზეა აღმოცენებული, შენობის კორპუსი თითქოს ნიადაგის სიღრმეიდანაა ამოზიდული. კორპუსზე იზრდება გუმბათი, რომელიც მთელი შენობის გვირგვინს წარმოადგენს, წარსულ საუკუნეთა აღბეჭდეს დიდი სიძველის ბეჭდით უშველებელი ცისფერი თოლილი ქვები, რომლებიც აშენებულია შემოქმედის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, ისინი გარემოიცვა მწვანე ზავსმა და ფათალომ, თვით მონასტერი, დაჩრდილული, დახავსებული წაბლის ხეებით, ამასთანავე არის ებგური გურიის მთავართა რამდენისავე გვაბით. მათი უხმო აკლამანი, თოლილი ქვის სიპებისაგან ქმნილნი, მთლად მოიცავენ ტაძრის იატაკს. მაგრამ სიწმინდის შეურაცხმყოფელმა ოსმალთა ხელმა შემოსევათა ჟამს, არ დაინდო თვით უკანასკნელი განსასვენებელი გურიის მთავრებისა.

შემოქმედის ციხის სიმალიდან, თვალი წვდება თითქმის მთელ გურიას, ნაწილს სამეგრელოსა და იმერეთისას და იკარგება თვალგაღწევდნელ ამწვანებულ ტყეებში, რომელნიც ერთიან გაურკვეველ ლაყვარდს შორეულ ციავისას, გარემოცულს უშველებელი მთებით, დათოვლილი მწვერვალნი კი უძრავ ღრუბლებად მოჩანან. აქედან მეორე მხრივ თვალგაღწევდნელი ზღვაა.

გურიის სასულიერო ყოფის, მისი ქრისტიანული აღმსარებლობის ძალები მაჯისცემის განმსაზღვრელი ყოველთვის შემოქმედის მონასტერი იყო.

შემოქმედი — ღვთაება!  
შემოქმედი — მაცხოვარი!

შემოქმედი — მარსი და საწყისი ყოველთა, არცერთ მონასტერს საქართველოში, უფლის ძალისხმევითა და ნებით აღმოცენებულს, არ ჰქონია ასეთი ღვთაებრივი და ყოვლად სრული სახელწოდება, ვიდრე შემოქმედს.

შემოქმედის ტაძარი, რომელიც უძველესია ოზურგეთის ეკლესიათა შორის, ორნავიანია. განათებულია რვაკუთხოვანი თაღებით. შენობა დროთა ვითარებისაგან ძალიან შელახულია. აქვეა გურიელთა სამარხებიც. ზღაპრული, რბილი, მეტისმეტად საამო ხილამაზეა ირველივ, იშვიათად თუ შესვლებით ასე მოხდენილ ადგილას აშენებულ მონასტერს, დატყებნი ნიათი, ცივი წყაროს წყლით, გაგიტაცებს იქაური სამყარო, დგამშვიდებს ზარების რეკვა,

სიწმინდე და წინაპართა ძვლებით გაპოხიერებული მიწა.

**ნათია ქორიძე**

**საოცარი მადლი ქარელში**

ქოზიფას მამათა მონასტერი მდებარეობს ქართლში, ურბნისისა და რუისის ეპარქიაში, ქარელის რაიონის მდინარე ძამის ხეობაში. უმშვენიერეს ადგილზე განლაგებული ეს წმინდა სავანე ქარელის რაიონული ცენტრიდან 35 კმ-ითაა დაშორებული. ადგილის სიმაღლე ზღვის დონიდან 1420 მ-ია. აქ მონასტრული ცხოვრება VI-VII საუკუნიდან იღებს სათავეს და XVII საუკუნემდე მიმდინარეობს. რამდენიმე წელია ამ წმინდა ადგილმა კვლავ გაუხსნა თავისი კარი ბერებს სამოღვაწეოდ და ღვთის სადიდებლად. ყოველივე ამის სულის ჩამდგმელი ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტი იობია. ქოზიფას მონასტრის კომპლექსი 7 ბაზილიკური ტიპის ეკლესიისაგან შედგება, მათ შორის მთავარი ცენტრალური ტაძარი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძარდ მიყვანების სახელობისა და XIII საუკუნეშია აგებული. განსაკუთრებით გამოჩეულია აღმოსავლეთი ფასადი. სარკმლის ზემოთ ჩატანებულია უიშვიათესი მწვანე ქვით გამოკვეთილი ჯვარი, რომელიც წელიწადის დროთა მიხედვით ბუნებრივად იცვლის ფერს — ხან საკმაოდ მუქდება, ხან კი ღია მწვანე ფერისაა. მონასტრის განსაკუთრებულ

სიწმინდეს წარმოადგენს საძვალე, სადაც საუკუნიდან მოღვაწე მამები განისვენებენ. საოცარი მადლი, სიმშვიდე და სიმყუდროვე იგრძნობა წინაპრების მიწიერ სამყოფელში. ზოგიერთ თავის ქალაზე ბუნებრივადაა გამოსახული ჯვარი, რაც მათი სიწმინდის ნიშანია.

ქოზიფას მამათა მონასტრის მადლი და იქ აღვლენილი ლოცვები იყოს შემწე წინაშე ღვთისა ჩვენი და სრულიად საქართველოსი.

**ნინო ეკალაძე**

**ღვთაების სამონასტრო კომპლექსი**

საქვეყნოდ ცნობილია ის ფაქტი, რომ VI საუკუნეში ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანული რელიგიის დაცვა-განმტკიცების მიზნით ჩამოვიდა ცამეტი ასურელი მამა. მათი საქმიანობა აგრეთვე სამონასტრო მშენებლობა იყო. ასურელი მამებიდან ერთ-ერთი იყო მამა ანტონი, რომელმაც სოფელ ნორიოს ჩრდილო-აღმოსავლეთით შეარჩია მოხერხებული ადგილი მონასტრის ასაშენებლად. მამა ანტონის თაოსნობით აიგო ღვთაების სამონასტრო კომპლექსი. იგი დაშენებულია მაღალ კლდეზე, კლდის სიმაღლე ზოგან 10-15 მეტრს აღწევს.

ამ დიდებული ტაძარ-კომპლექსის მთავარი ნაგებობა გუმბათოვანია, აგებულია თლილი ქვით, უხვადაა შემკუ-

ლი ჩუქურთმებით, გარს აკრავს სათოფურებიანი გალავანი.

სამონასტრო კომპლექსის აღმოსავლეთით, მაღალ მთაზე, აღმართულია მამა ანტონის კოშკი, სადაც სიცოცხლის უკანასკნელი 15 წელი მან მარტომ გაატარა, სწორედ ამიტომ ეწოდება მას მამა ანტონ მარტ(მ)ყოფელი. მამა ანტონი დაკრძალულია კომპლექსის მთავარ ტაძარში.

ადგილობრივი მოსახლეობა ამ სამონასტრო კომპლექსს უბრალოდ ღვთაებას უწოდებს.

**ნინო იორამაშვილი**

**ჩემი ქალაქის ეკლესია-მონასტერი**

ბორჯომის ერთ-ერთ ღირსშესანიშნოებას წარმოადგენს „მწვანე მონასტერი“. უღამაზესი ფოთლოვანი ტყის სიღრმეში ჩაფლული ეს მართლაც „მწვანე“ მონასტერი მნახველს საოცარ სიმშვიდეს გვრის. იშვიათია ასეთი ღამაში ბუნება: მეჩხერი ფოთლოვანი ტყე, აქა-იქ უზარმაზარი ხავსმოკიდებული ლოდები, გვერდით კი პატარა მდინარე, რომელიც მონასტერთან ძალიან ახლოს ჩაედინება. მის ფსკერზე მოჩანს ქვები, რომლებსაც დღესაც ატყვია ოდესღაც აქ სარწმუნოებისათვის ნაწამები ბერების სისხლის ნაკვალევი, ვერც დრო და ვერც დინება ვერ წაშალა ეს კვალი.

ქალაქის ცენტრში აგებულია წმ. ნიკოლოზის ეკლესია. მისი კედლებიდან მომზირალი ხატები მყუდროებას ჰფენენ ისედაც მყუდრო ეკლესიას.

არანაკლებ ცნობილია ტიმოთეს უბნის წმ. მარიამის ტაძარი. დროთა განმავლობაში წაშლილ ფრესკებს რესტავრაცია რამდენიმე წლის წინ გაუკეთდა. ტაძარს კიდევ უფრო მეტ სილამაზეს მისი უზარმაზარი გუმბათი სძენს. საოცარია მარიამობის დღესასწაულის ხელვა ამ ტაძარში. ზღვის აბობოქრებული ტალღებივით მოედინება ხალხი. დიდი თუ პატარა, ყველა ზეიმობს. იკვლება შესაწირი პირუტყვი, იშლება სუფრები. ხალხი იქვე მოჩუჩხუხე ყინულივით ცივი წყაროს წყლით იკლავს წყურვილს.

ბორჯომის ყველა სოფელს აქვს თავისი ეკლესია. ერთ-ერთი ასეთია საღვერის წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც ულამაზეს ბუნებაშია ჩაფლული და ეს მეტ მშვენიერებას სძენს მას.

ასევე წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაა სოფ. დაბაშიც. უზარმაზარ კლდეებში მდგარი ეს პატარა ეკლესიაც თითქოს კლდისგან გამოუკვეთათ. ამაოდ ცდილობენ ამ ეკლესიას კარი მთარგონ, რადგან იგი კარს არ იჩერებს და მნახველისთვის მუდამ ღიაა.

აღსანიშნავია წმ. იოანე ნათლისმცემლის ბაზილიკური ეკლესია სოფ. ცეშში, რომელიც 1895 წელსაა აშენებული.

ყველაზე ახალი აგებული კი წაღერის წმ. ნინოს ეკლესიაა, რომელიც ულამაზესადაა მოხატული. თვალს ვერ მოსწევტო მისი კედლებიდან მომზირალ წმინდანების ფრესკებს. ეკლესიის გუმბათზე აღმართული ვჯარი ულამაზესადაა თვლებით მოჭედილი. ტაძარი მშენებლობის დასასრულს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II მოინახულა და აკურთხა იგი.


**მარიკა ტაბატაძე**

**ჩემი ქუთაისის ეკლესიები და მონასტრები**

**გელათი**

ქუთაისიდან II კმ-ის დაშორებით, აღმოსავლეთით, მდინარე წყალწითელას თვალწარმტაც ხეობაში მდებარეობს ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი – გელათის მონასტერი.

გელათის მონასტერს საფუძველი ჩაეყარა XII ს-ის დამდეგს. ტაძრის შენება დაიწყო დავით აღმაშენებელმა და დამთავრდა მისი სიკვდილის შემდეგ, მეფე დემეტრეს დროს (1130წ.), რომელმაც მოახატვინა და აკურთხებინა ტაძარი. ხალხური გადმოცემა ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთით მინაშენს უკავშირებს თამარ მეფის სახელს. აქ წელიწადში ერთხელ იმართება თამარ მეფის მოსახსენიებელი პარაკლისი. თამარის თანამედროვე ისტორი-



გელათის მონასტრის გალავნის გარშემო არის საბას საყდარი, ელიას ეკლესია, სენაკები, ქვითკირის ციხის ნანგრევები და სხვა.

გელათის ხუროთმოძღვრული ანსამბლი აღორძინების ეპოქის დიდმნიშვნელოვანი ძეგლია, რომელსაც საპატიო ადგილი უკავია ქართველი ერის კულტურულ საგანძურში.

**მოწამეთა**

ქუთაისიდან ექვსი კილომეტრის დაშორებით, აღმოსავლეთით, მდინარე წყალწითელას თვალწარმტაც ხეობაში, სოფელ მოწამეთაში მდებარეობს მოწამეთას მონასტერი.

კოსები აღნიშნავენ: თამარი ახალს მონასტერსა გელათს დამარხესო. აქვე, ჩრდილოეთით დაკრძალულია სოლომონ I – იმერეთის მეფე.

დავით აღმაშენებლის საფლავი მთავარი ტაძრის სამხრეთით ორსართულიან გრძელ შენობაშია. საფლავს ზემოდან უზარმაზარი ქვა ადევს წარწერით: – ესე არს განსასვენებელი ჩემი უკუნითი უკინისამდე, რამეთუ ამას დავემკვიდრო. გელათში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ფილოსოფოსები: იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი და სხვები. მონასტრის აღმოსავლეთით არის ნანგრევები, რომელიც სოხატერის სახელწოდებითაა ცნობილი, მკვლევარები ვარაუდობენ იქ ქსენონის არსებობას.

მოწამეთას მონასტერი ძველი ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია, საქართველოს ძველი ისტორიის ბრწყინვალე მღაღადებელი, თავის წარმტაცი ხატოვანი ბუნებით წარუშლელ შთაბეჭდილებას რომ ტოვებს მნახველზე.

მოწამეთას შესახებ ერთ-ერთი ადრეული ცნობა დაცულია „წმინდანთა ცხოვრება“-ში: ადგილსაი მას, რომელსა ჰქვიან წყალწითელი, რამეთუ იყო ადგილი ციხე-ქალაქ და ეს მრავალ. მართლაც სტრატეგიული თვალსაზრისით „წყალწითელი“ უადრესად მოსახერხებელი ადგილია. იგი მდინარის მიერ შექმნილი ნახევარკუნძულია და ყოველი მხრიდან ციცაბო კლდეებითაა დაცული.

მოწამეთის ეკლესია ჯვარ-გუმბათოვანი ტიპისაა. ეკლესიას აქვს ორი კარი, დასავლეთის და სამხრეთის. საკურთხეველი ჩრდილოეთ მხარესაა, რაც მეტად საინტერესოა. საკურთხევლის მარცხენა მხარეს, შემადლებულ ადგილზე ხის ორ მოჩუქურთმებულ ლომზე, დევს ხისგან დამზადებული ლუსკუმი, რომელშიც მოთავსებულია წმინდანების – დავით და კონსტანტინეს ნეშტი. ქვემოთ დატოვებულია ადგილი, რომ მორწმუნეებმა ჩოქვით გააარონ, მათ შეუძლიათ ერთი სურვილი ჩაიფიქრონ, რომელიც აუცილებლად აუსრულდებათ, რა თქმა უნდა, თუ ირწმუნეს. აქ ისე უნდა გაძვრე, რომ კედლებს არ შეეხო. ჩემზე შეიძლება ასე ითქვას, რომ აქ გაძრომის სპეციალისტი ვარ, თუ რამეში უფლის დახმარება დამჭირდებოდა, ეგრევე მოწამეთისკენ გავმუშურებოდი, ერთ სურვილს ჩაიფიქრებდი, გავძვრებოდი და უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი სურვილი უეჭველად ასრულდებოდა, ასეც იყო, ჩემი ყველა ჩანაფიქრი სრულდებოდა. აქ დღესაც ბევრი სასწაული ხდება.

მოწამეთის მონასტერი საფურადღებო ძეგლია, როგორც ისტორიული, ისე საკულტო დანიშნულებით. მას საპატრიო ადგილი უჭირავს ქართველი ერის კულტურის საგანძურში.

*ეთერ ვაშაყმაძე*

**ზონის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია**

ზონის წმინდა გიორგის ეკლესია ქალაქის ცენტრში, მრავალსაუკუნოვანი ცაცხვებისა და მავნოლიების ჩრდილშია შეწყობილი. ის წარსულ საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს დიდი სალოცავი იყო. ამჟამად კი ვაკე-იმერეთის, ანუ ზონი-სამტრედიის ეპარქიის საკათედრო ტაძარია.

ზონის საყდრის შესახებ ჩვენს გამოჩენილ ისტორიკოსებს და უცხოელ მოგზაურებს გამოთქმული აქვთ საინტერესო მოსაზრებები. გარკვეულ წარწერებზე დაყრდნობით, ისინი ზონის ტაძარს XI საუკუნის ძეგლად მიიჩნევენ, მაგრამ საყდრის ასეთი დათარიღება არ არის მთლად ზუსტი.

VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი წერდა, რომ ძველ კოლხეთს ჰუნთა ტომი – ჰონგურები შემოსევია, ქართველებს მტერი დაუმარცხებიათ და გამარჯვების ადგილას ციხე-ქალაქი ჰონგურისი დაუარსებიათ, თან მათთან ბრძოლაში გამარჯვებულ დაღუპული სტეფანეს სახელზე ეკლესიაც აუგიათ.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის რუსმა მოგზაურმა და მეცნიერმა ანდრეი მურავიოვმა აგათა სქოლასტიკოსისეული ლეგენდა სარწმუნოდ მიიჩნია. მკვლევარი საყდრს აღრქვის-ტიანული ხანის ძეგლს აკუთვნებს. მისი მოგზაურობისას ზონში გავრცელებული ყოფილა გადმოცემა, რომ საყდარი თამარის დროს იყო აგებული. აგათა-

სეული ლეგენდა ზონისა და ჰონგურის იგივეობის შესახებ აკადემიკოსმა ექვთიმე თაყაიშვილმა, მას შემდეგ, რაც მან დეტალურად შეისწავლა ზონის საყდრის სიძველეები, სარწმუნოდ მიიჩნია: XIII საუკუნის იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის მიერ შედგენილ სამეგრელოს რუკაზე დატანილია ზონის საყდარი, მითითებით – „ეპარქია“, სადაც ის დარბაზისეულ ეკლესიად არის წარმოდგენილი.

ზონის საყდრის გადაკეთება-გაფართოებისთვის ზრუნვა XIX საუკუნის 40-იან წლებში დაწყებულია იმერეთის ეპისკოპოსის სოფრონიოს წულუკიძის დროს. 1862-86 წლებში ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის ინიციატივით, ხონელების სახსრებით და საყდრის ილუმინის, ვასილ ქუთათელაძის თაოსნობით, ეკლესიას რეკონსტრუქცია ჩაუტარდა. მისი ჩრდილო და სამხრეთ კედლები გაარღვიეს. თეთრი თლილი ქვის კვადრატებით ნაგები სამსამი მძლავრი, მაგრამ დაბალი ბოძით და თაღოვანი კამარებით ნაგები მიაშენეს, რამაც ტაძარი ბაზილიკური ტიპის ნაგებობად აქცია.

ეკლესიის ზომა 15 X 15 მეტრზეა, კედლი სისქე 1.2 მეტრია. შუა ნავი ინტერიერში ყველაზე მაღალი და ვრცელია. სიძველე მისმა აღმოსავლეთ ნაწილმა შეინარჩუნა. დასავლეთ კარის ზევით, კარნიზის კეხთან ქვაში ნაკვეთი სტილიზებული ჯვარია, მის ქვემოთ კი გამოჭრეს ფართო სარკმელი, რომლის ადგილას 1998 წელს ალუ-

მინის ოქროსფერი დახრილძკლავიანი ჯვრით შემკული ფანჯარა ჩასვეს.

საყდრის ჩრდილოეთი და სამხრეთი, სუფთად დამუშავებული, სწორკუთხა ქვებითაა ნაგები.

1862-64 წლებში საკურთხეველი იატაკიდან 20 სმ-ით ამაღლეს და კანდელი დიდი ზომის ხეზე შესრულებული ხატებით შეამკეს. 1999 წლის ზაფხულში ეპისკოპოსმა მეუფე საბამ, ხის კანდელი ქვითკირით შეცვალა და ის ღია ვარდისფრად შეადგინა.

ზონის ეკლესია სწორფასადიანი, პირქუში, გოთური ტიპის ნაგებობაა, მისი გარეგნული შემკულობა მეტად სადაა. ეკლესია თავიდან ბრტყელი, ე.წ. სინოპური კრამიტით ყოფილა დახურული, 1886 წელს ყვრით დახურეს, 1910-1911 წლებში თუნუქით, ამჟამად გადახურულია მეტალოპლასტმასით. ზონის ტაძრის წარწერათა შესწავლა ადასტურებს, რომ ის იოანე და ჯუანშერ ერისთავებმა VIII საუკუნის ბოლოს ააგეს. შემდეგ ერის-ავხაზეთის მეფეს გიორგი I (861-868) გადაუკეთებია. იოანე და აღარნასე მეფეებსაც სამუშაოები ჩაუტარებიათ ზონის საყდარში, ბოლოს კი კონსტანტინე III (893-922წწ.).

ეტყობა, „დიდი თურქობისას“ ეკლესია დაინგრა. მისი აღდგენა-გაფართოება და მოხატვა თამარის დროს დაწყებულია და გიორგი IV (ლაშა) დროს დამთავრებულია, რასაც ადასტურებს მისი წარწერები. ზონის საყდრის სამრეკლო პატარა, თუმცა მონუმენტური ძეგლია. ქვედა სართული

კვადრატულია. სამრეკლოს კედელში მშენებლობის რამდენიმე ფენა შეინიშნება. მისი პირველი რეკონსტრუქცია ზეპირი გადმოცემებით ბაგრატ III იმერეთა მეფის (1510-1548წ.) ხანას, ბოლო XIX საუკუნეს განეკუთვნება, როცა მას ერთიანი ქვის ნაშრომი ბოძით მესამე სართული დააშენეს. კონუსური საურავით იატაკის ცენტრში ძვეს უზარმაზარი, მძიმე ოთხკუთხა ქვის სარკველი, რომელიც საიდუმლო გვირაბის თავს ფარავს. აქედან ის „ცხენისწყლის“ ჭალაში გადიოდა ეკლესიიდან 2 კმ-ზე, მტრის თავდასხმის დროს, გვირაბით გაჰქონდათ ეკლესიის რელიქვიები, განძი და იხიზნებოდა ხალხი.

ხონის საყდრს გარს არტყია ისტორიული გალავანი, რის გამოც შუა საუკუნეებში ხონს ციხე-ქალაქს უწოდებდნენ. გალავნის აშენება განაპირობა საყდრის რელიქვიებისა და ადგილობრივი მოსახლეობის დაცვის საჭიროებამ. მას რესტავრაცია გაუკეთდა 1988-89 წლებში. 1862-86 წლებში სამრეკლოს აღმოსავლეთით ორიოდ მეტრზე გალავანი გაურღვევიათ, მასში გამოუჭრიათ 3,5 მ სიგრძის კარიბჭე, რომელშიც 1979-80 წლებში ჩაისვა ბეჭდური ჭიშკარი. ხონის საყდრის წარწერათაგან შეიძლება ამოვიკითხოთ 22, რომელთა მიხედვითაც ეკლესია აგებული უნდა იყოს VIII საუკუნეში, კერძოდ 60-70-იან წლებში.

ხონის ეკლესია წარწერათა რიცხვით ერთ-ერთი პირველია საქართველოში.

**თიკო ფარცხალაძე**

\* \* \*

დღევანდელი ზესტაფონის რაიონი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში შედიოდა. ადრე კლასობრივი წყობილების დროს, იბერიის, ანუ ქართლის სამეფოში, არგვეთის საერისთავოში, ზემო იმერეთის სადროში, 1846 წლიდან 1917 წლამდე. მეფის რუსეთის ადმინისტრაციული რეფორმით, ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრაში, 1930 წლიდან საქართველოს ადმინისტრაციული ტერიტორიის დაყოფით გამოიყო დამოუკიდებელ ერთეულად და საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი რაიონია.

ზესტაფონის რაიონში მრავალადა მატერიალური კულტურის ძეგლები. ესენია: შორაპნის ციხე, ტაბაქინის მონასტერი, ზედა წვეის წმინდა გიორგის ეკლესია და ზედა საქარის გულბადიანის ეკლესია, როდინაულში – მაცხოვრის ეკლესია. გვხვდება აგრეთვე სხვა საყურადღებო მნიშვნელობის მრავალი ციხე-სიმაგრე და ეკლესია-მონასტერი, რომელთა ნაწილი დღემდე შემორჩენილი ნანგრევების ან ნახევრად ნანგრევების სახით და საჭიროებს ყურადღებას, დაცვას და პატრონობას. ასეთი ძეგლებია: სოფელ როდინაულში – ციხე ათას ერთი გორა, პირველ სვირში – წმინდა გიორგის ეკლესია და ადრე ფეოდალური ხანის ვირსახტარა, მეორე სვირში – ციხე და ნაპურადევის ციხე, წმინდა თომა მოციქულის

სახელობის ეკლესია, კვალითში ბარბარწმინდის ეკლესია და დამწვარი ეკლესია, იღუმში წმინდა გიორგისა და შემოქმედის ეკლესია, შროშაში – შროშის შუა საუკუნეების ციხე და წმინდა გიორგის ქედის ეკლესია, ბოსლევაში – წმინდა გიორგის ეკლესიისა და კოშკის ნანგრევები, დილიკაურში – დილიკაურის დამწვარი ციხე, ქვედა საქარაში „თამარ მეფის ხიდი“, თურქული კოშკი, დედა ღვთისა და ჯვარცმის ეკლესია, ზოვრეთში – კოკოლას ეკლესია, ქვედა საზანოში – ბუჯვის ციხე, შიშხილას ქედი, საველათოს ეკლესია კენწიხის გორაზე, ბაგიბუგის, მაცხოვრის, სასახლის, საკვირაოსა და სამების ეკლესიები, ალავერდში – მწყერის ციხე, თვინში – თვინის ციხე-დარბაზი და სხვა.

ნაპურადევის ციხე მდებარეობს სამხრეთით მთის ძირში პირველ და მეორე სვირის გამოყოფ მალლობზე ზესტაფონიდან სამხრეთ-დასავლეთით მე-13 კმ-ზე. ციხის შესახებ წერილობითი ცნობები არ მოგვეპოვება. არსებობს ხალხური გადმოცემა, თითქოს ერთ დროს ვახტანგ გორგასალს სვირზე გაუვლია, სტუმართმოყვარე სვირელებს მეფის პატივსაცემად პურ-მარილი მთის ძირში ამაღლებულ ადგილზე გაუშლიათ. მეფეს ეს ადგილი მოსწონებია და წასვლის წინ უბრძანებია – აქ ციხე აშენდესო. ციხე მართლაც აუშენებიათ და მისთვის ნაპურადევის ციხე დაურქმევიათ.

ციხე საშუალო ზომისაა. კედლები და მდინარეში ჩასასვლელ გვირაბი დანგრეულია. ჩაკირული მრავალი ჭური დეფორმირებულია, ციხის ტერიტორიაზე და მის ჩრდილო-აღმოსავლეთით მრავლად მოიპოვება ანტიკური ხანისა და უფრო გვიანი პერიოდის თიხის ჭურჭლის ნატეხები.

სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში „სვირს“ მცველად ხსენის. ადგილი შესაძლებელია, ერთ დროს სვირის ციხე შორაპნის ციხე-ქალაქის მცველის მოვალეობას ასრულებდა, რადგანაც ციხე მდებარეობს ძველი სავაჭრო გზის მახლობლად.

ხალხის გადმოცემა ციხის შესახებ რამდენად სწორია, არ ვიცით, მაგრამ ციხეს რომ სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, ეს ყაქტაია. ჯერ ერთი, ის კეტავდა თურქეთიდან გადმოსასვლელ საცალფეხო გზას და მეორეც, იგი მდებარეობს ძველი სავაჭრო გზის მახლობლად (სამხრეთით).

მე-19 საუკუნის ბოლოს სოფელში არსებულა პატარა ხის სამლოცველო, რომელიც შემკული ყოფილა სატეხით. 88 წლის ლევან ზიდაშელის თქმით, რომელსაც ბაბუა შთააგონებდა ღვთის სიყვარულს, ვეამცნობს, რომ ეს პატარა საყდარი წმინდა თომა მოციქულის სახელობის ყოფილა, მაღლობ ადგილზე აგებულია, საიდანაც ვასცქეროდა მთელ სოფელს. მის გარშემო ხეებით დაჩრდილულ მწკანეზე ზმურად იკრიბებოდნენ სოფლის კაცნი და ქალნი სალოცავად. საყდარს დიდ პატივს სცემდნენ, იმუნდნენ წირვა-

ლოცვას, „სახარებას“, „დაბადებას“, აქვე ამბობდნენ აღსარებას, თავიანთი მწუხარებაც აქ უღიარებიათ უფლის წინაშე და შემწეობა უთხოვიათ ზეციური მამისთვის. მრევლი ბევრი ყოფილა და ეს პატარა სამლოცველო ვერ იტევდა მის კართან მისულ ღარიბსა თუ მდიდარს, კეთილშობილსა თუ გლეხს, დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ კაცს, ამიტომ გადაწყვიტეს დიდი ეკლესიის აშენება.

სოფლის განაპირას, ე.წ. „საწუ-ლუკიძის“ ტერიტორიაზე, მდინარე ყვირილას პირას, კერძოდ, „ყელვიწრო-ში“, ამ დროისათვის თემის უფროსი ილია წაქაძე თავის უმცროს მძისთან გაბოსთან ერთად აშენებს აგურის ქარხანას. აქ გამოშვებული აგურით აშენებული იქნა წმინდა თომა მოციქულის სახელობის ეკლესია ამავე სახელობის სამლოცველოს გვერდზე. ნახშირი მოჰქონდათ ტყიბულიდან, ხოლო აგურის მოსაჭრელი მასალა – თერჯოლის რაიონის სოფელ ძევირიდან, სადაც ჩამოედინება მდინარე ძევირი.

სვირში არის ადგილი თენებოურის მთის ძირას, რომელსაც „ხატიმამული“ ჰქვია. იქ გაკეთებული ყოფილა საკირე და ეკლესიის ყურეების გასაკეთებელი საჭირო ქვა აქ გამოიწვა. ეკლესიის ძირის მოსაპირკეთებელი ქვა კი მოიტანეს თერჯოლის რაიონის სოფელ ჭოგნარიდან.

ეკლესია მოცულობით დიდი ყოფილა. შემორჩენილი ნანგრევების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მისი ფართობი 230 მ<sup>2</sup>-ს შეადგენს.

ეკლესიის გადახურვისთვის საჭირო ხის მასალა დაამუშავა ამავე სოფლის მკვიდრმა ალექსი გრიგოლის ძე ლომინაშვილმა.

ეკლესიას ჰქონდა სამი კარი. ეს კარები გაუკეთებია უბადლო ოსტატს ამბაკო კაპანაძეს. გადმოცემის მიხედვით, სამივე კარს ჩუქურთმები ჰქონია. ეკლესიის მშენებლობა დაიწყო მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში დათავრებულია. ეკლესია აშენებულია ბერძნების მიერ.

ეკლესიის მშენებლობაში მონაწილეობას იღებდა მთელი სოფელი. შეწირული ფულით მიმდინარეობდა მისი მშენებლობა. მუშახელი უფასოდ მუშაობდა. საჭმელი უფასოდ მოჰქონდათ. ოსტატის გასასტუმრებელი ფული სოფლის მოსახლეობამ აკრიფა.

ეკლესიას ჯვრის ფორმა ჰქონდა. ჯვარედინი მშენებლობა მოგვაგონებს ქრისტეს ჯვარს, რომელმაც დაგვიხსნა ცოდვისაგან. ამ ეკლესიაში მღვდელი იყო სიმონ მჭედლიძე.

1921 წელს სიმონ მჭედლიძე როდესაც წმ. თომა მოციქულის სახელობის ეკლესიაში წირვას ატარებდა, მასთან მისულან „მაბრისქუდიანები“ და სიმონისთვის უთქვამთ, აღიარე სახალხო კრებაზე, რომ ხალხს ატყუებდით, არავითარი ღმერთი არ არსებობსო. სიმონი ძალიან მორწმუნე ყოფილა. მან უარი თქვა მათ ბრძანებაზე, დახვერტითაც დაემუქრნენ, მაგრამ ვერ გატყუეს.

1924 წლის 28 აგვისტოს, მძინარეს დაესხნენ თავს. მიტროპოლი-

ტი ლეჟავა ურემზე დაუკრავთ, ხოლო დანარჩენები, მათ შორის სიმონ მჭედლიძეც, თოკებით გადაუბამთ ერთმანეთზე და წაუყვანიათ ქუთაისში, საფინჩხის ტყეში და იქ, „მწვანე ყვავილას“ თუ ებრაელთა სასაფლაოს მახლობლად დახოცეს. მათ გაიმეორეს წმ. ამბროსი აღმსარებლის, ბესარიონ ხელაიას, სრულიად საქართველოს პატრიარქის სიტყვები: „სული ჩემი ეკუთვნის ღმერთს, გული- საქართველოს, გვამს კი, რაც გნებავთ, ის უყავითო“.

ს. მჭედლიძის დახვერტის შემდეგ დარბეული მისი ოჯახი გაიფანტა, მაგრამ სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს, – ნათქვამია. სიმონ ხუტეის ოჯახმა გაუძლო ქარტეს-

ილებს, კვლავ მომძლავრდა და გამრავლდა. უკვე ნახევარი საუკუნეა, ყოველი წლის 15 თებერვალს, მირქმის დღეს, სიმონის ხსენებას აღნიშნავენ მისი შთამომავლები.

1924 წელს წმ. თომა მოციქულის სახელობის ეკლესიამ ფუნქციონირება შეწყვიტა, ამის შემდეგ ეკლესია გაიძარცვა, აღარ აქვს სახურავი. ბუნების მოვლენებმა თანდათან დაანგრია და გააპარტახა სფირებისგან უყურადღებოდ მიტოვებული – ამჟამად დარჩენილია მხოლოდ კედლები.

წმ. თომა მოციქულის სახელობის ეკლესია ერთადერთია საქართველოში. წმინდა თომა ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს თორმეტი რჩეული მოწაფეთაგან ერთ-ერთია.

*სოფიკო არაბიძე*

## თანატოლის დატირება

როცა თვრამეტი წლის ახალგაზრდა ტრაგიკულად მიდის ამ ცოცხელი ქვეყნიდან, საშინელი ტკივილის განცდა გეუფლება, რომ პატარა ასაკის გამო ბიჭმა თუ გოგონამ ვერ მოასწრო საკუთარი ტალანტის რეალიზება და საქართველოს კიდევ ერთი განუხორციელებელი ოცნება დაუტოვა. ნიჭით აღსავსე ახალგაზრდა დათა გულუაც თვრამეტი წლის ასაკში ტრაგიკული შემთხვევის გამო სხვა სამყაროში გადავიდა, მაგრამ სასწაულის მსგავსი მოვლენა მოხდა, – თვრამეტი წლის მაღალი, ლამაზი, ზრდილი ჭბუკი მრავალი ადამიანის თვალში თითქმის შეუძლებელის შეძლების სიმბოლოდ იქცა, ჭეშმარიტი პოეტის ძალიან ძნელად მისაღწევი მარადიული სახელის დატოვება შეძლო. მისი ლექსები გულწრფელობითა და საკუთარი ხმის, საკუთარი ბილიკის ძეხვით გამოირჩევა, ეს განსაკუთრებით ეხება ახალგაზრდა უნიჭიერესი ბიჭის შინაგან დრამატიზმს, ტრაგიზმს, ისეთ შინაგან წვას, როცა წარმოქმნილი ნათელი ყველას დასანახად ვლინდება. მე დათა გულუას ლექსების წიგნსა და ლექსების ციკლების კითხვისას ყოველთვის გაცვივების გრძნობა მიპყრობდა – საიდან ჰქონდა ასეთი ძლიერი ტრაგიკული ხედვა ახალგაზრდა კაცს, ქართული ოჯახური მზრუნველობით აღზრდილს, მუდმივი ყურადღებით გარემოცულსა და ცხოვრებისეული გაჭირვებების გაუვლელად მაღალი მომავლისკენ მიმავალს, რაც სავალალოდ და საუბედუროდ მას აღარ დასცალდა. კითხვისა და ფიქრის შემდეგ მივედი ბუნებრივ დასკვნამდე, რომ დათას ხანმოკლე ცხოვრება იყო ხალასი ნიჭის გამოვლენა, მისი ტრაგიზმი კი პოეზიაში უდავო დამკვიდრების რეალური გზა; ეს საოცარი სირთულე პატარა ბიჭმა გადალახა და თავაზიანად შეაღო ქართული პოეზიის მძიმე კარი. დათა გულუას პოეტური ხედვა, პოეტური გზა, პოეტური თვითგამოხატვის ხერხები მაგონებდა და მაგონებს ტერენტი გრანელის, ტიციან ტაბიძის, ნიკო სამადაშვილის უმაღლესი დონის ორიგინალურ პოეზიას. ალბათ ამიტომაც ძალიან მესიამოვნა, როცა ჩემმა ერთ-ერთმა საუკეთესო სტუდენტმა, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პირველკურსელმა, თვრამეტი წლის თამთა კობაშვილმა ოთხი ლექსი მომიტანა ჟურნალ „სიტყვაში“ გამოქვეყნების მიზნით და ამ ოთხი ლექსიდან ორი უდროოდ წასული შესანიშნავი პოეტის დათა გულუასადმი მიძღვნილი აღმოჩნდა. ვაკვეყნებთ სახელმოხვეჭილი თანატოლის უძმომესი ზვედრით შთაგონებულ ლექსებს. ეს გულწრფელი ლექსები ბარომეტრივით გვიჩვენებენ ახალგაზრდა თაობაში დათა გულუას პოპულარობის ზრდას, რაც უკვედავობის ნიშნით დაიღვასმულ მის სულიერ ცხოვრებას განაპირობებს.

ნუგ ზარ წერეთელი



## გალაქტიკა

დათა გულუას სხოვნას

„დაირწოლა მზე ჩამომხვრჩავალი,  
ვისი ბრალია მისი სიკვდილი,  
ვისი ბრალია, რომ ნარიყალას  
პირველად უნდა ქვეზე ტირილი?!“

დათა გულუა

შენმა შთაგონებამ სული დამიღვარა,  
ბედმა შენი თავი ჯანღებს ანაცვალა,  
შენმა გალაქტიკამ თავი გაგვიყვარა,  
სიკვდილმა სიცოცხლე აღარ დაგაცვალა.  
შენს „ანტარქტიდაზე“ ჩაიმსხვრა ყინული,  
ფუჭი იმედები დილის მზემ დაბინდა,  
გაქრა მომავალი ჯერაც არნიღული  
და შენი სარკმელიდან საღამო გაფრინდა.  
შენ არ გასვენებდა მომავლის ფიქრები  
და ჯვარის მტვითველი აწმყო წარსულის,  
თუ იცი ძვირფასო, ხვალ ვინდა იქნები –  
დიდი შედეგისკენ ზვირთებად წასული.  
სავანეს სულისას ფლობ ნარიყალაზე,  
ჭვრეტ მამადავითზე მეოსანთა საუფლოს,  
ლანღებმა სამარე შენიც კი ჩარახეს,  
უკვე სიცოცხლიდან სიკვდილზე საუბრობ.

მზე ეფერება ალუბლებს და თეთრ ლელიანებს,  
არგოს მღერაში პოეზია კვლავ ითენიება,  
შენი ლექსები ტკივილებად გაიფრიალებს  
და ეს სანთელიც ცრემლებით დაიღვრნება.  
შენ ხომ მზის სხივი მოიტაცე ჩუმად ზეციდან,  
ერთი სხივი კი სასიკვდილო სარეცელს აკრავს,  
მზის შეველა გსურდა და იმასაც ბნელით შესცივდა,  
ვაი, რომ ქვეყნად ეს ნათელი შენს მერე ჩაქრა.  
ახლა კი ღუმხარ სასუფევლის მოღუშულ ცაზე,  
სევდიან მზერით გადმოსცქერი მოკვავთა ყოფას,  
მიღიხარ მშვიდად უკვდავობის ეკლიან გზაზე  
და კვლავ მოველით შენნარის მეორედ შობას.

2007 წ.



### დათა გულუას

სიკვდილის დღემდე განიცდიდი – ვიღაც კვლავობდა  
 და შენს სარკმელში წითელი მზე დახროტინებდა,  
 მას რომ უმზერდი, ტკბილი გრძნობა გეფანტებოდა,  
 თითქოს ოთახში დემონთა წრემ მოსვლა ინება.  
 ალბათ რაღაცა გაფრთხილებდა,  
 თუ გულს გიკლავდა,  
 შენი არსება ცხრათვალა მზეს  
 ხშირად ხიბლავდა.  
 შენი ფიქრები იმედების წრეში აისობს  
 და შენი სული – ქვაკუთხედი ანტარქტიდისა,  
 ვინაც თავისით ეს მისია დიდი იკისრა,  
 სამარადჟამო კვნესით გაივსო,  
 ტანთ დაგეფარა რუხი ქერქი გალაქტიკისა.  
 ეს ან-ბან-ები, მან-ი და დე-ბი,  
 მრავალთა აზრით ბევრჯერ ნარკვევი,  
 რაც ახალგაზრდულ სულით გახსენი –  
 მარადისია,  
 ო, რა დროს კვდები,  
 თვალთა უპე გაქვს სავსე ნამსხვრევით.

2007 წ.

### კავკასიის თეთრწვერა მოხუცი

ამ ღამის ფიქრებს თავს ვერ ვაღწევ,  
 ჯარად გროვდება,  
 მე მომავალი დღის ხატება სწრაფად მშორდება.  
 დრო მითარეშობს,  
 ძალას იკრებს მზე მომღიმარი,  
 ღამით ვარსკვლავებს ეხუტება მთვარე მტირალი,  
 სხივების ტალღა დილას ჭარმაგ მოხუცად აქცევს,  
 და ყოველ ღამე ეს მოხუცი ჩუმად მზირალი  
 ხედავს მიდამოს,  
 გარიჟრაჟზე თვალებსაც იფშენეტს,  
 საღამოს ლოცვა მწუხარებად ელაბუნება,  
 სწორედ ამიტომ ის ტკივილით ტუჩებსაც იკნეტს  
 და მისი სევდით იჟღინთება დედაბუნება.  
 ფიქრებს ამაღს დილის ცვარი რძისფრად დაფარავს,  
 გულს აუჩუყებს კავკასიის თეთრწვერა მოხუცს,  
 ცრემლს ადენინებს,  
 მწარე ხვნეშით სულსაც დაზარავს,  
 რაც სასიკვდილოდ მრავალი წლის მანძილზე მოქუხს.  
 ის ამავე დროს ადასრულებს ლოცვას მიწიერს  
 ხალხს შეაკვდრებს უფლის მფარველ კალთას გულწრფელად,  
 სურს რომ გაუძღონ ქართველებმა დრო-ჟამს ბიწიერს,  
 რადგანაც სული კედარ გაძლებს ყოფნას ურწმუნოდ.

2007 წ.

### სულისკვეთება ქართველის დედისა

როცა ჩვენს ქალაქს ახმაურებს კეკლუცი წვიმა, ნამებები ნაზად თავს უხრიან თეთრ მარგალიტებს, ბელურები კი უგალობენ ღვთიურ ნამს მბრწყინავს და გაურბიან ბოროტების მკაცრ „გაბარიტებს“. დუღუნა მტკვარზე აღმართული ძველი მეტეხი და გორგასალის ქანდაკება უხმოდ მზირალი, ქალაქს დაჰყურებს წელთა სრბოლა ვისაც ვერ ტეხავს და დედაღვთისა წრფელი გულით არის მტირალი. დამით ქალაქში ჩამოდგება მყუდრო ღუმილი, თვალზე ცრემლს იფშენებს ქართლის დედა სავსე ფიალით, ეხმანებს წვეთთა ვარდნის კეთილ სურვილებს და მისი გულიც იჟღინთება ცრემლით ტიალით. სურს კვლავ აღმართოს მძლავრი ხმალი მტერთა წინაშე, ღვინით დალოცოს ქართველობა გამარჯვებული, ღვთისმშობელს შესთხოვს ნათელს ფენდეს ქვეყნის მირაჟებს, ქართველთა აზრით არის ეს ცდა გამართლებული. ნაქანდაკარი ქართველის დედა ხმაღს ვერ ამიშვლებს, მხოლოდ გულია დღეს გამთბარი ცრემლთა ზვარაკით, ღმერთის წინაშე მუხლთა დრეკით უნდა დაემშვიდდეთ, მისადმი ლოცვა ტოლი იყოს ქვეყნის ბარაქის.

#### თამთა კობიაშვილი

თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.



### რატომ?

როცა გარეთ წვიმს და ცუდი ამინდია, სახლში მარტო ხარ და ფიქრი გეძალდება, ვიღაც გენატრება, რაღაც გედარდება, ვიღაც შენზე ფიქრობს, ვინაც გელანდება. როცა თოვლი მოდის, ირგვლივ სიჩუმეა, მარტო ხარ ტაძარში, სანთელი იწვება, იმაზე ლოცულობ, ვინც შენ გენატრება, როცა იმას იცნობ, ვინაც უცნობია და მისი დანახვით თითქოს გაოცდები, ვისაც ელი გულით, იმედით, ოცნებით. თუმცა იგი შენთვის თითქმის უცნობია, ვერც თვალებს უსწორებ ვერც ეტყვი რაიმეს დროებით უშორესს, თუმცა სულ გულში გყავს, ფიქრებით ატარებ, და ზოგჯერ იმ ზღაპრულ ჭაბუკსაც აღარებ.

როცა ქარი შხუის  
 ოცნება კი გავსებს,  
 შენ რატომ ყოველთვის  
 ფიქრები იმაზე,  
 ხშირად დარჩენილი  
 სულ მარტოდმარტო,  
 ისევ იმ უცნობის  
 დანახვას ნატრობ,  
 ნატრობ, მაგრამ რატომ,  
 არ იცი რატომ?!  
 გარეთ ხომ წვიმაა,  
 სახლში ხარ მარტო ...

#### ნინო ეკალაძე

თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის  
 უნივერსიტეტის ჰუმანიტარული  
 ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი

#### დაუღლებელი მშრომელი



ჟურნალ „სიტყვის“ წინა ნომერში დიდი პატივისცემით გავიხსენეთ საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორები და თანამშრომლები, რომლებიც წლების მანძილზე აქტიურად მონაწილეობდნენ საზოგადოების საქმიანობაში, მათ შორის აკადემიკოსი ლადო ბახუტაშვილი, „ცოდნის“ ხელმძღვანელები დამიანე გოგოხია და ნოდარ კომახიძე, თავმჯდომარის მოადგილე გურამ ტატიშვილი, აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ ჩხეიძე, აფხაზეთის ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი ამირან თითბერია, ცხინვალის რეგიონის თავმჯდომარე მიხეილ ცოტნიაშვილი, საზოგადოების რესპუბლიკურ განყოფილებათა გამგეები ბიძინა ახვლედიანი და სოსო მაჭარაძე.

ამჯერად კი გვინდა გავიხსენოთ სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილების რედაქტორი მარიამ კუსრაშვილი. ქალბატონი მარიამ წლების მანძილზე საზოგადოების რესპუბლიკურ გამგეობაში მუშაობდა და დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა დაკისრებულ სამუშაოს. მან შესანიშნავად იცოდა საქმე, მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა ავტორთა შორის.

მ. კუსრაშვილს დავალებული ჰქონდა სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილებაში შემოსული ბროშურების დედნების დამუშავება და გასწორება, გამომცემლობაში ბროშურების დროულად და ხარისხიანად დასტამბვის უზრუნველყოფა.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდში წლის მანძილზე გამოდიოდა ასამდე სახელწოდების სხვადასხვა დასახელების ბროშურა, რომელთა საერთო ტირაჟი მილიონ ცხრაასი ათასი იყო. ამასთან ერთად გამოდიოდა, დაახლოებით 80 დასახელების მეთოდური მასალა ლექტორთა დასახმარებლად, ამავე დროს სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილება აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ ყოველთვიური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „მეცნიერება და ტექნიკის“ გამოცემაში.

ყველამ, ვისაც შეხება ჰქონდა სა-  
გამომცემლო საქმიანობასთან, იცის რა  
დიდი შრომაა საჭირო იმისათვის, რომ  
მასალა დაიბეჭდოს უშეცდომოდ, მა-  
ღალ ღონეზე, რადგან უმნიშვნელო  
ხარვეზიც კი რჩება ქაღალდზე და ამას  
ამჩნევს ყველა მკითხველი. ამ მხრივ  
ქნი მარიკა გამოირჩეოდა დიდი ყურა-  
დღებით, მაღალი კვალიფიკაციით, მის  
მიერ დასაბეჭდათ მომზადებული მასა-  
ლა ყოველთვის უნაკლო იყო.

დიდი დატვირთვა ჰქონდა სარე-  
დაქციო-საგამომცემლო განყოფილებას  
საზოგადოების პლენუმის და სხვა  
მასობრივი ღონისძიებების გამართვის  
წინ, როდესაც უნდა დაბეჭდილიყო  
ბევრი მასალა დიდი ტირაჟებით და  
თანაც ძალიან მოკლე დროში. აქაც  
ქნი მარიკა შესაშური ენერჯითა და  
მინდობილი საქმისადმი დიდი პასუხ-  
ისმებლობით ასრულებდა სამუშაოს.  
გვიანობამდე არ ტოვებდა სტამბას და  
პირდაპირი გაგებით, თავზე ედგა სტამ-  
ბის მუშაკებს.

ქნი მარიკას ჰყავდა ნამდვილი  
ქართული, ტრადიციული ოჯახი.

მეუღლე მუშაობდა მედიცინის  
კვლევით ინსტიტუტში; მეუღლეები  
შეიქმნა — გიორგის არ აკლებდნენ  
ყურადღებას, სიყვარულსა და მზრუნ-  
ველობას. დედაშვილური სიყვარულით  
გამორჩეული ქნი მარიკა იყო ყველა-  
სადმი მზრუნველი და ყურადღებიანი  
ადამიანი.

ქალბატონმა მარიკამ ყველაფერი  
გააკეთა იმისათვის, რომ პატარა გიორ-

გისათვის დედური მზრუნველობა არ  
მოეკლო და ცდილობდა საზოგადოებ-  
ისათვის გაეზარდა პატიოსანი, წესი-  
ერი პიროვნება.

მართალია ქნი მარიკა კუსრაშ-  
ვილი ჩვენს შორის აღარ არის, მაგრამ  
წიგნები, ბროშურები და სხვა დაბეჭდ-  
ილი მასალები დღესაც მეტყველებენ  
იმ შრომაზე, რომელიც ჩააქსოვა მათ  
გამოშვებაში. ამით კი დიდი წვლილი  
შეიტანა საზოგადოება „ცოდნის“ ამ  
მნიშვნელოვანი სფეროს წარმატებულ  
საქმიანობაში.

**ალექსი ჭელია**  
პროფესორი

**მე ლამაზი მეგობარი მყავდა**

ლელა გაგაშელი — ლამაზი და  
კეთილშობილი ქალბატონი — აი ეს  
ფრაზა მომაფიქრდა პირველად, როდესაც  
ჩემი მეგობრის მოსაგონარი წერ-  
ილის დასაწერად კალამი მოვიმარჯვე.  
შემდეგ დავფიქრდი: ძალიან მეძნელე-  
ბოდა ღირსეული ადამიანის, ლამაზი  
მეგობრის საკადრისი სიტყვების შერ-  
ჩევა, ვათუ ლელას საკადრისი წერ-  
ილი ვერ დავწერო-თქო. ფიქრმა წა-  
მიღო, გამახსენდა საზოგადოება „ცოდ-  
ნის“ დერეფანში დილით ადრე, სამ-  
სახურის დაწყებამდე ღალად მომაგა-  
ლი ჩემი მეგობარი, არაჩვეულებრივი  
კლემამოსილების ქალბატონი, რომ-  
ლის დანახვა დღესაც კი ალამაზებდა.



ლელა იყო იშვიათი ადამიანური  
თვისებებით უხვად შემკული პიროვნება,  
გულისხმიერი, საქმისადმი ერთგული,  
სუკეთესო თანამშრომელი, სიკეთის  
მოქსეველი, სხვისი ღვინისა და ჭირის  
გულით გამოზარებული, გარეგნულად და  
სულიერად ძალზე ლამაზი. ის ხელმძღ-  
ვანელობდა სახალხო უნივერსიტეტის  
ბაზაზე დაფუძნებულ სამედიცინო  
კოლეჯს და აღსაზრდელების საოცარი  
სიყვარულით სარგებლობდა. ვისაც  
სამედიცინო განათლების მიღების სურ-  
ვილი ჰქონდა ლელასთან შეხვედრის  
შემდეგ არ იფიქრებდა სხვა სასწავ-  
ლებელში სწავლის გაგრძელებაზე. მისი  
საუბარი ჯგერსნური იყო, მუდამ მომ-  
ლიმარი და იმედიანი, ძალას მატებდა,  
კეთილი საქმის კეთების სურვილს  
უღვიძებდა ირგვლივ მყოფ ადამიანებს.

ლელას ჰქონდა შესანიშნავი  
ოჯახი, ჰყავდა ღირსეული მეუღლე,  
ცნობილი იურისტი და ჟურნალისტი

ვაჟა გაგაშელი, ორი ვაჟიშვილი და  
ერთი შვილიშვილი დაიუნა, რომლებიც  
მისთვის ცხოვრების ანთებული  
სანთლები იყვნენ. ეს ადამიანები მუდამ  
ამაყები იქნებიან, ვინაიდან მათ ჰყავ-  
დათ ისეთი მეუღლე, დედა და ბებია,  
როგორც ჩვენი ლელა გაგაშელი.  
პროფესორი ისტორიკოსისათვის  
უდიდესი განცდა და ტკივილი იყო.  
აფხაზეთის და ოსეთის პრობლემები,  
მაგრამ მას დაბეჯითებით სჯეროდა,  
რომ ეს დროებითი ტრაგედიაა  
საქართველოსთვის, უარესისათვისაც  
გაუძლია ქართველ ერს და ამ სამხედვე-  
ლასაც გაუძლებს, გამოილანდება და  
გაციკროვდება ჩვენი ღვთისმშობლის  
წილხვედრი სამშობლო. სულიერად  
ძლიერი იყო ლელა.

1999 წლის ივნისში ლელამ  
უახლოეს მეგობრებს გვთხოვა შინ  
კვევოდით. ჩემთვის მუდამ დაუვიწყარი  
იქნება მისი ბედნიერი სახე, ქართული  
სტუმართმოყვარეობით იყო ანთებული.  
გვითხრა, კახელმა ქალმაც ვისწავლე  
იმერული კერძების მომზადება და ახლა  
თქვენ იცით, როგორ შეაფასებთო.  
საქართველოს ვერც ერთი კუთხის  
წარმომადგენელი ვერ დაიწუნებდა მის  
ნახელავს, სტუმრების მიღების მაღალ  
კულტურას. ძალიან ვისიამოვნეთ, ჩვეუ-  
ლი იმიდით გულთბილად გამოგვაც-  
ილა და დასძინა, გოგოებო, უფრო ხშირ-  
ად შევიკრიბოთო. ლიფტში შესულეხს  
სევდამეპარული ღიმილი გამოგვაცოცა,  
იგრინო, რომ ეს ჩვენი შეხვედრა უკა-  
ნასკენელი იყო, საუბედუროდ რამდენ-

იმე დღის შემდეგ ლელა შეუძლოდ გახდა, მოათავსეს რესპუბლიკურ საავადმყოფოში, დასჭირდა უროთელისი ოპერაცია. ვისხენებდი იმ ტკივილიან დღეს, როცა პალატაში შესულმა აპარატზე მიერთებულ ავადმყოფში ვერ ვიცანი ჩემი ლამაზი მეგობარი. მივხვდი რაშიც იყო საქმე, აქვითინებული დავეშვი საავადმყოფოს კიბეებზე.

მიუხედავად ვაჟა გავაშელის და სამედიცინო სისტემაში მომუშავე მისი მეგობრების ბოლო წუთამდე ბრძოლისა, ლელამ ვერ დაამარცხა სიკვდილი და ივლისის თაკარა დღეს დაასრულა თავისი ლამაზი, ნაყოფიერი სიცოცხლე.

5 აგვისტო. დასაფლავების დღე. ზღვა ხალხი. დასტროდნენ დები, ახლობლები, მეგობრები, მშობლიური ყვარლიდან ჩამოსული თანამემამულეები ეთხოვებოდნენ საუკუნო განსასვენებლის გზაზე მიმავალ ქალბატონ ლელას.

მე ვერ შევძელი ჩვენი ლელასთვის გამოსათხოვარი სიტყვები ატირებულს არ მეთქვა. აქვე სამარესთან შორიანხლო იდგა მისი ცხოვრების ნათელი მომავალი პატარა დათუნა, მას ხელში ეჭირა ბებოსათვის ძალზე ლამაზი ერთი წითელი ვარდი, რომელ-

იც სათუთად დაადო გულზე ბებიას და აცრემლებული თვალებით მოშორდა ცხედარს.

ნათელში იყავი ლამაზი სულის მატარებელი კეთილშობილო მეგობარი.

მაქვს ბედნიერება ჩემო ლელა, ხშირად შევხვდე შენს დათუნას, რომელიც უკვე დიდი ბიჭია. შემხვდება თუ არა, ჩემი პირველი შეკითხვა არის – დათუნა გახსოვს ლელა ბებო? იგი სხარტად და გაღიმებული მიპასუხებს, როგორ არ მახსოვს, მახსოვს. დიას, ლელა, მისი მეხსიერებიდან, საბედნიეროდ, არასოდეს ამიშლები. შენმა შთამომავლობამ უნდა იამაყოს შენით.

ამ დღალოცვილ დედამიწაზე შენს დათესილ სიკეთეს შენი მადლიერი შთამომავლები ღირსეული სიცოცხლის გამგრძელებლებად მოეველინებიან – ჯანსაღი ფესვებიდან ხომ ძლიერი შთამომავლობა იზრდება.

წელს საზოგადოება „ცოდნის“ დაარსებიდან 60 წელი გავიდა. 30-ზე მეტი წლის განმავლობაში საზოგადოება „ცოდნაში“ მოღვაწეობდა ლელა გავაშელი – მომხიბვლელი და კეთილშობილი ქალბატონი, ჩემი ლამაზი მეგობარი.

**ნუნუ გულუა**

საზოგადოება „ცოდნის“ საფინანსო სამსახურის უფროსი, დოცენტი

საქართველოს ილია ჭავჭავაძის  
სახელობის საერთაშორისო  
სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო  
კავშირის “საზოგადოება ცოდნის“ თავმჯდომარეს,  
ღირსეულ ცხინვალელს,  
ბატონ **ნუნუზარ წერეთელს**

მოგესალმებით ცხინვალ-დვალეთის სანახებიდან, იმ ადგილებიდან, რომლებიც ყოველთვის საღვთო და საუფლისწულო იყო. სწორედ აქ გაისმოდა ძალუმაღ ქართული სიტყვა, რამაც ასახვა პოვა ჩვენს უნიკალურ ძეგლებზე – გერის წმინდა გიორგის ეკლესიაზე, იკორთაზე, თორის მონასტერზე, ტბეთის, სოხთის, ყითის, ცხინვალის, ქეპისის, დოდითის და რა თქმა უნდა, ჩემი სოფლის ქემერტის ძეგლებზე.

ჩვენ ცხინვალიდან დევნილებს მულამ გვინდოდა თქვენთან კავშირი, რამეთუ თქვენი მეგობრები აქ ყოველთვის გიხსენებენ და შორიდან გესალმებიან, რადგან თქვენს მიერ ცხინვალში გატარებულ ოთხ წელიწადს უკვალოდ არ ჩაუვლია.

ჩვენ ბევრს არ შეგაწუხებთ, მაგრამ სამომავლოდ თქვენ სახელოვან კაცობასთან და თქვენს მიერ ხელდებულ ჟურნალ „სიტყვა“-სთან ძალიან გვესურს თანამშრომლობა. თქვენი იმედი კი დღემთა არ მოგვიშალოს.

ახლა გვესურს რამდენიმე სიტყვით ჩვენი დამოკიდებულება გამოვხატოთ

საზოგადოება „ცოდნის“ შიდა ქართლის რეგიონალური კოორდინატორის ბატონ ჯემალ ბაშარულის მიმართ.

არიან ადამიანები, რომელთა არსებობაც აუცილებელია ცხოვრებაში და მით უმეტეს იმ ავბედით დროს, რომელშიც დიდი მეზობლის გავლენით ჩვენი ტანჯული საქართველო იმყოფება დღეისათვის. დარწმუნებული ვარ ჯ. ბაშარულის საქმიანობა ყოველთვის იქნება მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა განიცდიდე /და მოქმედებდე/ იმას, რაც შენს გარშემო ხდება. თავად საოცრად კეთილი, თავმდაბალი და განათლებული არავის არ ამადლის ყველაზე მთავარს – სიყვარულს. იგი არის ჭეშმარიტი მოღვაწე, უჭირს უცოდინარობის და დაუდევრობის მიტევება: საოცარია მაგრამ დროის დეფიციტის და, რაც მთავარია, ასაკის მიუხედავად ფეხით აქვს შემოვლილი მთელი ქსნის ხეობა. მე, ვინც თითქმის ყველაფერი ვიცი ქსნის ხეობაზე, მისგან ვიგებ ბევრს ისეთს, რაც არ ვიცოდი ან ვიცი ზერეულად, ზედამირულად. ის ისეთი საქმის მცოდნეა და რაც მთავარია, დამაჯერებლად მიყვება

ლარგვისის, გღუს, ქარჩოხის, ყოთის, ცხავატის, ბაშართის, უკანაშხრის და ა.შ. დღევანდელ ყოფით პირობებს, რომ გაკვირვებული ვარ ამ კაცის შესაძლებლობით.

აღსანიშნავია, რომ ჯემალ ბაშარულმა გორში შეძლო ჯანსაღი, საქმიანი ლექტორთა ჯგუფის ჩამოყალიბება. ეს ყველაფერი ნათლად აისახა და ისახება იმ ღონისძიებებში, რომლებიც საზოგადოება „ცოდნის“ თაონონობით ტარდება. „ჩვენ ერთი გუნდი ვართ“ – ასე შეიძლება შეფასდეს ყოველივე ის, რაც გორში ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში ხდება. რა თქმა უნდა, ჯემალ ბაშარულს ჰყავს მოშურნეები, ისინი ვერ ერკვევიან, ან არ სურთ გაერკვიონ საქმის არსში. მათზე ვიტყვი, რომ გულწრფელად მებრალბებიან, რადგან არ იციან, რომ ყველაზე დიდი ბედნიერება ადამიანთა ურთიერთობაშია, რასაც ჯემალ ბაშარული სულეირი თავმდაბლობითა და დიდი მოთმინების წყალობით აღწევს.

გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და მოუვლოცოთ ბატონ ჯემალ ბაშარულს – დამსახურებული ლექტორის წოდების მინიჭება და მად-

ლობა გადავუხადო საზოგადოება „ცოდნის“, პირადად თქვენ, ბატონო ნუგზარ, ჯემალ ბაშარულის საქმიანობის უმაღლესი შეფასებისათვის. ჩვენ, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებს იმედი გვაქვს, რომ ჩვენი შხეც გამოანათებს და შემოქმედებითი ინტელიგენცია თავის ადგილს დაიკავებს საქართველოს ამ მეტად რთულ და წინააღმდეგობით სავსე ეპოქაში.

ეს წერილი შხად გექონდა გამოსავზანად, როცა თბილისიდან გორში მოვიდა სასიხარულო ინფორმაცია, რაც ეხება გორის შემოქმედებით ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებს: საქართველოს მწერალთა კავშირის გორის განყოფილების ხელმძღვანელს, საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორს პოეტ ჯემალ ინჯიას მიენიჭა გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემია, ხოლო გაზეთ „შემოქმედების“ რედაქტორი, საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი, პოეტი ვაჟა შიუკაშვილი და საქართველოს დამსახურებული ლექტორი დოცენტი ჯემალ ბაშარული საქართველოს მწერალთა კავშირის წევრებად მიიღეს.

უღრმესი პატივისცემით ცხინვალის უნივერსიტეტის პროფესორი **ნიკო ოთინაშვილი**,  
2007 წლის მაისი, ქ. გორი.

№ 6

ყურნალმა "სიტყვა" დეპონირება გაუკეთა რესპუბლიკური ინტერნეტ-კონფერენციების "სამედიცინო ლინგვისტიკის პრობლემები" მოხსენებებს. ინტერნეტ – კონფერენციები მიმდინარეობს ლალი დათეშიძის პროექტის "ქართული ელექტრონული სამედიცინო ენციკლოპედია" ფარგლებში. საინფორმაციო თანხლებას ახორციელებს "ქართული ფარმაცევტული საიტი" <http://gps.iatp.org.ge> დეპონირებული მასალები განთავსებულია "ლინგვო-სამედიცინო დისკზე".

**მეოთხე რესპუბლიკური კონფერენციის "სამედიცინო ლინგვისტიკის პრობლემები" დეპონირებული ნაშრომები**

- ☞ ლინგვო-სამედიცინო დისკი. ლალი დათეშიძე, ლევან შენგელია, ამირან დათეშიძე, მანანა კიკნაძე, არჩილ შენგელია, გურამ მგელაძე, ვასილ შენგელია
- ☞ მასალები Ad მოდელის ინგლისურ-ქართული შეპირისპირებითი კვლევისათვის სამედიცინო ტერმინებში. ლალი დათეშიძე.
- ☞ კავშირგაბმულობის სისტემების განვითარების ტენდენციები და სამედიცინო ენციკლოპედიისა და ლექსიკონების პერსპექტივები. ვიორგი კირცხალია
- ☞ სამედიცინო ტერმინოლოგიის საერთაშორისო ინფრასტრუქტურული სივრცის შესახებ. ბესიკ ბუცხრიკიძე
- ☞ მანანა კიკნაძე. ct კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვების გადმოცემის თავისებურებები; სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.
- ☞ მანანა კიკნაძე. kt კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვების გადმოცემის თავისებურებები; სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.
- ☞ ორთოგრაფიული კომენტარებისა და ორთოგრაფიული ლექსიკონის მიმართებისათვის. ლევან შენგელია
- ☞ შენიშენა ინგლისურ-ქართული სამედიცინო ლექსიკონის გრამატიკული კომენტარებით ადგურების შესახებ. მანანა კიკნაძე
- ☞ სამედიცინო-ორთოგრაფიული ლექსიკონის შექმნისადმი ერთი მიდგომის შესახებ. ლალი დათეშიძე
- ☞ სამედიცინო-ორთოგრაფიული ლექსიკონი. შემდგენელი ლალი დათეშიძე, რედაქტორი მანანა კიკნაძე
- ☞ ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელია. ბერძნული ხორხისმიერი h ასახვა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და სამუშაო ფაილები.
- ☞ ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელია. ph კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვების ასახვა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და სამუშაო ფაილები.

**მესუთე რესპუბლიკური კონფერენციის "სამედიცინო ლინგვისტიკის პრობლემები" დეპონირებული ნაშრომები**

- ☞ ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელია. ლათინური Ia კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვების ასახვა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და სამუშაო ფაილები.
- ☞ მასალები Dis მოდელის ინგლისურ-ქართული შეპირისპირებითი კვლევისათვის სამედიცინო დიალექტებში. ლალი დათეშიძე, ვასილ შენგელია.
- ☞ ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელია. - ივ სუფიქსიანი და - ურ (ულ) სუფიქსდართული ზედსართავების ასახვა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და სამუშაო ფაილები.
- ☞ ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელია. - იკ სუფიქსიანი და - ურ (ულ) სუფიქსდართული ზედსართავების ასახვა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და სამუშაო ფაილები.
- ☞ ინგლისურ-ქართული სამედიცინო ლექსიკონის აუდიო თანხლების შესახებ. თეა ჯოსაძე
- ☞ ნომინაციის თანამედროვე თეორია და სამედიცინო ტერმინოლოგია. ამირან დათეშიძე საკონფერენციო მოხსენება წარმოადგენს ორლოვა მკ. ნააშრომების მიმოხილვას. სტატიაში მოცემულია ნომინაციის ისტორიის მიმოხილვა და თანამედროვე მდგომარეობა, რომლის ფარგლებში მოცემულია დაავადებათა თანამედროვე სახელწოდებების ანალიზი.
- ☞ მანანა კიკნაძე. - ლოგია, - გრაფია, - მეტრია, - სკოპია სუფიქსოიდებზე დაბოლოებული და - ურ (ულ) სუფიქსდართული ზედსართავების გადმოცემის თავისებურებები; სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.
- ☞ მანანა კიკნაძე. - ლოგი, - გრაფი, - მეტრი, - სკოპი სუფიქსოიდებზე დაბოლოებული და - ურ (ულ) სუფიქსდართული ზედსართავების გადმოცემის თავისებურებები; სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.
- ☞ ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელია. Iu კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვების ასახვა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და სამუშაო ფაილები.
- ☞ მასალები In მოდელის ინგლისურ-ქართული შეპირისპირებითი კვლევისათვის სამედიცინო ტერმინებში. ლალი დათეშიძე.
- ☞ ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელია. ლათინური ch კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვების ასახვა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და სამუშაო ფაილები.

- ☞ ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელია. ლათინური th კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვების ასახვა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და სამუშაო ფაილები.
- ☞ მანანა კიკნაძე. რუსული გადმოცემის თავისებურებები, სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.
- ☞ მანანა კიკნაძე. რუსული გადმოცემის თავისებურებები, სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.
- ☞ მასალები Com მოდელის ინგლისურ-ქართული შეპირისპირებითი კვლევისათვის სამედიცინო დიალექტებში. ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელია.

**მექესე რესპუბლიკური კონფერენციის "სამედიცინო ლინგვისტიკის პრობლემები" დეპონირებული ნაშრომები**

- ☞ კლინიკური მედიცინის ტერმინოლოგიის სტრუქტურისთვის. ამირან დათეშიძერუსული სამეცნიერო ლიტერატურის კომპილიაცია. მოცემულია კლინიკური ტერმინოლოგიის სისტემური აღწერა. ახსნილია კვაზისინონიმების შნიშვნელობები.
- ☞ მანანა კიკნაძე. - ციული სუფიქსიანი ზედსართავების გადმოცემის თავისებურებები; სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.
- ☞ მანანა კიკნაძე. - ციური სუფიქსიანი ზედსართავების გადმოცემის თავისებურებები; სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.
- ☞ სამედიცინო ტერმინოლოგიის განვითარება საქართველოში. მანანა კიკნაძე, არჩილ შენგელია. მომზადებულია სამედიცინო ტერმინოლოგიის სფეროში საქართველოს მეცნიერთა შრომების ბიბლიოგრაფიული საძიებელი. იგი შეიცავს ნაშრომების ჩამონათვალს უშუალოდ სამედიცინო ტერმინოლოგიისა და მომიჯნავე დარგებში. ამჟამად შედგება 750 დასახელებისაგან. ბიბლიოგრაფიულ საძიებელზე დაყრდნობით მოხსენებაში გაანალიზებულია ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის ისტორია, კლასიფიცირებულია ეტაპები და მოცემულია ძირითადი ტენდენციების ანალიზი.
- ☞ სამედიცინო ტერმინთა ოპტიმალური სიგრძის დასადგენად. ლალი დათეშიძე, ლევან შენგელია, გურამ მგელაძე
- ☞ მასალები Inter მოდელის ინგლისურ-ქართული შეპირისპირებითი კვლევისათვის სამედიცინო ტერმინებში. ლალი დათეშიძე
- ☞ ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელია. რუსული ასახვა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და სამუშაო ფაილები.

- ❖ ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელია. რუსული ასახვა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და სამუშაო ფაილები.
- ❖ ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელია. რუსული ასახვა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და სამუშაო ფაილები.
- ❖ სამედიცინო და ფარმაცევტული ტერმინოლოგიის სამეცნიერო და მეთოდური პრობლემები. კურსკის კონფერენციის ნაშრომების მიმოხილვა. ამირან დათეშიძე. კონფერენცია 2-7 ოქტომბერს გაიმართა ქ. კურსკში. კონფერენციაზე განხილული იქნა თანამედროვე სამედიცინო და ფარმაცევტული ტერმინოლოგიის, ტერმინათმცოდნეობის განვითარების, ტერმინოლოგიის სასწავლო პროცესის ოპტიმიზაციის პრობლემები. ნაშრომში მოცემულია კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებების მოკლე მიმოხილვა და მცდელობა, ისინი გააზრებულ იქნეს ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის პრობლემატიკის კონტექტში.
- ❖ მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებანი სამედიცინო ლიტერატურაში. რუსულად ზეჟალაშვილი (მოხსენება დეპონირების გარეშე)
- ❖ მანანა კიკნაძე. ca კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვების გადმოცემის თავისებურებები; სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.
- ❖ მანანა კიკნაძე. co კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვების გადმოცემის თავისებურებები; სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.

**მეშვიდე რესპუბლიკური კონფერენციის "სამედიცინო ლინგვისტიკის პრობლემები" დეპონირებული ნაშრომები**

- ❖ მასალები Ob მოდელის ინგლისურ-ქართული შეპირისპირებითი კვლევისათვის სამედიცინო ტერმინებში. ლალი დათეშიძე.
- ❖ ციპის კანონი ქართული სამედიცინო ტერმინების შექმნისას. ლალი დათეშიძე
- ❖ მასალები x მოდელის ინგლისურ-ქართული შეპირისპირებითი კვლევისათვის სამედიცინო ტერმინებში. ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელია
- ❖ თანამედროვე სამედიცინო ტერმინოლოგიის მოწესრიგების ზოგიერთი პრობლემა. ამირან დათეშიძე, ვასილ შენგელია. რუსული და ინგლისური სამეცნიერო სტატიების ბაზაზე, განხილულია თანამედროვე სამედიცინო რმინოლოგიური ფონდის ქოტური ზრდის მიზეზები, და ამით გამოწვეული პრობლემური საკითხები, რომლებიც ხელს უშლის მედიცინის სწრაფ განვითარებას. წარმოდგენილია მოთხოვნები, კრიტიკულები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სამედიცინო ტერმინი. აგრეთვე სამედიცინო ტერმინოლოგიის სისტემატიზაციასთან, მოწესრიგებასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემური საკითხი.

- ❖ მანანა კიკნაძე. cj კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვების გადმოცემის თავისებურებები; სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.
- ❖ მანანა კიკნაძე. cy კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვების გადმოცემის თავისებურებები; სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.

**მერვე რესპუბლიკური კონფერენციის "სამედიცინო ლინგვისტიკის პრობლემები" დეპონირებული ნაშრომები**

- ❖ სამედიცინო ტერმინოლოგიის პრობლემები საკვალიფიკაციო სივრცეში. ლევან შენგელია, ლალი დათეშიძე
- ❖ სპეციალურ ტერმინთა შედგენის ზოგადი პრინციპები ლათინური პრეფიქსები. ნანა ამირანაშვილი.
- ❖ ბერძნული პრეფიქსითა და ბერძნული ძირით ნაწარმოები ტერმინები. ნანა ამირანაშვილი.
- ❖ ბერძნული რიცხვითი სახელები, რომლებიც გამოყენებულია პრეფიქსებად. ნანა ამირანაშვილი.
- ❖ ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელია. სან -ზე დაბოლოებულფუძიანი სახელის მიცემით ბრუნვაში გადმოცემა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და სამუშაო ფაილები.
- ❖ ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელია. მან-ზე დაბოლოებულფუძიანი სახელის მოთხრობით ბრუნვაში გადმოცემა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და სამუშაო ფაილები.
- ❖ მანანა კიკნაძე. ce კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვების გადმოცემის თავისებურებები; სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.
- ❖ მანანა კიკნაძე. cae კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვების გადმოცემის თავისებურებები; სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.

**მეცხრე რესპუბლიკური კონფერენციის "სამედიცინო ლინგვისტიკის პრობლემები" დეპონირებული ნაშრომები**

- ❖ მასალები on მოდელის ინგლისურ-ქართული შეპირისპირებითი კვლევისათვის სამედიცინო დილექტებში. ლალი დათეშიძე.
- ❖ მასალები Mis მოდელის ინგლისურ-ქართული შეპირისპირებითი კვლევისათვის სამედიცინო ტერმინებში. ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელია.
- ❖ მანანა კიკნაძე. ლათინური lu კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვების გადმოცემის თავისებურებები; სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.



- ☞ მანანა კიკნაძე. ლათინური Ia კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვების გადმოცემის თავისებურებები; სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.
- ☞ ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელაია. რუსული - დაბოლოების მქონე ქართული შესატყვისების ასახვა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და სამუშაო ფაილები.
- ☞ ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელაია. რუსული - დაბოლოების მქონე ქართული შესატყვისების ასახვა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და სამუშაო ფაილები.
- ☞ ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელაია. რუსული - დაბოლოების მქონე ქართული შესატყვისების ასახვა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და სამუშაო ფაილები.
- ☞ მანანა კიკნაძე. - ტიური სუფიქსიანი ზედსართავების გადმოცემის თავისებურებები; სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.
- ☞ მანანა კიკნაძე. - ტიური სუფიქსიანი ზედსართავების გადმოცემის თავისებურებები; სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.

**მეათე რესპუბლიკური კონფერენციის "სამედიცინო ლინგვისტიკის პრობლემები" დეპონირებული ნაშრომები**

- ☞ სამედიცინო ტერმინოლოგიის განსხვავებული გამოყენება და დაავადებათა სპეციფიკურ-კულტურული მოდელები. ამირან დათეშიძე
- ☞ მასალები Un მოდელის ინგლისურ-ქართული შეპირისპირებითი კვლევისათვის სამედიცინო ტერმინებში. ლალი დათეშიძე, ვასილ შენგელაია
- ☞ ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელაია. - იული (იური) სუფიქსიანი ზედსართავების ასახვა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და სამუშაო ფაილები.
- ☞ ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელაია. - ურ (ლ) სუფიქსიანი ზედსართავების ასახვა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და სამუშაო ფაილები.
- ☞ ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელაია. დეს სუფიქსიანი უცხო სიტყვების ასახვა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და სამუშაო ფაილები.
- ☞ არსებითი სახელების მაწარმოებელი ლათინური სუფიქსები. ნანა ამირანაშვილი.
- ☞ I და II ბრუნების ზედსართავ სახელთა მაწარმოებელი ლათინური სუფიქსები. ნანა ამირანაშვილი.

- ☞ ანტონიები სამედიცინო ტერმინებში. რუსულან ზეკალაშვილი (მოხსენება დეპონირების გარეშე)
- ☞ მანანა კიკნაძე. Cc კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვების გადმოცემის თავისებურებები; სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.
- ☞ მანანა კიკნაძე. ლათინური qu კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვების გადმოცემის თავისებურებები; სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.
- ☞ ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელაია. უცხოური წარმოშობის ი და ე ხმოვანზე დაბოლოებული სახელების კვეცადობის გადმოცემა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და სამუშაო ფაილები.
- ☞ ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელაია. ენ -ზე დაბოლოებულფუძიანი სახელის მრავლობით რიცხვში გადმოცემა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და სამუშაო ფაილები.
- ☞ ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელაია. ია -ზე დაბოლოებული კვეცადი სახელის მსოლობითი რიცხვის ნათესაობითსა და მოქმედებითში გადმოცემა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და სამუშაო ფაილები.

**მეთერთმეტე რესპუბლიკური კონფერენციის "სამედიცინო ლინგვისტიკის პრობლემები" დეპონირებული ნაშრომები**

- ☞ მასალები Trans მოდელის ინგლისურ-ქართული შეპირისპირებითი კვლევისათვის სამედიცინო ტერმინებში. ლალი დათეშიძე.
- ☞ მანანა კიკნაძე. ex კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვების გადმოცემის თავისებურებები; სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.
- ☞ მანანა კიკნაძე. exen კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვების გადმოცემის თავისებურებები; სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.
- ☞ მასალები Pro მოდელის ინგლისურ-ქართული შეპირისპირებითი კვლევისათვის სამედიცინო ტერმინებში. ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელაია.
- ☞ ბიოსამედიცინო დოკუმენტაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ტერმინოლოგიის მონაცემთა ბაზების შემუშავებისას პროგრამირების გამოყენება. ამირან დათეშიძე. საკონფერენციო მოხსენება წარმოადგენს ანტონიო ვაქუერო ნაშრომების მიმოხილვას, რომელიც სამედიცინო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით გვთავაზობს კონცეპტუალური მოდელს იერარქიულად ორგანიზებული ტერმინოლოგიური მონაცემთა ბაზების შესაქმნელად. ეს სამუშაო ახლოს დგას პროექტის "ქართული სამედიცინო ენციკლოპედიის" ფარგლებში მიმდინარე სამუშაოებთან.

- წი ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელია. au ლათინური დიფონგის შემცველი უცხო სიტყვების ასახვა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და საშუალო ფაილები.
- წი ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელია. eu ლათინური დიფონგის შემცველი უცხო სიტყვების ასახვა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და საშუალო ფაილები.
- წი მანანა კიკნაძე. ce კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვების გადმოცემის თავისებურებები; სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.

**მეთორმეტე რესპუბლიკური კონფერენციის "სამედიცინო ლინგვისტიკის პრობლემები" დეპონირებული ნაშრომები**

- წი სამედიცინო სატერმინოლოგიო სტრუქტურებისა და სადაზღვეო კომპანიების თანამშრომლობის პერსპექტივები. ამირან დათეშიძე, ვასილ შენგელია, მამონილია.
- წი ავსტრალიის სამედიცინო სადაზღვეო კომისიამ შეიძინა კომპანია Health Language-ის (მედიცინის ენა) პროგრამული პროდუქტი Cyber+LE, რომელიც გამიზნულია სამედიცინო ტერმინოლოგიის ერთიანი გაგების ხელშეწყობისთვის. კომისიას საკუთარი ონლაინ სამედიცინო ცენტრები გააჩნია. ეს ცენტრები აწარმოებენ ჯანდაცვის სფეროში ელექტრონული ტექნოლოგიების ტესტირებას. კომისია მიიჩნევს, რომ მაშინ როდესაც ექიმები და პაციენტები სულ უფრო თავისუფლად და ფართოდ იყენებენ ონლაინ სამედიცინო ინფორმაციას, -სასიცოცხლოდ აუცილებელი ხდება სამედიცინო ტერმინოლოგიის ერთიანი გაგება, რასაც ემსახურება აღნიშნული პროდუქტი. ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელია. ლათინური qu კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვების ასახვა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და საშუალო ფაილები.
- წი ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელია. cc კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვების ასახვა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და საშუალო ფაილები.
- წი მანანა კიკნაძე. ia -ზე დაბოლოებული კვეცადი სახელის მხოლოდითი რიცხვის ნათესაობითსა და მოქმედებითში გადმოცემის თავისებურებები, სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.
- წი მანანა კიკნაძე. en -ზე დაბოლოებული მრავლობითი რიცხვში გადმოცემის თავისებურებები, სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.
- წი მანანა კიკნაძე. უცხოური წარმოშობის ი და ე ხმოვანზე დაბოლოებული სახელების კვეცადობის თავისებურებები; სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.

- წი სამედიცინო ტერმინწარმოება თანამედროვე ინგლისურ ენაში. მოკლედაა განხილული თანამედროვე ინგლისურ ენაში ტერმინწარმოების მოდელები. ლალი დათეშიძე
- წი მანანა კიკნაძე. ae ლათინური დიფონგის შემცველი უცხო სიტყვების გადმოცემის თავისებურებები; სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.
- წი ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელია. - ციური სუფიქსიანი ზედსართავების ასახვა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და საშუალო ფაილები.
- წი ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელია. - ციური სუფიქსიანი ზედსართავების ასახვა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და საშუალო ფაილები.
- წი მანანა კიკნაძე. oe ლათინური დიფონგის შემცველი უცხო სიტყვების გადმოცემის თავისებურებები; სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.

**მეცამეტე რესპუბლიკური კონფერენციის "სამედიცინო ლინგვისტიკის პრობლემები" დეპონირებული ნაშრომები**

- წი ბერძნულ-ლათინური ტერმინები სამედიცინო ტერმინოლოგიაში. ამირან დათეშიძე რუსული სამეცნიერო ლიტერატურის კომპილიაცია. აღწერილია რუსულ სამედიცინო ტერმინოლოგიაში ბერძნული და ლათინური ენებიდან კალკირებით, ეტიმოლოგიურად და პირდაპირ გადმოტანილი ეწ ნასესხები ტერმინები.
- წი მანანა კიკნაძე. ps კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვების გადმოცემის თავისებურებები; სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.
- წი მანანა კიკნაძე. pt კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვების გადმოცემის თავისებურებები; სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.
- წი ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელია - აღ ფუძიანი და - ურ (ულ) სუფიქსდართული ზედსართავების ასახვა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და საშუალო ფაილები.
- წი ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელია. - მა -ზე დაბოლოებული და - ურ (ულ) სუფიქსდართული ზედსართავების ასახვა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და საშუალო ფაილები.
- წი მასალები Pre მოდელის ინგლისურ-ქართული შეპირისპირებითი კვლევისათვის სამედიცინო ტერმინებში. ლალი დათეშიძე.
- წი III ბრუნების ზედსართავ სახელთა მწარმოებელი ლათინური სუფიქსები. ნანა ამირანაშვილი.

- წი ლათინური აფიქსების მონაწილეობით შედგენილი ტერმინები. ნანა ამირანაშვილი.
- წი ლათინურ ფუძეზე ორმაგი სუფიქსის დართვით გამოწვეული თავისებურებანი. ნანა ამირანაშვილი.
- წი ლალი დათემიძე, არჩილ შენგელია. cj კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვების ასახვა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და სამუშაო ფაილები.
- წი ლალი დათემიძე, არჩილ შენგელია. ce კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვების ასახვა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და სამუშაო ფაილები.
- წი მანანა კიკნაძე. მან-ზე დაბოლოებულფუძიანი სახელის მოთხრობით ბრუნვაში გადმოცემის თავისებურებები, სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.
- წი მანანა კიკნაძე. სან -ზე დაბოლოებულფუძიანი სახელის მიცემით ბრუნვაში გადმოცემის თავისებურებები, სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.

**მეთოთხმეტე რესპუბლიკური კონფერენციის "სამედიცინო ლინგვისტიკის პრობლემები" დეპონირებული ნაშრომები**

- წი მასალები De მოდელის ინგლისურ-ქართული შეპირისპირებითი კვლევისათვის სამედიცინო ტერმინებში. ლალი დათემიძე, არჩილ შენგელია.
- წი ლალი დათემიძე, არჩილ შენგელია. – ტიური სუფიქსიანი ზედსართავების ასახვა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და სამუშაო ფაილები.
- წი ლალი დათემიძე, არჩილ შენგელია. – ტიური სუფიქსიანი ზედსართავების ასახვა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და სამუშაო ფაილები.
- წი მანანა კიკნაძე. dys სუფიქსიანი უცხო სიტყვების გადმოცემის თავისებურებები; სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.
- წი სამედიცინო ტერმინოლოგიის ისტორიისა და მოწესრიგების (სისტემატიზების) პრობლემები-რუსული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა. ამირან დათემიძე
- წი ლალი დათემიძე, არჩილ შენგელია. kt კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვების ასახვა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და სამუშაო ფაილები.

- წი ლალი დათემიძე, არჩილ შენგელია. ct კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვების ასახვა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და სამუშაო ფაილები.
- წი მანანა კიკნაძე. - ურ (ლ) სუფიქსიანი ზედსართავების გადმოცემის თავისებურებები; სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.
- წი მანანა კიკნაძე. - იული (იური) სუფიქსიანი ზედსართავების გადმოცემის თავისებურებები; სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.
- წი მასალები Re მოდელის ინგლისურ-ქართული შეპირისპირებითი კვლევისათვის სამედიცინო დიალექტებში. ლალი დათემიძე

**მეთხუთმეტე რესპუბლიკური კონფერენციის "სამედიცინო ლინგვისტიკის პრობლემები" დეპონირებული ნაშრომები**

- წი ლათინური პრეფიქსის, ძირისა და სუფიქსის გამოყენებით ნაწარმოები ტერმინები. ნანა ამირანაშვილი
- წი მანანა კიკნაძე. cu კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვების გადმოცემის თავისებურებები; სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.
- წი მანანა კიკნაძე. ci კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვების გადმოცემის თავისებურებები; სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.
- წი ორი ლათინური ძირითა და ლათინური სუფიქსით ნაწარმოები ტერმინები. ნანა ამირანაშვილი.
- წი ლათინურ-ბერძნულ ძირებზე ლათინურ სუფიქსდართული ტერმინები. ნანა ამირანაშვილი.
- წი ლალი დათემიძე, არჩილ შენგელია. ks კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვების ასახვა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და სამუშაო ფაილები.
- წი ლალი დათემიძე, არჩილ შენგელია. cs კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვების ასახვა სამედიცინო-ორთოგრაფიულ ლექსიკონში. ალგორითმები და სამუშაო ფაილები.
- წი მანანა კიკნაძე. ნარ -ზე დაბოლოებულფუძიანი სახელის მრავლობით რიცხვში გადმოცემის თავისებურებები, სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.
- წი მანანა კიკნაძე. თან -ზე დაბოლოებულფუძიანი სახელის თანა მრავლობით რიცხვში გადმოცემის თავისებურებები, სწავლების ონ-ლაინ მეთოდიკა და ალგორითმები.





**ლალი დათეშიძის მუდმივმოქმედი საენციკლოპედო-  
სატერმინოლოგიო სემინარის დეპონირებული  
მოხსენებები. 2007 წელი**

- ☞ სამედიცინო ტერმინოლოგიის განვითარება რუსეთში. ნინო ხარაშვილი.
- ☞ სამედიცინო ტერმინოლოგიის განვითარების ისტორიისათვის. ვლადიმერ ბაზიაშვილი
- ☞ თანამედროვე მედიცინის ტერმინოლოგიის მოწესრიგების ზოგიერთი პრობლემა. ინტერნეტ-მასალების მიმოხილვა. მანანა კიკნაძე
- ☞ ბერძნული ხორხისმიური h გადმოცემის თავისებურებები, სწავლების ონ-ლაინ მეთოდთა და ალგორითმები. მანანა კიკნაძე.
- ☞ ph კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვების გადმოცემის თავისებურებები; სწავლების ონ-ლაინ მეთოდთა და ალგორითმები. მანანა კიკნაძე.
- ☞ ლათინური ch კომპლექსის შემცველი უცხო სიტყვების გადმოცემის თავისებურებები; სწავლების ონ-ლაინ მეთოდთა და ალგორითმები. მანანა კიკნაძე.
- ☞ "ლინგვო-სამედიცინო დისკის" მარკეტინგული პერიპეტიები. ბესიკ ბუცხრიკიძე
- ☞ ინგლისურ-ქართული სამედიცინო ლექსიკონის ინგლისური ტრანსკრიფციებით აღჭურვის შესახებ. გიორგი ლომიძე.
- ☞ დარგობრივ ლექსიკასა და ტერმინოლოგიას შორის განსხვავებისათვის. ნანა ამირანაშვილი
- ☞ ტერმინის მასსიათებლები და მისი ფუნქციონირება მართებულ არეში. ნანა ამირანაშვილი.
- ☞ ტერმინის ზოგადლინგვისტური თეორიის შესახებ. ნანა ამირანაშვილი
- ☞ ბერძნულ-ლათინური წარმოშობის ტერმინთა სემანტიკისა და ეტიმოლოგიის ურთიერთმიმართების საკითხებისათვის. მანანა კიკნაძე.
- ☞ სამედიცინო სპეციალობებზე ბერძნულ-ლათინურ ელემენტებიანი სამედიცინო ტერმინების სწავლების საკითხები. მანანა კიკნაძე.
- ☞ ტერმინთქმადობის საწყისი პერიოდი საქართველოში. ნანა ამირანაშვილი.
- ☞ ტერმინი "სამედიცინო ლინგვისტიკა" ინგლისურენოვან ინტერნეტ-სივრცეში. მანანა კიკნაძე
- ☞ სამედიცინო ტერმინოლოგიის აღდგენისა და შექმნის პრობლემები. ნანა ამირანაშვილი.